

73/2



ՁԵՆՈՒԹՅՈՒՆ

114/2

87

11

1973

გნათობი



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 49-ე

№ 11

ნოემბერი, 1973 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

1973

შ ი ნ ა კ რ ს ი

თიშურას ჯანფლავშილი — დროები მაღლა, კიდეც მაღლა და უფრო მაღლა. ლექსი	3
ალექსო შენგელია — ლექსები	5
თამაზ გომდარევილი — ხალხი ზამთრზედმოდულ ბელურასამით. მოთხრობა	7
ვახტანგ ჯაფარიძე — ლექსები	53
სერგი ვილია — შიმთხვივა საღებურზე. ქრონიკა	59
გივი გომიანიშვილი — სამანია. რომანი. ვაგრძელემა	72
გივი მაღულარია — შიტი. დასასრული	88
ფოტულა იანაგოპულა — ლექსები. თარგმნა გივი ძნელაძემ	119

ნაკრებები ხუთწლიდის დღეებზე

ზალმა ამისულაშვილი — მივიანახიების განაზრულები	122
გიორგი ხანაფიძე — შენი წილიცა	133

კრიტიკა და კულტივისტიკა

გიორგი კალანდიაძე — მართალი გულით	141
სოსო სიგუა — ლექსებსა და წიგნებს შორის	150
თამაზ ხანიჭიჭი — შენიწვენიბი მართული ხუმროთმომწვენიბის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე	159
პრიგოლ ჯარდალაშვილი — დიდი ხორეხვილი	169
ნ. კობინოვი — ზოგი რამ „კალმასობის“ ავტორზე	174

სსრკ-ის სახელმწიფო პრესბუროს გამოცემები



სულხან ქეთელაური — საავტომობილო ზა და ხვეწარათის მოგაველი

177

ქიზნების მიმოხილვა

არქანული
ხიზნული

შოთა ბაღრიძე — წიგნი დიდგორის ომზე

185

საქლავკრკრეთ

190



შთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ანაწყოელი (პ/მე მდივანი) დ. ბენაშვილი, დ. ბაგვაძე, ბ. ლაბაძე, ნ. ლაბაძე, ბ. ლაბაძე, ა. სულაველი, ბ. ქუთათელი, ხ. შანთავაძე; დ. შანთავაძე, ვ. წულუკიძე, ო. ბილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაკვებანი

გადაეცა ასაწყოებად 28/IX-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XI-73 წ., ასაწყოების ზომები 7 1/4 X 12, ქალაქის ფორმატი 70 X 108 1/16 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16, მ. სააღ-საგამომცემლო თაბახი 12.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

№ 13620. ტირაჟი 13100. შეჯ. 3188 ს. საქ. კ. ც-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ბალანსები: რედაქტორის — 98-55-11. პ/მე მდივანის — 98-55-12, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

© „მნათობი“, 1973 წ.



დროშები გაღია, კიდევ გაღია და უფრო გაღია

— პროლეტარებო ყველა ქვეყნისა,
შეერთდით! —

მთელი ხმით
იგრგვინა

და ჩვენი საუკუნე გარდასულ ასწლეულებს
დაედგა შუქად და გვირგვინად.

ის იყო

ჩამოდგა

მეოცე

საუკუნე.

იგრგვინა დაღვრილი სისხლის და ოფლის,
რაზინების და არსენების ბრძოლების,
მონობის უღელქვეშ მგმინავი მსოფლიოს,
ბორკილდადებული შრომის და გონების
სახელით.

იდგა

გარიფრაჟი

მეოცე

ასწლეულის.

კომუნისტური მანიფესტი: ღიადი ძახილი,
ალსავესე —

ბრძოლების წყურვილით, ცეცხლით და
წვიტ

აქუხდა მარქსის და ენგელსის სახელით,
აქუხდა ლენინის ხმით.

ასე

დაიწყო

ჩვენი

საუკუნე.

ასე დამთავრდა მონობასთან
დრო შერიგების
და წინ გაუძღვა ხალხს პარტია
ბოლშევიკების.

ასე

ჩამოდგა

მეოცე

ასწლეული.

მეოცე საუკუნემ ლენინის მარჯვენით
ბოლშევიკური დროშა აღმართა,
მაშინვე გაიბზარა ყინული მტანჯველი,
რევოლუციის დაიწყო აღმართი.

და შორს,

მწვერვალზე,

აკიაფდა

ცხრაასჩვიდმეტი.

იმ მაღალ მწვერვალზე ლენინის არჩეული
ჯზა უქრობ ვარსკვლავად ბრწყინავდა,
მეოცე საუკუნე მომავალ ასწლეულებს
წარუძღვა შუქად და წინამძღვრად.

იმ დღიდან

შვიდი

ათეული

წელი გასულა.

და დღეს იმ გულით, რომელთანაც

მეოცდაათე

წელიწადია, რაც პარტიულ ბილეთს
ვატარებ,

მადლობას ვეტყვი
იმ დიდ დღეებს,
იმ დიდ საათებს —
კაცობრიობის სიჭაბუკის დიად სათავეს.

ეს
სიჭაბუკე
მოიტანეს
კომუნისტებმა.


მადლობას ვეტყვი ლენინს,
ვისი მამური მწერაც
ამ ბილეთიდან შემომნათის,
მათობს,
მამალღებს,
შევეურებ მას და ქვეყნად ყველა სიკეთის
მწერა,
მისი სიმართლით და სინათლით ვწაღდავ
საველ გზებს.

რა მაღალია
ეს სინათლე
და
ეს სიმართლე!

ჩანს კონტურები კომუნისმის დიდი
სასახლის,
მისი ერთგული მებრძოლები ვიყოთ
ბოლომდის,
ჩვენს საველ გზებზე არსად დარჩეს
ჩრდილის ნასახიც,

წინ,
უფრო მტკიცედ,
უფრო მწყობრად,
წინ და მხოლოდ წინ!

დროშები მაღლა,
კიდევ მაღლა
და
უფრო მაღლა!



ერთი ღლაღლაგე და კიდევ ერთი დღეა ღებაჩღეში

წვიმა ჰბევს ნისლის დაშვებულ ფარღებს,
და სხაპასხუბით აწვიმს ლურჯ ბარღნარს.
მაღე ღაბარღნის ლებარღნის ბარღებს,
აქ დაღვსწრები ცის თეორად ვარღნას.

მე მოვალ, მოვალ თოვღში და ქარში,
ხეებზე ნისლის ჩამოღხსნი ნაჭრებს,
ამ წყაროსთავთან თეორ კარაღს გაღმღი,
რომ აქეუ მოებღს ფიქრიღვით დაღრჩე.

და, მე ვსვამ რკინას წვეთ-წვეთად
გამღნარს.

მე ვსვამ იმ წყაროს, ჩარბენიღს ქვემოთ,
წითღად რომ ფერაღს ღორღსა და
ბარღნარს,
ხალიბთა რეღლის რომ დაკრაღს გემო...

ნისღის ჩაბაღასმოხვეუღები,
მთას მიჰყეღებიან კოღხი ნაძეღები.
აქ, მე არ ვფიქრობ შენზე სრუღებით,
უშენოღ, მხოღოღ აქ თუ გაღძღებღდი.

და, ვერღ შენ მიცნობ, ტოტი ვარ მწვანე,
ფრინვეღი ვარ და ტყეში მაქღეს ბუღღე.
ხან გზაზე ვსვღეღები ხეღღეღღელ სვანებს
და თამაშ-თამაშ ვუწუნებს ქუღღებს.

არა, ვერ მიცნობ. ყვეღა გზაწვრიღით,
მაღღა მიღვიწვე ჩეღოღასაკენ.
ჩეღოღა, შენი ტობავარჩიღიღი,
მაღღი ცის რომ მეგონა სარკე.

ჩეღოღა, შენი შუბღიღც მაღღიღი,
ანათებს როგორღც პატიოსნეღა,
მწვანე გაღცღია ახაღთაბაღი,
თავზე გაბურაღს ნისღის ოცნეღა.

ჰეი, მეჯოღეღთა მთაო, ჩეღოღა,
შენი გრძეღი გზა ძნეღი მეგონა,
ხელს გართმეღ ლექსის ძმას და მეგობარს,
ღექსად ხომ შენი შუქიღც მეყოღა.

შემოღღის ჩვენში ძაღა წარსუღის,
და ცხელ-ცხელ სისხღად დაირბენს
სხეულს,
და ბეღღისწერა წერტიღღდასმუღი,
ღროთა გაღმოღღმა ისეღ ხსნის რვეულს.

მე აქ ვყოფიღღვარ, მახსოღეს, ღმერთმანი,
მწვანე ბავშვობამ ჩამჭიღა ხეღი,
და ვეფერეღით ახღა ერთმანეღთს,
და ეს გრძეღი გზა არაა ძნეღი.

ჩაშავეღღულა ბიღიკი ყვეღა,
და ტყე ზუზუნებს და ქარი ღეღღავს...

ღამე არის და, ღამე დიღღღეღა,
მე კი დღღის კვარცხღბეღეს ვუღღამ ბუნეღას,
ნუ შეგაშინებს უღაბურეღა,
ნურღ მარტოობის შეგეშინღღეღა,—

როცა სიბერე გზას გაღაღიჭრის,
ვითომ სიზმარი გინახავს წუხეღღ,

ამ ასწლოვანებს გაეკარ მუხებს,
ისწავლე მათგან სიცოცხლის ნიჭი.

ღამე დამჯდარა შავლევ ნაბადზე,
ნისლი მიიწევეს ზემოთკენ გუნდად,
ხევი აბოლებს ნაფაზს ნაფაზზე,
და ჭორიკანობს ტყუილის გუდა.

ელვა გაკრთება თეთრი აკვნიდან
და ღამეს ძილში შეაჭრიალებს.

თენდება. ქარმა ნისლი აკრიფა,
და ქარბორბალა სადღაც ტრიალებს.

ნისლი მწვერვალებს ესხმის რძესავით,
და მიჩუხჩუხებს და ავსებს ჯიქნებს.
ნზე მთას გადმოდგა ცეცხლის მთესავი,
და ამირანის წითელ ხმალს იქნევს.

მალე დაბარდნის ლებარდის ბარდებს,
მე აქ დავხვდები ცის თეთრად ვარდნას.

ვაჟას ობალისკი

აქ გდია ლოდი.

არა, აქ ანთია

კავკასიონის ქედის ნატეხი!

ის აქ ამოჰყვა ხალხის

დიდი გლოვის ქარტეხილს,

კლდეებიდან ცრემლმა ჩამომტვრია.

ეს ლოდი დადის საქართველოში,

როგორც მინდია.

და ეფურება ვაჟას ნისლი.

დღეები მიდიან, წლები მიდიან,

მაინც არ თავდება

სიცოცხლე მისი.

ეს ლოდი, —

მე მტვერი ვარ ამ ლოდის, —

მთაწმინდიდან

ქალაქში გამოდის,

ყველა სარკმელში შედის

მისი სინათლე,

როგორც დიდი სიმღერის წინადღე.

და, ცხოვრობს ვაჟა ჩვენთან,

და, კავკასიონს

დაატარებს ხურჯინით,

და, მის მწვერვალებს

შესდგომია ბურჯივით,

ანათებს იგი,

და ეს სინათლე,

არის სიმღერა ხვალისდღელ დღეთა.



ხელში გამოიფყვლეულ ბელუსასკიომ

მოთხრობა

ინსტიტუტის სატვირთო მანქანის შოფერი ძია მიშა სადგურზე დაიხვდა. გადაამეხვია, გადამკოცნა.

— როგორ იმგზავრეთ?

— არა უშავს. თქვენ როგორა ხართ?

— ჩვენ რა გვიკირს, დედაქალაქში ვართ!

სანამ ვაგონს ამწეს მოაყენებდნენ და ჩვენს უზარმაზარ კონტეინერს ძია მიშას გაკრიალებულ სამტონიანზე გადაიტანდნენ, სადგურში გავედი.

მიყვარს ეს სადგური, ხალხმრავალი და მოფუსფუსე; განსაკუთრებით მოსკოვში პირველად ჩამოსულების ცქერა მიყვარს. ისინი ისეთი გაუბედავები და მორცხენი არიან! ცნობათა ბიუროსთან უზარმაზარი რიგია. თუმცა ზოგიერთი რამ, რაც რიგში მდგომთ აინტერესებთ, ბიუროს კედელზე დიდი ასოებით სწერია, მაგრამ ახალჩამოსული რის ახალჩამოსულია თუ კედელზე წარწერილის დაუჭერა?! მან ხომ ყველაფერი თავისი ყურით უნდა მოისმინოს! მაგრამ აი დადგება რიგი და ცნობათა ბიუროში მომუშავე, საკმაოდ ხმაძლიერი ქალი გულცივად პასუხობს:

— კედელზე მარცხნივ... შემდეგი!

— რა, კედელზე მარცხნივ?

— შემდეგი!

— მე თქვენ შეგეკითხეთ... თუ შეიძლება, მითხარით...

— კედელზე მარცხნივ შეხედეთ, ყველაფერი სწერია.

— კი მაგრამ ამასობაში მეტყობით...

— შემდეგი!

შემდეგი კი უკვე აღარ ისვენებს, ჩხუბობს, რა ამბავია, ყველა უფიცი ამ ქალს რატომ აწუხებსო, და ცდილობს ახალჩამოსულის ადგილი დაიკიროს, პასუხის მოლოდინში საჩკმელთან მოხერხებულად დადგეს.

ჩემი სოფლის სადგური კი სულ სხვანაირია. ბაქნის გასწვრივ მუხის დიდი ხეებია. არც ცნობათა ბიურო, არც ფუსფუსი, არც მანქანები. თუ ერთადერთ ავტობუსს არ მიუსწარი, რკინიგზიდან სოფლამდე თხუთმეტი კილომეტრი ფეხით უნდა იარო. მაგრამ იქაურობა ისე ლამაზია, ვერც კი გაიგებ, როგორ ახვალ სოფელში. თუმცა შეიძლება ბევრი რამ შეიკვალა, უკვე თორმეტი წელია, იქ აღარ ვყოფილვარ.

ძია მიშამ სამტონიანი ცხვირწინ გამიჩერა. ჩავკეჭი. ახლა ჩვენ ზუსტად საათნახევარი უნდა ვიმგზავროთ. თითქმის მთელი მოსკოვი უნდა გადავკრათ და კიდევ ერთხელ უნდა გადავავლო თვალი ამ განიერ, ნაცრისფერ ქუჩებს,

სწრაფმავალ ხალხსა და უამრავ ავტო-
მანქანებს. კიდევ ერთხელ უნდა აეყვე
აჩქარებულ რიტმს და კიდევ ერთხელ
უნდა გადავიტყუე ამ ქალაქის ღვიძლ შვი-
ლად. ძია მიშას მშვიდად მიჰყავს მანქა-
ნა.

- აქაურობა არ მოგენატრა?
- მომენატრა, აბა რა!
- ბიჭები მოუთმენლად გელიან.
- როგორ არიან, ახალი ხომ არაფე-
რია?

საოცარია: ყოველთვის, დიდ ქალაქში
რომ ჩამოვდივარ, დაბამბული ქულაჯა
და ჩექმები მენატრება. გავცდები თუ
არა ქალაქს და ძველმანებში გამოვეწე-
ყობი, თეთრ ქათქათა საყელოსა და
პალსტუხზე ვოცნებობ.

- სასტუმროში შეივლით, არა?
- არა, ძია მიშა, ახლა არა. ბიჭები
მეც მომენატრნენ.

მილიციელი გვაჩერებს, საბუთებს
ათვლიერებს და მწვანე გზას გვაძლევს.
ჩვენი მანქანა ნაცნობი ალაყაფის კარის
წინ ჩერდება. ხაკისფერტანსაცმლიანი
დარაჯი საშვს გვთხოვს, მერე ჯიბურში
შედის. სანამ დარაჯი დილაკზე თითს
დააპერს, ხმამალა ვამბობ:

— გაილე, სეზამ!

ალაყაფის კარი ჰრიალით იღება. მე
ალი ბაბაზე მდიდარი ვარ. ეს არც და-
რჯმა იცის და არც ძია მიშამ. რაც აქ, ამ
საკვლევი ინსტიტუტის შენობაში ახლა
შევიტანე, მათთვის მიწაა და მეტი არა-
ფერი.

სამტონიანისაკენ თეთრხალათიანი,
საკმაოდ ლამაზი ვაჟკაცი მობრძის, კარს
აღებს და ხელში მიტაცებს, პატარა ბავ-
შვივით. ეს ტექნიკურ მეცნიერებათა-
კანდიდატი იგორ ოზეროვია. ვიცი, ახ-
ლა რასაც ჩაიდენს. იგორი ინსტიტუტის
ეზოს შუაგულში დადგა. ეზო პატარაა
და რვასართულიანი შენობებით გარ-
შემორტყმული, საკმაოდ ღრმა, სუფთა
და მშრალ ჭას ჰგავს. იგორმა ცერი და
საჩვენებელი თითები პირში ჩაიდო და
რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუსტვი-
ნა. ბიჭებმა არ დააყოვნეს სამი ფანჯა-

რა გაილო და სამი ქერათმიანი თავი
გამოჩნდა.

— გურამი ჩამოვიდეს! — შემყვირა
ოზეროვმა.

მალე თეთრხალათიანების ალყაში აღ-
მოვჩნდი.

— ფრთხილად, დაისვრებით! — ვურ-
ჩევ მეგობრებს, მაგრამ ვის ესმის?! ჩემი
ბურთაობით გული რომ იჭერეს, იგორმა
მკითხა:

- ორი ტონაა?
- როგორც მიბრძანეთ. ხომ გეყო-
ფათ?
- ქარხნულ ცდას ერთი ტონაც ჰყო-
ფნის.
- რა ამბებია ტაიგაში?
- მშვიდობა.
- ალექსანდროვი და პელმენიოვი
როგორ არიან?

— ლომებივით.
— ცოლები?
— რა უშავთ!
— დირექტორთან შეხვალ?
— არა, ასე სირცხვილია. სასტუმრო-
ში შევივლი, თავს მოვიწესრიგებ და
დღის ბოლოს გამოვივლით.

— რაო? დღის ბოლოსო?
— უკაცრავად, უკაცრავად, გთხოვთ.
მაპატიოთ. დირექტორს ხვალ დილით
ვეახლები!

მერე ხუთივემ ერთად დავმარცვლეთ:

— ზუსტად რვა-ზე „ვოლ-გა-ში“
— ურთიერთდამხმარე სალაროს დეი-
და ხომ კარგად ბრძანდება? — მოწიწე-
ბით ვიკითხე.

— ამ დილით, როცა თქვენი ჩამოსვ-
ლის ამბავი შევატყობინეთ, კარგად იყო.
— აბა, წავედი.

— მე დირექტორთან შევალ, — თქვა
იგორმა, — ცდა ზევ უნდა დავიწყოთ.

— ზევ კვირაა! — თქვა პირველმა ქე-
რათმიანმა, თუმცა უკვე იცოდა, რასაც
უბასუხებდნენ.

— ჰო და, სწორედ ამიტომაც მინდა
შესვლა დირექტორთან.

— ჩამოვიდა გურამი და დაიწყება

უკვირაო თვე! — თქვა მეორე ქერათმიანმა.

— ამჯერად ერთი თვე თქვენთან დასარჩენად არა მცალია, პასუხი ადრე მიიღე.

— მაშინ დაბრუნდით და რადიოგრაფის ელოდეთ! — იწყინა მესამე ქერათმიანმა.

— არა, მართლა ვერ დავრჩები. ალექსანდროვმა ათი დღით მომავლინა.

ხუთი თვეა ქალაქში არ ვყოფილვარ. ხუთი თვე ადვილი სათქმელია. ვისაც ეტყვი, გიპასუხებს: კაცი ხარ და კაცური სპეციალობაცა გაქვსო. გელოვობა, მართლაც კარგი საქმეა! აქ ამაზე აღარ ვიმსჯელებთ. „ოჰ, თქვენ გეოლოგი ხართ! — გაიციან ცისფერთვალა გოგონამ, — რა კარგია!“ „რა არის კარგი? უკაცრავად, არ მესმის თქვენი ალტაცება. გეოლოგი რითა სჯობს მშენებელს ან ექიმს?“ „მივივრს, ასე რომ მპასუხობთ: მე რომ დამთავრებული არ მქონდეს“... და ა. შ. ერთი მარშრუტი, მხოლოდ ერთი მარშრუტი ტაიგაში! რატომ ტაიგაში? შავი ზღვის სანაპიროზე! რატომ შავი ზღვის სანაპიროზე? შუა აზიაში! თუმცა სულ ერთია! ცისფერთვალა გოგონასავით მოტიკტიკე რომანტიკოსები მაინც ვერ გაიგებენ რა უნდა გიყვარდეს და რა უნდა მოგწონდეს, თუ გეოლოგი ხარ. ასეთ გულუბრყვილოებს გეოლოგობა მთა-ველზე და ტყეში სეირნობა ჰგონიათ და მეტი არაფერი. ეთნოგრაფიული მარშრუტი! ათასგვარი ხალხი, მათი ზნე-ჩვეულებანი, მოგზაურობა! ასე რომ არ არის? აი, მე, მავალითად, ხუთი თვეა წესიერად არ მიბნანავია, ხუთი თვეა ჩემი საყვარელი საქმელი არ მიჭამია, ხუთი თვეა დაპატიმრებული ვარ. ახლა იკითხავთ, ციხე რა შუაშიაო, არა? როცა ციხეში ხარ, არავენი გიშლის იმუშაო, შენ საქმეზე იფიქრო, საქმელტანსაცემელსაც გაძღვევენ. ერთი ეს არის, ქალს ვერსად დაინახავ. თავისუფლების აღკვეთას ბევრი რამ აქვს საერთო ტყეში გაპრილ გეოლოგთან და-

ფიქრებულხარ, გოგონი? არა, ასე არ ვიფიქრია.

ახლა მეტროში ვზივარ, მაგნიტები ეკვით მიყურებენ, რადგან შავი ტანსაცმელი მაცვია და ვერ გააჩნევთ, სუფთაა თუ ჭუჭყიანი. ერთი სული მაქვს სანამ ჩვენ სასტუმროში მივალ, აბაზანაში ჩაეწვები, წვერს გავიპარსავ, თეთრ პერანგს ჩავიცვამ, რესტორან „ვოლგაში“ გამოვცხადდები და ჩვენ ბიჭებთან ერთად გემოზე გამოვთვრები. მაგრამ ყველაფერი ეს სახეზე არ შემჩნევია. საკმაოდ საქმიანი კაცის გამომეტყველება მაქვს და ვერავენი მიხვდება, რომ საქმის გარდა, ყველაფერზე ვფიქრობ.

სასტუმროში ჩემს დანახვაზე ერთო აურზაური ატყდება ყველას ვუყვარვარ. ასეა. უკვე უნდა მიხვდეთ, რომ რახან ყველას ვუყვარვარ, მაინცდამაინც კარგად არ დამთავრდება ჩემი საქმე. რა მომივა, ჯერ ვერ გეტყვით. ამას ჩემ თავსაც კი არ ვუმხელ, ისე მეშინია. მეშინია-მეთქი, წამომცდა. სრულებითაც არ მეშინია! როცა მარტო ვარ, მაშინ არ მეშინია და როცა მეგობრები მახვევია, მაშინ რა შემაშინებს?! ზო და, მიყურეთ ახლა, რა ამბავი ატყდება ჩვენს სასტუმროში, სადაც მხოლოდ კომპლექსური თემის „ჩვენი ელემენტის“ მკვლევარი და მძივებელი სტუმრობენ.

— თქვენი საშვი? — „ეს კარისკაცი ახალია“.

— ახლავე, გენაცვალე. — ჯიბეები მოვიქეძე.

— ხომ იცით, ეს ჩვეულებრივი სასტუმრო არ არის. საეპტოოდ მოსკოვში ჩამოსულ ხალხს აქ ვერ შეეუფებთ. თუ საშვი არა გაქვთ, რას ეძებთ?

— თქვენ დიდი ხანია აქ მუშაობთ?

— ეგეთებიც არ გაგივა, აქ საკმაოდ დიდი ხანია ვმუშაობ. უკვე ხუთი თვეა.

აი, ხედავთ? ხუთი თვე ამ კაცს მთელი ეპოქა ჰგონია! მე კი ეს ხუთი თვე...

ჩემსკენ უკვე მორბოდნენ სასტუმროს დიასახლისი, სართულის მორიგე, მრეცხავი და პარიკმახერი. ამასობაში საშვიც ვიპოვე და ქალებს დავერიე.

— არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ, თორემ! შეგკამთ. ხუთი თვეა ქალაქში არ ვყოფილვარ.

— ჩვენ მაგის ბედი ახალგაზრდობაშიც არ გვქონდა: ვინ ჩამიგდებდა ხელში ხუთი თვით ქალაქში ჩამოუსვლელ ქართველს! — ხუმრობს დიასახლისი.

— ერთხელ საპატიმროდან ახლად გამოსულ კაცს შევხვდი. ვიფიქრე, ნამარხულევი იქნება და ჩემს მოღუწულ ცხვირს ვერ შენიშნავს-მეთქი. თავი კი შევატყუე, ცოლად შემირთო, მაგრამ რად გინდა: ციხეში ყველაფერი დავიწყებოდა! მერე იმის ჯიბრზე პარიკმახერი გამოვედი და ვინ მოსთვლის, რამდენი კაცისათვის ამიხურებია ლოყები.

— როგორა ხართ, გოგოებო, ჩემო კუდრაქებო, ჩემო ცუგრუმელებო, ჩემო პატარებო, თქვენი გურამი არ მოგვენატრათ?

— მოგვენატრა და მერე როგორ! ახალ ოინებს ველი. პირველ საართულზე მორიგეობა შენს გამო არ ამიკრძაღეს!?

— ეს როდის? ბიძაჩემი რომ მოვიყვანე?! რა მექნა, სასტუმროებში ვერსად მოვაწყე და ქუჩაში ხომ არ დავტოვებდი? მეგონა ფანჯრიდან ვადმოძრომას არ იკადრებდა!

— ღმერთმა გაგახაროს, შვილო!

— ჩვენი დირექტორი რომ კაცი იყოს, ახლა თქვენ ადგილას თვრამეტი წლის გოგოები უნდა იდგნენ.

— გაჩუმდი, ვერ ხედავ ახალი კარის-კაცი გვყავს!

— შეგარჩიათ ბებრები!

— ყველაფერი ლანგარზე გაწყობილი გნებავს? იშრომე და შოიპოვებ.

— მე თუ შრომა მაკლია! აბა, ჩემ ოთახში რა ამბებია?

— სისუფთავე, შვილო, ყველაფერი დაწკრილებულ-გარეცხილ-გაუთოებულა.

— თეთრი პერანგებიც?

— მოდი, შვილო, მოდი! — დიასახლისმა ოთახის კარი გააღო.

ჩემი ოთახი ორასსამოცი ნომერია. სასტუმროში სულ ალბათ ასოცი ოთა-

ხი იქნება. ჩემი ოთახი ამ ხუთსართულიანი შენობის პირველსართულზე და ორასსამოცი ნომერია. ასე დაწინააღმდეგებოდა რექტორმა. ჩვენი დირექტორი ძალიან დიდი მეცნიერია, ამ სიტყვის ჰუმბოლტი მნიშვნელობით და ხანდახან ხუმრობა უყვარს. ალბათ სასტუმროზე როცა მსჯელობდნენ, კარგ ხასიათზე იყო.

— მაგ ტანსაცმელს რომ გაიხდი, კართან დაალაგე, დაბალ სკამზე, უნდა გამოვხარშო.

კარი მოვხურე. მარტო ვარ. მარტო ვარ ჩემ ოთახში. სააბაზანოში ვილაყ შევიდა და წყალი მოუშვა. ალბათ, დიასახლისია. კარადა გამოვადე, პერანგი და კოსტუმი ავარჩიე, მერე ტანთ გავიხადე და სააბაზანოში შევედი. სააბაზანოს რეპერტუარი დიდი ხანია, რაც როსინითა და მასნეთი შემოიფარგლა: როსინის ფიგაროს კავატინა და მასნეს „ელეგია“. წყალი გავანელე. სააბაზანოში წიწვის მკვეთრი სუნი დადგა. ექიმი ჩვენს ნერვულ სისტემას უფრთხილდება. ექიმი! ეს რა გამახსენდა. ალბათ, ხეალ დილითვე თავზე დამადგება. ცდის პირი თქვენს განკარგულებაშია, დანიილო. კარგო კაცი. ჩვენ ალბათ, ყოველთვის ვიჩხუბებთ! მაგრამ არაფერში გავამტყუნებ, დანიილო. მეც კაცი ვარ, მეც მაქვს ნერვები, დიახ, სწორედ ის ნერვები, რომელიც წიწვისსუნისანი სანელებლით გინდა დამიწყნარო. ხედავ, რა კარგად ვისრულებს ბრძანებას სასტუმროს დიასახლისი? აბა, აბაზანაში. ნელა, ნელ-ნელა, წყალი ცხელია! არა, გეჩვენება! წყლის ტემპერატურა გაზომილია. უნდა შევეჩვიო. ასორმოცდაათი დღეა ცხელი წყლით მხოლოდ თავს ვიბან. ტანი ტემპერატურას გადაეჩვია. ჩაწიქი, გურამ, არ აჩქარდე. პაპაშენიც ასეთ აბაზანებს იღებდა მოსკოვში და კარგი ცხოვრება ვერ აიტანა. საწყალი პაპა! არც მამაჩემი წავიდა ამ ქვეყნიდან გულნაკლული. ცოლი უნდა შემერთო და მაშინ ამის თქმა ტყუილი არ იქნებოდა. მართალია, უნდა შემერთო. ჩვენ ყოველთვის ვიცი, როგორ უნდა მოექ-

ცეულიყავით. იმის მაგივრად, რომ ცოლი შემერთო და მოხუცი მამისათვის მიმეხედა, დავკარი ფეხი და ტიგაში ამოყავი თავი. საქმე, არა? დიახ, საქმე! კაცისთვის საქმეა მთავარი. ხომ მართალი ვარ? მამაჩემი ისე მოკვდა, არ გამოგია. ვერ გამაგებინეს. უგზოუკლოდ დავიკარგეთ მე და იურა ალექსანდროვი. რა გამოუცდელნი ვიყავით მაშინ?! თუმცა ტიგას არასოდეს არ უნდა გაუთამამდე.

კარზე დააკაუნეს: ესე იგი აბაზანაში წოლა აღარ შეიძლება, მანებელია. დიასახლისი აბაზანის კარს მანამ არ მოშორდა, სანამ შხაპის ხმაური არ გაიგო. თვითონ არ მინდა რაიმემ მაწყინოს. ამიტომ, თუმც მსიამოვნებს, საჭიროზე მეტხანს არ დავრჩები აბაზანაში. გესმის, დანიილო, როგორ ვასრულებთ შეს მითითებებს, როგორ გეხმარებით, რომ ჩვენივე საკუთარი სიცოცხლე გავინანგრძლივოთ. მაგრამ როდემდე? ეს წესიერება როდემდე გავყვებო? აი, ერთხელაც იქნება შემოვალ შენთან ოთახში, კარს ჩავეტყვ და ყველაფერს მოგიყვები. ჩემს თავს თუ ვერ მოვერიე, შენ ჩაგაბარებ; შენ და მედიკამენტებს, გესმის, დანიილო! მაგრამ ისეთი ექვიანი კაცი ხარ, მგონია, ყველაფერი იცი. მამ რას უნდა მივაწერო ამ ბებრუსანების იდეალური ყურადღება? ნუთუ დედაშვილურ სიყვარულს?

ფიგაროს არია დამთავრდა. ტანი კარგად გავიმშრალე. საშინაო ტანსაცმელი ჩავიცი და საპარიკმახეროში დავრეკე. პასუხი მოკლე იყო: პარიკმახერი მიცდის. დიდი სარკის წინ ჩემი გაბადრული და ლოყებაქაფებული სახიდან მხოლოდ თვალები ჩანს.

- რა გაპარსავს ამ ჯაგარს!
- ხუთი თვის წვერია!
- ხუთი თვის ჯაგარია, აი, რა ამოგდის ლოყებზე.
- სამაგიეროდ ნაზი კანი მაქვს.
- ნახე, როგორ გავალამაზო!
- ცოტა მოუჩქარე, რვისთვის ბიჭები მიცდიან.

- ბიჭები თუ გოგოები!
- ვითომ არ იცი!
- ისევე „ვოლგაში“ გვარდებიან!
- მხოლოდ „ვოლგაში“ ამზადებენ ჩვენებურ მწვადს!

ოთახში დავბრუნდი. პერანგი ჩავიცი. საყელოზე რალაც ხაზი ჰქონდა და გამოვიცვალე. ყელსაბამი მაგრად მოვიპირე და თვალები გადმოვკარკლე. მერე კოსტუმში ჩავიცი. ყელსაბამი მართლა ძალიან მიჭერდა, ცოტა მოვუშვი, თავისუფლად ამოვიხუნტე და საწერი მაგიდის უკრიდან ჯიბის საათი ამოვიღე. თექვსმეტი საათი და ორმოცდახუთი წუთია. ზუსტად ასე, ან დაახლოებით ამ რაიონში ჩერდება ხოლმე ჩემი ჯიბის საათი, როცა უჯრაში ჩავეტყვ და ტიგაში მივემგზავრები. პირველად ძალიან მიკვირდა. ეს დრო ალბათ ჩემ ცხოვრებაში რალაც დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს-მეთქი, ასე ვფიქრობდი. მერე მივხვდი, რატომაც ჩერდებოდა ერთი დღიამდე დროს. საათს ყოველთვის დილის რვა საათზე მოვმართავ-ხოლმე. ეს ჩემი ჩვეულებაა. ჰო და, ისიც ერთსადაიმდე დროს ჩერდება. ახლა რომელი საათია? აიღე ტელეფონის ყურმილი, აკრიფე საჭირო ნომერი და ყველაფერს შეიტყობ. ასეც მოვიქცევით. თერამეტი საათი და შვიდი წუთია. მეტრომდე ფეხით მივალ, ამას ორმოცი წუთი დასჭირდება, მერე ავალ კა-ცხრაში და წერილებს ვნახავ, ამას — ოცი წუთი, თუ რიგია, თუ არა და, ნაკლები: იქვე დავკვები და საპასუხო ბარათებს დავწერ, თუმცა არავისგან არაფერს ველო. მხოლოდ დედაჩემისგან იქნება რაიმე. დედიკოს პასუხს თხუთმეტი წუთი უნდა. ესეც ცხრამეტი საათი და ოცდაათი წუთი. იქიდან „ვოლგამდე“ ფეხით ოცდაათ წუთში მივალ. ესე იგი ცხრამეტ საათსა და ორმოცდათხუთმეტ წუთზე „ვოლგაში“ ვიქნები. აბა, წინ, წინ გასწი! კარისკაცი ფეხზე წამომიღვა და კარი გამიღო.

- დავგავგიანდებ, მოხუცი!
- საგულშაგოზე ძილი არ შეიძლება! —

მომიგო და ყვეთელი კბილები გამოაჩინა.

— აბა, კარგად იყავით!

— სადარბაზოდან ნუ გახვალ, ბაღის კართან მანქანა გელოდებათ!

— ექიმი შინ არის?

— დიახ.

— მე ფეხით მიჩვენებია. თუ შეიძლება, დაურეკეთ შოფერს, დაისვენოს.

— კარგი, როგორც გენებოთ.

— მანქანა ექიმმა გამოიძახა, არა?

კარისკაცს გაეღიმა. ეხ, დანიილო, დანიილო, არ გამოვიდოდა შენგან მზვერავეი. მაგრამ, ალბათ, გრძნობ, რომ ჩემი სახით საიმედო ცდის აქვს გეზრდება. ვეცდები იმედი არ გაგიცრუო, მანამ კი... მანამ... მე თვითონ, მე თვითონ!

დიდმა რუსმა არქიტექტორმა ივანე ივანეს-ძე რერბერგმა საშვილიშვილო საქმე გაუკეთა ქართველებს: მოსკოვში, ცენტრში, ზედ გორკის ქუჩაზე ააშენა ცენტრალური ტელეგრაფი, რომელსაც ყველა „კა-ცხრა“ ეძახის. სად იქნები? სად შეეხვდეთ? სად მოგწეროთ? პასუხი ერთია: კა-ცხრაში. აქ იკრიბება ყველა: საქმიანი თუ უსაქმო; უსაქმოებს უფრო საქმიანი საუბარი უყვართ. საქმიანი შეიძლება აქ სალაყბოდაც მოვიდეს, რომ დაისვენოს. დედაჩემის ბარათი მოკლეა, კარგად ყოფილა და მხოლოდ ჩემი დარდი აქვს. მე კი შენი დარდი მაქვს, დედო! ბევრი რამის გამო. თუნდაც ის რად გიღირს, თორმეტი წლის მანძილზე მხოლოდ სამჯერ რომ მნახე? შენ ვერასოდეს გაიგებ, რომ დანარჩენი ცხრა შევებულემა სამკურნალო სანატორიუმში გავატარე „პროფილაქტიკისათვის“. ეს რომ იცოდე, რკინის ქალამანს ჩაიცვამდი და ტაიგაში გამოიმყვებოდი. სამაყოდ მხოლოდ ჩემი სახელი გაქვს. ვინ იცის, რა ხდება ჩვენ ეზოში, როცა გაზეთებში ჩემს გვარს ამოიკითხავთ ხოლმე! რომ იცოდე, როგორ მინდა შენთან ყოფნა, ჩემო ტკბილო დედი! და კიდევ ერთი რამ მინდა ძალიან: მეტი სიმწარე აღარ გენახოს, ვიდრე ცოცხალი ხარ.

„ჩემო დედო!“

მოსკოვში დღეს ჩამოვედი, შენი ბარათი დამხვდა და ძალიან გამიხარდა. აქვე, ფოსტაშივე ვწერ პასუხს. ვარ ყოვეით. ქამის მადა კარგი მაქვს, ცოლი არ შემირთავს და არაფერი არ მტკივა. ტანსაცმელი შევიძინე, შენ თუ რამე გინდა შემატყობინე, აქ კიდევ ათ დღეს დავრჩები. ტელეფონი თუ დავგიდგეს, ნომერი მომწერეთ, თუ არა და, შალვას მიაკითხეთ, დაგეხმარებათ. წესით უკვე უნდა დაედგათ. სხვა ახალი ხომ არაფერია? ძალიან მომენატრეთ და, ალბათ, მალე გინახულებთ. მალე — ეს სამიოთხი თვეა. ნურაფერზე იღარდებ, დედო! გაზეთები ათვალეიერე. აქ ისეთი ამბები ავტეხეთ, რომ მალე მთელი მოსკოვი შეზანზარდება. ამასაც გაზეთებით შეიტყობთ. აბა, გეხვევი და მაგრად გკოცნი. შენი გურამი.“

ცენტრალური ტელეგრაფიდან რომ გამოვედი, ნავაქრით აჩონჩხილი ქართველი დიასახლისი შემხვდა. კი არ შემხვდა, კარში გაიჩხირა, იქიდან შემოდიოდა, საიდანაც ნორმალური ხალხი გადის.

— კარგი საქმე გაგვიკეთა ქართველებს რერბერგმა არა, დედი?

— მე მითხარი, გენაცვალე?

— ივანე ივანეს ძე რერბერგმა-მეთქი, დიდმა რუსმა არქიტექტორმა.

— არ ვიცი, სამი დღითა ვარ ჩამოსული.

— რას გერჩი ახლა, კაცმა რომ თქვას?

— რა ვიცი, შვილო.

— ხომ არაფერი გნებავს, დედი?

ერთი სიტყვით, სანამ იმ ქალს სასტუმროში დავურეკე და მისი თულღუე გამოვიძახე, „ვოლგაში“ დავავიანე. იგორი მეტრდოტელს ეძებდა და წითელ წიგნაკს ყველას ცხვირწინ უტრიალებდა.

— კაცმა ხუთ თვეში ერთხელ მოინდომოს ქეიფი და ადგილი ვერ იშოვოს?!

სამივე ქერათმიანი იგორის იმედია!

იყენენ. ობლის კვერი გვიან გამოცხვა. მაგრამ მაგიდა დაგვიდგეს თუ არა, ნაცნობმა ოფიციალტმა მოგვაკითხა და გავვილიძე:

— მენიუ ხომ არ შეცვალეთ?

— ამის მეხსიერება მომცა და... — ინატრა ერთ-ერთმა ქერათმიანმა.

— გამარჯობა, „ლეიტენანტო!“ — საალმო ავუღე ოფიციალტს.

— არაყი?

ხუთივენი ერთსულოვანი აღმოვჩნდით. არჩევანი, რა თქმა უნდა, „სტარკაზე“ შეჩერდა.

ოფიციალტმა კარგად იცის, „სტარკას“ რაც უხდება. მოხარაყული შამპინიონი არაყანით. სალათა — „დედაქალაქური“. კანიანად მოხარშული კარტოფილი და ხამსა, წითელი და შავი ხიზილალა კარაქითა და ხახვით, ლაბასხმული ორაგული, გამოყვანილი თართი, შავი და თეთრი პური, ბორჯომი, ლიმონათი. ნახევარლიტრიანი „სტარკა“ სამ სადღეგრძელოზე გვეყოფნის. ესე იგი, თითო გადაკვრა ოცდაცამეტი გრამია. არაყს პატივისცემა უნდა: თითო ყლუპი! — მეტი, შთაბეჭდილებასა და გემოს უკარგავს. ჩემი შეგობრები ძლივს შევჩვიე პატარა ჭიქებით სმას. „წავედით“ ჭიქის შემდეგ ყველა ჩუმად და მადიანად ჭამდა. მესამე ჭიქის მერე ავლაპარაკდით. მეხუთე ჭიქაზე გამოირკვა, რომ ისევ ძველებურად გვიყვარს ერთმანეთი, თუცა ერთი დედის შვილები არა ვართ. მეშვიდე ჭიქაზე თამადამ, იგორმა, ჩვენა საქმის სადღეგრძელო დალია. ამასთან დაკავშირებით ქერათმიანმა ტრიომ ბევრი იმსჯელა და ბოლოს გეოლოგებისა და ფიზიკოსების, გეოლოგებისა და ქიმიკოსების, გეოლოგებისა და ექსპერიმენტატორების მომავალი ურყევი კავშირი აღდგერძელა. ეს სადღეგრძელო გაქიანურდა. პაქრობა უშედეგოდ არ დამთავრებულა: მე, იგორმა, იური ალექსანდროვი და ინსტიტუტის დირექტორმა პრემიები მივიღეთ. ამას ფულის განაწილება მოჰყვა და ბევრი ვიცინეთ, როცა დირექტორს ყველამ ნაკლები არ-

გუნა. ეს მაინცდამაინც კეთილსინდისიერი გადაწყვეტილება: *ფრ. ი. უ. ნ. უ. დ. გან* ასეა თუ ისე, კომპლექსმა „ჩვენს მემენტო“ დირექტორის იდეა და ინიციატივა გახლდათ. აქვე აღმოჩნდა, რომ ყოველი ჩვენთაგანი გულში ზოგადსაკაცობრიო იდეებს ატარებს. იგორმა გავგიმელავნა, რა სისწრაფით განვითარდებოდა ფიზიკის ერთი დარგი, თუ ჩვენი საბალო საპირო მარავს მისცემდა. ქერათმიანებმა წარმოადგინეს ქიმიური ექსპერიმენტების საინტერესო სერია, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენი საბალოს მარავი საკმარისი აღმოჩნდებოდა. მე კი ყველას ცივი წყალი გადავასხი და ვუთხარი: მართალია, ქანები „ჩვენს ელემენტს“ მაღალი რაოდენობითა და მცირე მინარეგებით შეიცავენ, მაგრამ მარავის ვადიდებას კარგი პირი არ უჩანს; მაინც ვეცდები-მეთქი. ამაზე ბევრი იცინეს და ჩემი, ასეთი ხუმარა და ენამოსწრებული კაცის, სადღეგრძელო დალიეს. მერე ფეხბურთზე ვილაპარაკეთ. რამდენიმე ჭიქის შემდეგ კი საუბარი, როგორც ყოველთვის, ქალებს ეხებოდა. ამასთან დაკავშირებით მრავალი აზრი გამოითქვა და მრავალი სადღეგრძელო შეისვა. მაგიდის წვერთაგან მხოლოდ მე ვიყავი უცოლო. ამიტომაც შეიქნა საუბარი და საბოლოოდ გამოირკვა, რომ ეს მაინცდამაინც კარგი არ არის, მაგრამ მივხვდი: ბიჭები ფარულად შენატროდნენ დაკარგულ თავისუფლებას. ბოლოს პირობა დაედო, რომ მომავალ წელს ჩემ ცოლს შვილი ეყოლებოდა. სუფრა ნელ-ნელა გაქართულდა: შემოვიდა შემწვარი სულგუნი. მერე — შემწვარი ორაგული, მერე — შწვადი. ბოლოს ხილი და შამპანური გამოჩნდა: ისე გამოვთვერით, რომ ოფიციალტმა სასმელი აღარ მოგვიტანა.

— „ლეიტენანტო“, — დავუძახე ოფიციალტს, — ტაქსი გამოიძახე.

ქერათმიანი ბიჭები გატაცებით ცეკვავდნენ. იგორმა საათს დახედა.

— მივირის, ამდენ ხანს როგორ მოი-

თმინე, ნატაშაზე ერთი სიტყვაც რომ არ წამოგცდა.

— ჩუ! — თითი ტუჩებზე მივიფარე და გავაჩერე ივორი.

— ჩუ! — გაიმეორა ივორმაც.

— მე მაინც დავრეკავ. ვინ იცის, რა მოხდა ამ ხუთი თვის მანძილზე!

— წესიერი და კარგად გაზრდილი კაცი ასეც უნდა მოიქცეს.

— თუ მივადგე? მივადგები და აყალ-მაყალს ავტეხავ.

— „ლეიტენანტმა“ თქვენი ბრძანება შეასრულა, ტაქსი მოგართვათ, — გამეპიმა ოფიციალტი.

— რა ნომერია?

— მოოლ 19-24.

— ფული დაუტოვე, რომ არ გავგეპქეს?

— სამმანეთიანი.

— ყოჩაღ, „უფროსო ლეიტენანტო“! და ისე მოიქეც, სანამ წავალ, „კაპიტანი“ გახდე.

— ამისათვის რა არის საჭირო?

— ტელეფონი და მეორე ტაქსი ამ ვაემატონებისათვის.

— მობრძანდით.

— მაშ ასე, ხვალ ზუსტად ცხრაზე დირექტორის კაბინეტთან! — დავუტოვე ანდერძად ბიჭებს და „უფროს ლეიტენანტს“ მთავარი ადმინისტრატორის კაბინეტისაკენ გავყვევი. მთავარმა ადმინისტრატორმა ხელი ჩამომართვა, მგონი, ჯანმრთელობაზე მკითხა რალაცა და პასუხი რომ არ მიიღო, ოთახიდან გავიდა.

ასოთხმოცდაცხრამეტი, ნოლი, ორასოთხმოცდარვა, აკრეფილია; ტუ-ტუ-ტუ — ხანგრძლივი პაუზებით. შინ არა ვართ? ესე იგი, ოცდასამ საათსა და ორმოცდაათ წუთზე შინ არა ვართ!

— გისმენთ!

— გამარჯობა, ნატაშა!

პაუზა („რა კარგი მსახიობია ეს გოგონა!“).

— ოი, გურამ! („ეგებ მართლა ვუყვარვარ!“) ასე ხომ შეიძლება გული გამისკდეს?!

— ერთი სიტყვით, სტუმრები დაითხოვე, მოვდივარ.

— შენ არც გამბედაობა და არც ქვეყნის გემატება?

— როგორა ხარ?

— რა დროს ლაპარაკია, დრო მიდის!

— „კაპიტანო!“

სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, ოფიციალტი რომ შუაგულ ოთახში შეჩერდა.

— რას მიბრძანებთ?

— ტაქსამდე ნაბიჯით იარ!

ოფიციალტმა ხელკავი გამიყარა და მეგობრული საუბრით რესტორნის კარისაკენ გავეშურეთ.

— ძილი ნებისა „კაპიტანო!“ — ოფიციალტმა მხედრული სალაში მომცა და უკან გაბრუნდა. — ეივობისნაიას ასორი ნომერი, მეოთხე კორპუსი, მესამე სადარბაზო. მანქანა დაიძრა.

— წითელი მოედანი გადავსვროთ!

— გზა რომ იქით არა გვაქვს?

— მანქანა გაფუქებული ხომ არ არის? მერე მოუხვევ.

— თქვენი ნებაა.

მთელ დედამიწის ზურგზე არ ასეობს ასეთი ლამაზი მოედანი. ყოფილხართ აქ გამთენიისას, როცა ღრუბლები წითლად არის შეღებილი? გინახავთ? როგორი ვარდისფერია მაშინ კრემლის კედლები და რა მუქია ვერცხლისფერი ნაძვები? საათის ხმა თუ გაგიგონიათ დილის სიწყნარეში, ან ახალმორწყული გაკრიალებული ქვაფენილისათვის თუ დაგიხედავთ, კომსებებს რომ ირეკლავს? ან იქნებ მაისის დასასრულს თეთრკაბიან სკოლადამთავრებულთა ცეკვა გინახავთ წითელ მოედანზე, ან ჯარების აღლუმი, ან კოსმონავტებთან შეხვედრა? სალუტის დროს მაინც არ მოხვედრილხართ ამ მოედანზე? არც პაემანი დაგინიშნავთ ვისმესათვის სპასკის კარებთან? არც მინინისა და პოქარსკის ძეგლთან? მაშ არ გაგიკვირდებათ, ასე ძალიან რატომ მიყვარს წითელი მოედანი. არც ის გაგიკვირდებათ, ტაქსის შოფერს რატომ ვთხოვე აქეთ

გველო. ახლა მთვრალი ვარ. რასაც ვა-
მბობ, სიმართლეა. ჭკუა არ მყოფნის
ვიცრუო. სიმართლის მსგავს ტყუილს
ფხიზელი გონება სჭირდება.

მანქანა შენობის წინ გაჩერდა თუ
არა, ვაილო სადარბაზოს კარი, გამო-
ვარდა ნატაშა, მანქანის კარს ეცა, გაა-
ლო, გვერდით მომიჯდა და გადაამეხვია.

— გურამჩიკ! ჩემო სულელო, გურამ!
მთვრალი ხარ, არა?

— ჰო, მთვრალი ვარ, ნატაშა.

— აბა მომეცი ხელი, ნელა-ნელა გად-
მოდი, არ წაიქცე!

— არც ისეთი მთვრალი ვარ, მხოლოდ
შეხედე, აღმრიცხველზე რამდენი სწე-
რია, გულის ჯიბიდან საფულე ამოიღე
და ეს კარგი კაცი გაისტუმრე.

— ფული გადახდილია. იქით გერგე-
ბათ. — თქვა შოფერმა და ხურდა ააჩ-
ხრიალა.

— არ არის საჭირო, გმადლობთ, გმა-
დლობთ (უფროსი ლეიტენანტის სამ-
მანეთიანი!)

— გმადლობთ.

კიბებზე ნელა ავედით.

— თვრამეტი ჩვენი ბინა არ არის, არც
ცხრამეტი, არც — ოცი, არც — ოცდა-
ერთი, არც — ოცდაორი. ყურადღება!
აი, ისიც, ბინა ნომერი ოცდასამი!

ნატაშა კარს აღებს და რუსულ გლე-
ხურ სალამს მაძლევს, წელში ოდნავ
უხერხულად იხრება და მარჯვენა ხე-
ლით იატაკს სწვდება.

— მობრძანდით, კეთილი იყოს თქვე-
ნი მობრძანება!

— ამინ! ამინ! ღმერთმა გისმინოს!

ნატაშას მშობლები საზღვარგარეთ
მუშაობენ და ჯერჯერობით ოროთახი-
ანი ბინა აქვთ. რომ ჩამოვლენ, სამოთა-
ხიანს მიიღებენ. არ ვიცი, რატომ, მაგ-
რამ ამას ნატაშა დაბეჯითებით ამბობს.
პირველი ოთახი სასტუმროა. აქ ნატა-
შას საფერფლეებია გამოფენილი. ნატა-
შა არ ეწევა, სამაგიეროდ საფერ-
ფლეებს აგროვებს. უკვე ასამდე ექსპო-
ნატი აქვს. მეორე ოთახი საწოლია. აქ
გრადიერტი, მაგრამ საკმაოდ განიერი

საწოლი დგას. სარკეებს კი ვინ მოს-
თვლის — ყოველ კედელზე ჰქვია. ასე
გგონია, საკუთარ თავს ირგვლივ უყუ-
რებ. ლამაზ ქალებს უყვართ სარკის
წინ ტრიალი. ვერც გაამტყუნებ!

— ხვალ დილით, ცხრაზე დირექტორ-
თან უნდა ვიყო.

— ბორჯომს დაღევ?

— არა, საწოლთან დამიდგი.

— კიდევ ხომ არაფერი გინდა?

— არაფერი, რომელი საათია?

— რვა საათის მერე დირექტორთან
უნდა იყო.

— მითხარი, რომელი საათია, უმაღ-
ლესი მათემატიკის დროა ახლა?

— ნოლი საათი და ორმოცდათვრამე-
ტი წუთი.

— შენ არ იძინებ?

— ახლავე მოვალ, რალაც საქმეები
მაქვს.

თეთრეულს კრახმალის სუნი უდის.
რა კარგია, ეს ოხერი! საძილე ტომარას
არა ჰგავს? საბანს გინდა დაიხურავ,
გინდა არა. ფეხსაც მალა ასწევ და ხე-
ლებსაც გაქიმავე განმკლავამდე. საძი-
ლე ტომარაში კი... რატომ? გაქირვების
დროს ორ კაცსაც გვძინებია. თვალები
მელულებს. მგონი, უკვე სიზმარში ვარ.
აბა, ამ შუალამეს სად უნდა დარეკოს ნა-
ტაშამ. ტელეფონის დისკოს ტრიალის
ხმა კი ცხადად მესმის. სიზმარია, აბა
რა!

ზუსტად ცხრის ნახევარზე გამეღვიძა.
საათი მოვმართე. საიდუმლო სიჩუმეა.

— ნატაშა!

პასუხი არ არის.

— ნატაშა!

შენც არ მომიკვდე. სად დაიმალა ნე-
ტავი!

სამზარეულოში, მაგიდაზე დევს სამი
ბუტერბროდი; ერთი კარაჩითა და ყვე-
ლით, ორი კი ძეხვით. პატარა ჭიქა და
თერმოსი. თერმოსზე თეთრი ქალაღია
მიდებული: გურამ! შე ახალ სამსახურ-
ში გადავედი. იქამდე ორმოცი წუთი
უნდა. როცა დავბრუნდები, ყველაფერს
გიაშობ. მაშ ასე, 18 საათსა და 45 წუ-

თამდე. ყავა თერმოსშია. გოცნი, ნატაშა.

დამაგვიანდა! პირი სასწრაფოდ დავიბანე. ყავა დავლიე და ჩავიცვი. ამას თხუთმეტი წუთი მოვანდომე. კარი დაექეტე, გასაღები ფარდავის ქვეშ ამოვდე და კიბეებზე დავეშვი.

სადარბაზოს წინ იგორი ჩვენი ინსტიტუტის შავ „ვოლგაში“ იჯდა და ილიმბოდა.

— ყოჩაღ, ოზეროვ!

— გამარჯობა, გურამ, — მომესალმა შოფერი.

— გაგიმარჯოს, ვიგვიანებთ?

— როგორ იძინე? — მკითხა იგორმა და მხარზე ხელი დამარტყა. ეს იმას ნიშნავდა, ახლა არაფერს გკითხავ, მაგრამ შენი მესაიდუმლე ვარ და ყველაფერი ვიცო.

— ტკბილად, — ასეთი სიმართლე ჩემ სიცოცხლეში არ მითქვამს.

— რაც შეიძლება, სწრაფად! — მიუბრუნდა იგორი შოფერს.

— ვეცდები.

დირექტორის მოსაცდელში ქერათმიანთა ტრიო გუშინდელ დღეს არჩევდა.

— შევე კიტრა გინდა? — მკითხა პირველმა ქერათმიანმა.

— ყავა დავლიე!

— შეფი გთხოვთ. — მოგვახსენა ინკა-მდივანმა, — გამარჯობათ, გურამ.

— ხედავ, ისევ გაწითლდა! — არ დააყოვნა მეორე ქერათმიანმა.

— სიყვარული ბრმაა, თორემ ამ ტაიგის დათვს რა აქვს საერთო ჩრდილოეთის ციკლოტან?

ეს მესამე ქერათმიანმა სთქვა.

— გამარჯობა, ინკა, ჩრდილოელთა ულამაზესო ასულო!

— შეფი, გურამ, შეფი! — გამახსენა იგორმა.

— თუ აქედან ცოცხალი ვერ გამოვედი, იცოდე, დედას მისწერე... — ბიჭებმა არ დამამთავრებინეს, კარი შეაღეს, „შეიძლებაო“, იკითხეს, მაგრამ პასუხს არ დაუცადეს, ხელი ჩამკიდეს და დირექტორის მაგიდის წინ აღმოვჩნდი.

— ციმბირელს გაუმარჯოს! — გაეღიმა და უცებ მოელეშა სახე დირექტორს.

— გამარჯობათ... — გავაჭიანურე. ოთხივე ბიჭი ეშმაკურად მიყურებდა. ვიგრძენი დირექტორსაც უნდოდა მისალმების ახალი ვარიანტი მოესმინა. მე და დირექტორი ყოველ ახალ შეხვედრისას ახალ-ახალ მისალმებებს ვიგონებდით. ეს, ბოლოსდაბოლოს, სპორტულ შეჯიბრებად გადაიქცა. — გამარჯობათ, ძია გრიშა.

ამას კი არცერთი არ ელოდა; გამოგიტყდებით და არც მე ვაპირებდი ასეთ ძმა-ბიჭურ, მოურიდებელ გამოთქმას. პაუზა რამდენიმე წამიანი აღმოჩნდა. მერე ექვსივეს ხმამაღლა გავეცინა.

— ზუსტად ორმოცი წუთი გვაქვს: მერე საბჭოს სხდომაზე მივდივარ. ახლა მაინტერესებს, რა ამბებია ტაიგაში. ხელს ხომ არაფერი გიშლით, ხომ არაფერი შეიცვალა. გავიგე იმ მხრის რაიკომის მდივანი გაუთავისუფლებიათ. ახალი როგორი ბიჭია?

— კარგი.

— გეხმარებათ?

— ხელს არ გვიშლის.

— თქვენ საბადოზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩვენი ელემენტის ქარხნული წესით მიღება იგორისა და ჩემი განახლებული წინადადებით მოხდება. ალბათ, იგორი საქმეს გაგაცნობდათ.

— დიახ.

— ჩვენი ერთიანი წინადადება ოდნავ აიოლებს და აიაფებს ელემენტის მიღებას. ეს იმას ნიშნავს, რომ გამამდიდრებელი ქარხანა, რომლის პროექტი უკვე შზად არის...

— მართლა? — გაიოცა იგორმა.

— დიახ, ამ დილით მოგვითხანეს. გამამდიდრებელი ქარხანა შეცვლილ კონდიციებს მოგთხოვთ. შესანიშნავი მადაინია.

— მაგრამ ცოტაა, — თქვა პირველმა ქერათმიანმა.

— გეოლოგიური რუკები, რომლის

მიხედვითაც სამუშაოები დაპროექტდა, ზუსტი არ არის. იური ალექსანდროვმა მთხოვა, თქვენთვის მომეხსენებინა, რომ ხარჯთაღრიცხვა ოდნავ შეგეცვალათ.

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ თანხა განუსაზღვრელია. წინააღმდეგობა არ იქნება.

— როგორ თუ განუსაზღვრელია? — იყვირა მესამე ქერათმიანმა.

— აბა, ახალი გამომთვლელი მანქანის შექმნაზე უარი რატომ წაგვიწერეთ? — იკითხა პირველმა.

— ეს ერთი კვირის წინ იყო.

— ფიზიკის ინსტიტუტმა მეორე დღესვე გააფორმა ხელშეკრულება, — თქვა იგორმა.

— ის მანქანა ზუსტად ჩვენთვის იყო გამოგონებული! — თქვა მეორემ.

— ჩვენს დროში ერთი კვირა დიდი დროა. ახლა ხარჯები განუსაზღვრელია.

— მაგრამ ბუღალტერია თავნებობის წინააღმდეგია და თქვენგან ოფიციალური ქაღალდი სურთ ხელისმოწერითა და ბეჭდით.

— პროექტი წარმოადგინეთ!

— დიახ. — ჩანთიდან ქაღალდები ამოვიღე და დირექტორს მივაწოდე.

— რასაცირველია, არ გაჩქარებთ. ასეთ საქმეში აჩქარება სისულელეა. მაგრამ ჩვენს ზემოთაც არის ორგანო, რომელიც დაინტერესებულია, — დირექტორმა პროექტი ჩაათვალიერა.

— ჩვენ თავს არ ვიზოგავთ...

— თავს არც ჩვენ ვიზოგავთ. — ჩამომართვა სიტყვა იგორმა, — კვირას ცდა იწყება.

— რამდენი დღე დაგვირდებათ?

— ამათზე ვართ დამოკიდებული, — იგორმა დირექტორს ქერათმიანებისაკენ მიუთითა.

— ამჯერად ათი დღე არ გვეყოფა, — თქვა მეორე ქერათმიანმა, — აი მანქანა რომ ყოფილიყო...

— მაშინ ნება მომეცით, ხვალვე დაებრუნდე ალექსანდროვთან.

— როგორც გნებავთ. — მითხრა დირექტორმა.

— პასუხს რადიოგრაშით შეგატყობინებთ. — დამამშვიდა ექსპერტიზათმიანმა.

— გუშინ იგორმა მთხოვა, კვირა დღეებსაც ვიმუშავებთო, — თქვა დირექტორმა და დანარჩენებს გადახედა.

— იგორმა იცის, რასაც ამბობს. ეს ჩვენი აზრიც არის, — უპასუხა მესამე ქერათმიანმა.

— ყველაფერს ალექსანდროვს მოვახსენებ.

— როგორ არიან ალექსანდროვი და პელმენოვი?

— კარგად.

— მოკითხვა გადაეცით! — დირექტორი ფეხზე წამოდგა, — სასტუმროში ყველაფერი რიგზეა?

— დიახ. ჩინებული სისუფთავე და სიწყნარე, სასტიკი წესრიგი.

— გუშინ თქვენ ღამე იქ არ გაგიტევიათ. ასე არ ვარჯა. თუ დროსტარება გასურთ, აიღეთ რამდენიმე დღე მივლინებიდან თქვენ ანგარიშზე. მაგრამ იცოდეთ, ინსტიტუტის შინაგანაწესის ყოველი პუნქტი უნდა გაითვალისწინოთ.

— გასაოცარი მოქნილობა და ოპერატიულობა ჩვენი ზოგიერთი თანამშრომლისა, პირდაპირ საკვირველია.

— რამდენი თვეა ქალაქში არ ჩამოსულხართ?

— ხუთი თვე და ორი დღე.

— დარჩით რამდენიმე დღე, ოფიციალურად გააფორმეთ და ხელმოსაწერად შემომიგზავნეთ. წუხანდელზე არაფერს გეტყვით, რადგან ვიცით, სადაც ბრძანდებოდით.

— საბრალო მასპინძელი! ჯვარდინი დაკითხვა მოუწყეთ?

— უკაცრავად, უნდა წავიდე, მეჩქარება.

— ნახვამდის, ძია გრიშა!

დირექტორს გაეცინა, რაღაც ქაღალდები აკრიფა მაგიდიდან, ჩანთაში ჩაალაგა, მერე სეიფიდან რაღაც ამოიღო, ისიც ჩანთაში ჩადო და თავი დაგვიკრა.

— გურამ, უჩემოდ არ გაემგზავროთ.

— უნდა გავფრინდე.

— ჰოდა, უჩემოდ არ გაფრინდეთ!

— მესმის.

ღირეკტორი გავიდა თუ არა, იგორ ოზეროვი ძია გრიშას სავარძელში ჩაჭადა და თქვა:

— ეტყობა კარგად ვერ წავა ჩვენი საქმე. მალე წარმოუდგენელ ტემპებს მოგვთხოვენ.

— იმიტომაც გახდა ჩვენი ხარჯთაღრიცხვა განუსაზღვრელი, — თქვა პირველმა ქერათმიანმა.

— ეს მათი ფანდია! — დასძინა მეორე ქერათმიანმა და ცერით ზევით მიუთითა.

— ეგებ ათ დღეში მოგვესწრო! — წამოაყენა დამკვერელური წინადადება მესამემ.

— ამას იმიტომ ამბობს, რომ ჰგონია გურამი დარჩება! — გაცეცხლდა პირველი.

— თორემ ბრიყვმაც კი იცის, ეს ცდა ათ დღეში რომ ვერ მოესწრება.

— თუ დღე და ღამეც ვიმორიგეებთ... — მესამემ „ღამე“ როგორღაც უფრო მნიშვნელოვნად წარმოთქვა, ვიდრე სხვა სიტყვები.

— გმადლობთ, ბიჭებო, მაგრამ თავს არ მოგაკვლევინებთ.

— საქმისათვის ხომ არ მიგვეხედა, — იგორმა პირველ ქერათმიანს შეხედა.

— უკვე ვუბრძანებ და დაიწყებს კიდევ ცდისათვის მადნის მომზადება.

— წავალ, ტემპერატურას შევამოწმებ, — თქვა მეორემ.

— მე სააპარატოში ვიქნები, — ზღაზვნით წამოდგა მესამე.

— მე — სასტუმროში. თუ მოგენატრებით — დარეკეთ. — წამოვდექი და კარისაკენ გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი. ბიჭებმა გაკვირვებით შემომხედეს. მოსაცდელში ინკა-მდივანი შემეჩეხა და რაღაცა მითხრა. მე დავთანხმდი. ინსტიტუტის სადარბაზოსთან საბარგო „მოსკვიჩი“ იდგა; ჩავჯექი, შოფერს სასტუმროს მისამართი დავუსახელე და საზურგეს მივეყრდენი.

იწყება! ეს უკვე მესამე თვეა, რაც მე-

მართება! ახლა მთავარია მოვასწრო ან ვაჯობო, ერთი-ორჯერ, ხომ ვაჯობე? ესე იგი, შეიძლება საერთოდ დაეჯანბნოს ამიტომ ვამბობ: მე თვითონ, მე თვითონ!...

„ტროლეიბუსის ფანჯრები მონაცრისფრო ყინულით დაფარულა. ტუჩები მინასთან ძალიან ახლოს უნდა მიიტანო და შეაორთქლო. ყინული ერთ წუთს გადნება, დანახავ, რომელ ქუჩაზეც მიქპრის შენი ტროლეიბუსი და ისევ იყინება. პაწაწინა ნახვრეტიდან არაფერი მოჩანს. სად ვაქპრა ქუჩები, ხეები, ხალხი? თბილი ჰაერი აღარ ამოდის ფიტვებიდან. ვაშმაგებით ვუბერავ, მაგრამ ამაოდ. ტროლეიბუსი დიდი სისწრაფით მიდის. მუხლები შეკეცება, ფეხებს ველარ ვგრძნობ. ტროლეიბუსში არავინ არის, მე კი ჰაერში ვკიდევარ და დავფრინავ საოცარ უწონობაში. „გაჩერებები, მაინც გამოაცხადეთ! გამოაცხადეთ გაჩერებები!“ — ყვირის ვიღაცა. „მიკროფონი გაუფუჭებულია!“ — პასუხობს შოფერი და ისევ უსწრაფესად მიაჭროლებს ტროლეიბუსს.“

— მივედით!

— გმადლობთ!

სასტუმროს დიდი კარი.

— თქვენი საშვი?

— ინებეთ! — ოთახი ორასსამოცი. საწოლი...

„დაუსრულებელი სიჩუმე, დიდი სიჩუმე. გადამწვარი ტყე. ასე მხოლოდ აღამიანს შეუძლია დაიწვას თავი: გადაისხას ნავთი ან ბენზინი და ცეცხლი წაიკიდოს. არცერთ ხეს არცერთი ტოტი არა აქვს. ნიადაგიც, ტაიგის. განთქმული, ულამაზეს ქარგებად აჭრელებული ხავსიანი ხალიჩაც გამაგრებულია და გაშავებული. შავ მიწაში შავი უხარამზარი ჯოხები არქვია. ბოლო არ უჩანს შავ ქაძებში ჩასმულ ტაიგას; საითაც არ უნდა გაიხედო, სურათს ვერ შეცვლი. ფეხის ხმა გამაყრუებელ ხმაურად გეჩვენება. ლურჯ ცაზე კი წარმოუდგენლად დიდი მზე ჩახჩახებს, მაგრამ გადამწვარ ხეებს ჩრდილი არა აქვთ. ან რა ჩრდილი გამოჩნდება კუნაპეტ ნახშირზე?

მირბიხარ! არც შენ მოგდევს ჩრდილი. თვალები გელღება, აღარ გინდა მიწას უტკირო. ერთი წუთით შეჩერდები და მზეს თვალს გაუსწორებ: უშავესი ფერების შემდეგ, ცისფერ ზეწარზე გაკრული ბრღღვიალა დისკო თვალებს ამოგწავს. მაშინვე თუ დახუჭავ თვალს, შიგნით, თვალბუნი ცა ბაცი ფერის გახდება და მზე — თეთრი. თვალეები ცრემლით აგვესება. ცოტა ხნის შემდეგ კი... ისევ შავი მიწა, ისევ შავი უზარმაზარი ხეები, ისევ უჩრდილო ერთადერთი ადამიანი. დიდი ყორანი ფრთებს შლის და ციდან მიწაზე ეშვება; ერთადერთ თეთრ მარცვალს, მიწაზე რომ ეგდო, ნისკარტს დაკრავს და გააქრობს. მერე ისევ აფრინდება და უზარმაზარ ფრთებს ატყლამუნებს. აღარ თავდება ეს შავი აღმართი! უნდა გადავიხედო, ამ მთიდან უნდა გადავიხედო და გზას მაშინ გავიგნებ. ყველაფერი შენი ბრაღია, მზეო! ყველას სიცოცხლის დამბადებელი ჰგონიხარ, მამა აბრამის ბატონი! რა უყავი ამ ტყეს? ცეცხლი რად წაუქიდე? არ მოეშვი, ვიდრე ნაზი არყის ხის თეთრი კანი არ აააღე! ნაძვებსაც მეტი ხომ არ უნდათ! წამსვე მხრებზე მოისხეს წითელი წამოსასხამი. ახლა გიხარია? გაძღა შენი ყვითელი თვალი ამ ძაძების ცქერით? შენ რა გიჭირს ისევ ცისფერ წყალში ნავარდობ! მე კი ვიღრჩობი, ვიღრჩობი ამ შავ ტყეში, ამ შავ ზღვაში, ვერ გამოვდივარ ნახშირის გზებით ისე, როგორც ზღვიდან გამოდიან ხოლმე მთვარის ბილიკზე მოსეირნე მწვანე ალები ღამლამობით. საით წავიდე, არ ვიცი! კომპასი არ მუშაობს. ამ მთიდან უნდა გადავიხედო, უნდა გადავიხედო, უნდა გადავიხედო! ეგებ მაშინ გავიგნო გზა! მაგრამ ამ მთის იქით ისევე შავი მთა მოჩანს, ისევე შავი მიწა და დანახშირებული ნაძვები. ყორანების გუნდი არ მცილდება და უკან მომყვება მოთმინებითა და იმედით. შავ ორმოში ვარ ჩავარდნილი! გაძღა შენი ყვითელი თვალი, ჩახახა მზეო? აი ისევ მთაზე ვდგევარ. ირგვლივ, სადამდისაც თვალი

მიმიწვდება, გადამწვარი ტიგაა, და დავრბივარ აქეთ-იქით ვალეაში ჩამწყვდეული ნადირივით“...
 დიდი, თეთრი, ქათქათა კერი. ეს, ალბათ, ნომერი ორას სამოცი ოთახია. ასეა. როგორ დაიწყო ყველაფერი? ბიჭები კამათობდნენ, ათ დღეში მოვასწროთო. მაშინ უკვე ვიგრძენი, როგორ ნაზად და რბილად შემომხვია მუხლებზე, მერე ნელ-ნელა ზევით დაიწყო ცოცვა. საკვირველია! არასოდეს უხეშობს, ბრჭყალებს მალავს, ნელა, მოფერებით მიახლოვდება და უპირველესად მუხლებში მებევეა. მე ვთქვი, რომ სასტუმროში წავალ-მეთქი. ბიჭებს გაუყვირდათ, ცდის დასაწყისს რომ არ მოეუცადე. მოსაცდელში ინკა-მდივანმა რაღაცა მითხრა. რა მითხრა? ნეტავ რა მითხრა? არ მახსოვს. მაშინ უკვე გულს ჩაეჭიდა! აი, ერთადერთი ადგილი, რომელსაც ხარბად ეკიდება. ეკიდება და ხუთავს. ჰკერი არ მყოფნის. ვცდილობ ღრმად ვისუნთქო, მაგრამ ამაოდ. მერე? მერე აღარაფერი მახსოვს. ალბათ, ნაცნობი შოფერი შემხვდა. გულიდან შიგ ტვინში შემეყოფს რბილ და თბილ თითებს. თუ გულზე მომეშვება, მაშინ ვებრძვი და უმეტესად ვაჯობებ ხოლმე. მაგრამ ათას ხელს გამოიბამს და მთელ სხეულზე მებევეა ფეხის თითებიდან დიდ ტვინამდე. აი, მაშინ მჭობნის! როგორ მოვერიო ჩემსავით ჭიუტს და ათასხელიანს? მე ხომ მხოლოდ ათი თითი მაქვს. ესეც არ იყოს, ჩემზე გამოცდილი, ეშმაკი და გონიერია. ჭერჭერობით მიძნელებდა საპირისპირო ფანდის მოძებნა. მაგრამ მჭობზე მჭობი არ დაილევავო, უთქვამს ბრძენ ხალხს. მე თვითონ მინდა ძირს დაგცე, ძმაო, ასე რომ მეფერები და მეპარები. უნდა მოგიკვეთო, ამისათვის საკუთარი ხორცის შექმაც რომ დამპირდეს. რას იზამ? ჩემიანი ხარ, სულში მიზიხარ! ჰოდა, აი მაგ სულს ამოვიწვევ და ამოგაყოლებ! მიფრთხილდი!

ხმები ჩემ კართან:

— ალბათ, ჩაეძინა, ნუ გააღვიძებ! —
„ეს, დიასახლისია.“

— ეგებ რაიმე სასწრაფო ამ ბარათ-
ში! — „ეს კი სართულის მორიგეა“.

— ამბობ, ლამაზი გოგონა იყო?

— ეგეთი ლამაზი ქალი საერთოდ არ
მინახავს.

— ლამაზ ქალებს სასწრაფო ფოსტა
არ დააქვთ. ალბათ, გაიგო რომ ჩამოვი-
და და...

— ეი, მანდ! რა ამბავში ხართ?

— გურამ, გაიღვიძეთ?

„თქვენმა მტერმა იძინა ასე!“

— თქვენთან ბარათია!

— შემოიტანეთ.

სართულის მორიგემ ბარათი შემოი-
ტანა.

— ეს რა, ტანსაცმლიანად გეძინათ?

— კართანვე შეჩერდა.

— მეძინა?

— დიახ, ნახევარ საათზე მეტი.

— ალბათ, მოგჩვენათ! — „ეს უკვე
მეტისმეტია, ამდენ ხანს არ მემართება
ხოლომე!“

— შეიძლება, ერთი ხუთი წუთი წა-
ვუშაბე.

„რა გესმის შენ, რას ნიშნავს ჩემთვის
ეს „უშინშენელო“ ხუთი წუთი!“

— წერილი მომეცი. „ორ-სამ წუთზე
მეტ ხანს არასოდეს გაგრძელებულა!“

— ინებეთ. — მორიგე შებრუნდა და
კარისაკენ წავიდა.

„გურამჩიკ! 2 ივლისი 14 საათი და
18 წუთი.“

ნატაშას წერილია. ახლა 15 საათი და
ათი წუთია.

— კი მაგრამ, რატომ მოსვლისას არ
ვადმომეცით ეს ბარათი?

— ჯარისკაცმა გიჩვენათ, მაგრამ
თქვენ სამაგიეროდ საშვი ამოგიღიათ და
მოხუცს ეგონა, ეხუმრებოდით.

„თქვენი საშვი?“

ინებეთ! — ოთახი ორას სამოცი. სა-
წოლი.“

— კარგი, გეთაყვა, გმადლობთ.

„ახლა მე „იზვესტიის“ საკუთარი კო-
რესპონდენტი ვარ. დღეს დილით განყო-

ფილების გამგემ დამიბარა და სასწრაფო
საქმეზე მგზავნის შუა აზრის ერთ-ერთ
ობიექტზე. რამდენიმე დღეში ჩამოვალ.
უფრო ზუსტად ექვსში აქ ვიქნები. რეი-
სის ნომერს დეპეშით შეგატყობინებ. გა-
სალები სამალავშია. გკოცნი. ნატაშა“.

უკვე ხუთი თვე და სამი დღეა. რაც
ჩემი სულელი ბიჭისათვის არ მი-
კოცნია. რას იზამ! კიდევ ცოტას მოვიც-
დი. ქალაღზე მაინც ვაკოცო. შენი ნა-
ტაშა.“

ტელეფონს მივწვდი. აეროპორტში
დარეკვა ასე ადვილია? თუმცა დიასახ-
ლისმა ყველაფერი იცის.

— ორი — შვიდი — რვა! ალო, დია-
სახლისი ბრძანდებით?

— დიახ, პატივცემულო გურამ.

— შუა აზრისაკენ როდის მიფრინავს
უახლოესი თვითმფრინავი?

— ახლავე. (ერთი წუთიც კი არ გა-
სულა. ალბათ, ვიდრე განრიგში ჩაიხე-
და, გაახსენდა) თხუთმეტ საათსა და ოც-
დაათ წუთზე ტაშკენტია. სხვათა შორის,
ეს ბოლო თვითმფრინავია.

— მეტი აღარ არის?

— ხვალ დილაშდუ, არა.

— გმადლობთ.

— არაფერს, შვილო. ვაგიფრინდა
ანგელოსი?

— ვამიფრინდა, პატივცემულო დია-
სახლისო, მაგრამ მხოლოდ ექვსამდე. კი
მაგრამ, მე რომ ხვალ ვაპირებ?!

— მართლა ხვალ მიემგზავრებით?

— ეს თქვენთვის არ მითქვამს, ვაგი-
ფიქრე! — ვუთხარი დიასახლისს და
ყურმილი დავეიდე. ტელეფონის ზარი.
ხუმრობის გუნებაზე დადგა სასტუმროს
დიასახლისი!

— ბატონო!

— გურამი ბრძანდებით! — პასუხს არ
დაუცადა, — ინკა ვარ.

— ჰო, ინკა, გისმენ, გენაცვალე.

— თქვენ მითხარით, თხუთმეტ საათ-
ზე დარეკეთო, ვერ შევძელი, მაპატიეთ.
— გაპატიებ, გაპატიებ, („მაგრამ, ეშ-
მაკმა დალაზეროს, რატომ გთხოვთ
ეს?!“)

— თქვენ ისე გეჩქარებოდით, რომ...
 — ახლა რომელი საათია. („დრო გამ-
 ყავს“).
 — თხუთმეტი საათი და ოცი წუთი.
 — სად მეჩქარებოდა? („წამომცდა!“).
 — თქვით, რომ ვილაცას აცილებთ
 დომოდედოვოს აეროდრომიდან და ძა-
 ლიან ცოტა დრო დარჩა გაფრენამდე.
 — სწორია, ტაშენტიში დომოდედო-
 ვოდან დაფრინავენ! — ვთქვი ანგარიშ-
 მიუცემლად, — კი მაგრამ, რომ არ ვი-
 ცოდლი?
 — ნუ მიყვიროთ, გურამ, ჩემი მოსმე-
 ნა თუ არ გასურთ...
 — მაბატიე, ინკა, მთლად გამოვთა-
 ყვანდი... გისმენ, აი გავჩუმდი და გის-
 მენ.
 — დიდი საქმე მაქვს სათხოვნელი.
 — გისმენ. („ეს რა მითქვამს? ვინ ჩა-
 მაგონა, საიდან მოვიგონე?“)
 — მაგრამ ტელეფონით არ მინდა. შე-
 იძლება ვინმემ ყური მოჰკრას და დი-
 რექტორმა გაიგოს. ამ საღამოს თავისუ-
 ფალი ხართ?
 — აბა, რა! („მსოფლიოში განთქმული
 მკითხავი და ტელეპატი გურამ ოთარა-
 შვილი!“)
 — შევხვდეთ, თუ შეიძლება.
 — სად და როდის?! („რა სულელი
 ვარ, ნატაშას ბინა რამ გამახსენა?!“)
 — რვაზე ე. ო. ოც საათზე...
 — მეტრო სოკოლთან, არა? („იქიდან
 ეივოპისნაიას ქუჩა ახლოა!“)
 — სოკოლთან? კარგი, ასე იყოს. გმა-
 დლობთ.
 — ზუსტად ოც საათზე.
 ახლა თხუთმეტი საათი და ოცდასამი
 წუთია. ტუ-ტუ-ტუ. ყურმილი უნდა
 დაკიდო, როცა საუბარს მორჩები!
 ცნობილი ტელეპატი გურამ ოთარა-
 შვილი თხუთმეტი საათსა და ოცდაათ
 წუთზე გამოვიდა ინსტიტუტის სასტუმ-
 როდან, შემდეგ ისევ შებრუნდა, სასაღი-
 ლოში შევიდა, დიეტური საქმელი უგე-
 მურად მიიჩნევა და თავის ოთახში დაბ-
 რუნდა.

ყველგა-ლა მაკლდა! ახლა დაიწყებ
 ტვინის ქუცება და ახალი დიაგნოზის
 ძებნა. აბა სამედიცინო ლექსიკონი სად
 არის? ასე არ შეიძლება; უბრალო დამ-
 თხვევა არ შეიძლება ადამიანის შეძენილ
 თვისებად ვაქციოთ. ჩვენ თვითონ უნდა
 გავუფრთხილდეთ საკუთარ ჯანმრთე-
 ლობას და ტვინი არ უნდა გადავალალოთ.
 ტვინი დაგვირდება. ჩვენს თემაზე ხარ-
 ჯები განუსაზღვრელი გამხდარა! ესე იგი
 ბევრი და მოქნილი ტვინია საჭირო. მა-
 ინც რომელ ფრთაზე უნდა ვეძებოთ სა-
 ბადოს გაგრძელება? ჩრდილოეთით თუ
 სამხრეთით? აბა თუ წინასწარმეტყველი
 ხარ, თქვი, რომელ მხარეს უნდა გრძელ-
 დებოდეს საბადო? ერთი და იგივე გეო-
 ლოგიური პირობები, აბსოლუტურად
 ერთი და იგივე ქანები და სტრუქტურე-
 ბი. ყველა სამუშაო, რომელიც დღემდე
 ჩატარდა, მხოლოდ იმას ადასტურებს,
 რომ აღმოსავლეთ-დასავლეთით საბა-
 დოს ძიება სისულელეა და მეტი არა-
 ფერი. ჩვენი წინაპარი მკვლევარები:
 აკადემიკოსები, დოქტორები და უფრო
 წვრილფეხანი საბადოს ძიებას აღმო-
 სავლეთით მოითხოვდნენ. პელმენიოვი,
 ციმბირელი მგელი, ამაზე ბევრს იცი-
 ნოდა. იმდენი იცინა, სანამ თემას არ ჩა-
 მოაშორეს. მერე ალექსანდროვმაც ბე-
 რი იწვალა. ალექსანდროვი, როგორც
 ლენინგრაძელი, ციმბირიდან სულ დასა-
 ვლეთით ილტვოდა და ძიებასაც დასა-
 ვლეთით აწარმოებდა. არც ამან გაამართ-
 ლა და, როგორც მაშინ უწოდებდნენ,
 „სტრატეგიული ელემენტის“ კვლევა ამ
 რაიონში დამთავრდა. მაშინ აყაყანდნენ
 აკადემიკოსები: ხომ გუუბნებოდით აღ-
 მოსავლეთით ეძებეთო. არსებული საბა-
 დო მცირე მარაგს შეიცავს, მაგრამ საკ-
 მაოდ მაღალხარისხოვანი მადანია. არ
 შეიძლება ასე კონკრეტული მადანგამო-
 ვლინება ამ ერთფეროვან და უდიდეს
 გეოლოგიურ სტრუქტურებში. გაგრძე-
 ლება არის, მაგრამ საით? ნუთუ მართ-
 ლა აღმოსავლეთით? პელმენიოვმა მთე-
 ლი ციმბირი ზეპირად იცის. ის არ შეს-
 ცდება, მაგრამ გეოლოგიაში ყველაფერი

მოდინ და ნუ გაგიტყობი! წინასწარმეტ-

მოსალოდნელია. ჩვენმა დირექტორმა ისევე ალექსანდროვს დაავალა ძებნა. ალექსანდროვმა ისევე პელმენიოვი მოიწვია. პელმენიოვმა მე გადმომძახა და ისევე შეიკრიბა ანტიადმოსავლელთა ექსპედიცია. ჩვენ არც გვიცდია აღმოსავლეთით გვეძებნა, მაგრამ დირექტორი აიძულეს სამუშაო ასე დაეწყოთ. ეს იყო უკანასკნელი კომპრომისი. დირექტორი საბადოზე ჩამოვიდა და დავეუბტყიეთ, რაც ასე გვწამდა. დირექტორმა აღმოსავლეთით შეწყვიტა სამუშაოები. ამ დროს ინსტიტუტს ქარხნული წესით ელემენტის მიღების სქემა მოსთხოვეს. მე ჩამოვიტანე ორი ტონა და გამოირკვა, რომ ხარჭები განუსაზღვრელია. ახლა ორი რამ უნდა შევატყობინო ალექსანდროვს. ცდის პასუხი და დებიტ-კრედიტი. ცდის პასუხი არ იქნება. დანარჩენი ნათელია. ჩვენი ჯერი დადგა. ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდით. უკან დახევა არ შეიძლება. ჩრდილოეთით! ჩრდილოეთით უნდა ვეძებოთ საბადოს გაგრძელება. პელმენიოვსაც ასე ჰგონია. ამ ბოლო დროს, მგონი, ალექსანდროვიც ეთანხმება. დღემდე ვორკოფობდი, მაგრამ ახლა ტელეპატს და წინასწარმეტყველს რაღაც გამიძნელებდა?! ჩვენს სტრუქტურას ჩრდილოეთით უფრო ვიწრო ყელი აქვს; იქ უფრო მალე დავიპერტთ გამადნების ზოლს და დროსაც მოვიგებთ. თუ არა და, ისლა დაგვრჩენია სამხრეთის მივაწყდეთ ყველანი. იქაც რომ არ აღმოჩნდეს? დახარჯული თანხა წყალში უნდა გადაიყაროს? სამი მანეთი და თოთხმეტი კაპიკი ხომ არ დახარჯულა. რამდენს გვენდობა ეს დალოცვილი მთავრობა! მოდი და წელზე ფეხს ნუ დაიდგამ! ეს ჩემი გეგმა ალექსანდროვს უნდა შევატყობინო და, რაც შეიძლება, სწრაფად. მაინც რატომ წვრილდება ჩრდილოეთით სტრუქტურები?

ტელეფონი ერთგულად მემსახურება.

— დიასახლისი ბრძანდებით?

— დიახ.

— ბილეთი თუ შეუყვეთეთ?

— რასაკვირველია. ხვალ დღის სამ

სათზე, დომოდედოვოდან. ალექსანდროვს რადიოგრამა გავუგზავნე და შენი ჩასვლის დროც შევატყობინე.

— გმადლობთ. პირდაპირ საოცარი ქალი!

— რასაც ფიქრობთ, არასოდეს არ უნდა იყვიროთ ყურმილში.

— შაბათიეთ, სასტუმროს დიასახლისო, ჩემო პატარა მირანდოლინა! ტუ-ტუ-ტუ. ესეც ასე. ჩვიდმეტი საათი და ოცდაათი წუთია. მეტრო „სოკოლამდე“ ნახევარი საათი მჭირდება. ესე იგი ორ საათში უნდა გავიდე. რა გავაკეთო? უნდა წამოვწვე. დღეს მძიმე დღე მქონდა. ნეტავ მართალია, რასაც აბრალებენ? არა, ტყუილია. ჩვენს ინსტიტუტში ხანდახან ჰორებიც უყვართ. ინკა კი ზედგამოჭრილია, რომ მასზე იჭორაონ. პატარაა, სულელი და ლამაზი. ახლა მოდამი არ არის ასეთი გამოთქმები. უნდა მეთქვა, სექსუალურია-მეთქი. დიახ, ინკა საკმაოდ სექსუალურია. პო და, თან დაჰყვება კიდევ სექსუალური ჰორები, თუმცა საქმის გამკეთებელს არაფერს იცნობს. აბა ხომ არ შევეკითხები დირექტორს: ძია გრიშა, ნუთუ მართალია, რასაც თქვენზე და ინკაზე ამბობენ? დირექტორს საკმაოდ ლამაზი მეუღლე ჰყავს და საკმაოდ ბევრი საქმე აქვს. მაგრამ ერთხანს ხმები დაუყარეს, რაც ელემენტებზე დაიწყო მუშაობა, ქალებს თავი დაანებაო. დირექტორი გაჭიუტდა და თავის გასამართლებლად ინსტიტუტის ყველაზე ლამაზ ქალს დაუწყო არშიყობა. ამბობენ, არაფერი გამოუვიდაო, მაგრამ ტყუილია. დირექტორმა უკან დაიბრუნა ლაფში ამოსვრილი დროშა და ის ქალიც ინსტიტუტიდან წავიდა. ის ქალი ახლა საკმაოდ ცნობილი მეცნიერია. ამ ამბის შემდეგ ინკაზე დაიწყეს ლაპარაკი. ინკას მდივნად მოსვლა იმ ქალის ბოლო დღეებს დაემთხვა. ჰორიკნებმაც არ დააყოვნეს და ინკას გადასწვდნენ. ასეთი ჰორები, ალბათ, იგორზე, ალექსანდროვზე, პელმენიოვზე და ჩემზეც დადის. ჩვენ საკმაოდ დრო მოვანდომეთ ელემენტის კვლევას. როდესაც

აქედემიკოსებმა ჩვენი „ბაზარი“ დახურეს, დასვენების მაგივრად მეც, ალექსანდროვიც, პელმენიოვიც და იგორიცი იმავე საბადოზე დაერჩით. ფეხი არ მოვიცვალეთ. მაგრამ მაშინ იმ საბადოზე სხვა მადნეული აინტერესებდათ. მერე შემთხვევით ვილაყამ გაზომა „ჩვენი ელემენტი“ შემცველობა და იყვირა, — თავს უშველეთო. ბევრი უნებისყოფი წავიდა მაშინ. ჩვენ კი რძის ნორმა გავეიორაკეთეს და ჩავეფალით ისევე: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, თუ სამხრეთი? — ალბათ, მიმიხვდით, ერთდამივე საბადოზე, ერთდამივე სტრუქტურებში სულ სხვა მადანს ვეძებდით, ჩვენი ელემენტი კი არავის ახსოვდა! პოდა, ძია გრიშამ, ჩვენმა კეთილმა დირექტორმა ხელმეორედ გახსნა კომპლექსი, ახლა გეოლოგებთან ერთად ყველა დარვის მეცნიერი და ინჟინერი მუშაობს ჩვენს ელემენტზე. ამ თემის გარშემო დიდი ინსტიტუტი შეიქმნა. აი, ამ ინსტიტუტის სასტუმროს ორასსამოც ნომერში ვწვევარ ახლა და ვუცდი, როდის გავადრო ცხრამეტ საათსა და ოცდაათ წუთამდე. ახლა უკვე თვრამეტი საათი და ორმოცდაათი წუთია.

— აღარ შემიძლია გულხელდაკრეფილი ვიჯდე და ზარის წკრიალს ველოდო, — პირდაპირ საქმეზე გადავიდა ინკამდივანი, — უკვე ოცი წლისა ვარ, პატარა ხომ არ გგონივართ. ძალიან, ძალიან გთხოვთ იქ, თქვენთან, გეოლოგიურ პარტიაში, მიშოვეთ რამე შესაფერი სამუშაო, ისეთი, რომ შევძლო და სხვისი დახმარება არ დამჭირდეს.

— დადებითი პერსონაჟივით მსჯელობ, ინკა. ყველა მოსკოვში დარჩენას ცდილობს, შენ კი ტიაგაში გსურს ამოყო თავი. მერე იქ მოგბეზრდება და ისევე დედაქალაქი, არა?

— ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ძია გრიშას (გავიგე ასე ეძახით) მდივანი ხართ...

— შეუძლებელია. საქმეს მოვერეოდი, მაგრამ მომხიზველეობა არ მეყოფა.

— თქვენ ხუმრობთ, ჩემთვის კი ეს ამბავი მთავარია... — ინკას ცრემლი მოადგა, — ძალიან გთხოვთ, მიშოვეთ რამე შესაფერი.

— ინკა, მე აქაც ბევრი მეგობარი მყავს, ეგებ მოსკოვში გვეცადა?

— მე თქვენთან მინდა, თქვენს ექსპედიციაში, ამხანაგ ალექსანდროვთან ან პელმენიოვთან. სხვაგან ვერ ვიმუშაებ. გულს ვერ დაუვლებ.

— იქ ვერ გაძლებ. იქ პირველყოფილი პირობებია: ლამაზი, მაგრამ მკაცრი და აუტანელი. შენ კარგი გოგო ხარ, კობტა...

— ვიცი, ვიცი რაც უნდა მითხრათ, ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე: დაუსწრებლად ვისწავლო მადნეულთა ძებნა-ძიებაზე ნოვოსობინსკში

— ოპო, შენ მართლა მომზადებული მოსულხარ!

— ძალიან გთხოვთ, მოიფიქრეთ რაიმე ჩემი შესაფერისი.

— უთქვენოდ მუშაობა ჩაგვეშლება-მეთქი, ვერ გეტყვით, მაგრამ საქმე მაინც მოიძებნება და მეტად საინტერესოც. თუ, რასაკვირველია, არ გადაიფიქრებთ.

წვიმის პირველი მსხვილი წვეთი ინკას შუბლზე დაეცა. ნაცრისფერ ასფალტს სწრაფად გაუჩნდა მუქი ხალები. იქუხა.

— აქ ახლოს ჩემი მეგობარი ცხოვრობს. შინ არ არის, მაგრამ ვიცი, გასაღებს სადაც მალავს.

„არ ვიცი სწორედ ვიქცევი თუ არა, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია. აბა, სადარბაზოს შესასვლელში ხომ არ ვიდგებით, ვიდრე გამოიღარებს? სულ ორიოდ საათის წინ უგარძნობლად ეგდე საწოლზე? გახსოვს? ასეთი შეტევა ჯერ არ გქონია? ესეც გახსოვდეს. ამიტომ არ უნდა გადაიღალო, წყნარად, მშვიდად!“

— უხერხული ხომ არ იქნება?

— არა, რას ამბობ, პირიქით, ძალიან გაეხარდება, მადლობის ბარათს რომ დაუტოვებთ. სასმელიც აქვს.

— თქვენ აქ ხშირად დადიხართ? „ამ სახლში ჩამოსვლის დღეს“ ტკბი-

ლად“ მეძინა. ეს მხოლოდ ნატაშას შეუძლია გაიგოს. თუმცა არ ვიცი, შეიძლება ისიც ფიქრობდეს, რომ მე“...

— ფირფიტებიც აქვს და მაგნიტოფონიც. შენ რომელი გირჩევნია?

— გააჩნია, რა ჩანაწერები აქვს და ვისი ფირფიტები.

— აი, იმ სახლს ხედავ?

— მოვედით?

„გეგბე გასაღები სხვა ადგილას ვეძებო და ვერ ვიპოვო?“

სანამ სამზარეულოში ვფუსფუსებდი და ბუტერბროდებს ვამზადებდი, ინკამ მაგნიტოფონი ჩართო. ნელი ტანგო. აი, როგორ გუნებაზე ყოფილა ნატაშა ჩემს ჩამოსვლამდე. თუმცა ვინ იცის, ვის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს ეს ნელი ტანგო. ვინ დაპყრა უკანასკნელად თითი მაგნიტოფონის ლილაკს. ვეკვიანობ? ჰო. ამას ვეკვიანობა ჰქვია. ეს როგორღა უნდა მოვნათლო, რასაც ახლა ჩავიდენ? ვნახოთ, სათაური — ბოლოს!

— ხომ მიშუამდგომლებთ ამხანაგ ალექსანდროვთან. პელმენიოვსაც ხომ სთხოვთ. თქვენ უარს არ გეტყვიან, — მეხვეწება ინკა და ორივე ხელს მხრებზე მადებს.

ვეკვიავთ.

— სამუშაო ფიზიკური თუ იქნება უკეთესია. უარს არაფერზე ვიტყვი. არაფერს ვიუკადრისებ.

— შენ თეთრი და გრძელი თითები გაქვს, ინკა!

— თქვენ გგონიათ, არაფერი შემოძლია? — ინკამ წამით შეწყვიტა ცეკვა. მაგიდასთან მივიდა, არაყი გადაპყრა და ხიზილალის ბუტერბროდი დააყოლა, — როცა მინდა და საჭიროა, ყველაფერს ვაკეთებ, სარეცხის მანქანასაც კი. საბურავიც კი გამომიცვლია.

ინკა ისევ ჩემთან მოვიდა, ხელები წელზე შემომხვია და ცეკვა განვაგრძეთ. ავტომატანასთან დაკავშირებით, რაც ყველაზე ძნელად მეჩვენება და მეზარება, ეს საბურავების გამოცვლაა; ამიტომ ძალიან გამოვირდა, რაც ინკამ მითხრა.

— საბურავი მართლა გამოგიცვლია?

— დედას გეფიცებო, ვერცხვებს!

— ყოჩაღ.

— ამ სიტყვას ტაიგაშიც გათქმევენებთ, ისე ვიზრომებ. — მითხრა ინკამ და თავი მკერდზე დამადო. მე თმებზე ხელი გადაუღუსვი. „კარგი გოგო, პატარა გოგო, სულელი გოგო“ — გავიფიქრე.

— აღარ შეიძლება ასეთი ერთფეროვნება. გავიდა ცხოვრება!

— კარგი გოგო, პატარა გოგო, სულელი გოგო... — ეთქვი ახლა ხმამაღლა. ინკამ თვალბრუნებით შემომხედა.

ქურდბაცაცასავით სწრაფად დაეხუჭე თვალები — ისე შემეშინდა, თავი გამეცა. თუმცა ხელები?

— იცი, — უცებ „შენობით“ მომმართა ინკამ, — რასაც ჩემზე და ძია გრიშაზე ამბობენ, ტყუილია. მაგრამ რასაც ჩემზე და შენზე იტყვიან, სიმართლე იქნება!

ინკა გაჩერდა და ფეხების სხარტი მოძრაობით ფეხსაცმლები აქეთ-იქით გააყარა.

— უკვე გვიან არის, უნდა წავიდე.

— დარჩი კიდევ ცოტახანს.

— არა, უნდა წავიდე, შინ გამიწყურებიან.

— ვინ გაგიწყურება?

— დედოკო და მამიკო.

არასოდეს მიფიქრია, რომ საწოლი ქალისა და კაცის ცხოვრებაში მთავარი სავანია. მაგრამ ახლა მიჩვენია არ ვსუნთქავდე, ვიწვე ასე გულხელდაკრეფილი და შავებით მოსილი ჰირისუფლები გარს მივლიდნენ. ახლა მრცხვენია და დიდი სიამოვნებით გადავვარდებოდი ამ მეოთხე სართულიდან.

— შენ არ წამოხვალ?

ერთადერთი, რაც მაკავებს, ის საქმეა, რამაც ამ დღეში ჩამაგდო და კიდევ დედაჩემი. დედაჩემმა მეტი სიმწარე აღარ უნდა ნახოს, ვიდრე ცოცხალია.

— სისულელეს ვიტყვი, თუ არ გამობრაზდები: ბედნიერი ვარ.

ცხოვრება ჯერ კიდევ წინ არის. ვინ

იცის, რა ხდება?! მედიცინამ ათასგვარი წამალი აღმოაჩინა. კაცისათვის საქმეა მთავარი.

— გესმის, გურამ?

— მესმის, მესმის...

— არაფერიც. შენ ისეთი თვალები გაქვს, რომ არ გესმის... — მეჩურჩულე-ბა ინკა და მხარზე მკოცნის. — მე ნამდვილად ბედნიერი ვარ.

— არა მგონია ოცი წლის გოგონა...

— ასეთ შემთხვევაში ბედნიერი იყოს, არა? იცი, რა მიხარია?

— არა.

— რომ შენ სპეტაკი კაცი ხარ, სუფთა, გაურყენელი, ერთგული.

— მამშვიდებ?

— ნუთუ ვერ ხედავ, რომ შენ ამ სახლის დიასახლისი გიყვარს და თანაც ისე ძალიან, რომ სხვა ქალები შენთვის არც არსებობენ. ეს ბედნიერებაა!

— მართალს ამბობ! ამ სახლში ყველაზე ღამაში ქალი ცხოვრობს, მაგრამ ის უკვე ოცდაათი წლისაა.

— შენ ის ქალი გიყვარს. ხომ გიყვარს ნატაშა?

— სახელი საიდან გაიგე?

— ჩვენ ყველაფერი ვიცით.

— შენც ჩემს შესამოწმებლად ხომ არ გამოგზავნეს? რა, დანიილოს ახალი ცნობები დასჭირდა თვინიერ ცდის პირზე?

— ასეთი ბედნიერი რომ არ ვიყო, შეგაფურთხებდი. მაგრამ მე დღეს პირველად შევხვდი შენისთანა მამაკაცს: სუფთას, სპეტაკს, ერთგულს. შენ დიდი იმედი იქნები ჩემთვის ყოველთვის. მე ბედნიერი ვარ.

— მშაბტიე, ინკა, ამჯერადაც უნდა გავიცხოვრო იმედი. როგორც ფიქრობ, ისე როდია, მე...

— ჩუ, — ინკამ ტუჩებზე გრძელი თეთრი თბილი თითები დამადო. — ახლა წავალ. თუ შეიძლება, კედლისკენ გადაბრუნდი, უნდა ჩაეცვა.

კედლისკენ გადავბრუნდი.

ინკამ ჩაეცვა.

— აქაურობა მივალავო?

— არ არის საჭირო. „რამდენს უძლებს ადამიანი. აი, მე მაინც ცოცხალი ვარ, ვსუნთქავ და ამ მშვენიერ გოგონასაც მშვილად ველაპარაკები“.

— ნახვამდის, გურამ! შენ ერთადერთი კაცი ხარ მთელ ქვეყანაზე, ვისაც სულითა და გულით ვენდობი და ვინც ჩემს იდეალად მიმაჩნია. თუ გესმის, რას ნიშნავს სიტყვა ბედნიერება, თუ შენ „ძალიან ჰკვიანი“ არ ხარ და ამ სიტყვას იმავე მნიშვნელობას აძლევ, როგორსაც ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, მაშინ მიხვდები, რა სადამო იყო ეს ჩემთვის, რა დაუფიქარი, მარადსახსოვარი წუთები. აი, ისე აფფორიაქდი, რომ ყალბი გამოთქმებიც შემომეპარა. მაგრამ გულწრფელი ვარ. ეს ასეა. ნახვამდის, ჩემო კარგო გურამ, გკოცნი, შენი ინკა-მდივანი.

წავიდა. ოთახში, ჩემს გარდა, დარჩა ბოღმა, სევდა, ცოტა ნაღვლიანი სიხარული და კიდევ ის, ჩემი მთავარი მეტოქე, რისი არსებობაც არ მინდა დავიჯერო, დღევანდელი დღის მიუხედავად.

ავდექი. მინდოდა მიმელაგებინა, მაგრამ განზრახ დავტოვე ყველაფერი ხელუხლებლად. ორი ჭიქა, ორი თეფში და, ასე შემდეგ, არეულ საწოლამდე.

შემდეგ ავიღე ქაღალდი და დიდი ასოებით დაეწერე:

„ნატაშა!

ხვალ მივფრინავ. მე ღორი ვარ. ეს უნდა იცოდეს. უშენოდ გამიძნელებდა. გკოცნი. გურამი“.

დომოდედოვოს აეროდრომზე ისეთი ორომტრიალი იდგა, ძალიან პატრონს ვერ იპოვნიდა. უამინდობის გამო ფრენა რამდენიმე საათით შეწყვეტილა და ათასობით მგზავრი შეგროვდა მოსაცდელ დარბაზებში. ახლა ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მგზავრებმა თვითონ არ იცოდნენ, საით მიფრინავენ. ცნობათა ბიუროსთან, როგორც ყოველთვის, უამრავ ხალხს მოეყარა თავი. რადიოს დიქტორს არავინ უჯერებდა. აეროდრომი კი უკვე საათნახევარი იქნე-

ბოდა, რაც ისევ გაიხსნა და ფრენა ნელ-ნელა განრიგს უბრუნდებოდა. ვიღრე აეროდრომზე გამოვემგზავრებოდი, უამრავი საქმე გავაკეთე. ამიტომ დავალებათა სია ამოვიღე და კიდევ ერთხელ შევამოწმე, რომ არაფერი გამომრჩენოდა. რას იზამ! ყავის საფუკვავი ვერ ვიშოვნე. რა გადაურჩება პელმენიოვის ცოლს. დაიწყებს: უყურადღებო ხარო, ესაო, ისაო. ვერ ვიშოვნე! მოსკოვში ეგ სიტყვა აღარც ახსოვთო!—ასე მეტყვის.

— ყურადღება! ჩასხდომა იწყება მოსკოვ-ბაგულნიკის თვითმფრინავში. რეისი ასორი, თვითმფრინავის სადგომი ნომერი ცხრა. ჩასხდომა პირველი ბაქნის მესამე კარიდან. ვიმეორებ... და ასე შემდეგ.

აი, ახლა ჩაეჯდები ამ უზარმაზარ უმძლავრეს თვითმფრინავში და ხუთ საათში გავივლი გზას, რომელსაც სანიმუშოდ აღჭურვილი ძველი დროის მოგზაური ხუთ თვეს ანდომებდა.

თვითმფრინავმა საზარლად დაიღმუვლა, გაქანდა და ცაში აიჭრა. მოკლეკაბიანმა, ლამაზმა და მოხდენილმა ქერათმიანმა გოგონებმა ინფორმაციები და კანფეტი მოგვაწოდეს. სავარძელში მოხერხებულად მოვკალათდი და ილუმინატორიდან თეთრი ღრუბლების ზღვას ჩავხედე. აქედან ღრუბელი ისეთი მკვრივი ჩანს, გვეგონება, ზედ ფეხით ივლი. ცა კი, რასაკვირველია, უღრუბლოა და უსასრულო. ყოველგვარი ღრუბელი და ყოველნაირი პორიზონტი დედამიწაზე დარჩა. როცა თვითმფრინავში ვზივარ და საოცრად ლავეარდ, გამკვირვალე ცას შევეცქერი, ასე მგონია, ყოველგვარი უსიამოვნება მიწაზე დავტოვე. ასე მგონია ავადმყოფობაც იქვე დარჩა და ახლა უსაზღვროდ ბედნიერი და ჭანმრთელი სიხარულისაკენ მივფრინავ. სიხარული კი ცაში ცხოვრობს, ზევით, სულ ზევით. ხანდახან მცირე დროით გვეწვევა ხოლმე ადამიანებს და მალე ისევ თავის სამფლობელოს მიაშურებს. თუ მივაგენი, ბუდეს მოვუშლი და იძუ-

ლებულს ვყოფ დედამიწაზე, უზარალო მოკვდავებთან ერთად იცხთეროს ტიპიურ ერთოთახიან ბინაში. მარტოხელაა და ერთი ოთახიც თავისუფლად ეყოფა. ავადმყოფობის დატოვება რომ შეიძლებოდეს, მართლაც კარგი იქნება! თუმცა ადამიანებმა მიაგნეს ერთ ადგილს, სადაც ტოვებენ ხოლმე სნეულებებს: ეს თეთრი, დიდფანჯრებიანი, ნათელი საავადმყოფოებია. მაგრამ ავადმყოფობაც არის და ავადმყოფობაც. როცა ჩემ სნეულებას ვახსენდები, საოცარი რამ მემართება. ასტრონომიული ქამთალრიცხვა ჩერდება თითქოს. დედამიწაც ჩერდება, პლანეტებიც. სამაგიეროდ განსაცვიფრებლად სწრაფ ბრუნვას იწყებს ჩემს ტვინსა და ტანში ჩამავრებული უამრავი თვალთ უხილავი ბორბალი. ბორბლები თითქოს კბილანებით არის ურთიერთდაკავშირებული და საკმარისია ერთი დატრიალდეს, რომ დანარჩენებიც აიყოლიოს. ეს სულის ბორბლებია! ფიზიკურად თითქოს არ გემატება არცერთი წამი. სული კი იტოტება, იზრდება, ვითარდება, ესე იგი ბერდება. ალბათ, ამიტომაც ამბობენ ხოლმე, ორასი წლისა ვარო. ეს საესებით შესაძლებლად მიმიჩნია. სულია საოცრად განვითარებული და ხანდაზმული, ზორცი კი არა. ისე მძაფრია განცდები, რაც მაშინ მახლავს, რომ ათობით ადამიანს ეყოფა დასაბერებლად.

გოგონებმა საქმელი ჩამოარიგეს. შემეწვარი ხორცი რომ დაეინახე, ვიგრძენი როგორ მშოიდა. გემრიელად ვისადილე და ყავაც დავაყოლე. მერე გაზეთებს გადავაგალე თვალი, მერე ისევ გავხედე უსასრულო ცისფერ სამყაროს. მერე სავარძელი ოდნავ გადავაწვინე და ჩავთვლიძე... მშვიდად და ტკბილად მეძინა. ბორტგამცილებელმა გამაღვიძა და მთხოვა სავარძლის ქამარი შემეკრა. თვითმფრინავი ძირს ეშვება. არ მიყვარს დაშვება. რალაც უსიამო შეგრძნება მაქვს. მალე თვითმფრინავის ბორბლები აეროდრომის ბეტონის ბილიკს ეხება და უმაღ ვმშვიდდები.

— ბაგულნიკში მშვენიერი ამინდია, — აცხადებს ბორტგამცილებელი, — პლუს თერამეტი გრადუსი. დიდად გმადლობთ, ჩვენი მომსახურებით რომ ისარგებლეთ. გახსოვდეთ, თუ დროის დაზოგვა გასურთ, იფრინეთ. გმადლობთ ყურადღებისათვის. ნახვამდის.

მშობლიურმა ნიაგმა დამკრა, დაედგი თუ არა ფეხი მიწაზე. აეროდრომის შენობაში, ვიდრე ჩემოდნებს მოგვიტანდნენ, გამახსენდა რომ წამოსვლის წინ დირექტორისათვის არ დამირეკავს. მეწყინა. ეს არ უნდა დამმართნოდა. რას იფიქრებს?! პატარა ბავშვი ხომ არა ვარ!

ტელეფონისტ ქალს ჩვენი გეოლოგიური პარტიის დევიზი დავუსახველ და ვთხოვე მოსკოვი მოეცათ. ქალმა მოსკოვის ტელეფონის ნომერი მკითხა და პირველ კაბინაზე მანიშნა. ვიდრე კაბინაში შევიდოდი, ტელეფონი აწყარუნდა. ხაზზე დირექტორის ცოლი იყო:

— ცოტა ხნის მერე ხომ ვერ დარეკავთ? ახლა ხან ჩაეძინა.

— ვერა, ქალბატონო.

— ახლავე... ახლავე... — დირექტორის მეუღლე მიჩვეულია, ძია გრიშას ხშირად უდროოდ დროს რომ ვალვითხებთ ხოლმე.

ყურმილში ქარის ზუზუნი ისმოდა.

— დიახ! ვისმინეთ, — გავიგონე დირექტორის ნაძმინარევი ხმა.

— ნუ გამიბრაზდები, ძია გრიშა, ბაგულნიკიდან გირეკავ.

— იცი, რას გეტყვი, გურამ... — ბევრი მაგინა, და ასე დამთავრა. — კვარტალის ბოლოს დიდი კომისია ჩამოვა. შესაძლოა, მეც ჩამოვფრინდე. ამბები შემატყობინეთ. ყოველ სამშაბათს დილით ცხრაზე, მოსკოვის დროით. აბა თქვენ იცით.

— კარგად ბრძანდებოდეთ. მეუღლე მომიკითხეთ.

— გმადლობთ. ბიჭებს ჩემი სალამი გადაეცით.

— გმადლობთ.

აეროდრომიდან რკინიგზის სადგური-საკენ ავტობუსით გავემგზავრე. აქედან

რკინიგზამდე ცამეტი თუ თოთხმეტი კილომეტრი იქნება. მატარებელი კი თითქმის ორი საათის შემდეგ გავა. ისე, რომ არ ვჩქარობ.

ბაგულნიკში რკინიგზის დიდი, ლამაზი და თანამედროვე ყაიდაზე აშენებული ახალთახალი სადგურია. მაგრამ ის შტო, რომელზედაც ჩემი მატარებელი ჩერდება ხოლმე, თითქმის მივიწყებულია და მიგდებული. აქედან ერთადერთი ადგილობრივი მნიშვნელობის მატარებელი გადის. ჭერჭერობით ეს არ მწყინს. რა იციან მოქალაქე მგზავრებმა, რომ სულ მცირე ხნის შემდეგ ეს შტო უპირველესი იქნება და, შესაძლოა, არა მარტო ბაგულნიკის ვეებერთელა სადგურისათვის!

ბაქანზე ორი მართლაც მშვენიერი გოგონა იღვა და მატარებლის ჩამოდგომას ელოდა. იქვე ჯარისკაცები შეგროვილიყვნენ და რაღაცაზე გულიანად იცინოდნენ. ოცეულის მეთაური ლეიტენანტი საღაც წასულიყო და გოგონებს სერჟანტები ეარშიყებოდნენ. ამ დროს მორიგე პატრულმა ჩამოიარა. პატრულის უფროსმა, ოფიცერმა, ჯარისკაცებს გვერდით ჩაუარა და სერჟანტებს მიადგა. სერჟანტებმა გოგონებს თავი დაანებეს და სმენაზე გაიჭიმნენ. ოფიცერმა სერჟანტებს საკინძეები ბოლომდე შეაკვრევიდა და გაეცალა, მერე მოხედა და ჩაიღიმოდა. გაწურულ სერჟანტებს ნიჩორი წაუხდათ. ახლა გოგონები იცინოდნენ. სერჟანტებს გუნება გაუფუჭდათ და გოგონებს გაეცალნენ.

მატარებელი ჩამოღდა. მგზავრებმა ჩასხდომა დაიწყეს.

ალექსანდროვს არ უყვარს, როცა თვითმფრინავით ჩამოვდივარ. არც თვითონ სიამოვნებს ფრენა, მაგრამ ასეთ მანძილზე, დედაქალაქიდან ბაგულნიკამდე მატარებლით ხომ არ იჩაქჩაქებ? ისიც საკმარისია, ბაგულნიკიდან გოლუბინამდე თორმეტ საათს რომ უნდა იჩოჩილო და მერე კიდევ „გაზ-69“-ით ინ-

ჭლიო, ვიდრე მთავარ ბანაკს მიადგები. გოლუბიხა დიდი ქალაქი არ გეგონოთ. ეს მხოლოდ და მხოლოდ რკინიგზის ბოლოა, ორბაზიანი. ეს ორი ხაზიც თბომავლის მანევრირებისათვის არის დაგებული. გოლუბიხას სადგური პატარაა, ერთსართულიანი, სულ ორი ოთახია. ერთ ოთახში სადისპეტჩერო და სადგურის უფროსის მაგიდაა, მეორეში — სალარო და მოსაცდელი. მატარებელი გაჩერდა თუ არა, იური ალექსანდროვი მოსაცდელიდან გამოვარდა და ჩემკენ გამოიქცა. მერე რუსულად, სამჯერ გადავკოცნეთ ერთმანეთი.

— ესეც ასე, — თქვა ალექსანდროვმა, თითქოს არა სჯეროდა, ცოცხალი რომ დავბრუნდი.

ალექსანდროვს ძველებური, განიერმხრებიანი კოსტუმი და ფართხუნა შარვალი ეცვა. მხარზე პატარა, მაგრამ საბუთებიტა და რუკებით საიმედოდ გაჭედული ჩანთა ეკიდა. ძველი, ალაგ-ალაგ დალაქავებული ბერეტი ეხურა. ბერეტი ცალ ყურსა და წარბს უფარავდა. მეორე ყურსა და წარბზე ყბებამდე ჩამოშლილი თმები ეფარა. იურა იცინოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მკერდზე მიკრავდა.

— მეგონა, უფრო მეტ ხანს დარჩებოდი მოსკოვში, — განაგრძობდა იურა, — აქ ძალიან დაგვეკირდი. პელმენიოვს ახალი ფაქტები გაუჩნდა. ისევ დაიჭინა, ჩრდილოეთით უნდა ვეძიოთო. შენ რჩევა გვაკლია. თუმცა ვიცი, შენც ჩვენს მხარეზე ხარ. ალბათ კიდევ გინდოდა დედაქალაქში ყოფნა?! მაგრამ რას იზამ, ასეთია ბედი ჩვენი. დირექტორმა რაო?

— თქვენს მხარეზე კი არ ვარ, ნამდვილად ვიცი, რომ ჩრდილოეთით უნდა ვეძიოთ. „ეს ცხადად ვიგრძენი ამასწინანდელი შეტევის დროს“.

„გაზ—69“—დან შოფერი გადმოვიდა, მომესალმა და ჩუმად დამითმო ადგილი საქესთან. ალექსანდროვს გაელიმა. იყო ჩვენში ასეთი დაუწერელი კანონები. ტაიგაში მანქანას ყოველთვის შე ემარ-

თავდი. შებინდებისას კი ისევ შოფერს ვაძლევდი საქეს. არ მიყვარს დამით მგზავრობა. დღისით კი ტაიგა ზღაპარია, განსაკუთრებით, ზაფხულში. რამდენი რამ წამეკითხა, მომესმინა, რამდენი ფილმი მენახა ტაიგაზე, მაგრამ როცა საკუთარი თვალით ვნახე, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ყველაფერი, რაც ვიცოდი, მცირეოდენი ნაწილი იყო სინამდვილისა.

ბავშვობაში ტაიგა ჩემთვის მხოლოდ თვითმპყრობელობის დროის პროგრესულად მოაზროვნეთა, დეკაბრისტებისა და სხვა რევოლუციონერების გადასახლების ადგილი იყო. სანამ კარგად არ წამოვიზარდე, არ ვიცოდი, ტაიგაში ყვავილი თუ ამოდიოდა. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი რომ დავამთავრე და სამუშაოდ ციმბირში წამოვედი, მხოლოდ მაშინ ვნახე პირველად ულამაზესი ტაიგა. ტაიგა განუყოფელად თავისებურია და სუფთა. ხანმოკლე ზაფხულში გვარიანი სიცხეები და კოკისპირული წვიმაც იცის. უზარმაზარი ნაძვები ერთმანეთს ეხლართებიან და სადღაც შორს ცაში იშვებენ კენწეროებს. ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ აქ ყველაფერს ცხადად ეტყობა პირველყოფილი უბიწოება. ყოველ შემთხვევაში, იმ ადგილებში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, ჯერ ადამიანი არ ყოფილა. ძირს წლების განმავლობაში დაგროვილი წიწვების მწვანე ხალიჩა აგია. ხალიჩა რბილია და ფაფუკი. ამიტომ სიარული ჰერს. ფეხი სირბილეში ეფლობა და არც ერთი კუნთი არ ისვენებს. ძლივს შევეჩვიე ტაიგაში სიარულს. ციმბირში ზამთარს გაზაფხული დაჩაგრული ჰყავს და ველ-მინდვრები ზაფხულში ფეთქდება უეცრად და მრავალ ფერებად. ტაიგისპირა მინდორში მიწიდან თავს ამოყოფს თუ არა, საშინელი სისწრაფით იზრდება შროშანი, იორდასალამი, ფოლიო, ვენერას ქოში, ვენერას თმა, ყანის სანთელა, აბრეშუმა. შუა ტაიგაში ბევრი ყურუმია. ყურუმს აქაურები გამყინვარების დროინდელი მო-

რწენებისაგან აყირავებულ კლდეებს ეძახიან. კლდეებში ყოველი ქვა ისევ ისევ დევს, როგორც ყინულმა დასტოვა და ამიტომაც საკმარისია ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი, რომ უზარმაზარი რამდენიმეტონიანი ლოდი აყირავდეს, ძირს დაეშვას და ზვავიც აიყოლოს. ყურუშებს ზედ მოსდებია დეკა და შქერი, საოცრად ლამაზყვავილებიანი ქონდარა ფიჭვი, კატაბარდა, ჯიქა, უსურვაში, უკულმანაზარდი, ხახამა, დედაყოლაი — როგორც ჩვენებურები ამბობენ, არქტიკული მყვალე, კლდის მოცხარი, ლურჯი მოცივი, კუნელი.

ციმბირის სამხრეთით ტაიგის ფიჭვებსა და ნაძვებს თეთრი, ტანკენარი არყის ხეები ერევა. საოცრება ხდება წვიმის შემდეგ ციმბირის შერეულ ტყეში. ფეხის გადადგმა პირს. იქაურობა სოკოებით არის მოფენილი: არყა სოკო, ნაბადა სოკო, ყვითელპაჭიკა სოკო, მიწაყარა, ბლავანა, მტრედო, ლვინო, ხახვილო, ზრამუნა და რა ვიცი კიდევ რამდენი! ჩვენი ბიჭები წვიმის შემდეგ მარშრუტზე როცა მიდიან, ზედმეტი ზურგჩანთა მიაქვთ ხოლმე სოკოსათვის. ხელცარიელი არავინ ბრუნდება.

— ხელი არაფრისათვის გვიხლია, ყველა ყვავილი, ყოველი კენჭი ძველ ადგილზეა. — მამშვიდებს ალექსანდროვი. — ახალი აპარატები მივიღეთ. შედარებით მოხერხებულია და, რაც მთავარია, მსუბუქი. ეს აპარატები უფრო მგრძობიარეა ჩვენი ელემენტის მიმართ. მცირეოდენ შემცველობასაც კი აღნიშნავს.

— ჩრდილოეთით უნდა ვეძიოთ! ვიდრე კომისია ჩამოვა, ახალი ფაქტები უნდა დავახვედროთ.

— რა კომისია?

— ჩრდილოეთით! ბანაკი უნდა გამოვიცვალოთ!

— რა კომისია, რის კომისია? კიდევ ხომ არ გვიპირებენ მოხურვას?

იძულებული ვიყავი აქვე, მანქანაში შეამბნა ალექსანდროვისათვის რაც დი-

რექტორმა დამავალა. ალექსანდროვის სიხარულის ცრემლი მოადგა თვალზე.

— დედას ვუტირებთ! — გუფტემ ხელი დაიღო ალექსანდროვმა. — მარაგი იქნება! ფოტოსურათების გადაღება მოგვიწევს სახელმწიფო პრემიისათვის, მეტს თუ არ გაიმეტებენ.

ბანაკს დაბინდებისას მივალწიეთ. უკვე ყველა დაბრუნებულიყო მარშრუტიდან. გველოდებოდნენ.

— აყარეთ ბანაკი! — იღრიალა ალექსანდროვმა, მანქანიდან ჩამოხტა და პელმენიოვს გადაეხვია.

— ახლავე? — იყითხა პელმენიოვმა.

— არა, ხვალ სისხამ დილით, — დავახუსტე და პელმენიოვს ხელი ჩამოვართვი.

მერე ალექსანდროვმა კოცონთან შეგვეყარა და მთელ გეოლოგიურ პარტიას განუმარტა ბანაკის ადგილის გამოცვლის მიზეზი.

ბიჭებს გაეხარდათ. ქალები აბუზღუნდნენ, ქალებს საერთოდ არ უყვართ შეჩვეული ადგილის მიტოვება. ეს მათი ძველისძველი სენია.

ალექსანდროვმა შეკრება დაამთავრა და ძილი ნებისა უსურვა ყველას. მერე მე დავურიგე ზოგს წერილი, ზოგს სიგარეტი, ზოგს „გუმში“ ნაყიდი შეფუთული ნაჭრები. პელმენიოვის ცოლმა ლუდმილამ ზუსტად ის მითხრა, რასაც ვფიქრობდი. მერე მხარზე ხელი დამკრა, უნიჭოები ხართ მამაკაცებიო, და თავის კარავში წავიდა.

ბანაკი დაცარიელდა. რომელიღაც კარვიდან მუსიკის ხმა ისმოდა. ძილის წინ ბიჭები რადიოსადგურ „მაიას“ უსმენდნენ.

ალექსანდროვმა სამუშაო კარავში მიგვიწვია მე და პელმენიოვი. ყველაფერი თავიდან გავისიგარქეანეთ თვალწინ: ხომ არაფერში ვცდებითო. პელმენიოვს სამი ზეგეგმითი მარშრუტი ჩაუტარებია საძიებო რაიონის ჩრდილოეთით და ის ახალი ფაქტები გავცანო, ალექსანდროვმა რომ მახარა. ფაქტები ანგარიშგასაწევი იყო. ამიტომაც ალექსანდროვ-

სა და პელმენიოვს უჩემოდ უკვე თითქმის გადაეწყვიტათ ჩრდილოეთით გადაბარგება. ჩემმა დასტურმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი ყოველგვარ მერყეობას.

— ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული იმ კაბურღილზე, დირექტორის ჩუმად ჩრდილოეთით რომ დავდგით. — თქვა პელმენიოვმა. — თვის ბოლოს უკვე უნდა მივალწიოთ იმ სიღრმეს, სადაც ჩვენი ელემენტის შემცველი ქანებია.

— ჩვენ კიდევ ბევრ ახალ ამბებს დავახვედრებთ! — არ ცხრებოდა ალექსანდროვი.

— წინ მთელი თვეა, ერთ თვეში კი რას არ შეძლებენ ჩვენი ბიჭები!

მერე რუკები გაეშალეთ და ბანაკისათვის ადგილი შევარჩიეთ.

— ახლა კი დავიძინოთ, — თქვა ალექსანდროვმა, — ადგილობრივი დროით თორმეტი საათია.

— ხვალ დილით ექვსზე, არა?!

— კარგი დროა.

ჩემს კარავში შევედი და სანთელი ავანთე. იქაურობა წკრიალებდა. ეტყობა ვილაცამ იზრუნა და დაალაგა. რას გაიგებ ვინ იყო?! ამის გამკეთებელი ალექსანდროვიც არის, პელმენიოვიც და სხვებიც. მეც დამილაგებია სხვისი კარავი. გეოლოგიურ პარტიიში ყველაზე დიდი ბოროტება მხოლოდ საკუთარი ვალდებულებებით შემოფარგვლაა. კარავის დალაგება რას მიქვია?! ხანდახან მუშა აკეთებს ჩემ საქმეს, უფრო ხშირად კი მე დავასწრებ ხოლმე, ხელს შევაშველებ. ასეა დანარჩენებიც. სადილიც გაგვიკეთებია, შურფიც გვითხრია. გაფუშებული მანქანაც შეგვიკეთებია, მუხლუხოც გვიმართია. კაბურღილზე დამხმარე მუშადაც გვიმუშავნია, ათისთავის მაგიერობაც გაგვიწვევია და, ვინ მოსთვლის, კიდევ რა. გეოლოგიურ პარტიიში ფაქტიურად არ არსებობს დაკანონებული ვალდებულებები. ვინც ამ კანონს გადაუხვევს, ან ცუდი ადამიანია, ან ცუდი გეოლოგი. გეოლოგს ხშირად საკუთარი ფულის ხარჯვაც კი უხდება, თუ

სადაც, მივარდნილში ამხანაგები ელიან. თუ ამხანაგები მშვიტებენ, ვრთენ, თუ ვილაცამ დაიხარა და სწითლედ წარმომაჩაგა საწყობი, ან საკირო მარაგი ვერ გამოითვალა, ესე იგი სათანადოდ არ იზრუნა, ერთი კაცის სიხარმავე ან შეცდომა ათობით ადამიანს აზარალებს და აცდენს. ხანდახან ხელს ისიც გვიშლის, რომ მიუხედავად განუსაზღვრელი ხარჯებისა, საკიროების დამიხედვით ფულს ვერ დახარჯავ. გეოლოგიური პარტიის უფროსს არასოდეს არა აქვს ხელზე ფული წვრილმანი ხარჯებისათვის. თხრილებისათვის განკუთვნილი თანხა მხოლოდ თხრილებზე უნდა დაიხარჯოს! კაბურღილისათვის გათვალისწინებულ ფულს კაბიკს ვერ მოაკლებ, გინდაც შიმშილით ამოწყდეს მთელი ექსპედიცია. ვთქვათ, აღარ არის საკირო ბურღვა. საკმარისია, შედეგი დამაკმაყოფილებელია. სად უნდა წაიღოს ალექსანდროვმა დანაზოგი ფული? სადმე კი უნდა წაიღოს, რადგან მომავალ წელს, კაბურღილზე ამდენი აღარ გჭირდებათო და ჩამოგვაპრიან. მომავალ წელს კი, ვინ იცის, ეგებ დაგეგმილი კაბურღილები სულაც არ იყოს საკმარისი. არა, ნამდვილად უნდა დაისვას ეს საკითხი და ალექსანდროვმა და პელმენიოვმა მართლაც უნდა მოითხოვონ გეოლოგიური პარტიების ეკონომიკის რეფორმა.

საძილე ტომარაში ჩავწექი. ტომარა თბილია. დღეს მზიანი დღე იყო და იმ კეთილ ადამიანს ჩემი საძილე ტომარა კარგიდან მზის გულზე გაუტანია. საძილე ტომარა კი დიდხანს ინახავს მზის სითბოს!

— ადექ! — იღრიალა ალექსანდროვმა. პიონერთა საველე ბანაკის უფროსს პიონერხელმძღვანელის ეს ჩვეულება ვერაფრით ვერ მოიშალა იურამ. ზუსტად ექვს საათზე ასე დაიყვირებს და ხუთი წუთის შემდეგ უკვე ბანაკში, კარგებს შორის, დაშლივინებს და ბუზუნებს:

— ადექით, ადექით, ძილისგულებო,

ზარმაცებო. უკვე ექვსი საათია, გუგულებმაც კი გაიღვიძეს. (ამას რატომ ამბობდა, თვითონაც არ იცოდა) გაგონილა, ამდენი ძილი! ადეკით-მეთქი, მუქთახორებო! ხომ იცით, დღეს რა ცხელი დღე გველის?! ახალი ბანაკი უნდა დავდგათ, ძველი — დავშალოთ.

— ვისაც გსურთ იყოთ ჯანმრთელი, გაიხეხეთ კბილები „მერის“ მარკის პასტით! — აჰყვა ალექსანდროვს ცოლი.

— ჯერ კიდევ გძინავთ? — ახლა პელმენიოვი აყვირდა, — ეს რა ამბავია?! ციმბირელები და ამდენი ხანს ძილი? ქალაქელებმა უნდა დაგვასწორონ? — პელმენიოვი თავის ბიჭებს აქეზებდა. აბა, ცოცხლად, ცოცხლად. ოღონდ ჩუმად, ალექსანდროვს ნუ აჰყვებით. ქართველი თავადი არ გამოიღვიძოთ! — პელმენიოვი ჩემს კარავში შემოძვრა, — გული მეუბნება, რომ დღევანდელი დღე საბედისწეროა ჩვენი ელემენტის ძიებისათვის. მთელი ღამე არ მძინებია.

— შე კი ტბილად მძინია.

— როგორა ხარ?

— კარგად, გმადლობთ.

— როგორა ხართ-მეთქი? — პელმენიოვმა თვალბში შემომხედა.

— როგორ უნდა ვიყო? კაჟივით.

— სიმძიმეები არ ასწიო. შენებურად ნუ გაიქანებო.

— რატომ? ვისზე რა ნაკლები ვარ!

— რა ვიცი, რადიკულიტი მაწუხებს, ამბობ და... — პელმენიოვი კარავიდან გაძვრა.

მიშა პელმენიოვი ისე შემომცქეროდა, მივხვდი დედაქალაქიდან გაგებული ჰქონდა ჩემი ავადმყოფობის ამბავი. ნუთუ აქ ყველამ იცის? ნუთუ იციან და თავს ასე ვაჯაკურად იკავებენ. ნუთუ მართლა ცუდად არის ჩემი საქმე? რადიკულიტო? ვიცი, რა რადიკულიტსაც გულისხმობ, ჩემო მიშა, კარგად ვიცი, მაგრამ ახლა შავი ფიქრების დრო არ არის. დღეს მართლაც გადაწყვეტი დღეა ჩვენთვისაც და ჩვენი ელემენტისათვისაც. ფოტოსურათების გადაღება მოგვიწევს. წინ, ჩრდილოეთისაკენ!

ზუსტად საათნახევარში ჩვენი გეოლოგიური პარტია ნასაუზუმებიც იყო და გამგზავრებლად გამზადებულიც. მძიმედ დატვირთული ორი საბარგო მანქანა ორ მუხლუხას გამოვებით. ტაიგაში, თუ გზა საიმედოდ არ არის გაკვალული, საბარგო მანქანა ვერ მოძრაობს. მუხლუხა კი ყველგან დადის და საბარგო მანქანის თრეეც არ უჭირს. მთელი ტანკია, ოღონდ ქვემები აკლია. მანქანებზე და მუხლუხობებზეც ყველას თავისი ადგილი აქვს. მუხლუხობებზე შოფრების გვერდით ალექსანდროვისა და პელმენიოვის ცოლები სხდებიან (ეს ყველაზე კეთილმოწყობილი და რბილი ადგილებია). მანქანის შოფრებთან — დეიდა მართა, ჩვენი მზარეული, და ქალთაგან ყველაზე ხანდაზმული ვინც იქნება. ახალგაზრდობა საბარგულეებზეა განაწილებული. ალექსანდროვი და პელმენიოვი მუხლუხას კაბინებზე სხდებიან ორლულიან თოფებით ხელში და ვაი იმ ფრინველის, ან გარეული თხის ბრალი, რომელიც სასროლ მანძილზე გამოჩნდება. ორივენი ტყვიას ტყვიაში სვამენ. ვერაფრით ვერ ვისწავლე ასეთი სროლა. თუმცა ნაგანი მეც მომცეს. ღრმა ტაიგა, რაც არ უნდა იყოს, თავისებური ნაკრძალია და უფრო ხშირად დათვი შეგვხვდება ხოლმე. თუმცა აქაური დათვი უზარმაზარი და მძვინვარეა, მაგრამ ადამიანთან შეხმას მაინც არ ცდილობს და თავისი გზით მიბაჯბაჯებს.

ალექსანდროვმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი ჩვენს „ნაქალაქარს“ და ბრძანება გასცა, შოფრებს ძრავები ჩაერთოთ. მუხლუხობები აკრუხუნდნენ. ჩვენი ქარავანი დაიძრა.

თითქმის მთელი დღე მოვანდომეთ ჩრდილოეთით გადაბარგებას. ტაიგაში მუხლუხა მაქსიმალურ სისწრაფეს ვერ ავითარებს. თანაც მდინარისა და ღრმა ხეობების გადალახვას მეტი დრო სჭირდება. ერთი სიტყვით, დაბანაკების ალავს დაღამებისას მივალწიეთ. მართალია, ბიჭები გადაიღალნენ, მაგრამ ახალი „ქალაქი“ სიბნელემდე მაინც აშენდა. ვიდ-

რე ჩვენ კარვებს ვმართავდით, ქალბმა ვახშამი მოგვიშალა. როცა ყველაფერი მოგვარდა, ვივახშმეთ და კოცონს შემოვუსხედით. ეს ყველაზე საყვარელი დროა ჩვენი გეოლოგიური პარტიის წევრებისათვის. კოცონის სითბო და ტეკატეკო სიმყუდროვეს ჰქმნის და ასე გგონია, საკუთარ სახლში ხარ. კოცონთან ხან წმინდა გეოლოგიური პაექრობა იმართება, ხან კი ტუბილი საუბარი. ვინ რას გაიხსენებს, უცებ ვის რა მოაგონდება, წინასწარ ვერაფრით გამოიცილებ. ზოგი ტყუილსაც შეურევს ხოლმე. ვსხედვართ ასე გემრიელად კოცონის ირგვლივ, თბილი ჭებები ან დაბამული ქულაჩები გვაცვია და ყურს ვუვადებთ ერთმანეთს. ხანდახან ვმღერით კიდევ. გეოლოგებს მხიარულთან ერთად სევდიანი სიმღერებიც უყვართ. მაგრამ „სიმღერას გეოლოგზე“, აქ ვერ მოისმენთ. გეოლოგები არასოდეს იგონებენ სიმღერებს სიმღერას გეოლოგზე, ალბათ, ის კომპოზიტორი წერს, თვალითაც რომ არ უნახავს ჩვენი ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ბიჭებს ასე ჰგონიათ, რადგან დღემდე შეთხზული საპროგრამო სიმღერები ჯერჯერობით ვერ სწვდება გეოლოგის სულს და მოსაწყენიც არის.

შემდეგი დღე დასვენებისა და აქაურობის ათვისების დღედ გამოაცხადა ალექსანდროვმა. პელმენიოვმა ვერ მოითმინა და საიდუმლო ჰაბურდილზე წავიდა. ჰაბურდილი უკვე ზონაში შეჭრილიყო და პელმენიოვმა თავისი ბარგი-ბარხანა ჰაბურდილის მუშებთან გადაიტანა, ცოლს „გაეყარა“. ალექსანდროვმა ზუსტად დაგეგმა თითოეული მარშრუტი და ყველას თავისი უბანი ჩააბარა. ყველაზე რთული უბანი მე მომცა, რაზედაც წინასწარ შემითანხმდა.

— აქ ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს, — მითხრა იურამ, — მაგრამ შენი იმედი მაქვს.

— ზოგიერთ ალაგას ორად გაყოფა დამჭირდება. ეგებ ვინმე მომხმარო, — ვთხოვე იურას.

— აბა, ვინ უნდა მოგახმარო?

— თვის ბოლომდე ვეცდები, დრო დაგვრჩა.

— მართალი ხარ, ვინ მოგახმარო, მითხარი? მართლა, ლიუდმილას ვთხოვოთ, პელმენიოვმა „მიატოვა“ და ახლა ცალფად ხომ არ იელის?!

— კარგი იქნება, რაც არ უნდა იყო, ციმბირელია და აქაურობას იცნობს.

მაშ ასე, ჩვენ ჯგუფში მეოთხე წევრი მივიღეთ — ლიუდმილა პელმენიოვა. როცა პელმენიოვა მარშრუტს ატარებდა, მუშას ვაყოლებდით. გეოლოგ-ტექნიკოსს კი ჩემთან ვიტოვებდით და ნიმუშებით სავსე ზურგჩანთას თვითონ ვატარებდით, რადგან ტექნიკოსს ჩვენი ელემენტის საქმენი აპარატი ეყიდა მხარზე.

ერთ დღეს, როცა ყოველგვარი საქმე მოთავდა და დაბნელდა, კოცონთან უცნობი კაცი გვეწვია. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გეოლოგიური პარტიის ყველა წევრი უკლებლივ კოცონთან გამოცხადდა.

— თქვენგან დაახლოებით ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით ქოხი მიდგას და გეოლოგების ცხენების რემას ვმწყემსავ. მიხეილ ტიმოთეს ძე გახლავართ. ისე კი, ყველა იაპონიის ღმერთს მეძახის. არ ვიცი, რატომღაც ავიჩემე ეს სიტყვები ახალგაზრდობიდანვე. სამოცდათვრამეტი წლისა ვარ. თეთრი კვიცი აღარ დადგა რემაში. თავი აიწყვიტა, ბოლოს ლობეს გადმოველო და მეც უკან მოვყევი, ერთი ვნახოთ, სად წავა-მეთქი. დასწყევლის იაპონიის ღმერთი! პირდაპირ თქვენ არ მოგადგათ?!

ბანაიკს განაპირას, მართლაც იდგა თეთრი კვიცი. ბიჭები კვიცს შემოეხვივნენ. კვიცი არც გარბოდა და არც უცხოობდა.

— ძალიან გთხოვთ, უარს ნუ მეტყვიით და ახალი ქურნალ-გაზეთები მათხოვეთ. წავიკითხავ და უკან დაგიბრუნებთ.

— ახალი არა გვაქვს, სამწუხაროდ, — უთხრა ალექსანდროვმა.

— ჩემთვის ახალი იქნება. გეოლოგები უკანასკნელად ორი თვის წინ მეწყვი-

ნენ შეველმფრებით. საქმელი და ჟურნალ-გაზეთები დამიტოვეს და მალე გინახულვებთო, მითხრეს. როგორც ვიცი, აქეთ აპირებენ მუშაობას და ცხენებიც იმიტომ სჭირდებათ.

— ეს რომელი პარტიაა? — ვკითხე იურას.

— რას გაიგებ! — მიბასუხა იურამ და მოხუცს მიუბრუნდა, — მამ ჩვენი გაზეთები თქვენთვის ნამდვილად ახალი იქნება.

— მომეცით, მომეცით, — მოხუცი ლაპარაკს იყო მოწყურებული, — წიგნებსაც თუ შენდობით, კარგს იზამთ. რამდენ ხანს რჩებით?

— დიდხანს, — ალექსანდროვი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი ელემენტის ბედი ამ ბანაკში გადაწყდებოდა.

— ჰოდა, ძალიან კარგი.

— ჩაი მთართვით მოხუცს. ეგებ ცოტას გადაკრავდით? — ჰკითხა იურამ.

— არა, არა ვსვამ. დიდი ხანია არ დამილევი. არც დავლევ, დასწყევლის იაპონიის ღმერთი!

— რატომ? — გაიოცა ალექსანდროვი. — ტაიგაში ცხოვრობთ და არა სვამთ?

— დიახ. ღრმა ტაიგაში უკვე ორმოცდაათი წელია ვცხოვრობ და არა ვსვამ. არც დავლევ. — მოხუცმა მიიხედ-მოიხედდა, დარწმუნდა, რომ ახალ კაცს ყველა ცნობისმოყვარეობითა და დიდი სიამოვნებით უსმენდა, და დაიწყო: დრო თუ გაქვთ და არ გეძინებათ, მოგიყვებით. რატომაც არა ვსვამ. — ჩვენს პასუხს არ დაუცადა, მომინაწკრებული კათხიდან მიწოდებული ჩაი მოხვრიბა და განაგრძო: — რევოლუციამდე ქვანახშირის ქალაქში მწგრეველად ვმუშაობდი. ჯანიც მქონდა, ნგრევაც მეხერხებოდა და დიდი ფული ვიმოვანე. ფული საიმედოდ მქონდა შენახული. ერთხელ ქვანახშირის ქალაქის მეპატრონეს ქალიშვილი ჩამოუვიდა პეტერბურგიდან, ათას ცხრაას თხუთმეტი წლის მაისის ოცდაათში, დალოცავს ღმერთი იაპონიისა იმ დღეს! ერთმანეთი შეგვიყვარდა. ენატლიკინა

ბიკი ვიყავი და ჯანმრთელიც. გუვერან-ტყეში აღზრდილ ქალთან რატომღაც მალე გამოვინახე საერთოდ. მშვენიერად, გამახსენდებოდა თუ არა, შიგნეული მტკიოდა. როცა ვხედავდი, მაშინ კი სულ მაკანკალებდა. ცოლად ვინ გამომაყოლებდა? ავდექით და გავიბარეთ. ტაიგისპირეთში ჩემი ნათესავი ახალ საქმეს იწყებდა და შეგვიამბანაგა. ერთიანი თანხით მარმარილოს ახალი კარიერები გავხსენით. ჩემი მეუღლე კი მუსიკასა და უცხო ენებს ასწავლიდა ვაჭრებისა და მრეწველების შვილებს. ბედნიერად მიდიოდა დღეები, დალოცავს ღმერთი იაპონიისა იმ დღეებს. ერთმანეთი გვიყვარდა, ოქროც ბევრი ვიმოვანეთ, მხიარულადაც ვცხოვრობდით. მერე... მერე რაღაც მოხდა იმ ქალის გონებაში. ვატყობდი, დარდობდა, თუმცა ჩემს დანახვაზე სიხარულის ცრემლით ევსებოდა თვალები. მაინც დარდობდა. გახდა, ცისფერი ალი ჩაუქრა სულში. თვალსა და ხელს შუა შემომამკვნა მინდვრის სანთელი. ვეუბნებოდი: ამ ტაიგაში რას გამოიკეტე, აიღე ოქრო, წადი, ქვეყანა ნახე, მამატიე, რომ ვერ მოგყვები, მაგრამ საქმეს ვერ მივატოვებ-მეთქი. უარობდა: უშენოდ ქვეყანას რა ფასი აქვსო. ამას რომ მეუბნებოდა, მიხაროდა და ხელებს ვუკოცნიდი. სმა მიყვარდა და სასმელი შინ ყოველთვის გამოულეველი მქონდა. ძუნწი არა ვარ, მაგრამ შევატყვე — ბოთლებს ნელ-ნელა აკლდებოდა: ერთხელ, როცა ვკოცნიდი, არყის სუნი მეცა, მაგრამ ვიფიქრე, საზიზღრად ექვიანი ვარ და მეღანდებამ-მეთქი. ბოლოს ვეღარ ფარავდა: სმა დაიწყო. ვემუდარებოდი, ნუ იზამ-მეთქი. თხოვნამ არ გასჭრა. არ მიატოვა ალკოპოლი. მერე თითქოს ძველ კალაპოტს მოუბრუნდა ცხოვრება. დავშოშმინდით, დავწყენარდით. ერთხელ, შინ რომ დავბრუნდი, მახარა, ალბათ, მალე მილიონერი გახდებითო, უამრავი შემოსავალიაო. ერთხელაც, დასწყევლის იაპონიის ღმერთი იმ დღეს, შინ არ დამხვდა. ვიფიქრე აქვე, დაბაში, სადმე სტუმ-

რად წავიდოდა-მეთქი. აღარ დაბრუნებულა! რა არ მოვიმოქმედე, სად არ ვეძებე, სად არ ვაფრინე ჩემი კაცები, ვერსად ველარ ვნახე. შინაც არ მიბრუნებულა პეტერბურგში. დაიკარგა და დამიკარგა მოსვენება. ახლაც ასე მგონია, კარს შემომიღებს-მეთქი. დავკარი ფეხა და ღრმა ტრიგაში გადმოვბარგდი საცხოვრებლად. ადამიანების დანახვა აღარ შემეძლო. სიმარტოვეს მივეჩვიე. მერე რევოლუცია მოხდა და აი, უკვე ორმოცდაათი წელია აქ ვცხოვრობ. არცა ვსვამ და არც დავლევ. ჰირის ღღესავით შემძულდა არაყი. დასწყევლის იაპონიის ღმერთი!

— გაგქურდათ? — დაარღვია სიჩუმე ვილაკამ.

— როგორ გეკადრებათ! ერთი თუმნიანიც კი არ წაუღია.

— აბა სად გაიქცა უფულოდ?

— რა ვიცი. თავი შეგაწყინეთ. ძილის დროა. თქვენ, ალბათ, შავ კლდეებს ეძებთ, არა? ამ უბანში ვინც ჩამოდის, ყველა შავ კლდეებს ეძებს. თქვენი გეოლოგიური პარტია ოქროზე მუშაობს? — მოხუცი მიხვდა, რომ ალექსანდროვი იყო ჩვენი უფროსი.

— ჰო, დაახლოებით, — უპასუხა ალექსანდროვმა.

— შავი კლდეები უნდა იპოვნოთ.

— რა შავი კლდეები? — ვკითხე მოხუცს.

— ღმერთო იაპონიისავე! შავი კლდეები არ გაგიგონიათ? გაიოცა მოხუცმა. — აბა შემდეგ ჩამოსვლაზე მოგიყვებით. ახლა გვიანია. ვიდრე მე და ჩემი კვიცი უკან დავბრუნდებით, ალბათ, თავზე დავათენდება კიდევ.

— რატომ? კვიცი მიგიყვანთ.

— კვიცზე ვერ შევკდები, ცოდოა, — თქვა მოხუცმა, კათხიდან გაციებულნი წყალივით დალია, დაკვეშმვიდობა, ყურნალ-გაზეთები და წიგნები იღლიაში ამოიჩარა და წავიდა.

— ჩვენი კარი თქვენთვის ყოველთვის ღიაა! — მიძახა ალექსანდროვმა.

— გმადლობთ, ვისარგებლებ თქვენი სტუმართმოყვარეობით.

— ძალიან გთხოვთ, კიდევ მოჩვედით, საქმე მაქვს, — წამოვეწიე მოხუცს.

— ვეცდები. ისე კი, თუ გაგიჰირდეთ, მინატრეთ და თქვენთან გავჩნდები, — გაიღმა მოხუცმა, — ზღაპრებს ხომ კითხულობთ.

— დიდი ხანია აღარ წამიკითხავს.

— არა უშავს. ოჯახში დაბრუნდებით და შვილები არ მოგასვენებენ.

— ცოლ-შვილი არ მყავს.

— ეგ ვერ არის კარგი საქმე. დასწყევლის იაპონიის ღმერთი, შეიღია საკირო, ცხოვრებას გაგილამაზებს. კარგი ცოლიც არ არის ურიგო საქმე.

— ჩვენთან ხომ არ გაათენებდით?

— არა. ცხენები გრძნობენ შინ რომ არა ვარ და შფოთავენ.

თეთრი კვიცი ძალივით გაიგდო წინ მოხუცმა. ტრიგაში ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. თეთრი კვიცი კი მხოლოდ მისთვის ცნობილი ბილიკებით ბრუნდებოდა შინისაკენ და თან მიჰყავდა კეთილი, უბედური, ჰევიანი და მარტოხელა მოხუცი, ღმერთივით. „იაპონიის ღმერთივით“ მარტოხელა ბერიკაცი.

ალექსანდროვმა სისხამ დილით დაახლოებით ექვს საათზე დააფეთიანა ბანაკი. ზოგს კარვის კალთა აუქცევა, ზოგი საძილე ტომრიანად გამოათრია გარეთ, ზოგსაც უყვირა. ძალიან ძნელია ალექსანდროვთან მუშაობა. თვითონ კაცივით ჯანმრთელია, ცოტა ძილი ჰყოფის, შეუძლია მთელი დღით მშვიერ-მწყურვალმა იხეტილოს, მარშრუტის დროს არც ისვენებს. ამასვე მოითხოვს გეოლოგიური პარტიის ყოველი წევრისაგან. ხანდახან უხეშიც კი არის ხოლმე ეს „სანქტ-პეტერბურგელი“, ისე ღრიალებს, თითქოს თავის სიცოცხლეში არც ერთი მუსიკალური ბგერა არ გაეგონოს. ნიჰიერ ბავშვთა მუსიკალური ათწლედი კი ხუთიანებზე დაამთავრა. საქმეს ოდნავ ზიანი თუ მიაყენა, არავის დაინდობს. ძალ-ღონე თუ ვინმემ დაინანა, მიწასთან გაასწო-

რებს. პელმენიოვი, ეს პირქუში ციმბირელი, ასწორებს ალექსანდროვის მიერ ხანდახან კატასტროფამდე მიყვანილ საქმეს თუ ურთიერთდამოკიდებულებას. პელმენიოვი გამგებინა და რბილი ადამიანია, თუმცა ისიც საკმაოდ მომთხოვნი და სამართლიანად მკაცრია. ბევრ გეოლოგიურ პარტიას ესტუმრებივარ და ასეთი შეხმატბილებული მმართველობა არსად მინახავს. ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ექსპედიციებში უფრო ხშირად სხვადასხვა ხასიათის, წლოვანების, განათლებისა და მორალური სახის ადამიანები ერთიანდებიან. ახლა პელმენიოვი საიდუმლო ჰაბურლილთან ცხოვრობს და ალექსანდროვმაც დრო იხელთა. უკვე მთელი კვირაა თავის ჰუკუაზე გვათამაშებს, არ გვასვენებს, თვის ბოლომდე ცოტადა დარჩაო, სულ ასე გაიძახის და პირადი მაგალითით გვახსენებს.

საუზმის შემდეგ ბიჭებმა კიდევ ერთხელ შეამოწმეს ზურგჩანთები და საძიებო აპარატურა. მერე მუხლუხობში ჩავსხედით. მუხლუხას განსაზღვრულ ადგილამდე მივყევართ. მარშრუტის შემდეგ, შებინდებისას წინასწარ დათქმულ ადგილას ვხვდებით და ისეც შინისაკენ მოვემგზავრებით. პირველ მუხლუხას ალექსანდროვი ხელმძღვანელობს, მეორეს — მე. პელმენიოვი უფრო საძიებო სამუშაოებს ეძალემა. პრაქტიკული კაცია: თხრილებს, შურფებსა და ჰაბურლილებს უფრო ენდობა, ვიდრე ტაიგაში ძლიერ იშვიათ გაშიშვლებებს (გეოლოგები ასე ხეობებში ან მდინარის ნაპირას გამომხეურებულ ქანებს უწოდებენ).

სამ ადგილას შევაჩერე ჩვენი მუხლუხა. სამივე ჯგუფს კიდევ ერთხელ განვუმარტე დავალება და ჩემთვის საინტერესო ხეობისაკენ გავემგზავრეთ. შოფრის გარდა, ოთხნილა დავრჩით: მე, ლუდმილა პელმენიოვა, გეოლოგ-ტექნიკოსი და მუშა. სამუშაო რაციონალურად გვანაწილეთ. მე ნიმუშებს ვტეხდი და კვარნახობდი. ლუდმილა იწერდა დღიურს, ტექნიკოსი აპარატით ელემენტის შემც-

ველობას ზომავდა და ინიშნავდა, მუშა ნიმუშს ახვევდა და ზურგჩანთაში ინახავდა. ზურგჩანთა თუ მსაზრველად დებოდა, მუხლუხამდე თრევაში მეც ვეხმარებოდი. მარშრუტის მერე, მუხლუხამდე როგორც კი მივალწევთ, უკვე შინ გვგონია თავი, თუმცა ერთი ოცი-ოცდაათი კილომეტრი კიდევ უნდა ვიჯაყყაყოთ. ამ დროისათვის ისე ვიღლები, რომ ეს ჯაბახანა ტანკი კეთილმოწყობილ საზიდარად მეჩვენება.

— მოვედით, — თქვა ლუდმილამ, რუკა დაკეცა და მუხლუხას შოფერს ანიშნა, გააჩერეო. გადმოვედით.

— ხომ არაფერი დავრჩათ? — გვკითხა შოფერმა.

— არა.

— ნასოფლარ დათვისჯვართან დაგელოდებით, — შეგვახსენა შოფერმა.

— წინა ჯგუფები, ალბათ ჩვენზე ადრე მოვლენ, — თქვა მოწყენით მუშამ, მაგრამ მუხლუხას შოფერს აღარაფერი ესმოდა. მუხლუხა გრუხუნით გაბრუნდა უკან და მალე თვალს მიეფარა.

ხეობაში, მართლაც, ბევრი გაშიშვლება იყო და მარშრუტი დაძაბული, დამქანცველი და ძნელი აღმოჩნდა. ყველა ისე გავერთეთ, რომ პირბადის ჩამოშება დაგვაიწყდა და კოლოები გაოფლიანებულ სახეზე ბომბდამშენი თვითმფრინავებვით წუილით გვაწყდებოდნენ.

— ვერ მივეჩვიე ამ პირბადეს! — წუწუნებდა ლუდმილა.

მოულოდნელად ხეობა ორად გაიყო. ეს გარემოება რუკაზე აღნიშნული არ იყო და ამიტომ იძულებული ვავხდით ჯგუფიც ორად გავგვეყო. ამით დროს მოვიგებდით და მეორე ხეობაში უკან ჩამობრუნება ამ გაყოფის წერტილამდე აღარ დაგვკირდებოდა. ეს გზასაც გავვიდიდებდა, რადგან მარშრუტი წყალგამყოფი მწვერვლიდან ქედ-ქედ უნდა გავვეგრძელებინა. გეოლოგ-ტექნიკოსმა ინიციატივის გამომქდევნება მოისურვა და გეთხოვა, ერთ-ერთ ხეობაში გაშიშვლებებს მე აღვწერ, თუ მუშას გამაყო-

ლებთო. ტექნიკოსი საკმაოდ გამოცდილი კაცი იყო, ვანდეთ მარშრუტი და მუშაც გაეფაოლეთ. ელემენტის საზომი აპარატი ტექნიკოსმა არ დაგვანება, სამაგიეროდ შლიხების სარეცხი ხონჩა და ცარიელი ზურგჩანთა ვადმოგვივდო. საქმელი ძმურად გავიყავით და შევთანხმდით, დაახლოებით ოთხ საათზე წყალგამყოფის მწვერვალზე შევხვედროდით ერთმანეთს.

ბევრი ვიწვალეთ. განსაკუთრებით პატარა-პატარა, ასე ხუთი-ექვსი მეტრის ჩანჩქერების დაძლევა გვიჭირდა. ხავსზე ფეხს ვერ ვიკიდებდით. რამდენჯერმე წყალშიაც მოვადინე ზღართანი, რაზედაც ლუდმილამ ბევრი იცინა. თვითონ კი ქურციკივით ხტებოდა ქვიდან ქვაზე, ისე, რომ ფეხიც კი არ დასველუნია.

— ალბათ, უკვე გავიარეთ ორასი მეტრი. მოდი, აქ შლიხიც გავრეცხოთ და ვისაუზნოთ კიდევ, — ვიღრე პასუხს მიიღებდა, ლუდმილამ ზურგჩანთიდან ხონჩა ამოიღო და ღელის პირას ჩაცუქქდა. მდინარის შლამი მარჯვედ მოათავსა ხონჩაზე და საცერივით აათამაშა. დასცხა. ეგრე მკლავები დაიკაპიწა. მერე საკინძეც შეიხსნა. „ეს რა ლამაზი ქალი ყოფილა!“ — გავიფიქრე უნებურად. დღიურის წერა ახლა მე მევალებოდა და „შავი ფიქრებისთვის“ გზა რომ დამეხშო, ბლოკნოტი გადავშალე. თუმცა ბევრი ვერაფერი ჩავწერე, რადგან ლუდმილას ვუცქერდი. ლუდმილა ისევ ხონჩას ათამაშებდა და პერანგქვეშ ჩამწყვდებული მკერდი შალითაში დამალული ბურთებივით აქეთ-იქით აწყდებოდა. „რა მემართება? ვის ვუყურებ? რას ვფიქრობ?“

ლუდმილა გამადიდებელი ღინზით შლიხს ათვალიერებს და მკარნახობს. ვწერ, მაგრამ ვერაფერს ვხედავ. — „რას ვფიქრობ? რატომ? რატომ?“

— ოქრო! — ყვირის ლუდმილა, — ოქრო! ოქრო!

კარგი თვალი აქვს ლუდმილას, საქმის კარგი მცოდნეც არის. ოქრო გამოეპარე-

ბა?! ლუდმილამ შემომხედა და რამ წამსვე შეაშრა ალტაცება სახეზე.

— ოქრო, — თქვა მერე — მშვენიერად და დამაკვირდა.

— მე ზუსტად აღწერე შლიხი. რაც მიკარნახე, სიტყვა არ მომიკლია, ყველაფერი ჩავწერე. მაგრამ რასაც ახლა ვფიქრობ — ლალატია! — ვეღარ დაეფარე.

— ისეთს რას ფიქრობ?

— არაფერს... შენზე ვფიქრობ, ლუდმილა, შენზე და კიდევ...

— გურამ! — შემაწყვეტინა ლუდმილამ...

ლუდმილა თვალეზში შემომცქერის. მივუახლოვდი და თავზე ხელი გადავუსვი. არც განძრეულა. ჩუმად არის და ისევ შემომცქერის. შევატყე, ერთხანს შემოფოთდა, მაგრამ მალე დამშვიდდა ისევ. არავითარი გავლენა არ მოახდინა ჩემმა გულახდილობამ. ვიციოდი, ამ რაიონში ოქრო რომ იყო. ალბათ, ლუდმილამაც იცოდა, ქალაქსა და ქალებს მშორებულნი მამაკაცი ოდესმე, ერთხელ მაინც რომ გაიღვიძებდა ჩემში.

— ეს ლალატია. ეს უკვე ლალატია... მე კი ვიცი, მოლაღატე რისი ღირსიც არის! — უაზროდ, გაშტერებული ერთსადაიმავეს ვიმეორებდი. თვალს კი მაინც ვერ ვაცილებდი.

ლუდმილას გაეღიმა. პერანგი შეიკრა, სახელოებიც ჩამოიწია, დამქამეს კოლონებშაო, და დღიური გამომართვა.

— აქ ყველაფერი ზუსტად ჩავიწერია. ესე იგი გეჩვენება... ლალატი არა, ის არ გინდა? — მითხრა ლუდმილამ და საუბრე ამოალაგა.

ჩავიმუხლეთ.

პირველი ლუქმა ძლივს გადავყლაპე. არ გადადის ყელში არაფერი. — ჰამე, ჰამე, წინ ძნელი გზაა, — მამხნევეებს ლუდმილა.

საოცარი ქალია ლუდმილა პელმენიოვა. ყველაფრისათვის ჰყოფნის დრო. კობტად და ლაზათიანად იცვამს, მარშრუტებზეც კი ყოველდღე სხვადასხვა შარვალი და პერანგი აცვია. ეს ექსპედიციის ყველა წევრს აიძულებს თავს მი-

ხედოს. ვეღარ ამბობენ დალილი და მოუცელი ვართო, რადგან პელმენიოვა ყოველდღე დადის მარშრუტებზე, ყველაზე მეტს მუშაობს მარშრუტის შემდეგაც, ქმარსაც სამავალითოდ უვლის და კარავიც დასუფთავებული აქვს. ყოველთვის არის გეოლოგიურ პარტიაში კენჭისყრის გარეშე ამორჩეული „დედოფალი“ ან „მოახლე“, „თეთრხელება მზეთუნახავი“ ან „გაპირვების ტალკვისი“. ლუდმილა პელმენიოვა ჩვენი გეოლოგიური პარტიის მფარველი ანგელოსია, მზრუნველი დედაა — თუმცა ოცდაოთხი წელი ახლახან შეუსრულდა. კარგია თუ გეოლოგიურ ექსპედიციაში ასეთი ქალი აღმოჩნდება. თუმცა ასეთი ქალი ყველა დაწესებულებაშია საჭირო.

— გაგიტდება მიშა პელმენიოვი, ოქროს რომ ვუჩვენებთ.

— არაფერიც არ მოუვა. ჩვენ ყველამ ვიცოდით, აქ ოქრო რომ იყო.

— რატომ არ გვითხარით?

— რა ვიცი. იურამ თქვა, საჭირო არ არისო.

— მესმის, მესმის. ალბათ სწორია. ალბათ კი არა, ასეა საჭირო.

უცებ ტყიდან ტოტების ლაწა-ლუწი და ხმაური მოისმა. ლუდმილა შეერთანის იყო ნაგანის ამოღება ძლივს მოვასწარი, რომ ხეობის გაღმა ბუჩქებიდან იაპონიის ღმერთი გამოძვრა.

— გამარჯობათ! — შორიდან შემოგვძახა მოხუცმა.

— გაგიმარჯოს. აქ რას აკეთებთ?

— დაგვეწვიეთ, ერთად ვისაუბროთ,

— სთხოვა ლუდმილამ.

— არა, გმადლობთ, ახლახანს ვქამე პური. თეთრი კვიცი დამეკარგა. ხომ არსად შეგხვედრიათ?

— ამ ხეობაში არ უნდა იყოს.

— აბა, სად ჭანდაბაშია, დასწყევლის იაპონიის ღმერთი!

— არ შეგხვედრია, — გავუმეორე მოხუცს და ვთხოვე ჩაემხლა.

მოხუცი ჩამოჭდა, ჭიბიდან თუთუნნი ამოიღო და გაზეთში გაახვია.

— ხომ არ მოსწევთ? — შემოგვთავაზა.

— არ ვეწვიეთ. — ვუბახუხე ლუდმილას მაგივრადაც.

— კარგია, თუმცა ამ თამბაქოს ვერც მოსწევთ. ძალიან მაგარია. საგანგებოდ ვყიდულობ.

— შორს წამოსულხართ.

— თქვენ კი სწორი მარშრუტი ამოგირჩევიათ. ახლა მივხვდი, რასაც ეძებთ.

— მაინც რას? — ჩაეკითხა ლუდმილა.

— ალბათ, ოქროს. აბა, რატომ წამოხეიდოდით შავი კლდეებისაკენ, თუმცა თქვენ შავი კლდეების ამბავი არ იცით. არა?

— გვიამბეთ, თუ გცალიათ, — თქვა ლუდმილამ.

— თუ თქვენცა გცალიათ, შეიძლება.

— მოხუცი მოხერხებულად დაჭდა. ლუდმილა ფეხთით მიუჩოჩდა. მე ზურგჩანთას მივეყარდენი.

— ძველად ამ ადგილებში დუღდა და გადმოდუღდა სიციცხლე. ყველაზე მდიდარი და საქვეყნოდ სახელგანთქმული ოქროს მადებლები სწორედ ამ ახლომახლო სანახებში რეცხავდნენ ქვიშასა და მდინარეთა შლამს. ვისაც გაუმართლა, ზღაპრულად გამდიდრდა, ვისაც არა და, — თავს უშველა. იყო მათ შორის ერთი მელა თუ ცომბირის ტურა, აღარ მახსოვს რას უძახდნენ, გლებ სიმეგინი. სიმეგინმა, რაც ოქრო ჰქონდა, ახალი ადგილების ყიდვასა და სარეწების მოწყობას მოახმარა, მაგრამ არ გაუმართლდა. გაკოტრდა. აქაურობა მაინც არ მიატოვა და წყალწალღებულებით ხავსს ეჭიდებოდა. სადღაც შავ კლდეებთან მინერალური წყლები აღმოაჩინა. ტაიგისპირეთიდან, სადაც მე ვმუშაობდი, თეთრი და შავი მარმარილოს აბაზანები ამოატანინა და სააბაზანოები მოაწყო ღრმა ტაიგაში. მერე ხმა დაყარა, ყოველგვარ ავადმყოფობას ვარჩენო. ეს ადგილი მალე ოქროს სარეწების მფლობელთა დროსსატარებელ ადგილად გადაქცეულა. მინერალური წყლები, მართლაც, შველოდა რევატიზმს, კუჭის აშლი-

ლობასა და კიდევ რაღაც ავადმყოფობებს. მაგრამ ესეც არ იქმარა სიმაგინმა. ირკუტსკიდან, ომსკიდან, ყაზანიდან ლამაზი ქალები ამოაყვანიან ხელქვეითებს. ერთი სიტყვით, პატარა ბორდელი გააჩალა. თითქმის მთელ მონაპოვარს აქ სტოვებდნენ ოქროთი მოვაჭრენი, ისეთი ქალები შეერჩია გლებ სიმაგინს. ხომ წარმოგიდგენიათ, დასწყევლის იაპონიის ღმერთი, აყვავებულ ტაიგაში თეთრი და შავი მარმარილოს აბაზანები. შორი შორს, ისე რომ ერთმანეთს ვერა ხედავდეთ, ხისგან აშენებული არხებით წყალს ყველგან ერთნაირად აწოდებდა მერე ნელ-ნელა გადახურა აბაზანები, მერე სასადილო ააშენა, მერე — სასტუმრო, მერე — მეორე სასტუმრო. ძალღებოვით ამუშავებდა აქაურებს, მაგრამ ერთი გარემოება უშლიდა ხელს. მოჭიფიფებს გუნებას უფუჭებდა, აღარ მახსოვს... მგონი, შავი კლდეების ძირში მაცხოვრებელი ორი სოფელი. რაღაც მოხეტიალე ხალხი იყო. ესენი მთვარეულებს ეძახდნენ, რადგანაც ზმირი თაბრუსხვევები და ხილვები აწუხებდათ და...

— რა აწუხებდათ? — ვიკითხე მშვიდად, თუმცა გულმა ისეთი ბაგა-ბუგი დამიწყა, რომ ლუდმილამ უცნაურად შემომხედა და წამოჯდა.

— რაღაც თაბრუსხვევები და ხილვები ჰქონდათ, დასწყევლის იაპონიის ღმერთი, რას არ გაიგებს კაცი. დიდხანს არაეინ ცოცხლობდაო, საშუალო ასაკამდე ძლივს მიაღწევდნენ ხოლმეო. გამხდრები, გაძვალტყავებულები იყვნენო, მათხოვრობდნენო და მდიდარ ვაჭრებს სულს უწუხებდნენო. გლებ სიმაგინმა სოფლები გადასწვა და სოფელები შორს გადასახლა.

— ლუდმილა, გესმის რას ამბობს? — ლამის გული გამისკდეს უეცარი „ნობათისაგან“.

— ხალხი რას არ მოიგონებს, — ამბობს ლუდმილა და ზურგჩანთას ალაგებს.

— მოგონილი არაფერი გეგონოთ.

რაც გიაშბეთ, ნაღდი ამბავია, მხოლოდ აი ამდენი ხანია აქა ვერცხუდუ ღრც ნასოფლარი, არც არხები, არც აბაზანები არსად შემგვედრია. საოცარია, იაპონიის ღმერთმა, ნეტავ სად გაქრა ყველაფერი?

— ეს რა კეთილი საქმე გაუქვთებია სიმაგინს უნებურად? მაგრამ სად არის ის სოფლები თუ ნასოფლარი? დარჩა კი რაიმე ნიშანი? ხარბმა სიმაგინმა შეუგნებლად იხსნა ორი სოფელი და ყველაფერი ცეცხლს მისცა. მე კი უნდა ვიპოვო ჩემი ძმების ნასახლარი, ფერფლი ან რაიმე ნარჩენი. ღმერთმა ნუ ჰქნას, მაგრამ თუ ჩვენ ერთი და იგივე ხილვები გვაწუხებდა, საბადოს ბედი გადაწყვეტილია.

— მაინც რას ფიქრობთ, საით იყო ის სოფლები?

— არ ვიცი. რაც არ ვიცი, არ ვიცი. — მოხუცი წამოდგა, — ის თეთრი კვიცი სადღა გადაძალა იაპონიის ღმერთმა? არ მოდიხართ? — გვკითხა მერე.

— მოვდივართ. — უპასუხა ლუდმილამ და გადმოიხედა.

ხეობა უზმოდ ავიარეთ. წყალგამყოფზე ტექნიკოსი და მუშა გვიციდიდნენ.

— ჩვენი ელემენტის შემცველობა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება, — მომახარა ტექნიკოსმა.

— ვიცი, — ვუპასუხე ისე მშვიდად, რომ ტექნიკოსი გაოცდა.

— კი მაგრამ, საიდან? აპარატი ხომ მე მქონდა.

— სამაგიეროდ ჩვენ იაპონიის ღმერთი გვფარავს.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — მიესალმა მოხუცი ბიჭებს. ის ყველას „ბიჭებს“ ეძახდა.

მეტი აღარ გვისაუბრია. ქედ-ქედ გავუყვიეთ ნასოფლარ დათვისჯვრისკენ.

— ეს სოფელი ორჯერ დატბორა, — გვითხრა მოხუცმა, — იმიტომ გადასახლდნენ აქედან სოფელები.

— როდის? — იკითხა ლუდმილამ.

— რამდენიმე წელია. სახლები დაშალეს და მასალა თან წაიღეს.

ნაომარსა და გადამწვარს ჰგავდა ნა-
სიფლარი. ალაგ-ალაგ მხოლოდ ღუმე-
ლის მიღები იყო შერჩენილი.

მუხლუხაში მხიარულად შეგვხვდნენ.
ჩავსხედით თუ არა, ყველა თავისას მოჰ-
ყვა. არაფერი გამიგია. ვერც გავიგებდი.
საშინელმა დამთხვევამ გონება გამიყინა.
ახლა მკირდება იურა და პელმენიოვი.
საუბარი გულახდილი იქნება. მოხუცს
ვთხოვე და ისიც ბანაკში გამოგვყვა.
„იაპონიის ღმერთი“ ჩემს გვერდით უნ-
და იყოს. ორივენი ერთად უტყუარ სა-
ბუთებს წარვუდგენთ მმართველებს. რა
იცით, რა გელით იური ალექსანდროვ და
მიშა პელმენიოვ! ჩემს მხარეს იაპონიის
ღმერთი, საშინელი ავადმყოფობა და სა-
ბადოს ბედ-იღბალია.

— ცუდად ხომ არა ხარ? — მკითხა
ლუდმილამ.

— ასე კარგად არასოდეს ვყოფილ-
ვარ. მხოლოდ შენი ქმარი მკირდება
სასწრაფოდ.

— რა დროს ხუმრობაა?

— მართლა, მართლა, ლუდმილა, და
რაც შეიძლება სასწრაფოდ.

— ტრიუმფირატი იკრიბება?

— განაჩენი, ალბათ, საბოლოო იქნე-
ბა!

ლუდმილამ მუხლუხა შესაფერ ადგი-
ლას გააჩერებინა და პელმენიოვთან მუ-
შა აფრინა. მერე გზა განვაგრძეთ.

ბანაკს რომ მივუახლოვდით, ბნელო-
და. ალექსანდროვის მუხლუხა ადგილზე
იდგა და ბიჭები კოცონთან გველოდნენ.

მუხლუხადან გადმოვხტი. ალექსანდ-
როვისკენ გავიქეცი. ლუდმილაც უკან
გამომყვა. მერე კი უეცრად მოხდა ყვე-
ლაფერი...

„კოკისპირულად წვიმდა. წელამდე
წყალში ვიდექი. საშინელი ღვარები მო-
დიოდა ყოველი მხრიდან. წყალი ყინუ-
ლივით ცივი იყო. დაბურული ტაიგა
დამხრჩვალყო, ვედარ სუნთქავდა.
წყალდიდობას ყველაფერი დაეებოდა.
წყლის მოძრავ ზედაპირზე უცნაურად
ირეკლებოდა წყალში ჩარჩენილი ნაძვე-
ბი. წყალი მოძრაობდა მხოლოდ. ნაძვე-

ბი კი გაშეშებულიყო. ერთი რტოც კი
არ ინძრეოდა. მაგრამ თუ წყლის ზედა-
პირს დახედავდი, ქარიშხლისაგან დარ-
ბეულივით ბარბაცებდა ტაიგა. მე მივ-
დიოდი წინ, მზისკენ. ნაბიჯი მსუბუქი
და ნელი იყო. წყალში მკერდამდე ჩამდ-
გარს წონა მეკარგებოდა და ხშირად
ვბორბოკობდი. უცებ გაშლილ, ტრიალ
ყურეში აღმოვჩნდი. პატარა ბორცვიც
შევნიშნე. ბორცვი წყლიდან ამოშვერი-
ლიყო და ერთადერთი დამსხვრეული ხე
იდგა შუაგულში. იქითკენ გავეშურე.
დავიღალე და ნელ-ნელა მივლასლასებ-
დი. კუნთები გამეყინა და ძლივს და
ვმოძრაობდი. როგორც იქნა, ბორცვზე
ავბობლდი. ზურგზე გავიშხლართე. ბორ-
ცვი ყინულისა იყო, მაგრამ შუაგულში
ამოწვდილი ხე სულ გადამწვარიყო.
დანახშირებულ ტოტებს ოდნავ შესამჩ-
ნევი კვამლი ასდიოდა. უცებ ერთ-ერთ
ტოტზე შავი ყორანი შემოჰდა და თვა-
ლი ჩამიკრა. ყორანი ჯერ გათეთრდა და
მერე ჰალარა კუდიან დედაკაცად გადა-
იქცა. თავი ჰქონდა დედაკაცისა, თორემ
ტანი ისევ ყორნისა იყო.

— ადინანჯალავ, ხიდს გახველო? —
მკითხა დედაკაცმა.

— გაველ და თვალები კი არ დაგთ-
ხარე-მეთქი! — მივუგე.

— რა ჰქენ, როდის ჩაძაღღებები?
— ისევ მკითხა.

— ვერ მოვსწრები-მეთქი, — ვუპა-
სუხე, — კიდეც დაგკირდება მოცდა.

— ვითომ რატომაო?

— საქმეები მაქვს-მეთქი.

— კიდეც რატომაო?

— ახლა უკვე ყველაფერი დავაზუსტე
და რა დროს სიკვდილია-მეთქი?

— კიდეც, კიდეც რატომაო?

— დედაჩემს ვეკიბრები, მეტი სიმწა-
რე აღარ უნდა ნახოს-მეთქი.

ეს რომ ვუთხარი, გაფრინდა, ის ხეც
გაქრა, ის ბორცვიც და ისევ გაყინულ
წყალში მოვადინე ზღართანი“.

— ამას თუ ვუცქირეთ, ხელში შემო-
გვაკვდება! — მომესმა პელმენიოვის
ხმა.

- რომელი მუხლუხათი გავგზავნოთ?
- იკითხა ალექსანდროვმა.
- „დედაშენს ძუძუ ასტივდა!
- ვიცი, წამიკითხავს ეგ ზღაპარი.
- მაშ არ გეშინია?
- რისა?
- სიკვდილის?
- ვერ მოესწრები-მეთქი, აკი ვითხა-რი.

— მერე რა ძნელია ახლა შენთვის ლოვინად ჩავარდნა. ბოლოსდაბოლოს, ჩამოდის შენი წილი ქალი.

- ვინ ჩამოდის?
- ინკა-მდივანი, პატარა, ლამაზი, სულელი ინკა-მდივანი.

— ინკა სამუშაოდ ჩამოდის.

— მერე რა ძნელია ახლა შენთვის სიკვდილი. ნატაშა ბიჭს გაგიჩენს.

- ნატაშა... ნატაშა...
- დედაშენს ძუძუ ასტივდა.
- არ ვანახებ დედას სიმწარეს. ერთი დღით მაინც ვაჯობებ.

— მერე გვერდით მოუწევები?

— ვერ მოესწრები, ბებერო, ცდა დიდხანს დაგვირდება. თუ მართალი ხარ და ბიჭიც გამიჩნდა, რაღა მომკლავს მერე.

— რა და თეთრი მარმარილოს აბაზანა.

— კარგია რომ გამაფრთხილე, აღარ ჩავწევები აბაზანაში.

წამოვდექი, გავიქეცი. წინ ცეცხლმოდებული დაკიდული ხიდი დავინახე. ეს ხიდი ღრმა უფსკრულზე იყო გადაებული. დავკარი ფეხი და გადავევლე.

— აღიხანჭალავ, ხიდს გახველო? — წამომეწია ჩახრინწული ხმა.

— გაველ და თვალებიც კი არ დავთხარე-მეთქი! — მივუხე კუდიან დედაბერს... —

მუხლუხა გრუხუნებს, ჭაყყაყებს, მიბობლავს, მალე შევეულმფრენის ხმა გავიგონე. ესე იგი, ცუდად არის ჩემი საქმე, რადგან ასეთი ზომები მიუღიათ. შევეულმფრენს საგანგებო შემთხვევებში გამოვუძახებთ ხოლმე და ისიც ზუსტად ჩამოჭდება აღნიშნულ მინდორზე.

თავი წამოვწიე, ეს იყო და ეს, რისი გაკეთებაც შევძელი, წოლა-მერჩენა. ბიჭებმა ფრთხილად ამწიფს და შევეულმფრენისაკენ წამიყვანეს.

— დაუკავშირდით შაქინოს? — იკითხა პელმენიოვმა.

— უკვე გველიან, — უპასუხა მფრინავმა.

— რა მოხდა ისეთი, შევეულმფრენი რომ გამოვიძახიოთ?! — ვიკითხე მშვიდად, ვითომ აქ არაფერიყო.

— იწეჭი, იწეჭი... — პელმენიოვმა მხარზე დამადო ხელი.

— არსადაც არ წავალ, — წამოდგომა დავაპირე.

ბიჭებმა ძალით ჩამსვეს შევეულმფრენში, კარიც საიმედოდ ჩარაზეს და მიწას მოვწყდით. ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ დაპატარავდნენ ბიჭები და მუხლუხა, მერე პატარა აეროდრომიც წერტილს დაემსგავსა. ტაიგა ზღვასავით დელავდა, უფრო სწორედ დაპურებულ ყანასავით ლივლივებდა.

მფრინავმა გადმომხედა. შემატყო, კარგად რომ ვიყავი და გამეხუმრა:

— უკან ხომ არ მოვბრუნებულაიყავით?

— დასალევი გეჭნება.

— სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას არა ვსვამ.

— ისე მაინც რამდენის დალევა შეგიძლია?

— შეიდასი — რვაასი.

— ოპო?

— არა გჯერა?

— მოატრიალე ეს ჯაბახანა და პირდაპირ ბანაკის თავზე დამკიდე, თორემ გადახტები, იცოდე.

— უნდა დაისვენო. არ გაწყენს. დიაგნოზს მაინც დავისვამენ.

— დიაგნოზი მოსკოვში ვერ დამისვეს და შაქინოში ვითომ რა ექიმები არიან ასეთი? თანაც დღე-დღეზე სამინისტროდან კომისიას ველით.

— მე ბრძანებას ვასრულებ.

„ვიცი, ვიცი, კარგო კაცი, ბრძანება შენთვის მთავარია! ბრძანება კი არა, ჩე-



მი სიყვარული გამოძრავებს ახლა და კურსს ვერაფერი შეგაცვლევინებს. რამდენჯერ დაგვირღვევია წესრიგი, რამდენჯერ გადაგვიბრუნებია ბრძანება? საქმეს რომ სჭირდებოდა, ბრძანებაც შეგვიცვლია და კურსიც. ერთი ხანობა სულ ჩვენს ქუთაზე დავაქროლებდით ამ „კალიას“. მაგრამ ახლა „ბრძანებაო“, იმიზეზებ. დავიჯერო, ასე გეშინია უფროსისა?! არა, კარგო კაცო. ვიცი, რისაც გეშინია“.

— მოაბრუნე, რომ გეუბნები!

— ცოტაც მოითმინე და შაკინოში დაებრძანდებით.

შვეულმფრენი ნელ-ნელა ძირს ეშვებოდა. აეროლორში შაკინოს რაიკომის მდივანი დაგვხვდა შავი „ვოლგით“. ამ ადგილებში „ვოლგით“ სიარული წელიწადში მხოლოდ ოცდაათ-ორმოც დღეს შეიძლება. დანარჩენ დღეებში ისეთი თოვლია, რომ ორხიდიან მანქანებს მარხილში შებმული ცხენი სჯობია, ანდა სულაც თხილამურებით სირბილი. მაგრამ შაკინოს რაიკომის მდივანმა სწორედ ამ დღეებისათვის მოითხოვა „ვოლგა“ და მიიღო კიდევ. წელიწადში ოცდაათი-ორმოცი დღე შავ „ვოლგაში“ იჯიმებოდა ეს პატარა კაცი. საქმე კი, მართლაც საათივით აქვს აწყობილი. ალბათ, ამიტომაც აღარ ახევენინებს და პირველსავე მოთხოვნაზე გამოუგზავნებს მანქანა.

— ამაღამ ჩემთან უნდა ვაათნოთ, — ბრძანების კილოთი მოთხრა რაიკომის მდივანმა, — ხვალ კი ჩემი „ვოლგით“ (ამ უკანასკნელ სიტყვებს ხაზი გაუსვა) ცენტრში გაგზავნით.

— გამარჯობათ.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, — დაიმორცხვა მდივანმა, — თქვენი სახელი და მამის სახელი, თუ შეიძლება.

რაიკომის მდივანმა ძალიან კარგად იცოდა ჩემი სახელიც, მამის სახელიცა და გვარიც, მაგრამ ვალში არ დამრჩა.

— უბრალოდ, გურამი დამიძახეთ, პატივცემულო ვსევოლოდ.

— თქვენც შეგიძლიათ ისე მომმარ-

თოთ, პატივცემულოს გარეშე, — ვაილიმა მდივანმა.

მფრინავს დავემშვიდობდეთ, „ვოლგაში“ ჩავსხედით და მტვრის კორიანტელა დავაყენეთ დატყეპნილ შარავზაზე.

— რა კარგი ამინდია, დასვენების უფლება მაქვს ახლა?

— ცენტრში ექიმი გაგსინჯავთ და მუშაობა-დასვენების საქმეს ის გადაწყვეტს.

— სამინისტროდან კომისიას ველით.

— ვიცი. ძალიან კი გაუჭირდებათ უთქვენოდ. მართლა, სულ მინდა გკითხოთ, მაგრამ ყოველ შეხვედრაზე მაგიწყდება: როგორ შეეჩვიეთ ქართველი კაცი აქაურობას. თუ არა ვცდები, უკვე თერთმეტი თუ თორმეტი წელია, რაც ამ მხარეში მუშაობთ, არა?

— დიახ, მეცამეტე, თარსი წელი დიწყო. შეჩვევით კი იოლად შევეჩვიე. საქმემ შემეყვარა აქაურობაცა და აქაური ჰავაც, ციმბირული პელმენებიც და გაზავებული სპირტიც.

— როგორ, სპირტს წყალში ახავებთ?

— გაიოცა რაიკომის მდივანმა.

— აბა, ისე რა დამალევიანებს?!

რაიკომის მდივნის შოფერს, ვეება ვაქაკს, გაელიმა. მერე ციმბირელებმა ერთმანეთს გადახედეს.

შორიდან შაკინოს გარეუბანი გამოჩნდა.

— მოვედით, — თქვა რაიკომის მდივანმა.

მანქანა ორსართულიანი სახლის წინ გაჩერდა, რაიკომის მდივანი წინ გამიძღვა. კართან პატივცემული ვსევოლოდის ფაშფაშა, ზორბა მეუღლე შემოგვეგება.

— გამარჯობათ, — ამ უზარმაზარ ქალს ძალიან წვრილი ხმა ჰქონდა, — აი როგორი ყოფილა „ტაიგის მგელი“. ალბათ, არ გეწყინებათ, ასე თუ მოგმართავთ. ჩვენ მხარეში ან ქართველს ან ტაიგის მგელს გიწოდებენ. თუმცა ეს თქვენც გეცოდინებათ.

„ეს კი ვიცი, ასე რომ მეძახიან, მაგრამ პატარა, ჩია ტანის კაცებს უზარმაზარი, ფაშფაშა ქალები რად მოსწონთ,

ეს ვერაფრით გამიგია. ალბათ, არსებობს რალაც გადაულახავი რევანშის სურვილი“.

უხერხულად გამელიმა და ქალს წარვეუდექი. დიასახლისს ვარდისფერი კაბა ეცვა.

— ევდოკია მაკედონოვნა, — მიპასუხა ქალმა, — შეგიძლიათ შინაურულად დოკი დამიძახოთ.

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ევდოკია.

— ქალბატონს ნუ გამავიწყებთ, სევას სწყინს. — მითხრა შიშით ქალმა, ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიღო და ქმარს შეხედა. — შემოდი, — შინაურულად უთხრა შოფერს.

შოფერი ოთახში შემოვიდა, ქეჩის ნაკრებზე დადგა და ყურნალ-გაზეთებითა და წიგნებით ავსებული საწერი მაგიდისაკენ ისე წავიდა, თითქოს ციგურებით მისრიალებსო.

— სადილი მზად არის? — იკითხა ესეველოდმა, ვითომ არაფერი გაუგია.

— სუფრა გაშლილია, მხოლოდ არ ვიცი, რას დალევთ.

— არაფერს, — ცივად მიუგო მდივანმა, — სტუმარს არც ერთი წვეთი!

— რატომ, კაცო, რა დავაშავე? ხომ ხედავთ, რა კარგადა ვართ.

— არც ერთი წვეთი, მორჩა და გათავდა!

— განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება! — დასძინა ევდოკიამ.

„მფრინავი აეროდრომზე კიდევ სამოთხ საათს იქნება. ეგებ გავპარულიყავი და ისევ ტაივაში ამომეყო თავი. ნამდვილად კარგად ვარ და შემდეგი შეტევა, ვინ იცის, როდის დამემართება?! ეგებ, არც დამემართოს. თუ ის კუდიანი დედბერი მართალია, მაშინ სიკვდილის უფლება საერთოდ აღარა მაქვს“.

— მობრძანდით, — დიასახლისმა მეორე სართულზე უზარმაზარ სასადილო ოთახში მიგვიწვია. პურმარლის ჩიტის რძეც კი არ აკლდა. თვალში მეცა ციმბირული პელმენები და დაწნილებული

არყა-სოკო. ბაიკალის სანაქებო თევზი, საქვეყნოდ სახელგანთქმული ზომული.

— ხელს ხომ არ გადაბზანდით? — მომმართა დიასახლისმა.

— დიდი სიამოვნებით.

დიასახლისმა ჭვედა სართულზე ჩამიყვანა და სააბაზანოს უზარმაზარი კარი გააღო. ჩემს უკან შოფერი აიტუხა.

— ალბათ, გაგიკვირდებათ ასეთ პატარა სააბაზანოს ამხელა კარი რად უნდაო? — იკითხა ევდოკიამ და იქვე განაგრძო. — არ მიყვარს პატარა აბაზანა, ვერ ვეტევი. მიტენკამ (შოფერზე მიუთითა) საიდანღაც ეს დიდი აბაზანა მოგვიტანა და კარიც მაშინ გადავკეთეთ.

სააბაზანოში თეთრი მარმარილოს ოდნავ უხემად ნათალი აბაზანა იდგა! თეთრი მარმარილოს აბაზანა!!!

დიასახლისი ისევ აბრუნდა სასადილო ოთახში.

გაოგნებული ვიდექი.

— შებრძანდით, პირსახოცი მარჯვნივ ჰკიდია, — დაიბუხუნა შოფერმა.

— მიტენკა, საიდან მოათრიე აბაზანა? — ვკითხე შოფერს.

— შორიდან. ალბათ, გაგიგონიათ, შავ კლდეებს რომ ეძახიან. დიდი ხნის ამბავია.

— რუკაზე იპოვნე იმ ადგილს?

— როგორ არა! ერთი წელი ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში ვსწავლობდი, მაგრამ მერე მაინც შოფრობა ვამჭობინე.

— მიტენკა, ყური დამიგდე. ახლა ჩვენ ორივენი გავიპარებით. აეროდრომზე მფრინავს მივუსწრებთ. რუკაზე იმ ადგილს დავაზუსტებთ და უკან დავბრუნდებით.

— კი, მაგრამ... უხერხულია. ამხანაგი...

— თუ ძმა ხარ, მეტს ნურაფერს მეტყვი. წავედით.

მიტენკა ძალით გამოვიყვანე სააბაზანოდან. შაქინოდან აეროდრომამდე ისე სწრაფად მივქროდი, ყველა ჩვენ გვიცქეროდა, მიტენკა ბუზღუნებდა დოკი მომკლავსო, მაგრამ დავარწმუნე: ზოგად-საკაცობრიო საქმეს აკეთებ-მეთქი, და დაწყნარდა.

მფრინავს დასასვენებელ ოთახში ეჭინა. გავალეძეთ. რუკა ვთხოვეთ. მიტენკამ დაახლოებით შემოხაზა ადგილი, სადაც საგანგებო შემთხვევის დროს ორმოცდათორმეტ წელს კომკავშირული მობილიზაციით გაუგზავნიან გაქცეული სამხედრო დამნაშავეს საქებრად. ეს ადგილი საძიებო რაიონის ჩრდილოეთით იყო ასე ოთხმოც-ოთხმოცდაათ კილომეტრზე.

— ესე იგი ჩვენც სწორედ ვეძებდით.

— როგორ, იმ რაიონში ოქროა? — გაიოცა მიტენკამ.

— ჰო, მიტენკა, ყველაზე მაღალხარისხოვანი მეტალი... შოფერს გადავხვავ, გადავკოცნე და მფრინავს მოვუბრუნდა — დაქოქე კალია! —

ისე ვიყავი აფორიაქებული, მფრინავმა ერთხანს კი დააპირა შეკამათება, მაგრამ მალე მიხვდა, აღარაფერს დავუთმობდი, თუ არ გამაფრენდა, ფეხით წავიდოდი და წამოდგა აეროდრომის უფროსის კაბინეტში ნახევარსაათიანი სებაასის შემდეგ, აფრენის ნება დაგვრთეს. მიტენკა კბილატივებული დათვივით კედლში მოძუნძულვდა და „მომკლავს დოკიო“, — გაიძახოდა. მერე შევეულმფრენამდე, მიგვაცილა, გამარჯვება გვისურვა, „რაც მომივა-მოვიდესო“, წაიბურღლუნა და შავი „ვოლგისაკენ“ გაიქცა.

მიწას მოვწყდით.

— შენი კალია უნდა დასვა ზუსტად იმ კვადრატში, რომელიც მიტენკამ შემოხაზა. ჭერ ერთი-ორჯერ თავზე გადავუფრინოთ და დავხვევროთ. „ასე მახსოვს, რამდენიმე აბაზანა ისევე უნდა იდგეს ტაიგაშიო, თუ სხვა რაიონის მდივნებმა სახლებში არ გააქანესო“.

— ძველი დრო გამახსენდა, ხალისიც მომემატა!

— ძველი დრო! რა ძველი დრო, სულ რაღაც ათი-თორმეტი წელი გავიდა.

— ჰო, და ზუსტად ის ხანი გამახსენდა. რა ცეცხლი ენთო, რა დღეში ვიყავით!

— ახლა რა, არ მოგწონს? დასაზვერი

ადგილი დაკონკრეტდა და შედარებით წყნარი ცხოვრება დაიწყო. მვეულმფრენები აღარ გვკვირდება. მხოლოდ მსგავსებით სიარული არც ახლა გვაკლია.

— ყველა თავის მკვდარსა ტირის. ფრენა არ არის, ხელფასიც ამისდამიხედვით იწერება.

— სმას თავი დაანებე და გეყოფა.

— დიდი ხანია, აღარა ვსვამ.

— რატომ?

— რაღაცამ მაწყინა და თირკმელები მაწუხებს ოდნავ. ჩვენთან კი, ზომ იცი, რა წესია?!

— ვიცი, ვიცი. მე კი ნეტა რა მეშველებოდა, ასეთი ჯანმრთელი რომ არ ვიყო.

— შენ, მართლაც, არ გაკლია ჯანი, — მფრინავმა თვალეზში შემომხედა, — აქაურობასაც იოლად შეეჩვიე. მგონი, კოლოები და ქინქულებიც გცნობენ და არა გკებენ.

— დამიჯერებ? მართლაც არ მკებენ.

— სხვები კი დასიებული დადიან.

— რა ექნა, არ მოსწონთ ჩემი სისხლი! — ვუბასუხე მფრინავს. „არ მოსწონთ და კიდევ დიდხანს არ მოეწონებათ. მაგრამ ბოლოსდაბოლოს საქმე ისე გამოკეთდება, ალბათ ჩემს მეტს სხვას აღარავის უტებენ“.

— რა ამბავი ატყდება, ბანაკში რომ დაგინახავენ!

— აბა, აბა, გაგიუღებინა!

ერთხანს ჩუმად ვისხედით ორივენი. მერე შტურმანმა გამოგვძახა, კვადრატს მიუუახლოვდითო. დავეშვიტ. მფრინავმა დასაზვერად მოხერხებულ სიმალეზე გააქროლა მვეულმფრენი. რამდენჯერმე გადავსერეთ კვადრატი. ზევიდან არაფერი ჩანდა.

— აი, იმ მინდორზე დავკდეთ, — შევეთავაზე მფრინავს.

— მეც ეგ უნდა მეთქვა.

ჩვენი „აეროდრომი“ საოცრად სუფთა, ლამაზი და ყვავილებით მოქარგული ველი აღმოჩნდა, დაახლოებით ფეხბურთის სტადიონის ხელა. ველის ბოლოს, ტყის პირას, მფრინავმა მწვანე ზო-

ლი შეამჩნია. როცა მივედით, ხის არხი შეგვჩაჩა ხელში. მართალია, ხავსითა და სხვადასხვა მცენარეულით იყო სავსე, მაგრამ მთელ ტაიგაში ეს ერთადერთი სწორი ხაზი იყო და ჩაქუჩით იოლად გადავაცალეთ საფარველი. არხმა ტყეში შეგვიყვანა. გული უცნაურად მიძვებდა. ასე მხოლოდ რაღაცა სასიხარულოს მოლოდინში მიცემს ხოლმე გული. მფრინავი ჩემზე წინ მიბრბოდა და თან კოლოებს ხელით იგრიებდა. უცებ რაღაცა ძალამ შემაჩერა. მარჯვნივ მივიხედე. სარკოფაგივით მოგჩაჩა მწვანე სულარაგადაფარებული ლოდინები დავიხახე. ერთი კი შევყვირე, აი ისინიც-მეთქი და მფრინავი უკვე ჩახტა წიწვებით, დამპალი ფოთლებითა და ხავსით სავსე დამტვრეულ აბაზანაში. მე მეორე ლოდინისკენ გავიქეცი. ისიც აბაზანა აღმოჩნდა. ხის არხი აერთებდა ორივე ჭურჭელს. ახლა არხებს გავყვივით. შედარებით ვიწრო არხები ერთ დიდ ხის მილად ერთდებოდა. ეს მსხვილი მილი კი ჩრდილოეთისაკენ, შავი კლდეებისაკენ მიემართებოდა. ვიდრე შავ კლდეებს მივუახლოვდებოდით, რამდენიმე მინერალური წყარო შემხვდა. ყოველ მათგანში „ჩვენი ელემენტი“ საკმაოდ მაღალი შემადგენლობით იყო. შავ კლდეებში კი აპარატმა თითქმის ხმამაღალი კაკუნით დაიწყო. შეკლა ველარ ზომავდა ელემენტის შემცველობას.

— ეს რა აპარატურა გაქვს! ჩამორჩენილხარ, ძმაო, აქ უფრო მეტია, ვიდრე...

— რა ვქნა, ასეთი სახის აღჭურვილობა გვეკუთვნის ბრძანებით და განაწესით, — მიპასუხა მფრინავმა. მფრინავს ოდნავ, ოდნავ კი არა, საშინლად უყვირდა ჩემი სიმშვიდე, მაგრამ ვერაფერს მიბედავდა. გაუყვირდება, აბა რა! რა ხანია ამას ველოდით. საოცარი მექანიზმია აღაშინა. ვითომ აქ არაფერიო. თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. არა, ასე, რასაკვირველია, აღრე თუ გვიან მოხდებოდა. მე თუ არა, ალექსანდროვი, პელენიოვი, პეტრე ან პავლე მოვიდოდა ამ

შავ კლდესთან და იგივე აზრებით მოვიდოდა თავში.

კოტა დავისვენე. მეტრე ნიშნუშებმა ავიღე, ყველაფერი ჩავიწერე და შეველმფრინვისაკენ გავემართე.

— რა გატირებს? — წამომეწია მფრინავი.

— ეს ოფლია, — ეუბასუხე, — მუშაკაცის ოფლი.

— მართლაც, როგორ გაწუწულხარ. შეველმფრინვში ჩავსხედით და გეზი ჩვენი ბანაკისაკენ ავიღეთ.

— მეტრის თვითმფრინავი ჩამოგივლია? — ვკითხე უეცრად მფრინავს.

— არა, ომში არ ვყოფილვარ.

— აბა რას აკეთებდი?

— თვითმფრინავებს ვცდიდი.

— ახალი ტიპის თვითმფრინავს, გამოცდის მერე, მიწაზე რომ დასვამდი რას გრძნობდი მაშინ?

— დალევდა მომინდებოდა ხოლმე.

— ჰო და იმიტომაც გამოგიშვეს.

— არა, მაშინ არა ვსვამდი.

— არც ახლა სვამ. რაღაცას მატყუებ. მე რად მატყუებ, რა დავიშავე, — ვიყვირე უცებ და მფრინავს მოვეხვიე.

შველმფრინვა ერთი წამით იცვალა გეზი, მაგრამ მალე გონზე მოვედი და მფრინავს მოვეშვი.

— უკაცრავად.

— რამ გადაგრია? რა მოგივიდა? — გაწითლდა მფრინავი, მაგრამ მალე დამშვიდდა და მითხრა. — ისიც მიკვირდა, აქამდე როგორ მოითმინე.

— პარაშუტი არა გაქვს? ჩვენს ბანაკში უნდა ჩავხტე.

— არა. მაგრამ კიბე მაქვს. რომეოსავით მოგიწევს კიბეზე ჩასვლა.

— რა გაეწყობა, ჩავალ.

როცა შეველმფრინვა ჩვენს ბანაკს გადაუფრინა, ბინდდებოდა. მაინც შევამჩნიე, როგორ გამოცვივდნენ ყველანი კარვებიდან და ახლომდებარე პატარა მინდორისაკენ გამოიქცნენ. ის მინდორი ქვებითა და უზარმაზარი მორენებით იყო სავსე. ამიტომ მფრინავმა შეველ-

მფრენი ასე რვა-ათი მეტრის სიმაღლეზე გააჩერა და კიბე გადაუშვა.

— ნახვამდის, მონტეკი. — ვუთხარი მფრინავს, — ალბათ, მალე შეეხვდებით.

— ნახვამდის, რომეო. — მითხრა მფრინავმა, — კეთილად დაგებოლოვებინოს ეს საქმე.

— თფუ, თფუ, — მივაფურთხე ეშმაკს. მერე მფრინავს ხელი დავუქნიე და კიბეს დავყვევი.

ძირს ჩახედვისა მეშინოდა, ისეთი თვალებით შემომცქეროდნენ ალექსანდროვი და პელმენიოვი. ბიჭებს კიბის ბოლო ეჭირათ ისე, როგორც ცირკში საპაერო ტანმოვარჯიშეების გამოსვლისას.

— ჩამოვიდე თუ უკან დაებრუნდე? — ვიკითხე კიბიდან.

— რა მოხდა? — მიყვირა ალექსანდროვმა.

— ისეთი რა გაიგე, უკან რომ დაბრუნდი? — მუშტს მიღერებდა პელმენიოვი.

— უკანასკნელად ამ სეზონში, ეკვილიბრისტი ბატუტზე! — დავიყვირე და ჩახვტი. მერე ბალახზე რამდენჯერმე გადავკოტრიალდი, წამოვდექი, ხელები გავშალე და დავაყოლე: ალე, პოპ!

ყველამ ტაში დამიკრა.

შვეულმფრენმა ორი წრე მოხაზა ჩვენს თავზე. „ბედნიერებას ვისურვებთო!“ — ამას ნიშნავდა ორი წრე, მერე მწვანე კალია ცისკენ გაზუზუნდა.

— აბა, დაფქვი, ჩამოყაპე, ჩამოყაპე! — არ ისვენებდა პელმენიოვი.

ალექსანდროვი პირდაპირ მეცა და მაგრად მაკოცა.

— ჩვენ წამებას ბოლო მოედო! — ვთქვი და ბანაკისაკენ გავეშურე.

— „ტრიუმფირატი“ იკრიბება? — მკითხა ლუდმილამ.

— იიკიდეთ გუდა-ნაბადი. ბანაკი გადაგვაქვს. — ვყვიროდი და სამუშაო კარვისაკენ მივქროდი.

„ტრიუმფირატი“ როცა იკრიბება, სამუშაო ოთახში ცხვირს ვერავინ შემო-

ყოფს. მეც დასამალავი არა მქონდა რა და ყველაფერი ზუსტად ჩაეწყვილე: ბიჭებს. ვიდრე ამბავს დაგვანარქვნიდა, ალექსანდროვი კარვიდან გავარდა და დაიღრიალა:

— გასვლა ხვალ დილის ექვს საათზე. გესმით? გასვლა ზუსტად ექვს საათზე. ახლა კი დაიძინეთ, მუქთახორებო, ზარმაცებო, უქნარებო. ძილი ნებისა!

ალექსანდროვი უკან დაბრუნდა. ახლა პელმენიოვი გავიდა გარეთ. ცოტა ხნის შემდეგ პელმენიოვი თავის ცოლთან ერთად გვეწვია და კარავში დაგვპატივია. ალექსანდროვმა სვეტლანას დაუძახა. პელმენიოვს პურმარილი გავშალა. მე ჩემს კარავს მივაშურე შებოლილი თევზის მოსატანად. შუა გზაზე გეოლოგების კარვიდან ჭიქების წყრიალი მომესმა, მერე მუშების კარავს მივაშურე. იქაც სვამდნენ. ველარ მოვითმინე და ხმამაღლა დავიყვირე:

— რა საჭიროა არალეგალური სმა. ყველანი გარეთ!

სასადილო კარავში შეიკრიბა მთელი ბანაკი. ყველა ქალიან-კაციანად გვილოცავდა და ჩემს სადღეგრძელოს სვამდა. მე ალექსანდროვს, პელმენიოვსა და რაიკომის მდივან ვსვეგლოდს ვადღეგრძელებდი. ლუდმილა პელმენიოვამ გიტარა გადმოიღო. ვილაცამ თეთრი ფერის შუშუნა ისროლა. მალე ყველა შეთვრა და ქეიფი თვითდინებას გაპყვა. მეც დრო ვიხელთე, ჩემს კარავში შევიპარე და საძილე ტომარაში ჩაეწვქი.

საკმაოდ დაღლილი ვიყავი. დიდი ხანი იყო სპირტი არ დამეღოა და პირველი ჭიქა მომეკიდა. ამიტომ მალე და ტბილად ჩამეძინა.

რომ გამომეღვიძა, ცხრა საათი ხდებოდა. მეგონა, ჩემი მალეიძარა გაჩერდა, მაგრამ კარგად მუშაობდა. კარვიდან გამოვიხვდე. ყველაფერი აელაგებინათ და მუხლუხოებზე და მანქანებზე შეეწყოთ... მე მელოდებოდნენ. არ შეიძლება ისეთი გულქვა იყო კაცი, რომ ამ ამბავმა არ გაგახაროს. ტირილი მომინდა, ყვირილი მომინდა, ღრიალი

მომინდა. მერე უცებ გამახსენდა ყველაფერი, რაც გუშინ მოხდა, და კარგიდან გამოვძევი. კართან აქეთ-იქით ჩასაფრებულმა ბიჭებმა ხელში ამიტაცეს, მდინარესთან მიმიყვანეს და ფრთხილად დამსვეს. პირი რომ დავიბანე, ისევ „ოქროს ტახტზე“ შემსვეს და უკან ამომარბენინეს. მერე ჩაი და საუზმე მომართვეს. ამასობაში ჩემი კარავიც აალაგეს და... ვილაცა მომეპარა და თვალზე ხელი ამაფარა. მფრინავი იყო. მხოლოდ ახლა შევნიშნე: ახლობელ მინდორზე, რომელიც დილაადრიან გაუწმენდიათ ბიჭებს, „კალია“ იჯდა. მივხვდი, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო. წინასწარ გამზადებულ სავარძელში ჩამსვეს. სავარძელი ყვა-ვილებითა და წიწვის გირლიანდებით მოერთოთ. მერე ჩვენი ბანაკის თვითოეული წევრი ცალ-ცალკე შეახლა და გამოეშვიდობა.

— ძალიან გთხოვთ, კვირაში ერთხელ მაინც მომწერეთ.

— უფრო ხშირადაც.— მითხრა ალექსანდროვმა, — რაც მოხდება, ყველაფერს შეგატყობინებთ. ალბათ, შენი რჩევაც დაგვკირდება და კოსპიტალში დაერკევათ ხოლმე. საქმე ისე მიდის, რომ შესაძლოა პირდაპირი ტელეფონიც დავიდგან.

— იქ უკვე იციან? — ვიკითხე გაუბედავად.

— იციან.

— გავიყავით. ისინი მუხლობოებსა და მანქანებზე განაწილდნენ. მე და მფრინავი შეველმფრენისაკენ წავედით.

— ნახვამდის.

— ნახვამდის, ნახვამდის.

„მალე გინახავთ ისევ თქვენთან ვიქნები. ახლა თქვენი მიტოვება ცოდევა და მეტი არაფერი. უნდა მაპაიტოთ, ასეთ დროს დროებით რომ გტოვებთ“.

— ნახვამდის.

— ნახვამდის, ნახვამდის.

შვეულმფრენი მიწას მოსწყდა. მალე გაუჩინარდა მუხლობოებიცა და მან-

ქანებიც. ზემოდან ახლა მხოლოდ უზარმაზარი ტიგალა ჩანდა. მერე ხეებიც დაატარავდნენ და პატარა ბუჩქებს დავმსგავსენ. ჩვენ მზისკენ მივისწრაფოდით. ტიგა კი ახლადდაპურებულ მამლარ ყანასავით ლიკლიკებდა, ლელავდა ირხეოდა.

„ჩვენო გურამ!

დაგპირდი ხშირად მოგწერ-მეთქი, მაგრამ ეს პირველი ბარათი დამიგვიანდა. რაც წახვედი, ისეთი ორომტრიალია, სულს ძლივს ვითქვამთ. ალექსანდროვის ამბავი ხომ იცი? ყოველ დღე დილის ექვსიდან ფეხზე ვართ. მიუხედავად ამინა, არავინ ბუზღუნებს. შავი კლდეები თითქმის ბოლომდე დავიძიეთ. პელმენოვმა, რასაკვირველია, ახალი ქაბურღილი დადგა. შედეგები დამაკმაყოფილებელია, მეტი რომ არ ვთქვა. ამან ისე წაგვახალისა ყველა, რომ კვირა დღეცაა ვმუშაობდით.

შენთვის აქ ახალი არაფერია. თუმცა ერთი გოგონა თავზე დამდგომია და მთხოვს, რამდენიმე სტრიქონი დამიტოვე, მეც უნდა მივწეროო. დავუტოვებ. თორემ ცოლოა. მე კი გემშვიდობები. აბა შენ იცი. თავს გაუფრთხილდი, ყოჩაღად იყავი. მაინც რას გეუბნებიან, როდის გაგიშვებთ ტიგაშიო?

მეგობრულად გეხვევი და გოცნი ლულმძილა.

P. S. მოგიკითხეს ბიჭებმა, ყველამ, ყველამ. გელით, უშენოთ ვეღარ ვძლებთ, როდის დაგვიბრუნდებით და ასე შემდეგ. მიხეილ ტიმოთეს ძემ შემოგითვალა, რომ ჩამოხვალ თეთრი კვიციის მაგივრად, თეთრი ფაშატი დაგხვდებაო. რა დაგემართა, გფარავდეს იაპონიის ღმერთიო!“.

„გურამ, ჩემო კარგო, გურამ!

ეს ნახევარი გვერდი ძლივს დამიტოვა პელმენიოვამ. წერილს მე დავაბოლოებ და კონვერტში ჩავდებ. ალბათ, გაგიკვირდება ეს უცხო ხელწერა: მე ხომ შენთვის არასოდეს მომიწერია, მიუხედავად დიდი სურვილისა. რაც ჩვენ

შორის მოხდა, ვერაფრით დავივიწყებ. სულ თვალწინ მიდგახარ, მშვიდი, თითქოს ზანტი, ცხოვრებაში ჯერ არ შემხვედრია შენნაირი კაცი. რა ბედნიერი ვარ, რომ იცოდე. რამდენი რამ დამიტოვე სამახსოვროდ, რამდენი სინათლე, რა სისპეტაკე, რა სისუფთავე. ვიცი, სულელი გგონივარ, მაგრამ, რა ვქნა, ძალიან მიყვარხარ!

ახლა ცოტას ჩემზედაც მოგწერ. როგორც კი პელმენიოვმა თანხმობა განაცხადა ჩემს მიღებაზე, გამოცდებისათვის დავიწყებ მზადება. მერე მთელი თვე ნოვოსობრინსკში ვიყავი. მიუხედავად დიდი კონკურსისა, მაინც მოვხვდი გეოლოგიური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. ახლა, როგორც ხედავ, უკვე სამუშაო ადგილზე ვარ. დიდად გმადლობ ყველაფრისათვის, რაც ჩემთვის გააკეთე. შენდაუნებურად შეატრიალე ჩემი ცხოვრების კეხი, რომელიც, ღმერთმა უწყის, საღ მიმიყვანდა. ახლა ყველაფერი ნათელია, შენსავით ნათელი და სწორი. გმადლობთ. ათასჯერ გმადლობთ. რაც გინდა მთხოვე სამაგიეროდ, სიცოცხლესაც კი არ დავიშურებ.

გკოცნი. შენი ინკა-მდივანი.
15 სექტემბერი.

„ჩემო კარგო ლუდმილა!

როგორც იქნა, ველირსე თქვენგან ბარათს. გამეხარდა, საქმე რომ კარგად მიგდით. თქვენი იმედი მქონდა. ჩემი მკურნალობაც წარმატებით გრძელდება. თავს საუცხოოდ ვგრძნობ და ყოველ შემოვლაზე ვაწუხებ პროფესორს — ტაიგაში გამიშვით-მეთქი. პროფესორი იცინის და მეუბნება, კიდევ ცოტა ხანს მოიცადეო. რას იზამ, მოვიციდი, რახან ეს საბოლოოდ მიშველის. ისე კი ძალიან მომენატრეთ. აღარ შემიძლია გაქათქათებულ ოთახში და საწოლში წოლა. კარავი და საძილე ტომარა მომენატრა. ალბათ, მალე გნახავთ. მაგ პატარა გოგოს კი უთხარი, სისულელეებს თავი დაანებოს. არაფერი არაჩვეულებ-

რივი მისთვის არ გამოიკეთებია. უბრალოდ, მთხოვა, სამსახური მიმოგნებ და ვუშოვე. არც გამოცდები ჩამიბარებია მაგის მაგივრად და არც პროტექცია გამიწვია. ჰქვიანი გოგო ჩანს. აბა შენ იცი, როგორ მზრუნველობით მოექცევი. შენ თუ ოდნავ მაინც დაგემსგავსა, არაფერი გაუქირდება. ცოტაც მოითმინეთ, მალე თქვენთან ვიქნები.

გეხვევით და გკოცნით ყველას ერთად, გურამი.

P. S. ვიცი, ალექსანდროვსა და პელმენიოვს წერილების წერა ქალის საქმედ მიაჩნიათ. ეგენი ბრძანებას თუ დაწერენ ვინმეს მოხსნაზე, ან მიღებაზე. მაინც უთხარი, რამდენიმე სტრიქონი მოკლავნონ, ხელწერას გაეარჩევ. მიჩვეული ვარ. რახან ბარათს წავამატე, ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ გეხვევით და გკოცნით.

20 სექტემბერი.

„გურამ, ძმავ!

მხოლოდ გუშინ წავიდა კომისია. ვიცი, ყველაფერი გაინტერესებს და დაწერილებით მოგწერ. კომისიის შემადგენლობა: ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი, გეოლოგიის მინისტრის მოადგილე, სამინისტროს ციმბირის განყოფილების გამგე, ჩვენი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ლარინი, შაკინოს რაიკომის მდივანი. ყველაფერი ნახეს, აქაურობა ფეხით შემოიარეს ყოველ წერტილზე იყვნენ. დღიურებიც კი გულდასმით დაათვალიერეს. „საიდუმლო“ კაბურღილისათვის, რასაკვირველია, მოგვხვდება. იმედია, არც შენ გამოგტოვებენ. შედეგებით საკმაოდ კმაყოფილი დარჩნენ, ალტაცებულო-მეთქი არ მინდა მოგწერო, ხომ იცი, ცუდად მაქვს დაცდილი. შავი კლდეების ათვისების მერე სავარაუდო მარაგი ორჯერ მეტია, ვიდრე ქარხანას სჭირდება. ახლა სიტყვა იგორ ოზეროვს და გამამდიდრებლებს ეკუთვნის. ამას წინათ ოზე-

როვს კიდევ გაუფხვანეთ ტონანახევა-რი მადანი. კიდევ გამოიგონა ახალი ხერხი ლითონის მისაღებად. რა კაცია! დავიჭერო, პირველი ორი ხერხი არ არის დამაკმაყოფილებელი?

მინისტრის მოადგილემ ჯერ ტყავი გაგვაძრო, მერე ფულად ჯილდოსაც დაგვპირდა კვარტლის შედეგების მიხედვით. ჯერ გვაგინა „საიდუმლო“ ქაბურღილისთვის, მერე ოცდაერთი ქაბურღილის დასადგმელად პროექტი შეადგინეთო, — დავკიბარა. ბაღე ქაბურღილებისათვის შენი გეგმის მიხედვით უნდა გავაკეთებინო პელმენიოვს. საკონსულტაციოდ, ალბათ, შენთან ჩამოვა, რახან ტელეფონი ვერ იქნა და ვერ დაგიდგეს. ვატყობ, აქ მალე მოვამთავრებთ სამუშაოს. თუმცა ჩვენი მალე ხომ იცი, ორი-სამი წელია. გული მწყდება. მივეჩვიე აქაურობას.

შენ რაღასა იქმ? ამბობენ კიდევ ერთი თვე უნდა იწვესო. მართალია? ერთ თვეს ცალ ფეხზე ჩამოკიდებული გაძლებს კაცი. შენი ხასიათი რომ ვიცი, არც მანდ იქნები უსაქმოდ. მომწერე, რას აკეთებ. ჩვენი დახმარება ხომ არ ვინდა? ხომ არაფერი გაკლია? ყველაფერი გულახდილად მომწერე.

ძმა ხარ. ალექსანდროვი.

5 ოქტომბერი.

„იურა!

ქაბურღილების ბაღე შედგენილია, პელმენიოვს ნულარ შეაწუხებთ. ტელეფონს არ მიდგამენ, წყნარად უნდა იყო. მუშაობას მიშლიან. ამათ ჰგონიათ, ცუდად ვარ. ძალიან მიფრთხილდებიან. არაფერი არ მაკლია. ამას წინათ „იზვესტიის“ კორესპონდენტი იყო. სურათი გადამიღო. თქვენს ექსპედიციაზე ნარკვევი უნდა დაწერო. იმ სურათს გაუფრთხილდი, შეიძლება უკანასკნელი იყოს... გეხუმრებდი, იურეკ! ხომ იცი, არ მიყვარს ობიექტივის წინ კეკლუცობა. მეტ სურათს აღარავის გადავალბინებ იცოდე, და აღარ გამომიგზავნოთ ჟურნალისტები. საოცარ შეკითხვებს მაძლე-

ვდნენ; თან თავი ისე მოაქვთ, თითქოს ჩვენ ვწერდეთ მათზე ნარკვევებს. ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების მუშაკებმა ხომ აატალახეს აქაურობა! ვეუბნები, ჩემთან საუბარს ისა სჯობს ერთხელ ადგილზე ჩახვიდეთ-მეთქი. ეშინიათ, შორს არისო, ვერ ბედავენ გამოგზავრებას. პელმენიოვი თუ ჩამოვა ქაბურღილების ბაღის წამოსაღებად, ერთი კორესპონდენტი უნდა გამოვავყოლო, რომ მიხვდეთ, რა დღეშიცა ვარ. თუ კიდევ რამე დაგვირდეთ, დამავალეთ, ნუ მომერიდებით. თავს საუცხოოდ ვგრძნობ. სანატორიუმში ვარ პირდაპირ. მანდაურობა მაინც მენატრება. თქვენც მომენატრეთ. ხუმრობაა, თითქმის მთელი თვე გავიდა! მაშ ასე, ველი თქვენგან ახალ-ახალ დავალებებსა და წერილებს...

ძმა ხარ. გურამი

12 ოქტომბერი“.

„ჩემო დაქარგული ქართველო ძმაო! ვიდრე დედაქალაქის კორებს მოგიყვებოდე, პირდაპირ უნდა გახარო: მეტალი მივიღეთ! გესმის, მეტალი მიღებულია! თანაც ისეთი სუფთა, რომ ვაგიხარდება. ალბათ, თქვენებიც მოგწერდნენ, მარაგი თავგზისაყრელი რომ არის. შენს მეტი ვერავინ შეძლებდა „ტივიის აბანოში“ ჩვენი ელემენტის პოვნას! არა მგონია ასეთი ნამოღვაწარი არ დაგიფასონ. ახლა აქაური კორებიც: ამბობენ, სამინისტრო უფრო ზემდგომ ორგანოებთან შუამდგომლობსო, ჯილდოც შესაფერი იქნებაო. ჩვენ ვინ გავგიხსენებს, მაგრამ შენ, ალბათ, არ გამოგტოვებენ ციმბირელები. დღევანდელ ცენტრალურ გაზეთში ნარკვევია თქვენს ექსპედიციაზე. სათუთად ამოვქერი და გიგზავნი. თვითმფრინავების ახალი განრიგიც დაგვირდება. მანდღან, ალბათ პირდაპირ მოსკოვს გადმოფრინდები, ხომ მართალი ვარ? ჰოდა, როცა ჩამოხვალ, დანარჩენზე „ვოლგაში“ მოვილაპარაკოთ. ერთიც უნდა წაგეპორო, ვიცი, გული დაგწყდება, მაგრამ ვერ ვითმენ: შენი საყვა-

რელი კინოვარსკვლავი სვეტლანა გოლუბოვსკაია ჩვენი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ცოლად შეირთო. აი ასე, პირდაპირ, ხელი ჩაჰკიდა, შინ მიიყვანა და ცოლად დაისვა. შენ ასეთი გამბედევი არასოდეს იქნები. თუმცა უკვე დიდი ხანია ანალოგიური ამბავი უშიდა ჩაგედინა და ერთი კარგი ქორწილიც, ქართული ქორწილიც უნდა გეყისრა საქართველოში. თუ საერთოდ არ აპირებ ჩვენს მიწვევას თბილისში? პასუხი არ დააყოვნო. ხომ იცი, ჩემს უკან „ქერთშიანთა ტრიო“ იგულისხმება (მგონა თქვენი უბრწყინვალესობა ასე უწოდებს ჩვენ მეტემუშაკებს), გელით, გეხვევით, გკოცნით.

იგორ ოზეროვი და ქერთშიანთა ტრიო.

14 ნოემბერი“

„ჩემო კარგო მეგობრებო!

წერილს გწერთ თქვენი დაკარგული ქართველი ძმობილი. ისე, კაცი რომ დაუფიქრდეს, ამდენ ხანს ათჯერ მაინც უნდა მოგვეთხეთ, მაგრამ რას იზამ! ვიცი, ვიცი გასამართლებლად „ჰიგიენურ“ ე. ი. სუფთად მეტალს ამადარებთ თვალბზე. მაგრამ თქვენი ნიჭის, მონდომებისა და შრომისუნარიანობის ამბავი რომ ვიცი, შეგეძლოთ ღია ბარათის მოსაწერად აქამდეც მოგვეცალათ. ხომ გახსოვთ ჩემი კლასიკური მაგალითი „არ მცალიათა“ საპასუხოდ: უკანასკნელი სამამულო ომის დროს უშაღლესი მთავარსარდლობაც კი პოულობდა დროს, ხან დიდტანიან რომანს კითხულობდა, ხან კი მხატვრულ ფილმს უცქეროდა.

ეს რა გიქნიათ, ძმებო! ელემენტი ასე ანკარად როგორ მიიღეთ?! ეტყობა, კიდევ რაღაც საიდუმლო იცი, ჩემო იგორ, და გვიმალავ.

ახლა ნეტავ რაღაზე იფიქრებთ? რაღას დააკლავთ თავს? რისთვის გაათენებთ ღამეებს? რა გეშველებათ, შაბათ-კვირას რომ დაისვენებთ? მაგარ ყავას რომ აღარ მოიღულებთ, ღამეების გასა-

თენებლად? სად წავა თქვენი ენერჯია რალა აგიტიკვიკებთ ენას, უნდა შევამთებით? გეტირათ დედა? დასაბუღებთ საქმე თუ არა?! ხომ გადაპერით ეგრეთწოდებული „საუკუნის პრობლემა, ნომერი პირველი“! ახლა რაღას ვააკეთებთ? რა გეშველებათ უჩემოდ? თავსატეხსა და „ოგონიოკის“ კროსვორდით ძნელამოსახსნელ თემას ვინდა შემოგახვევთ თავზე? ადვილი რომ გეგონათ და დამთანხმდით, ხომ გამტერევიანეთ შუბლებით კედელი სამნახევარი წლის მანძილზე? მაინც გიყვარვართ? რ. ლაც არა მჭერა.

სვეტლანა გოლუბოვსკაიას ამბავი ნელ-ნელა უნდა შემოგეპარებინა. არა გრცხვენია, პირდაპირ რომ დამახალე? ისე ცოლის შერთვა, ეტყობა, არ უნდა იყოს ძნელი საქმე. არც კინოვარსკვლავების, ესე იგი ულამაზესი ქალების მოტყუება ყოფილა შეუძლებელი. სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია ახლადშექმნილი ოჯახის დაბადება. თუმცა არ ვიცი, ამ შემთხვევაში ვინ დარჩება გაბითურებული.

ძალიან ვთხოვთ, შემდეგ ბარათში მხოლოდ ახალთახალი ქორები ჩამიწეროთ. აბა გკოცნით და გეხვევით.

სოლისტი გურამი და მედღათა კვარტეტი. 21 ნოემბერი.

„ჩემო ძვირფასო!

შენი მეგობრები ჯიუტად მიმაღავენ ნენ მისამართს, მაგრამ მაინც მოგაგენი. არ ვიცი, ამ ბარათს გადმოგცემენ თუ არა. არც ის ვიცი, მისამართი თუ სწორია. მაინც გწერ და ვიმედოვნებ, პასუხი არ დააყოვნებს.

რომ იცოდე, როგორ მომენატრე. მომენატრა შენი ხმა, შენი თვალბები, შენი ხელები, შენი ალერსი. მომენატრა ჩემი ეკვიანი, გადარეული „ლოთი-შფოთი“ გურამი. უშენოდ ძალიან მიქარს. მაინც რა დაგემართა? რა ხდება ისეთი, რომ კიდევ ერთ თვეს ვერ უნდა განზო. ისედაც საუკუნეა, შორი შორსა ვართ. მაშინ რომ „გაგეპარე“, ნუ გამიწყრები,

მიზეზი ისეთია, ბარათს ვერ ვანდობ. როცა ჩამოხვალ, უსიტყვოდაც ნათელი იქნება ყველაფერი, და, ალბათ, მაპატიებ. ათასჯერ უფრო საყვარელი გახდი ჩემთვის, ათასჯერ უფრო საყვარელი და შორეული, სანატრელი და მიუწვდომელი. ვიცი შენი ამბავი, ყველაფერს გაუძლებ და საღ-სალამათი ჩამოხვალ. ხომ მართალია? ნურაფერზე იდარდებ, ნურაფერზე იფიქრებ. მე კარგადა ვარ, ძალიან კარგად. ახლა უფლებმა აღარა მაქვს ცუდად ვიყო. შენი ლოდინი მაიძულებს თავს მიეხედო. რომ ჩამოხვალ, უფრო ახალგაზრდა და ლამაზი დაგიხვდება. ხომ მოგწონვარ. მიყვარხარო, რომ მეუბნები, მოგწონვარ თუ არა, რატომ არ იტყვი? მოგწონვარ? ხომ მოგწონვარ კიდევ, ხომ ძალიან, ძალიან, ძალიან მოგწონვარ და ხომ ისევ ისე გიყვარვარ? თავი დაანებე მაგ რაღაც ავადმყოფობას, თუ არც ვიცი, რა დავარქვა და ჩამოდი. მართლა, დედა და მამა ჩამოვიდნენ. ბინაც მიიღეს. ახლა ჩემი სახლი შენი ბინაა, შენი ოჯახი. ჩამოდი, საშინლად გელი. არ დაგავიწყდეს, რაიმე საფერფლე ჩამოიტანე. გკოცნი მაგრად, მაგრად ასეთი სიშორიდან. შენი ნატაშა.

29 ნოემბერი.

„ჩემო ნატაშა, ჩემო პატარა ჭკვიანო გოგონა,

ჩემო ერთადერთო, განუმეორებელი ნატაშკა!

როგორც ყოველთვის, ახლაც არ ვიცი, რა მოგწერო. ყოველ სიტყვას ეჭვით ვუყურებ, ვზომავე. არ მინდა, გულახუყებული მოგეჩვენო. ასე ვაწამებ ხოლმე ჩემს თავს, მაგრამ ბოლოს ისევ ის ერთი გზა იკვეთება: სიმართლისა და გულ-ახდილობისა. თავშეკავება და წინდახედულობა სადღაც ქრება და ის „დიდმნიშვნელოვანი“ სიტყვა, „თავმოყვარობას“ რომ ეტყვიან, სასაცილოდ მეჩვენება. რა დროს თავმოყვარობაა, როცა სული ამოდის, დრო იწურება, დაუნდობლად მიჰქრის! მერე და რა გვრჩება ჩვენ, როცა დრო ასე დაუნდობლად მიჰ-

ქრის? რა გვრჩება ჩვენ — მე და შენ? მე — შენი სიყვარული და ყოველგვარი სიკეთე, რასაც შენი სიყვარული შაძლებს; (ჰო, სიკეთე, ნუ გაგიკვირდება. და იცი, რა მრავალნაირი და საამაყო ეს სიკეთე) შენ? რას გაძლებს, ნეტავ, შენ ის წარმოუდგენლად დიდი გრძნობა, რომელსაც განვიციდი? იმის შეათასედს თუ გრძნობ მაინც, რაც ჩემში ტრიალებს, უნდა გადაიროო, გადაიწვა, უფრო გალამაზდე, უფრო გაამაყდე, გამშვენიერდე... მაგრამ ნუ გაიკვირვებ, თუ ამას ვერავინ შეგამჩნევს... ეს ყველაფერი ხომ შიგნით უნდა პოხდეს: შიგნით, ადამიანში, შენს სულში...

ვერ წარმოიდგენ, ახლა რა ხდება ჩემს სულსა და ტვინში... და ტანშიც. სული მტკიავ; (გიგრძენია სულის ტკივილი?) და ტანი მეხუთება (თუ მოგსვლია ასეთი რამ?! და თუ ამგვარი შენც განვიციდია, მაშინ მიმიხვდება, რა დღეშიც ვარ. თუ არა და, უნდა დამიჭერო, უნდა დამიჭერო, ჩემო კარგო! ჩემო პატარა!

როცა შენზე ვფიქრობ, ორ ფერს ვხედავ: ცისფერს და ვარდისფერს. არ იფიქრო, ძველი რომანტიკოსივით მხოლოდ ეს ორი ფერი მიმაჩნდეს სიყვარულის ფერებად. არა! შენ მართლა ვარდისფერი ხარ. ვარდის ფერი, ვარდის ფერი, ვარდისფერი ფერია. ცისფერი კი ჩემი დამოკიდებულებაა შენდამი.

მენატრები. შენ არ იცი, რას ნიშნავს ეს ჩემთვის, ეს ერთი სიტყვა! ეს ერთი სიტყვა ისე ნათლად გამოხატავს ჩემს მდგომარეობას, სხვანაირად ვერაფერს მოგწერ. შენს და შენზე ნატვრას ნიშნავს მონატრება და არა დიდი ხნის შემდეგ ნახვის სურვილს. რა წამს დაგშორდები, იმ წამიდანვე მენატრები, და აბა, დიდი ხნის შემდეგ ნახვის სურვილს როგორ შეიძლება ნიშნავდეს ეს სიტყვა?! სადაც არ უნდა ვიყო, როგორც არ უნდა ვიყო, ჩემდაუნებურად, შეუცნობლად, ყოველ წამს, ყოველთვის, ყოველგან შენ გნატრობ, შენ მენატრები, შენთან მინდა. ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო. თავზე მინდა ხელი გადავისვა, მოგვეფ-

რო მინდა, პაწაწინა ცისფერო ყვავილო...

რატომღაც მეჩვენება, ზედმეტად გულანდილი ვარ-მეთქი. მაგრამ არა! ამით გიმტკიცებ, რომ შენი აღარა მრცხვენია... და ისე დაგიძახებ, როგორც მოგიხდება: იმ ყვავილს შეგადარებ, რომელსაც ჰგავხარ, სწორედ იმ სიტყვებს მოგწერ, რომელიც პირველად ამიფრინდებდა. არ დავფიქრდები, არ დავფიქრდები, არ დავფიქრდები! ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ მეშინია თქმისა. თქმისა კი იმიტომ არ მეშინია, რომ სიმართლეს ვამბობ. ყველაფერი დამიჯერე, გთხოვ, ექვს ნუ გაივლებ, გემუდარები, ჩემო პატარავ, ჩემო კარგო!

ახლა კი, ცოტას ჩემზეც მოგწერ, რა-ხან დაჩინებით მთხოვ. ამას-წინათ აღარც კი მახსოვს როდის, ერთ უცხოურ ქუჩაში ძალიან საინტერესო სტატი: წავიკითხე და რატომღაც ყველაზე მეტად ერთი ადგილი დამამახსოვრდა: „როცა ცხოვრების სტილს ვიცვლით, ვიძენთ ან ვწყვეტთ დამოკიდებულებას ნივთებთან, გარემოსთან, ადამიანებთან, ვითვისებთ ახალ ინფორმაციებსა და ახალ იდეებს, ჩვენ ვეგუებით ესე იგი ვცხოვრობთ. ორიენტაციის ყოველი შეცვლისაგან, შეგუების ყოველი რეაქციისაგან ჩვენი ფიზიკური და სულიერი მექანიზმები ცვდება. ჩვენი თვისება კი ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენისა უსასრულო როდია!“ — მართლაც, არ არის უსასრულო ეს თვისება. ჩემი მაგალითიც საკმარისია ამის დასადასტურებლად. ეტყობა, უკვე მიცვდება სხეულისა და სულის ბორბლები. გული კი ფართხალებს, ხელში გამომწყვდეულ ბელურასავით, მაგრამ ფარხმალს არა ვყრი. მალე მიხილავ დედაქალაქში. ისეთი ცეცხლი უნდა დავანთო, ჯერ რომ არავის დაუნთია.

თავში მოგწერე, არ მინდა გულახუ-ყებული გეჩვენო-მეთქი, მაგრამ არ გამოძღის. ჩვენში, პატარებს როცა ეკითხებიან, დედა სად გიყვარსო, ყელზე იღებენ ხელებს. ჩემს ყელში შენ ზიხარ.

შენ ასეთი პატარა ცისფერი ყვავილო, ჩემს ყელში ამოსულხარ. ეჭვირუდედავად ყველაფრისა, რაც ცხოვრებაში დამემატა თა და, შესაძლოა, კვლავ დამემართოს, შენი ადგილი ასე სპეტაკი და ხელუხლებელია ჩემში. ისიც უნდა გითხრა, რომ შენდამი გამიჩინდა ახალი უდიდესი გრძნობა, რომელიც ვერ აღმიწერია, მაგრამ ჩვილის თითებს მაგონებს, ისე ნაზია. ეს სინაზეც ცისფერია: არა ცისფერი კი არა, ვარდისფერი. არც ვარდისფერი — შენფერი. უთქვამს ვინმეს შენთვის, რა არაჩვეულებრივი ფერი გაქვს?

შენი გურამი. 6 დეკემბერი.

„გურამ!

თქვენს მიერ შედგენილი ჰაბურღილების ბადე უნაკლო გამოდგა. ოცდაერთივემ გადაკვეთა მადნიანი და მომცველი ზონა. საბადო შემოაკონტურეს. და მარაგიც დამტკიცდა. მალე ფრიალსასიხარულო ცნობას შეიტყობ.

აბა, გამაგრდი! რა დროს ავადმყოფობაა?!

შენი ძია გრიშა. 12 დეკემბერი.“

„პატივცემულო გრიგოლ!

გმადლობთ, დიდად გმადლობთ ყურადღებისათვის. სასიხარულოა ჩემი ნამუშევარი თუ გამოგადგათ. საავადმყოფოში რასაც ვაკეთებ, ყველაფერში ეჭვი მეპარება და საერთოდაც ოტელოსავით ეჭვიანი ვარ. ისიც გამეზარდა, მარაგი რომ დამტკიცდა. ალბათ, ჩვენი ბიჭები მალე დატოვებენ იქაურობას. შერე საით გეიპირებთ გაგზავნას? ახალი იდეა უკვე მზად გექნებათ. თუ საიდუმლოდ არ ინახეთ, შემატყობინეთ. ვიმედოვნებ, კვლავ ჩავდგები თქვენს მიერ ამორჩეულ მებრძოლ გეოლოგთა მოწინავე რიგებში.

გურამ ოთარაშვილი. 19 დეკემბერი.“

„შვილო!

უპირველეს ყოვლისა გისურვებ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას. სად დაიკარგე, ბიჭო! ერთი წერილი ველარ

მოიწერე? მომკლა შენზე ფიქრმა და დარდმა. აქველარ დაეტიე, ცხრა მთას იქით რომ გადაიხვეწე?! ახლა, შვებულე-ბას რომ აიღებ, მაგათ უთხარი, უკან აღ-არ დავბრუნდებითო. სულ ერთია, არ გაგიშვებ. ერთი ორი დღე და დამჩნა და მაქტერინე შენი თავისთვის.

როგორა ხარ, ჰა? ხომ არაფერი გაწუხებხს? ხომ კარგადა სკამ. ან რასა სკამ მაგ ტყე-ღრეში? რომ ჩამოხვალ, ერთი მაგრა უნდა მიგბეგვო. ან თავიდანვე რად გაგიშვი ნეტავ! თავს მიხედე, შეი-ლო, არ გამიმწარო უკანასკნელი დღეე-ბი, არ გაცივდე, თბილად დაიხურე. აქ ცივა და მანდ რა ამინდი იქნება, მოგი-კვდეს დედა. აბა შენ იცი. ეს ოხერი სა-თვალე არ მივარგა და მალე ვიღლები წერის დროს.

მოგიკითხეს ჩვენებმა და შენმა მეგო-ბრებმაც. გელოდებით.

გოცინი შენი დედა.

საახალწლო ამანათს გამოგიგზავნი და მიაკითხე.

20 ქრისტესშობის თვე“.

„დედიკო!

გილოცავ. ყველას გილოცავთ ახალ წელს. მრავალს დაესწარიო, ტკბილად, ბედნიერად, ჯანმრთელად.

ჩემი დარდი ნუ გექნება, კაცივითა ვარ. ჭამის მადაც კარგი მაქვს და მზარე-ულიც გეშრიელ საკმელს გვიმზადებს. ახალ ადგილზე გადავედიო. ჩემი მისა-მართი კონვერტს აწერია. ახლა აქ გამო-მიგზავნეთ ბარათები. ამანათი არ მინდა, ნუ შეწუხდებით. აქ ყველაფერი იშოვე-ბა. თუმცა ტყემალსა და გოზინაყს თუ გამომიგზავნი, კარგი იქნება. ტელეფონი კიდევ არ დაგიდგეს? ნომერს რატომ არ იწერები? დაგავიწყდა? ხომ არ და-მიბერდი, ჩემო დედა? ძალიან ვთხოვ.

ტყემალი და გოზინაყი ნატაშასაც გაუგ-ზავნე. ნატაშა ხომ გახსრქსნ ცოცხერ-თვალა ნატაშა, აი მოსკოვში ყველგან რომ დაგყვებოდა. მისამართი უბის წიგ-ნაკში გიწერია.

აბა, ერთხელ კიდევ გილოცავ ახალ წელს. ჩემო კარგებო, ნეტავ თქვენთან ვიყო! გოცინით და გეხვევით.

მაგრად იყავ, დედაჩემო, მალე გნახავ; აბა შენ იცი!

შენი მოსიყვარულე და ერთგული შვილი.

25 დეკემბერი“.

ამონაწერი გაზეთიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ მინისტრთა საბჭო, რომლებმაც განიხი-ლეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს-თან არსებული მეცნიერებისა და ტექნი-კის ლენინური და სსრ კავშირის სახელ-მწიფო პრემიების კომიტეტის წარდგი-ნება, აღგენენ მიენიჭოთ სახელმწიფო პრემიები:

5. სოლნცევს გრიგოლ ვასილის ძეს — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერება-თა დოქტორს, საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს; ალექსანდროვს, იური ვლადიმერის ძეს — გეოლოგია-მინერა-ლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, ექს-პედიციის სამეცნიერო ხელმძღვანელს; ოზეროვს იგორ ივანეს ძეს — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, საკვლევი ინსტიტუტის ექსპერიმენტუ-ლი ლაბორატორიის გამგეს; ოთარა-შვილს გურამ გიორგის ძეს — ექსპედი-ციის მთავარ გეოლოგს (სიკვდილის შე-მდეგ); ბელმენიოვს მიხეილ დენისის ძეს — გეოლოგია-მინერალოგიის მეც-ნიერებათა კანდიდატს, ექსპედიციის უფროსს — № საბადოს დაძიებისა და აღმოჩენისათვის.

მ ე ც ხ ე მ ბ ო

• • •

ტელევიზორთან
ვკლებზე სხედან
და შეპყრებენ ნახანძრალ კედლებს —
მამუკას დედა,
 შორენას დედა,
ირაკლის დედა
 და ასე შემდეგ...
მაგრამ ეძებენ უებარ წამალს
და მიიწევენ მზისკენ და მზემდე —
მამუკას მამა,
 შორენას მამა,
ირაკლის მამა
 და ასე შემდეგ.

• • •

იულისში და აგვისტოში მე არ მიყვარს თბილისი,
ხალხს სახლიდან განგაშით ვერეკება თბილისი.
გარბის გარეუბნებიდან მანქანების ლაშქარი
და თანდათან ავიწროვებს ქალაქს ნაქალაქარი.
იჩქარიან,
ან მიდიან
ან წასვლაზე ფიქრობენ
და სახლები ღამღამობით ჰგვანან ზღაპრულ ციკლოებს.
დღისით ფერი უბრუნდებათ ფერმკრთალ დეკორაციებს,
ჰაერს სკოლის ეზოების მყუდროება ამძიმებს, —
თითქოს გაპარტახებული კერა შემოგვეყარა...
ვის რად უნდა უბავშვებო ქვეყანა?!



უკვე ვეღარ გაკავებუნ სვალის ბარიკადები,
ბურუსიდან გამოდიხარ
და თანდათან მვლავნდები.
რალას უნდა მოერიდო,
შიში გჭონდეს ვილასი? —
ასე უფრო ცოცხალი ხარ, სანამა ხარ თიხაში.
ორად-ორი მკლავი შეგრჩა,
ორად-ორი ტოტილა,
ჯერ თვალი არ აგხელია, მაგრამ უკვე მოდიხარ.
შენმა ღმერთმა,
ერთადერთმა,
სული ეშმაკს მიჰყიდა,
და შენ კი არ გამოდიხარ,—
გამორბიხარ თიხიდან.

• • •

ვერ გავიხსენე, რიონო,
უხმო და უმაყრიონო.
მესმოდა შენი ნანა და
მზემ ძილშიც შემოანათა.
წახველ,
სიმშვიდეც წავიდა,
ვეღარ ვისვენებ წამითაც.
ძილიანს —

გადაამეტა
რიცხვმა უძილო ღამეთა.
შენ უკან მეძებ, მე — წინა,
მზემ პირი დამაბანინა...
ვაი,
რა ტკბილად მეძინა,
შენ რომ მიმღერდი ნანინას.

• • •

ხელში ეპყრა შთაგონების სადავე და
სათავე და
მოქანდაკე ქანდაკებას არასოდეს
ამთავრებდა.

არ მოსწყინდათ ყბედობა და მკაცრი
უიმედობა და
ჩურჩულებდნენ: ვერ ამთავრებს...
ის კი მნახველს ენდობოდა.

• • •

ვეღარ ვცნობ კარის მეზობელს,
ვეღარც ვენდობი კარამდე.
იმედის ჭურჭრუტანები უეცრად
დაპატარავდნენ.
ვერ გავერიდე ვერასგზით მაცთურ
ფიჭრებს და ზმანებებს.

შემიჩნდა ეჭვის პატარა ჭია და
თავს არ მანებებს.
ბევრი კი არაფერია, არც არა გამოგია რა:
გუშინწინ
სამი ნაბიჯით
სალამი დამიგვიანა.



ფიქრი მრავალფეროვანი
ისევ გაგიხანგრძლივდა,
სინანულის ქარავანი
მოგდგომია მარცხნიდან.
არ გეგონოს ფიტულები,
ლაშქარია მკაცრი და —
მარჯვნივ რატომ იყურები,

როცა მოდის მარცხნიდან?
გაქვს პასუხი საკადრისი,
დაფიქება არც გინდა,
კარგად იცი,
კარგად იცის,
რატომ მოდის მარცხნიდან.

გინდა მაქე და გინდა მაგინე,
მწარეს ვერ ვიტყვი — ტკბილის მაგიერ.
ვერა,
უმანკო სიტყვის მაგიერ —
ვერასდროს ვიტყვი სიტყვას მანკიერს.
წაშლის ყოველგვარ იერარქიებს
სიტყვა —

ნათქვამი სიტყვის მაგიერ:
თავისუფლება — ღმერთის მაგიერ,
სამოთხე — ჯოჯოხეთის მაგიერ,
სამშობლო — უცხოეთის მაგიერ,
წითელი დროშა — თეთრის მაგიერ,
სინათლე — უკუნეთის მაგიერ,

მთვარეშავალი — ეტლის მაგიერ,
კილომეტრები — მეტრის მაგიერ,
მეტრები — სანტიმეტრის მაგიერ,
წვეთები — ერთი წვეთის მაგიერ,
წყვილი და წყვილი — კენტის მაგიერ,
მეტი და მეტი — მეტის მაგიერ,
ზედმეტი — მეტისმეტის მაგიერ,
მრავალი — ზოგიერთის მაგიერ,
ათივე — მათედის მაგიერ,
ათი ათასი — ერთადერთის მაგიერ,
ერთ-ერთი — ერთადერთის მაგიერ.
ყველანი — ერთმანეთის მაგიერ.

დაქანცულს და დაფიქრებულს
ჩამომძახეს ჩიტებმა:
შენს სატიკივარს დღეში სამი სიხარული სჭირდება...
შეგვაროვე
მთელი ჩემი ქონება და სიმდიდრე
და პირველი სიხარული სისხლის ფასად ვიყიდე.
მერე ღმერთმა გადმოიხედა
ზეცის კაბადონიდან
და მეორე სიხარული თავისთავად მოვიდა.
ახლა სხვაგან მელოდება გული მონათესავე,
ვეძებ,
მაგრამ ვერ ვიპოვნე
სიხარული მესამე.



აჩქარებული მანქანებით სავეე ქალაქში
 წყვდიადის ჯაჭვით გადაბმული ბრმები დადიან.
 ცალკე ვერაფერს ვერ ხედავდნენ, მაგრამ მას შემდეგ,
 რაც ერთმანეთი იპოვნეს თუ აღმოაჩინეს
 და რაც ერთმანეთს გაწაფული ხელი შეახეს,
 ქუჩაში ისე თავისუფლად მიაბიჯებენ,
 თითქოს მათ შორის უსინათლო ერთია მხოლოდ
 თვითონაც სჯერათ... და იმედი ერთიმეორის
 ათბობს,

ამხნევებს,

ათამამებს,

აგულიანებს —

აჩქარებული მანქანებით სავეე ქალაქში —
 წყვდიადის მძიმე ბორკილებით გადაჯაჭვულებს.

* * *

ექვსნიშნა ციფრი მარხია ჩუხი მესხიერების სასაფლაოზე,
 ერთი ექვსნიშნა ციფრი ვოფელდღე მამოროტებს და მამარბაროსენს.
 სხვებს შეიძლება ჩემი გულისთქმა ჩვეულებრივი დარდი ეგონოთ,
 ჩვენ ერთმანეთი გვიპოვნია და გაგვიტანია უტელეფონოდ
 ჩვენ არც კანონი დაგვირღვევია სამი მთავარი განზომილების
 და ერთგულები დაურჩით ბოლომდე — ექვსნიშნა ციფრით დანოწრილებიც.
 აღსარების და ანდერძის ნაცვლად შენ დამიტოვე ცივი ნომერი,
 ვიცი, მთავარი გადასასვლელი ჯერ არ ყოფილა, აწი მომელის.
 ვიცი.


შემხვდება ბევრი აღმართი, ბევრი ბექი და ბევრი ბექობი,
 ვიცი.

თანდათან შემსუბუქდება ჯერ კიდევ მძიმე ტვირთი მეგობრის.
 მაგრამ ეს ციფრი ზუსტი ციფრია, არ მაპატიებს იგი არაფერს,
 არც ძალიან ბევრს მებოდიშება, არც ძალიან ბევრს მალაპარაკებს.
 ვერ ვედავები, რადგან თვითონაც არ მედავება, ვერ ვედავები,
 ვერც გავერიდე, თითქოს თვალისთვის შეუმჩნეველი თოკით დავები.
 გული კი ისე გაბმით მიცემს და ისე ამძიმებს ჰაერს დუმილი,
 თითქოს ახლახან ვლაპარაკობდით და დამიკიდე უცნებ ყურმილი.

* * *

კეთილშობილი სითხეა ცრემლი, შეიცავს მხოლოდ წყალსა და მარილს.
 ნუ ანგარიშობთ, ბავშვის ცრემლები არ ჩაითვლება ცრემლებად მაინც.
 არც სიცილის დროს დაღვრილი ცრემლი და არც სცენაზე დაღვრილი ცრემლი
 არ გაიხსენოთ პატივისცემით, გულისცემით და თავყანისცემით.
 თქვენ გაიხსენეთ სამცხე და სიცხე, თქვენ მოუსმინეთ სეტყვებს და სიტყვებს,
 საინტერესო რიცხვებს და კითხვებს ახსნის ყველაზე გულწრფელი სითხე.
 ნელა მძიმდება, ნელა მწიფდება და სულის ციხეს შიგნიდან ტბავს,

არ ერიდება ღობეს და ყორეს, არაფრად აგდებს კედელს და ტიხარს. ხანდახან წითლად შეიღებება — მწარე და მწველი, ცხარე და ცხელი, და უფრო ბრწყინავს წითელი ცრემლი, რომელიც უკვე არ არის ცრემლი. ხანდახან როგორც უმიზნო ტყვია, ან როგორც შარბებს ამცდარი კია, უქმად იღვრება წითელი ცრემლი, რომელიც თუმცა ანკარა კია, მაგრამ თავისი სახელი ჰქვია, უკეთ ბრწყინავს და ელვარებს უკეთ და უფრო მძიმე სახელი ჰქვია, მსუბუქი ცრემლი არ არის უკვე, გამართლებული სახელი ჰქვია და თავის სახელს ამართლებს ისიც, — დაღვრილი სისხლი, დაღვრილი სისხლი, არა ამოდ დაღვრილი სისხლი.



შეითხვევა სდგურგე

ქ მონიკა

მიყვარს ჩემი პატარა სადგური. ერთ ვიწრო ხევში, მდინარის პირას აგებულ ნაყრისფერი ქვის ამ პატარა შენობის წინ, ყველა მატარებელი ჩერდება, თბილისში მიმავალი თუ თბილისიდან მომავალი, სამგზავრო თუ საბარგო. მე, აქ დაბადებულსა და აღზრდილს, ამის შემდეგ რამდენი უფრო დიდი და კეთილმოწყობილი სადგური მინახავს, მაგრამ ყველაზე მეტად ეს მიყვარს, რადგან პირველად აქ შევხედე მატარებელს და, შიგ მოზიშნიმე ხალხი რომ დავინახე, გულში ჩავითქვი: მეც ბევრი შემგზავრა და მენახა.

ასე ჩამესახა გულში მგზავრობის ტრფიალი და ახლა ჩემს დაბაში ჩემსავე ნაწილი კაცი არც შეგულებია.

თითქმის მთელი ქვეყანა შემოვიარე: სად არ ვყოფილვარ, რა არ მინახავს, სად არ მისწავლია და მიმსახურია. ახლა თბილისში ვარ დაბუდებული, მაგრამ ყოველთვის, როცა დროს მოენახავ, აქეთ გამოვწევი, ჩემს სადგურს მოვიწინებ, მამა-პაპეულ სახლში დავიძინებ ხოლმე და უმალ აღდგება ჩემში ბავშვობის დღეები. ასე მგონია, ისევ ის ბიჭი ვარ, ორმოცი წლის წინათ რომ ვიყავი.

ჩემი სადგური იმიტომ მიყვარს, რომ აქ ყოველი კაცი და ქალი, ყოველი ქვა და ხე ნაცნობია და ახლობელი. დიახ, ჩემია და ჩვენია ეს უბანი, ეს ნაყრის-

ფერი ქვის შენობაც, რომლისთვისაც ერთი საუკუნის წინ სადგურის სახელი უბოძებიათ. სადგური კი იმის სადგურია, რომ დგახარ და უცდი, უცდი და დგახარ.

მე კი, ამოდენა ნავალს, ცდა და ლოდინი არ მიხდებოდა. სადგურის გვერდით ჩემი სახლი იყო, მამა-პაპეული ორსართულიანი ფიცრული სახლი, რომლის მეორე სართულზე ერთი ოთახი ჩემთვის იყო მიჩნეული. აქედან, ჩემი ოთახის სარკელიდან გავყურებდი სადგურს და საათს, სადგურის თავზე სავსე მთვარესავით რომ ეკიდა.

მთელს სამყაროს ამ საათით და ამ სარკელით ვუშვებდი, ვხედავდი, ვზომავდი.

სამგზავროდ ბილეთს რომ ავიღებდი, საგულდაგულოდ ჯიბეში ჩავიდებდი და მერე ჩემი ოთახიდან კვლავ გავყურებდი საათსა და სადგურს. ქვემოთ ჩამოკიდებულ თითბირის ზარს რომ ჩამორეკავდნენ, ეს მეზობელი სადგურიდან მატარებლის გამოსვლის ნიშანი იყო. მეც დინჯად ავდგებოდი, ჩემოდანსა და ხილით სავსე კალათას ხელს ჩავავლებდი, ბაქანზე ვავილოდი და მატარებელიც ჩამოდგებოდა. მერე კი... ჰაიდა, თბილისს თუ მოსკოვს!..

ჩვენი სადგური ერთ ბეწვისოდენა ვაკეზეა აღმართული. წინ, მდინარის გაღმა-გამოღმა, ხელისგულისოდენა ვა-

კე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მეხს მთა შუაზე გაუბია და ეს ბეწვისორდენა ვაკე ადგილიც ასე წარმოქმნილაო. ახლა პირისპირ დგანან ეს შუაში გასლენილი, წვიმებისაგან ჩამორეცხილი კლდეები, თხემზე და გადაღმა მხარეზე ტყით დაფარულნი, ცალფერდა სიშიშველეს ხევში ჩამოწოლილი ნისლით რომ იფარავენ...

მატარებლიდან გადმოვდელი და, ფეხი დავედგი თუ არა აქაურ მიწას, ჩემად, ჩემთვის ვთქვი: გამარჯობა, ჩემო სადგურო, ჩემო ხევო! როცა შენს ცამდე აზიდულ მთებს შევხედავ, თავზე მუდამ ღრუბლის თეთრი მანდილი რომ ახურავს, ამ მთისაგან მონაქურ შენს კრიალა მდინარეში რომ ჩაიხედავ, ჩემს სულშიაც მეფდება ის სიწმინდე და სიშშვიდე, რაც ამ მთებისა და მდინარისათვის ბუნებას ასე უხვად მოუფრქვევია. გამარჯობა, ჩემო საყვარელო მთებო! თქვენნი შეხედვა შიშაიც მგერის და იმასაც მომაგონებს, რომ თქვენს დალოცვილ კალთებზე მარტო თქვენსავით ზვიადი, ბრგე, მტკიცე და შეუვალი, გამრჯე, თქვენსავით თავშეწირული ადამიანები კი არ იზრდებიან, არამედ პატარა კაცუნებიც, გაქნილებიცა და მატყუარებიც. რაო? ისინი რკინიგზას ხომ არ ამოყვენ საიდანმე? არა! ასეა თვით ბუნებაში, მუხნარისა და ფიჭვნარის გვერდით ეკალბარდიც ხარობს. დასაბამიდან სინათლეს სიბნელე ასდევნებია, ჩემო ხევო. ასე რომ არ იყო, მაშინ კეთილი და ბოროტი საქმის გარჩევაც არ მოხერხდებოდა. ჰო, ეს ასეა, მაგრამ მე მუდამ იმის მლოცველი ვარ, კეთილა ადამიანები გვიმრავლოს ამ მთების გამჩენმა, ცუდი და ბოროტი კი მუდამ გეაშოროს.

ახალი გათენებული იყო, თოვლით გადაპენტილი ვაკე ნისლს დაებურა. სადგურზეც ნისლისფერი ბოლი ამოდიოდა. სადგურის გაყოლებით ორღობეში ქათმების კრიახი და ბელურების ყრიაშული ახშობდა სახლიდან სახლში მეზობლების კანტი-კუნტად გადა-

ძახილს. ამ ხმაში უმაღ გავარჩიე ჩვენი უბნელი ტაგუს ხმა **გაგონეს**! მოვიხედე და, თითქმის ნისლიდან ამოძვრა თუ თოვლით დაფარულ მიწიდან, ჩემს წინ ტაგუ აიტუნა, ხელბარგი ჩამომართვა და თან ლულულულით მამცნო, ხვალ ჩვენს უბანში იმათ ასამართლებენო. ვის იმათ-მეთქი ვკითხე და ენაბლუ ტაგუ შინ შევიპატივე. ფერწასული და აღელვებული ტაგუ მთელი დღე მიყვებოდა ამბავს, რომელიც მეორე დღეს სასამართლოს უნდა გაერჩია.

ტაგუსთან ყოველი შეხვედრისას მიხეილ ჭავახიშვილის ჩანჩურა დამიდგება ხოლმე თვალწინ და მეც ვადარებ, ვაზომებ ერთმანეთს ჩანჩურასა და ტაგუს. დღეს კი სრულიად დავრწმუნდი, რომ ეს მსგავსება, ეს შედარება უფრო წიგნურია, ვიდრე ცხოვრებისეული. ტაგუ მაინც სხვაა, ჩანჩურაზე უფრო გონებაგახსნილი და გაწაფული.

ტაგუმ რკინიგზის დაწყებითი სკოლის პირველ კლასში ორი წელი ისწავლა. ისწავლა და იწვალა, მასწავლებლებიც აწამა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და თავი გაანება სწავლას. დაანება კი არა, დირექტორმა დებილის ნიშნით დაითხოვა. სკოლიდან დათხოვნილ ტაგუნის მეორე დღესვე ვიდაც კვიმატმა ბატის ქურდი შეარქვა და, რაც თავი მახსოვს, სადგურზე ამ სახელით იცნობენ. თურმე იმ ხანებში ვიდაცამ ბატი მოიპარა და მაინც და მაინც ამ საცოდავს დააბრალეს. ტაგუ არც ჩანჩურასავით ჭუჭა იყო. პირიქით, უსაშველოდ მალლა აწოწილს გრძელი და წვრილი ტანი ჰქონდა. ცხვირი — კეხიანი და მოკაუტებელი, პირსახე — ნაციებივით ყვითელი, დაკეცილი და დაკმუჭნილი, კისერი ქიყელასავით გრძელი და გაწვრილებული. ამის კვალობაზე თავიც წვრილი ჰქონდა, მუქისოდენა, ახლადგამოჩეკილი წიწილას მსგავსად ყვითელბუსუსებიანი; ხმა — ბოხი და ხრინწიანი; ენაბლუ და მუდამ პირდორბლიანი, მართლაც, ნამდვილი დებილი იყო,

ოლონდ ბავშვებით კეთილი და მიზეზიანი. მშობლები ადრე დაეხიციან და ახლობლებიც არავენ ჰყავდა. სადგურზე, რკინიგზელთა პატარა სახლში ერთი ოთახი ეჭირა. ოთახი ქვედა სართულზე იყო, ფანჯარა ზამთარ-ზაფხულ ღია ჰქონდა. თუ შინ იყო, ამ ფანჯარაზე გადმოყოფდა ხოლმე ბრტყელსა და ფართო ყურებს, თუ არა და სასადილოში, მალაზიაში ან ბაქანზე ნახავდით მუდამ რალაციის მომლოდინეს.

ტაგუსთან, შინ თუ გარეთ, ყველა ქურის კაცს ნახავდით, პატროსანსაც და უპატროსნოს, კარგ ვაჟკაცსა თუ ნაძირალას, წამსვლელსა და მომსვლელს, ყველასთან ერთნაირად მეგობრობდა, ტაგუსათვის ყველა ერთი იყო, ოლონდ კი ცოტაოდენი ფული ეშოვნა.

ჩვენს დაბაში ხალხის ყველაზე დიდი თავყრილობა სადგურზე იმართებოდა ხოლმე. ოთხი მატარებელი ჩერდებოდა ყველაზე დიდხანს ამ სადგურზე: ორი დილით, თბილისიდან მომავალი, და ორიც — საღამოს სოხუმიდან და ფოთიდან თბილისში მიმავალი. ოთხივე მატარებელს საზეიმო შეხვედრას უმართავდა ჩვენი დაბა, განსაკუთრებით, საღამოობით. მორთულ-მოკაზმული ვაჟები და ქალიშვილები მართო დაბიდან კი არა, ახლო-მახლო სოფლებიდანაც მოდიოდნენ და ვინმე აქაურ ვაჟს ან ქალიშვილს თუ ელოდებოდნენ, უთუოდ ყვავილებით იყვნენ ხელდამშვენებულნი. მთავარი მაინც ის იყო, რომ აქ ეცნობოდნენ საგანგებოდ გამოფენილ ლამაზ ქალიშვილებს ჩვენი უბნის საცოლო ბიჭები. მერე იმართებოდა მიწერ-მოწერა და მაქანკლობა, ამ საქმის „ოცხალი ფოსტა“ ტაგუ გახლდათ. მთელმა დაბამ იცოდა, რომ ტაგუ ჰქუანაკლული იყო და ყველა ისე ექცეოდა, როგორც მოეპრიანებოდათ. გაზავენა უნდოდათ საღამე — ტაგუს გზავნიდნენ, ბარგის ატანა უნდოდათ მატარებელში — ტაგუს მოიხმობდნენ, თითო

გროშს მიუგდებდნენ და არც დაეძებდნენ, ამით კმაყოფილი გაყრდნობოდნენ. კოოპერატიულის დახმარებით თუ სასადილოსათვის კიდან წყალს ამოიღებდა, ამაშიაც ფულს აძლევდნენ და მაინც მუდამ შიოდა ტაგუს, ზამთარ-ზაფხულ გაეცეთილი შავი ბლუზა-შარვალი ეცვა. ხანდისხან ვინმე გამონაცვალს უწყალობებდა, მაგრამ რად ვინდა — უშნოდ აწოწილ და გამხდარ ტანზე მორგებული არაფერი ჰქონდა და მუდამ სასაცილო შესახედავი იყო.

იმ დღეს ტაგუ უგუნებოდ ჩანდა, ვიცი კვიმატი გადაეკიდა და მთელი დღე სდია და უსტვინა: „ტაგუნია ბატის ქურდო, ტაგუნია ბატის ქურდო!“ მის გაღამიკიდეს მოთმინება გამოეგია და ვერც სამაგიერო გადაუხადა. იმ საღამოს იგივე ბიჭი ტაგუს შეეხვეწა — „აი, იმ ქალთან მიმეგზავნე, ეს წერილი მიუტანე“, — და ქალიშვილზე ხელით ანიშნა. ტაგუმ ჯერ გაშვერილ თითზე ხელი აუკრა. მაგრამ უცხად ბიჭმა ხელში ათაშურიათი ვერცხლის ფული და წერილი რომ შეაჩქა, ჯერ დაიბნა, მერე ფულს რომ დახედა, უცნაურად დაიდრიჭა და წერილიანად იმ ქალიშვილისაკენ გააქუნძულდა...

იმ საღამოს კი ასე უბრალოდ დაწყებული საქმე ტრაგედით დასრულდა. ქალიშვილმა წერილი წაიკითხა თუ არა, ტაგუს ხელი სტაცა და იყვირა: სად არის, ახლავე წამიყვანეო.

ამას კი აღარ მოელოდა ტაგუ, უკვირდა ასე რამ ააწრიალა ეს ქალიშვილი. მერე ორივემ იქით გასწია, საიდანაც ტაგუ მოვიდა. მისვლით კი მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ბიჭმა ეს ბარათი მისცა ტაგუს, მაგრამ ბიჭი იქ აღარ დახვდათ. ქალიშვილი უფრო აწრიალდა — „ჩქარა, ჩქარა თორემ გვიან იქნება“, — ორივე ხელით შეანჯღრია გაოგნებული ტაგუ. ტაგუს უკვირდა, ან ამ წერილში ისეთი რა ეწერა, ან ის ბიჭი ასე სად გაუჩინარდაო. ქალმა ისევ გაშალა წერილი და ჰკითხა, რობუ სად არისო. „რობუ? ჰოდა, ასე

გეთქვა, „შე დალოცვილო“, — შეგებით ამოისუნთქა ტაგუმ და გონს მოეგო.

ბიჭები სადგურის უკან ამოღრმავებულ ადგილს რომუს ეძახდნენ. ეს ადგილი კარგად იცოდა ტაგუმ. ამ უბნის პატარა ბიჭები პაპიროსს აქ ეწეოდნენ ჩუმად, ტაგუს დარაჯად დაიყენებდნენ, მშობლებმა არ მოგვისწრონო. ტაგუს ამისათვის გასამრჯელოდ აბაზიანს აძლევდნენ. ვიდრე მატარებელი ჩამოდგებოდა, ტაგუ ბიჭებს ყარაულობდა. აი სწორედ იქ უნდა მიეყვანა ტაგუს ეს ქალიშვილი. მიუახლოვდნენ თუ არა რომუს, იქვე მდგარ მანქანიდან სამი ბიჭი გადმოხტა, ეცნენ ამ ქალიშვილს და მანქანაში შეაგდეს. ტაგუმ იყვირა თუ არა, თავში რკინის ნატეხი ჩასცხეს, და იქვე ჩაიკეცა. მეორე დღით გონს მილიციის სამორიგეოში მოეგო. ქალიშვილის გაუჩინარებით მთელი დაბა შეიძრა. ამხანაგები ამბობდნენ: დავინახეთ ტაგუს ვაჟყვა, ამის მეტი არა ვიცით. ტაგუ ორჯერ დაკითხეს, ორივეჯერ ერთი და იგივე გაიმეორა: მე ვერც ერთი ვერ ვიცანი იმ სამი ბიჭიდანო. ვინც წერილი გადმომცა, არც მისი სახელი და გვარი ვიციო. სახეზე კი ვიცნობო.

მეორე დღეს ის ქალიშვილი მდინარეში დამხრჩვალი იპოვნეს. ისევ აწრიალდა მთელი დაბა. დამნაშავის კვალს ვერ მიაგნეს. ქალიშვილის დამარხვის დღეს ტაგუ მილიციიდან წაიყვანეს და დაანამუსეს: ის ბიჭები აუცილებლად დამარხვებზე გამოჩნდებიან, თუ კარგად დააკვირდები, იცნობ, გვანიშნე და დანარჩენი ჩვეზე იყოსო. ოღონდ გვაპოვინე და მაშინვე გაგანთავისუფლებთო; თუ არა და, ციხეში ამოგალობთო. ოღონდ დავინახო და, აუცილებლად ვიცნობო. — ლულულებდა ტაგუ და აქლემივით თავის კანტურით მისდევდა დაბალსა და ჩასუქებულ გამოძიებელს. ტაგუს გამოჩენა სატირაში ყველას გაუკვირდა. უცბათ ხალხში ხმა გავრცელდა, ტაგუ ამ საქმე-

ში უდანაშაულო აღმოჩენილა და გაუთავისუფლებიათო. ქალიშვილის დამარხვას უამრავი ხალხი დაესწრო. ტაგუ დაბორიალობდა ამოდენა ხალხში თავგზაბნეული, წარამარა რაღაცა ელანდებოდა, მთლად გამოლენჩდა ისედაც ლენჩი. გამოძიებელს იმედი მაინც არ დაუქარგავს და შორიახლო დაჰყვებოდა აქლოშინებულ ტაგუს. მერე ის იყო ტაგუ იმ ოთახში შებორიალდა, სადაც მიცვალებული ესვენა. შევიდა თუ არა, ხალხს ფეხებში ებლანდებოდა გონებადარეტიანებული. ვიდაცამ უბიძგა და გონს მოეგო. გონს მოეგო და იყვირა — „აი ის არის, ნამდვილად ის არის!“ ზმუოდა ტაგუ და ხელს ზედ მიცვალებულის თავთან მდგარი ბიჭისაკენ იშვერდა... აწრიალდა კირისუფალი. ამასობაში გამოძიებელი იმ ბიჭთან მივიდა, რომელსაც ტაგუ ანიშნებდა, განზე გაიხმო და უბრძანა გამოძიებო. ბიჭი, თითქოსდა ამას ელოდაო, მიჰყვა გამოძიებელს, ტაგუ კვლავ ხმაძალდა ზმუოდა: „აი ამან, ამან მომცა ის წერილი, დიახ, ამან“, — ხელის ქნევით ემუქრებოდა ბიჭს.

სამივენი ეზოდან გავიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ. ვინც თვალი მოჰკრა ამ ამბავს, ყველამ მანქანამდე მისდია გამოძიებელს, მაგრამ იმ უბედურების დღეს არავის ეცალა დაწვრილებით გამოეკითხა საქმის ვითარება.

რომუს საქმის გამოძიება მთელი წელიწადი გაგრძელდა. ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა დამნაშავე დააკტიმრეს. დამნაშავენი აღმოაჩინეს თუ არა, ტაგუ გაათავისუფლეს, რადგან არ იყო ამ საქმის უშუალო მონაწილე.

ჩვენი დაბის კულტურის სახლში არასოდეს ყოფილა იმდენი ხალხი, რამდენიც იმ დღეს. ზამთარი იყო, მაგრამ ხალხით გაქედოლ დარბაზში ცხელოდა. სცნაზე მოსამართლე გამოჩნდა თუ არა, დარბაზი ფეხზე წამოდგა. მოსამართლემ ზარი გააწკარუნა. ბრძანა, ფანჯარა გამოაღეთო. შეხუთული ჰაერი განიავდა, და ხალხმა შევებით ამოისუნ-

თქა. სასამართლო მუშაობას შეუდგა. საბრალდებო დასკვნა ძველი დიაკვანივით უცხად ჩაიკითხა მდივანმა, მოსამართლემ პირველად ის ბიჭი გამოიძახა, რომელმაც წერილი გადასცა ტაგუს.

- გვარი, სახელი, მამის სახელი?
- გივი პეტრეს-ძე არენდაძე.
- პროფესია?
- სტუდენტი.
- ცნობ თუ არა თავს დამნაშავედ?
- ყველაფერი მართალია, რაც საბრალდებო დასკვნაში სწერია. ოღონდ არ მეგონა ასე უსინდისოდ თუ გამწირავენ.

მე სანაძლეოში წავაგე ჩემს თვალწინ ეკოცნა ჩემი სატრფოსათვის იმას, ვინც მომიგო ეს სანაძლეო.

— სანაძლეოში კი არა, ზარიში, ზარის თამაშში! — გაუსწორა მოსამართლემ.

— ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ისინი შემუქრებოდნენ.

- სიკვდილით, არა?
- დიახ, რაკი ფული არ აღმომაჩნდა...

— წერილი ხომ შენ მისწერე იმ ქალიშვილს?

- ჰო, მე მივწერე.
- ვის გაატანე?
- ტაგუს.
- მე გამატანა, მე, — აზმუვლდა მამის ტაგუ.

მოსამართლემ ზარი დააწკარუნა.

- რა ეწერა იმ წერილში, არენდაძე?
- ის წერილი ამათ მიკარნახეს, — და ხელი ბრალდებულებსავე გაიშვირა, — შინაარსი კარგად არ მახსოვს.

მამის პროკურორმა სქელი საქმე აიღო, გადაფურცლა და წაიკითხა: „ჩემო ესმა, მოკვლას მიპირებენ, ეგებ შენ მიხსნა, რობუში გელოდები. შენი გივი“.

- და ისიც მოვიდა, არა? — ჰკითხა პროკურორმა.
- ჰო, მოვიდა.
- წინათაც ხვდებოდით იმ ადგილას ქალიშვილს?
- ქალიშვილმა იმ ადგილის არსებო-

ბა არ იცოდა და ამის იმედი მქონდა. დარბაზში ისევ აყმუვლდა ტაგუს. მე მივიყვანე ის ქალიშვილი მისივე თხოვნით...

— მერე, მერე რა მოხდა, შენ გეკითხები არენდაძე? მერე?

— რა მოხდა, არ მახსოვს, რადგან ტაგუს შემდეგ მე ჩამარტყეს ის რკინის ნაჭერი... აი იმან, — და ხელი კვლავ ბრალდებულ ბედენაძისაკენ გაიშვირა. გონს რომ მოვეგე, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაგრამ ვერსად ვიბოვე მათი გზა-კვალი, შვიდი დღე-ღამე ვეძებ. მერვე დღეს წავაწყდი დამხრჩვალ ქალიშვილს და მშობლებს შევატყობინე. აქ შეჩერდა არენდაძე.

— მერე, მერე? გააგრძელე, — ისევ მიმართა პროკურორმა.

— იმის შემდეგ არ მოვცილებივარ ქალიშვილის ცხედარს. დამარხვის დღეს იქვე დამაპატიმრეს. დანარჩენი არაფერი ვიცოდი, ვიდრე საბრალდებო დასკვნას არ გავეცანი. ახლა კი ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ეხ, მათ, დამღუპეს მეცა და ის ქალიშვილიც! — და ბრაზმორეულმა ისევ ბრალდებულებსავე გაიშვირა ხელი, — სულ ერთია, თავს არ ვიცოცხლებ, ამიტომ რასაც მომისჯით, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ოღონდ, თუ ცოცხალი გადავრჩი, ჯერ ამათზე ვიძიებ შურს და მერე ჩემს თავს გავუსწორდები.

პროკურორმა ისევ ჰკითხა:

- სად გაიკანი ეს ბიჭები? — და ხელი ბრალდებულებსავე გაიშვირა.
- სტუდქალაქში.

— სტუდქალაქში თუ გითამაშიათ მათთან ზარი?

- არა, არ მითამაშია.
- აბა როგორ გახდი მათი ამხანაგი და თანამოაზრე?

— ის ერთი, ჯაბანაძე ჩვენებურია, აქაური სადგურის უფროსის შვილია, ორი წლის წინათ აქ ვნახე, სადგურზე, ბედენაძესთან ერთად. მერე რობუში წავედი. იქ დაიწყეს თამაში. მერე

მეც ჩამრიეს, მიმაჩვიეს, ამის შემდეგ ყოველ არდადეგებზე ვხვდებოდი იქ. ასე მოხდა წლეულს იანვარშიც.

— კიდევ ვინ თამაშობდა თქვენთან?

— აქაური არავინ.

— აკი ბედენაძემ აჩვენა რესტორნის დირექტორის შვილიცო?

— ჰო... არა... არ მახსოვს...

ახლა სადგურის უფროსი გამოიძახეს. ზორბა ტანის, ფართო მხარბეჭიანი, გრძელწვერა წითური კაცი მოსამართლეთა წინ დადგა.

— იცოდით თუ არა თქვენი შვილი ზარს რომ თამაშობდა?

— გვიან გავიგე.

— ესე იგი იცოდით.

— დიახ, ვიცოდი.

— მერე რატომ არ იღონეთ რამე?

— როგორ არა, აქაურობას გავაცილე, თბილისში წავიყვანე, იქ მოვაწყვე სასწავლებლად, მაგრამ რა, თურმე იქაც მოუწახავს თავისი ამფონები.

— ფული, ამოდენა ფული საიდან ჰქონდა, მოსწავლეს ბავშვს?

— ეშმაკმა იცის ამის თავი, ას მანეთამდე მე მცანცლაგდა ყოველ თვე. თურმე ამდენსავეს ღელამისს ართმევდა.

— ესე იგი ორასი მანეთი თვეში! საიდან მერე? თქვენ თავად ასოთხმოც მანეთს იღებთ, არა?

— მე ჯამგირის გარდა, სოფელში ვენახიც მაქვს. კიდევ სხვა წვრილმანი შემოსავალიც.

— უკანონო და კანონიერი, არა?

— არა, უკანონო რად იქნება!

ახლა ბრალდებულ ჯაბანაძეს ჰკითხეს.

— მართლა ამდენ ფულს გიგზავნიდა მამაშენი?

— არა, კი არ მიგზავნიდა, როცა არ მყოფნიდა, ჩემად გამოვიპარებოდი თბილისიდან, ღელას თავს შევაცოლებდი და, როცა საკმარის ფულს ვერ გამოვეცინცლავედი, ვიპარავდი.

— მერე როგორ?

— როგორ და მამაჩემს ფული დიდ

კარადაში ჰქონდა შენახული. მივაგენი ფულს და ჩუმ-ჩუმად ვიდგებდი იქიდან.

— ესე იგი მამათქვენს უთვალავი ფული ჰქონია, არა?

ამის გამგონე წითურ სადგურის უფროსს გული შეუღონდა.

— ასეე, დაბოხებული ხმით თქვა პროკურორმა გაკვირვების გამოსახატავად. მამაშვილის დაკითხვაც ამით შეწყდა.

ახლა მთავარი დამნაშავე გამოიძახეს.

— გვარი, სახელი, მამის სახელი!

— გიორგი დიმიტრის-ძე ბედენაძე.

— ზედმეტი სახელი?

— გენიოსა.

— რატომ შეგარქვეს ეს სახელი?

— ცუდად ვსწავლობდი და კლასში დამცინოდნენ, ჩვენს კლასში ერთი თავზე ხელაღებული ბიჭი იყო, ამბობდა, პროკურორის შვილი ვარო, ნურაფრისა გეშინიათო, ხელსაც ვერავეს გვახლებსო. აგვიყოლია იმან მე და ჩემი ბიძაშვილი დათო. ერთი-ორი გაკვეთილი გათავებდებოდა თუ არა, გავიპარებოდი სკოლიდან მტკვრის პირას, თათრის მოედანს რომ ემაზიან, იქ ერთი მივარდნილი კუთხეა, უკაცრიელი. ჩვენც იქ დავიდეთ ბინა და დავიწყეთ ზარის თამაში. ჯერ ოთხნი ვიყავით, მერე შვიდნი გავხდით. როცა დაგვიჭირეს ცხრანი ვიყავით. სულ მალე, როგორც მცირეწლოვანნი, გამოგვიშვეს. მერე, მეორედ დაიჭირეს ჩვენი ამხანაგები. მარტო მე და ჩემი ბიძაშვილი გადავრჩით იმ მეორე დაქერას. ამხანაგებმა ციხიდან შემოგვითვალეს: თქვენ არაფრისა არ შეგეშინდეთო, არ გაგამხელთო. მაგრად იყავით, ჩვენც მალე გამოვალთო. ასე გვაიშედებდნენ ციხიდან, მართლაც სამ თვეში გამოვიდნენ ისინი და ჩვენი ჯგუფი უფრო გაიზარდა. გადიდა. მერე კვლავ დაგვიჭირეს ქურდობაზე. ამასობაში სკოლიდან გაგვრიცხეს, პროფესიული ქურდებისა და ზარისტების სახელი შეგვარქვეს. მერე კიდევ ვიღაც მინისტრი-



სა და პროკურორის შეილება შემოგვემატნენ.

აქ პროკურორმა შეაჩერა.

— ხომ გამოირკვა, რომ ისინი არავითარი პროკურორისა და მინისტრის შეილება არ იყვნენ, ხომ ასეა? — გენიოსამ ცინიკურად გაიცინა.

— ეს მე არ ვიცი, ჩვენს კანონში არსად წერია...

პროკურორმა სიტყვა გააწყვეტინა... — რომელ კანონში? ქურდების კანონში, არა?

გენიოსამ უბასუხოდ დატოვა ეს კითხვა და თავისებურად განაგრძო:

— დიახ, ჩვენს კანონში არსად სწერილია ძმა-ბიჭების წარმოშობა და პასპორტები გამოწმობთ. ჩვენი პასპორტი ჩვენი პროფესიაა, რის ნიადაგზეც შეკვარით ფიცო. ამ ფიცს არ უნდა გადავუდგეთ. სხვა? სხვა ჩვენ არ გვეკითხება, იმ სხვას სხვები არკვევენ.

ესა თქვა, ისევ გაიღრიჭა და დადუმდა გენიოსამ.

ბრალმდებელმა ახლა ეს ჰკითხა გენიოსას:

— რამდენჯერ იყავითო პასუხისგებაში მიცემული?

— ხუთჯერ, — არხეინად განაცხადა გენიოსამ.

— გრძნობ თუ არა თავს უშუალო დამნაშავედ იმ ქალიშვილის დაღუპვაში?

აქ ერთხანს შეჩერდა გენიოსა, მერე გამომწვევად უბასუხა:

— დიახ, ვგრძნობ, ეს ჩვენი საერთო დანაშაულია. მერე ერთბაშად მოიღუშა და დამარცვლით წარმოთქვა:

— მისი ბრალიც იყო. არ მენდო.

ბრალმდებელმა შეაჩერა: — თქვენ გინდათ, სხვენს გადააბრალოთ თქვენი სამარცხვინო დანაშაული. ქალი ხომ თქვენ გააუბატიურეთ?

— კი, მაგრამ ცუდი განზრახვით არ მიქნია ეს.

— აგვიხსენით, მაინც რას ნიშნავს თქვენი ნათქვამი?

— მე ის ქალი მიყვარდა, ამის გაგონებაზე პროკურორულ ფოთლა.

— შენ, სიყვარული, რა იცი, რა ხილია! შენ საშინელი ეგოისტი ხარ, ეგოისტი და მშიშარა! საკუთარ თავზე ზრუნავ, შენი თავის მეტი არავინ გწამს, არც ახლობელი, არც ამხანაგი, და მით უმეტეს, ქალიშვილის გულწრფელი სიყვარული აბა სად შეგიძლია! შენი საქმე ზარი და ანგარიშია! ფული-სათვის სატრფოს კი არა, დედას, მამას გაჰყიდდი! ასეა, ხომ ასეა? — ანერვიულდა პროკურორი.

— არა, მთლად ასე არ არის, — მედიდურად და გამომწვევად განაცხადა გენიოსამ, — დიახ, მე ის ქალიშვილი მიყვარდა, თავდავიწყებით მიყვარდა, დიახ, თავდავიწყებით.

— გიყვარდა და მოსაკლავად გაიმეტე, არა?

— არა, მე მისი მოკვლა განზრახულა არ მქონია, არა და არა! მე ის მიყვარდა უზომოდ, უანგაროდ... — ხმა გაეზხარა გენიოსას, — მე, დიახ, მე ქურდსა და ზარის მოთამაშეს მიყვარდა ის უზომოდ. მე ისიც ვიცოდი, რომ ის ქალიშვილი არენდაძეს უყვარდა, რომ მათ ერთმანეთი სკოლაში გაიცნეს და შეიყვარეს, მაგრამ რაკი არენდაძე ჩემს არიფიონში იყო, ჩემსავით ზარის მოთამაშე გახლდათ, რაკი ასეთი კაცი უყვარდა ესმას, (სახელი „ესმა“ გენიოსამ რალაქნაირი მოწიწებით წარმოთქვა), ვფიქრობდი მეც შემიყვარებდა ამ ჯაბანსა და თარს არენდაძეს რით არ ვკობივარ! — გამომწვევად თქვა გენიოსამ, — ესმა თვითონ გვიმ გამაცნო და მითხრა: გვიყვარს ერთმანეთიო. პირველად მე ეს ზუმრობა მეგონა, მერე რამდენჯერმე ვნახე ის ქალიშვილი ამასთან ერთად და გულში ჩავითქვი: ჩემია ესმა და ვერც ვერავინ წამართმევს მის თავს-მეთქი. ამ საიდუმლო აზრს ჯერ არავის ვუმჟღავნებდი. მერე გვიისათვის მინდოდა პირდაპირ მეთქვა, ესმა მე მიყვარს და შენ

უნდა ჩამოსცილდე-მეთქი. ერთ დღეს ამის მაგიერ არენდაძეს ასე ვუთხარი: შენი საქმე არ არის ასეთი ქალიშვილის სიყვარული. შენ ჰევენსავით ქურდი უნდა გიყვარდეს, რომ ჩვენს ამფსონებს გამოადგეს-მეთქი. კიდევ რალაც მიეკიბ-მოვკიბე. მაგრამ როცა დაერწმუნდი, რომ ამ შეგონებამ არ ვაქრა, მაშინ ხარი ვეთამაშე და მოვუგე. ის ქალიშვილი რაკი მოვუგე, ვალდებულიც იყო მოეყვანა. მოიყვანა იმ პირობით, რომ მე მხოლოდ ვაკოცებდი და იმ დღეს საქმეს ამით დავამთავრებდი. მე ამით უზომოდ დავამციკრებდი გივის შეყვარებულის თვალში და გზა გაეხსნებოდა ჩემს უიღბლო სიყვარულს. იმ დღეს კი განზრახვა შეეცვალა. ასე ვიფიქრე, ამ ქალიშვილის წინაშე მაგრად ვცემ გივის, ფეხქვეშ ვავიგდებ, დავამციკრებ. მერე ქალს გავიტაცებ და ჩემი გულის საიდუმლოს გადავუშლი მეთქი. მეგონა ჩემს გულწრფელ აღსარებას ქალიშვილის თანაგრძნობაც მოჰყვებოდა, ამიტომაც ვცემე არენდაძეს, რკინის ჯოხი კი არ ჩამირტყამს, როგორც მან მოგახსენათ, არამედ ჩხუბში გამოვიწვიე, ვაქოზე და დავჯახნე. ჯახანს აბა რით არ ამჯობინებდა ესმა ჩემს თავს? ასე ვფიქრობდი მე მაშინ და ახარტში შესული ვცემდი არენდაძეს გონების დაკარგვამდის. მარტო მე ვცემდი. ასე, რომ ეს ბიჭები არაფერ შუაში არიან, — და ხელი თავის მეგობრებისაკენ გაიშვირა, — მერე ის იყო, გავიტაცე ის ჩემი ესმა. მთელი ორი დღე ვეფერე და ვემუდარე. ამით, რომ არაფერი გამოვიდა, გაჭაერებულმა თმით ვათრიე და ვცემე. გადაწვევით დამემორჩილებინა, გამეტეხა მისი ჭიუტობა... მერე სად წავიდოდა? რომ ვცემე, იმ დღეს დამნებდა კიდევ, — უტიფრად განაცხადა გენიოსამ, — და მეც დავშვიდდი. ის, ვინც პირველად ჩემთან იყო, მერე ხომ გივის არ დაუბრუნდებოდა. არც გივი მოინდომებდა გაუპატიურებული ქალის შერთვას. მეორე დღეს ქალიშვილიც მოღბა. თით-

ქოს ბედს შეურიგდა, მთხოვა ერთი დღით გამიშვი შინ და ქვეყნადამოზე სადგურზე შევხვდეთ, მაშინვე გამჩაბილისში გამოგყვეო. მე ვირწმუნე თვალცრემლიანი ქალიშვილის ნათქვამი და შევცდი, — აქ რალაცნაირად ამოიგმინა გენიოსამ, — დიახ, შევცდი. ჩემგან რომ წავიდა, შინ კი არ წასულა, წყალში გადავარდნილა. აბა მე ხომ ეს არ მინდოდა! არა, არა! დამიჯერეთ, ეს მაინც დამიჯერეთ, სხვას ხომ არაფერს გთხოვთ, არ მინდოდა, არ მინდოდა...

პირველად გატყდა ეს თავზეხელაღებული ბიჭი და ცრემლები მოერია.

პროკურორი ახლა არენდაძეს შეეკითხა:

— როგორ გგონია, თქვენი მსხვერპლი ხომ არ ვახდა ესმა? გენიოსასაგან გაუპატიურებული ესმა შენთან რომ მოსულყო და ეამბნა, რაც გადახდა, როგორ მოიქცეოდი?

— მე იმას მაინც შევირთავდი ცოლად, გენიოსას მოველაგდი.

პროკურორმა არ დააცალა: — თუ ასეთი ვაქვაცი იყავი, ის როგორ იკადრე, რომ შენივე ხელით მიუყვანე შენი სატრფო საკოცნელად გენიოსას?

— არა, მე ხომ მოგახსენეთ, როგორც იყო, — შეწუხდა, სიმწრის ოფლმა გადაასხა, ძლივს გაიღო სიტყვა, — მე ხომ ის ზარში წავაგე. რაკი წავაგე, სხვა გზა არ იყო. მერე ისიც ხომ გითხარით, რომ ძალით დამაწერიინეს წერილი, თვითონ მიკარნახეს სიტყვები, ხომ გითხარით, ხომ გითხარით, სხვა რა გინდათ ჩემგან? — ბავშვივით ასულუქუნდა გივი.

— როგორ. სხვას აკოცნინო იმისათვის, ვინც, შენ, შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცოცხლეზე უფრო გიყვარდა? ეს ხომ დამციკრებაა? — არ მოეშვა პროკურორი. ისევ სცადა თავის მართლება არენდაძემ და თქვა, რომ მე იმის იმედი მქონდა, რომ ესმამ არ იცოდა ის ადგილი, სადაც ჩვენ ვიყავით, თანაც ისეთ სულელს, როგორც,

ტაგუა, არ ენდობოდა და არ გამოყვე-
ბოდა, მეგონა...

— სულელიც ხარ და მეტიც! — ზმუ-
ლით მიაყვირა ტაგუმ.

ახლა ტაგუს მიუბრუნდა პროკურო-
რი:

— აბა რა გეგონა, ტაგუ, ასეთ ხალხს
რომ დარაჯად უდგებოდი. შენ ხომ კა-
რგად იცოდი, ესენი რომ ზარს თამა-
შობდნენ? — და ხელი პროკურორმა
ბრალდებულებსაიკენ გაიშვირა.

— არა, არ ვიცოდი, ზარი არ ვიცი
რა არის, არც არასოდეს მითამაშნია,
მე დარაჯობა მევალებოდა. ისინი იქ
რას აკეთებდნენ, იმას აბა მე ვინ მკი-
თხავდა!

ტაგუს არ დაუჯერეს და გააჩერეს.
ახლა მოსამართლემ ჰკითხა ტაგუს: —
იმ ზარისტების ყარაულობას ის არ გე-
რჩია, რომ სადმე გემუშავა?

— ჰო, მემუშავა, მემუშავა! — ლუ-
ღლუღებდა ტაგუ, — მერე და ვინ გა-
მუშავა! აბა ჰკითხეთ ამ სადგურის
უფროსს, რამდენჯერ ვთხოვე, „ნასელ-
ჩიკად“ დამაყენე-მეთქი. დამაყენა? და-
მაყენა? — აღრიცხა ტაგუ. — დამაყენა
კი არა, ბაქანზე არ მანერებდა, ბარ-
გით ხელში რომ დამინახავდა, ჯოხით
მომდეგდა... — ძლივს გააჩერეს ტა-
გუ.

რობუს საქმის სხვა მონაწილეებიც
დაჰკითხეს. მერე მოწმეების დაკითხ-
ვაც დაამთავრეს და შესვენება გამოა-
ცხადეს.

ბრალდებულებში მე ყველაზე ახ-
ლოს გვიის ვიცნობდი და ჩემი მზერაც
მასზე შეემაჩერე. მამამისი ყოფილი პა-
რტიული მუშაკი იყო. პარტიოსანი კა-
ცის სახელი ჰქონდა. აქამდე ასე ვიც-
ნობლით. დიდი ხანია არ მინახავს, ვაი
თუ ისიც გადაგვარდა! არა, ეს შეუძ-
ლებელია. ისევ გვიის შეეხებდე. გარეთ
თოვდა, ხეავრიელად თოვდა. თოვლმა
ამოაგსო რობუც და ზევიც. მთელი დღე
თოვდა გადაუღებლად. ამ ლამაზი მთე-
ბის შვილი გივი არენდაძე ახლა ფან-
ჯარასთან ზის და გაჰყურებს თოვლით

დაფარულ თავის საყვარელ მუცებსა და
ველს. და თითქოს გრძნობდა მუცელში ამ
მთების უღირსი შვილისა წამქვეშაგული-
დან წასულია; გვიმ სკამიდან უცებ
ბრავანი მოაღინა და იატაკზე გაიშხ-
ლართა. მიცვიდნენ, საიდანღაც ეჭი-
მი მოიყვანეს და მოასულიერეს. მან
ახლა პირველად იგრძნო, რომ ამ ქვე-
ყანაზე არსებობს სირცხვილ-ნამუსი,
მას კი სირცხვილ-ნამუსის ქული თა-
ვიდან მოუხდია და ლაფში გადაუგ-
დია გენიოსას გადამკიდეს.

ასე ვფიქრობდი მე იმ წუთში. ამ ფი-
ქრებში ვიყავი, რომ დარბაზში გაბმუ-
ლი ზმუილი გაისმა. თვლით ტაგუ მო-
ვებნე, ის იჭდა თავისთვის, მშვიდად,
მოვიხედე — ეს გივია, გივი, ბავშვივით
ტირის და ზლუქუნებს... დარბაზში
მსხდომნი შევყურებთ ამ ოც წელს მი-
ტანებულ ბიჭს და ყველანი ვგრძნობთ,
რომ ეს გენიოსას მსხვერპლია, — სუს-
ტი ნებისყოფის ადამიანი ხელში ჩა-
უვდია და სულით ხორცამდე უწვალე-
ბია, დაუტანჯავს, დაუჭაბნია, მასზე
ძლიერსა და თავზე ხელაღებულ გენი-
ოსას. ამას კი ვგრძნობ, მაგრამ შევლით
როგორღა ვუშველოთ! არა! ახლა უ-
ვე ყველაფერი გვიან არის, გვიან, —
ჩემდა უნებურად გავიფიქრე. ეგებ, არ
არის გვიან? ეგებ, არასოდეს არ არის
გვიან ადამიანისათვის ზრუნვა? და
ისევ შეეხებდე გვიის. სახეზე დაღლი-
ლობისა და სევდის ჩრდილი ეფინა.
ეტყობოდა, რომ დაძაბული ბრძოლა
მიმდინარეობდა მის შინაგან არსებაში.
თავის წლოვანებასთან შედარებით და-
ბერებულად მეჩვენებოდა.

— შეადარეთ გივი გენიოსას და
თქვენ უმაღლე მიხედებით, რომ რო-
გორც დიდებული აკაკი ამბობდა,
ბავშვს მართო აღზრდა ვერაფერს უშ-
ველის, თუ ბუნებაშიც არ გაიღო მო-
წყალება. დიახ, გენიოსა ბუნებით არის
ბოროტი, ზნედაციემული. ბოროტება
გამოსჭვივის მის ყოველ სიტყვაში, მისი
ყოველი პასუხი ძაღლის ღრენას უფ-
რო ჰგავს, ვიდრე ადამიანურ სიტყვას.

არა, არიან გენიოსას მსგავსი ადამიანები, რომლებიც ყველაფერს პირქუშად, ზიზლით უყურებენ. მე, მავალითად, არ შევიბრალებდი, ისე მოვკვეთდი ასეთ ადამიანებს ჩვენი საზოგადოებისაგან, მაგრამ გივი? გივის ვერ გავიმეტებდი. მას რომ ხელი გავუწოდოთ, ჯერ კიდევ არ არის გვიან, ჯერ კიდევ არ არის გვიან მასში აღმოაჩინო და აღზარდო ადამიანი.

მარტო ამხილო ქურდი, ზარისტი და ადმინისტრაციული ზომებით გაუმასპინძლდე — ცოტაა. არა, ეს არ კმარა! ეს არასოდეს იყო საკმარისი. მით უმეტეს ჩვენს დროს არ კმარა ეს. გზა აცდენილ ადამიანებს, თვით ქურდებსაც შეველა უნდათ, დახმარება უნდათ, ეს დახმარება თვით ოჯახში, სკოლაში, პიონერთა რაზმში თუ კომკავშირში უფრო აქტიური, უფრო მეტბოლო უნდა იყოს. მაშინ გივისთანა ბიჭებს არ გაუჭირდებათ დაუსხლტნენ ხელიდან გენიოსას მსგავს ბანდიტებს. სასამართლოსაც და პროკურატურასაც მარტო გამოძიება, დამნაშავეების ჩვენი საზოგადოებიდან მოკვეთა კი არ ევალებათ, არამედ დახმარება, მეტი დახმარება ადამიანისათვის. აი, რა არის თავი და თავი! ისე კი არ არის საქმე გონჩაროვის ობლომოვი რომ გოდებდა — „ადამიანი მომეცით მე, ადამიანი...“ არა, არიან ისეთი ადამიანები, რომელთა მიმართ მორალის ქადაგებანი ამაოა. რაც უნდა ეცადო, მაინც ვერ გააღვიძებ მათში კეთილ ადამიანს. ისინი ბუნებით არიან ბოროტნი! მათ მარტო ის შეუძლიათ, ბოროტება თესონ, სიძულვილი ანთხიონ, სიკეთის გამოჩენა — მათს ბუნება არ ძალუძს. ისინი თითქოს სადისტებად, მკვლევებად დაიბადნენ. გენები, პიროვნული მემკვიდრეობა ზომ არსებობს, და თუ ეს ასეა, მაშინ ამგვარი ბუნების ადამიანები აღზარდას, გარეგნულ ფაქტორებს ნაკლებად ემორჩილებიან, ან სრულიად არ ემორჩილებიან. არა? იქნებ ვცდები მე ამაში, იქნებ შეიძლება იმგვარ

ადამიანებშიც, როგორც გენიოსაა, ვეძიოთ და აღმოვაჩინოთ ნაპერწკალი. სიკეთისა, გამოვალვირთ და აღვსუსხოთ მოგიზგიზე სიკეთის, სიყვარულის გრძნობა. აკი გენიოსა ამტკიცებდა, რომ მას გულწრფელი სიყვარულით უყვარდა ესმა, ნეტავ ასე იყოს და მე არ ვიყო მართალი! არა, გივი და მისთანანი მაინც სხვანი არიან. აქ უთუოდ ცუდი აღზარდაა დამნაშავე. ისინი სათბურებში გამოყვანილ მცენარეებს ჰკვანან; პარაზიტობს, უდარდებლობას, შრომისადმი გულგრილობას ბავშვობიდანვე მიაჩვიეს ისინი. ინიციატივა, დამოუკიდებლობაც ბავშვობიდანვე წაართვეს, სხვის ხარჯზე ცხოვრება მათთვის ნორმად იქცა. იმათ არასოდეს განუცდიათ გაკირვებისა და შიმშილის შიში, ლუქმა პურისათვის ზრუნვა და ბრძოლა. მათ არ იციან, რა არის გაკირვება. საკუთარი ხელით ფეხსაცმელიც არ გაუწმენდიათ, არც ტანსაცმელი. ისინი ბავშვობიდანვე მიეჩვივნენ სხვის ხარჯზე ცხოვრებას, გადაქარბებულ მეურვეობას, და მოკვდა მათში დამოუკიდებლობის, თაოსნობის, აქტიურობის გრძნობა და ჩვევა. და აქვართ ჩვენ დამნაშავენი, მშობლები, ოჯახი... დავებმართოთ, ვუშველოთ ადამიანებს, მანამ ვუშველოთ, ვიდრე დანაშაულს ჩაიდენდნენ. ეს ოჯახური და საზოგადოებრივი ვალია ჩვენი. ამ ფაქტებიდან სასამართლოს თავმჯდომარის ზარის წყარუნმა გამოითიშა.

ისევ გაგრძელდა სხდომა. სიტყვა პროკურორმა აიღო. ადგა ეს მაღალი, ხმელ-ხმელი, სათვალისანი კაცი, ორივე ხელით დიდი ყვირელი პორტფელი დაითრია და ტრიბუნაზე შედგა, შავი სათვალე მოიხსნა, პორტფელიდან ქაღალდები ამოიღო, წინ დაიდო და კითხვას ისე შეუდგა, რომ ზევით არ აუხედავს.

— ამხანაგებო! ჩვენი პარტია სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის ზრდასთან, ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებასთან ერთად,



უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საბჭო-თა ადამიანების აღზრდას, კომუნისტური მორალის ჩამოყალიბებას. მაგრამ საიდუმლო როდია, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბოგინობს წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული, ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი სოციალური წყლები — მუქთახორობა, ლოთობა, მეჭრთამეობა, ქურდობა, კარტისა და ზარის თამაში და სოციალისტური საერთო ცხოვრებისათვის შეუფერებელი ზოგიერთი სხვა დანაშაული...

აქ პროკურორმა მოიშველია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ციტატები და ერთბაშად მოჰკრა: — ამგვარად თქვენს წინაშე, პატივცემულ მოსამართლენო, არიან ჩვენი საზოგადოების ხორცმეტები — ბანდიტები, კაცისმკვლელები, ზარისტები. მერე და ვინ არიან ისინი? — ეს რომ იკითხა, პროკურორმა, საზოგადოებას გადახედა და თვითვე უპასუხა: ჩვენს რაიონში ცნობილი ადამიანების შვილები: გიორგი არენდაძე ხეტყის დამამზადებელი ქარხნის დირექტორია. ამ ამხანაგს ადრე უფრო პასუხსაგებ თანამდებობაზე უმუშავნია, მაგრამ აბა რა უნდა მოვთხოვოთ მას, ან როგორ შეუძლია ისეთ დიდ საწარმოო კოლექტივს, როგორც ქარხნის კოლექტივია გაუძღვეს, როცა საკუთარი შვილი ვერ აღუზრდია. დიახ, შე უპირველეს ყოვლისა, ვაყენებ საკითხს სასტიკად დაისაჯოს არა მარტო სისხლის სამართლის დამნაშავე, ზარისტი გივი არენდაძე, არამედ მისი მამაც გიორგი არენდაძეც, დიახ, მამაც. ახლა გიორგი ბედენაძეს არ იკითხავთ? ეს პროფესიონალი ზარისტი და ქურდია, რომელმაც იმსხვერპლა საუცხოო ქალიშვილი. ვინ არიან გენიოსის მშობლები? დედა ეჭიშია, რომელსაც ადამიანის სიცოცხლე აბარია, მამა — რაიფინგანის გამვე. ისინი, ტრიბუნაზე რომ აპრძანდებიან, სხვებს უკითხავენ ლექციას მორალზე, ადამიანის სიცოცხლის სიღამაზეზე, პა-

ტიოსნებაზე. თვითონ კი? არა, აქ სჯობს სიტყვა გენიოსის მშვენიერი: „აი, რას აჩვენებს იგი, მშვენიერებას სქელ წიგნად აკინძული საქალაღდე გადმოიღო, გადაშალა და წაიკითხა ბედენაძის ჩვენება:“

„მამას დიდძალი ფული ჰქონდა. ამ ფულებს საწერი მაგიდის უჯრაში ინახავდა. გასაღებს კი საგანგებო ადგილას დებდა. იმ დღეს დედა და მამა სამსახურში რომ წავიდნენ, გასაღები გამოვაცოცე და უჯრა გავალე. ასმანეთიანებს ბელი არ ვახლე. იქვე ათმანეთიანებისა და ხუთმანეთიანების რამდენიმე შეკერა იყო. ყოველი მათგანიდან თითო-თითო გამოვაცოცე, დავთვალე, ორასი მანეთი აღმოჩნდა. უჯრა ისევ დავკეტე. გასაღებიც თავის ადგილას დავდე. ის ფული იმავე დღეს დავხარჯე. მერე რაკი ასეთი იოლი წყარო ვიპოვე, მანამ არ მოვეშვი, სანამ ეს მამამაც არ შემიტყო. იმ დღეს როგორც იტყვიან, შავი დღე დამაყენეს. მამამ სხვაგან დაიწყო ფულის შენახვა. მერე მე იმ სხვა უჯრასაც მივაგენი. ისევ დატუქსვა მამარეს. მერე ასე ნაშოვნი ფულით იმ ჩემს მამაბიჭებში სულ მალე გავითქვი სახელი და მოვიპოვე პირველობა. მერე რაც მოხდა, თქვენც იკითხა. პროკურორმა კითხვა შეწყვიტა და განმარტა.“

— მერე ის მოხდა, რომ, როგორც აქ აჩვენა გენიოსამ, ზუთჯერ ამოყო ციხეში თავი, მაგრამ მის გამოსწორებას არაფერი ეშველა. შინაური ქურდობა, მერე ზარისა და ქალაღდის თამაში. მერე ციხე, კაცისმკვლელობა. აი, გენიოსის გზა. დიახ, ჩვენ, მშობლები ხშირად პატარა საქმის წაყრუებით ვაფუქვებთ ჩვენს შვილებს. ეს რომ ასეა, მე კიდევ ერთ ადგილს წაგიკითხავთ ამ დოკუმენტებიდან.

და ისევ ის სქელი საქალაღდე აიღო პროკურორმა:

„ერთხელ ასეთი შემთხვევა იყო. მაწყენინეს პატარა ბიჭებმა, ისინი ათითორმეტი წლისანი თუ იქნებოდნენ,

რობუში პაპიროსს ეწეოდნენ, მე კი და-
რაჯად მიყენებდნენ. იმ დღეს ფული
არ მომცეს. ამის გამო გავებუტე, დიდ-
ხანს არ ვეკარებოდი. მერე ისევ მომ-
ნახეს, არ მომეშვენენ, დამიყვავეს, შე-
მპირდნენ, ოლონდ წამოდი და ორ-
მაგად გადაგხილეთო. მე ჯერ უარზე
ვიყავი, მერე უცებ მოვიფიქრე, ამით ვა-
ჩვენებ სეირს, მე თუ ტაგუნია ვყოფი-
ლვარ-მეთქი, და გავყევი.“

ტაგუ ძალღივით აღმუშლდა, რაღაც
გაუგებარს ბურღულუნებდა, მაგრამ
პროკურორს მისთვის ყურადღება არ
მიუქცევია. ისევ განაგრძო კითხვა. „და-
დამჯიღელი იყო. მე კორდზე ვიდექი და-
რაჯად, ვხედავდი ღამის სიბნელეში,
როგორ ქაჩაღენ ეს ლაწირაკები პაპი-
როსს. ანთებული პაპიროსები ციციანა-
თელებივით ანთებდნენ ღამის სიბნე-
ლეში რობუსს. უცბად მივიხედე, და
აგერ არ მოდის გივის დედა? მაშინვე
ვიყვირე — „არ მოხვიდეთ, არ მოხვი-
დეთ. ბიჭები პაპიროსს ეწევიან, არ მო-
ხვიდეთ, არ შეხედოთ“, გავაბი ყვირი-
ლი. ამასობაში ბიჭებიც გამოცვივდნენ
და ეს ქალი ზედ შეეჩება თავის პაპი-
როსის მწვეველ შვილს. დედამ იწივლა
— „შენ აქ რა გინდა, შენ ამ დროს სა-
ხლში რატომ არა ხარ“. მერე რა მოხდა,
არ ვიცი, რადგან მე გავიქეცი. ეს ლა-
წირაკები თვითონ უკან მომდევდნენ
ყვირილით: „ტაგუნია ბატის ქურდო,
ტაგუნია ბატის ქურდო“. პროკურორ-
მა შეწყვიტა კითხვა და კვლავ განმარ-
ტა: არა, პაპიროსის საქმე ეგებ არ ღირ-
დეს სათქმელად. მაგრამ ასე ყოფილა:
დამნაშავეობა პატარა საქმით იწყება.
ჯერ კიდევ სრულიად მცირეწლოვანი
პაპიროსის წევას დაიწყებს, მერე კო-
ნიაცის სმას, მერე, ფული რომ არ ეყო-
ფათ, ჭიბეში ჩაგეყოფს ხელს, ჯერ შინა-
ურებს და მერე გარეშეთაც. ყოველივე
ამას ზარის თამაში, ლოთობა, ქურდობა,
უფრო დიდი მასშტაბის ქურდობა მოჰ-
ყვება ხოლმე, ამას კი ციხე და სასამარ-
თლო.

აქ შეჩერდა პროკურორი და კვლავ
ერთი ადგილი წაიკითხა ამ შედეგ წიგნი-
დან: „ჩვენ რობუში ზმირად ევტრებე-
ბოდით. იქ მარტო ზარს კი არ ვთამა-
შობდით, არამედ ჩვენებურ ქეიფსაც
ვმართავდით. ამ ქეიფში ქალიშვილებიც
მონაწილეობდნენ“. პროკურორი შე-
ჩერდა და კვლავ განმარტა:

— ეს ჩვენება მალხაზ შავაძისაა, რე-
სტორიან „დაისის“ დირექტორის შვილი-
სა. აქ ჩამოთვლილია ამ ქეიფში მონა-
წილე ქალიშვილების სახელები და გვა-
რები. ზოგიერთი მათგანი აქ, დარბა-
ზში ზის. მათ გავაცანით ეს ჩვენება და
ახლა აქ საჭაროდ არ მიმანია საკუროდ
მათი დასახელება. მე მგონია, იმათ-
თვის გაკვეთილად ისიც ემარა, რომ ამ
სამარცხენო წიგნში მოხედნენ. ჯერჯე-
რობით ეს ვაკმაროთ მათ, — ესა თქვა
პროკურორმა და ისევ გააგრძელა კი-
თხვა:

„ეს ქეიფი ასე ეწყობოდა: ზარში მო-
გებული ბიჭი ჩვენი სადგურის ბუფეტ-
ში, ან მამაჩემის რესტორანში კონია-
ებს იყიდდა, სადგურზე მოსეირნე ნა-
ცნობ ვაყებდა და ქალებს დაპატივებ-
და რობუში, და ჩვენც ხალხის თვალს
ამოფარებულნი, ჩუმად ვწრუპავდით
სასმელებს. მერე, ტანგოს ეცეკვავდით,
მერე...“

— სჯობია აქ შევჩერდეთ, — თქვა პრო-
კურორმა — საკითხი მე მგონია, ნათე-
ლია. ასეთია ზარისტების ფეხის ხმასა
და მორალს აყოლილი ჩვენი ქალიშვი-
ლებისა და ვაყების ერთი ნაწილის ის-
ტორია. ვინ არიან ისინი? სკოლის კუ-
რსდამთავრებულნი, შინ უსაქმურობისა
და ძილისაგან დასიებულნი, საღამოს
სეირნობაში რომ იკლავენ ჟინსა და ვნე-
ბას. ესენი დედ-მამის მდიდარ კალ-
თებს ამოფარებულნი არიან. აქ ერთიც
არ ურევია ჩვენი დაბის ნიჭიერი მოს-
წავლე. მეჩაიე ქალიშვილი, მესიმინდე
და მევენახე, ისინი, ვინც ალაპაზებს
და ამშვენებს ჩვენს სკოლებს, ჩვენს მი-
ნდვრებსა და ტყეებს. შრომის ადამი-
ანი მუდამ პატიოსანია, უპატიოსონი

და ზარისტები სწორედ უსაქმურ ადამიანთა შორის იზადებოდნენ. დიან, შრომა და პატიოსნება ტყუპი ძმები არიან. შრომა არა მარტო საზოგადოებრივი დოვლათის შექმნის სათავეა, არამედ პირადი ბედნიერების დაუშრეტელი წყაროც.

პროკურორის სიტყვის შემდეგ ზევის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც გამოვიდნენ, გვიან სალამოს სხდომა შეწყდა. მოსამართლენი მეორე დარბაზში გავიდნენ. ხალხი კი ისევ სულგანაბული იდგა დარბაზში და მოულოდნელად ელოდა განაჩენს. ერთი საათი გავიდა და დარბაზში ისევ შემოვიდა სასამართლო. ხალხი ფეხზე წამოდგა. სასამართლოს თავმჯდომარემ ზარი ააწკარუნა და დარბაზი დაშოშმინდა. სასამართლოს თავმჯდომარე განაჩენის კითხვას შეუდგა.

მთავარ ბრალდებულს გიორგი დიმიტრის ძე ბედენაძეს, დაბადებულს 1950 წელს, ხუთჯერ ნასამართლევსა და პასუხისგებაში მიცემულს, ქალიშვილის გაუპატიურებისათვის, რის გამოც დაზარალებულმა თავი დაიხრჩო — მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა. „ვინ შენს დედასაო“, იყვირა დარბაზში ქალმა და წაიქცა. ვილაყები მიუშველნენ და გარეთ გაიყვანეს. სასამართლოს თავმჯდომარემ განაგრძო განაჩენის კითხვა: გივი გიორგის ძე არენაძეს, პანტელეიმონ სამსონის ძე ჯაბანაძეს, მალხაზ შოთას ძე შავაძეს — მიესაჯოთ თვითმკვლელობით თანაგონების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ახლა მეორე ალაგას იყვირა ქალმა: „ვინ დედათქვენს, შეილებო“. ერთი

ქალაჩი კაცი ადგა, ხელი მოჰკიდა იმ ქალს და ხმადანა უთხრა: „ახლა უვირილი საქმეს ვერ უშველს! დროზე, დროზე უნდა გეზრუნა, ქალბატონო“.

სასამართლომ ცალკე გამოყო ტაგუს საქმე, როგორც სულთ ავადმყოფის. პროკურორმა ამის გამო პროტესტი განაცხადა:

— ტაგუ არც ისე სულელია, — ამტკიცებდა პროკურორი, — როგორც თავს გვაჩვენებს. იგი უშუალო მონაწილეა ამ საქმისა და მისი ადგილი აიქ არის, — და ხელი ბრალდებულები-საკენ გაიშვირა პროკურორმა.

— არა, მე რა დაგიშავებ, მე რა შუაში ვარ, ხალხო, — აყვირდა, აღმუვლდა ტაგუ და ტრიბუნისაკენ გასწია. ვილაყამ ხელი ჩაავლო აღმუვლებულ ტაგუს და გარეთ გაიყვანა.

ტაგუ, როგორც დებილი, სასამართლო განაჩენით ვაათვისუფლეს, მაგრამ პროკურორის სიტყვით შეურაცხყოფილი, იმ დღეს რომ ჩაიკეტა თავის ოთახში, გარეთ გამოსული არავის უნახავს. ერთხანს ვილაყა დედაბერი უვლიდა, მერე ისიც დაითხოვა თურმე. ერთი კვირის შემდეგ ტაგუ მკვდარი ენახათ თავის ოთახში. მეზობლები დადაცურდნენ, დასაფლავების თადარიგს შეუდგნენ. ტაგუს სიკვდილი რომ გაიგეს, მეორე დღესვე ვილაყები გამოჩნდნენ. მერე ამ ვილაყების მეოხებით იმ დღეს, დასაფლავების დღეს იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ ჩვენი სადგურის პატარა მოედანზე არ დაეტია. ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსულმა ვილაყ საეჭვო პირებმა დიდი ამბით დასაფლავეს ენაბლუ, დებილად აღიარებული ტაგუ.

ყველას უკვირდა ეს სასწაული.



ს ა მ ა ი ა

რომანი

19

ბიქტორი ყველაზე დიდ რისხვას სა-
ბავშვო ბიბლიოთეკაზე წერილის გა-
შოქვეყნების გამო კარპეზისაგენ ელო-
და, მაგრამ საოცარი იყო, ოთხი დღეა
კარპეზი თბილისიდან დაბრუნდა და
ჭერჭერობით ხმას არ იღებდა. სა-
რედაქციო თათბირზე ერთი კი ჩაი-
ბურტყუნა, — „თქვენ მაინც გააკეთეთ
თქვენით“, ეს იყო და ეს.

დილით რედაქტორმა ბიქტორი და
ნოდარი იხმო.

— აბა. მებრძოლებო, — მიმართა
ოდნავი დაცინვით, — დღეს სამ საათ-
ზე რაიკომში წინასწარი თათბირია და
ორივეს გიხმობენ. ხვალ ბიუროზე გა-
დის ჩვენი გაზეთის საკითხი. ასე სას-
წრაფოდ რაიკომის აპარატს ჯერ სა-
კითხი არ მოუშზადებია, პროკოპიჩის
უგებენ გულს. ბიქტორ, ნოდარს შენ
გაპყვები. დარიგება არ გქირია, თუ
როგორ უნდა მოიქცე.

სამ საათს რომ თხუთმეტი წუთი უკ-
ლდა, ბიქტორმა ნოდარს გაუარა და
რაიკომში ერთად წავიდნენ.

— ჩვენი მოხუცი კარგი კაცია, —
უთხრა გზაში ბიქტორმა, — ხვალ, ნა-
ხე, ბიუროზე რა ამბები დაატრიალოს.

მართალია, შენი წერილი მისი ნებართ-
ვის გარეშე დაიბეჭდა, მაგრამ რედაქ-
ციას კბილებით დაიცავს.

რაიკომში გაზეთის რედაქტორის
მოადგილე გიორგი კაკაბაძე დახვდათ.
ისიც გამოეძახნათ.

— ნეტავი ამას აქ რა უნდა, —
ჩაიქირქილა ბიქტორმა, შემდეგ რა-
ღაც გაახსენდა და დაუმატა, — მართ-
ლა, იმ ნომერს ხომ ეს ბედოვლათი
აწერდა ხელს.

გიორგი მათკენ გამოეშურა.

— კაცო, — წყენით მიმართა ბიქ-
ტორს, — მე აღარაფერს მეკითხებით
და ახლა თქვენს გამო უნდა ვაგო პა-
სუხი!

ბიქტორმა აღმაცერად გადახედა გი-
ორგის. ასე იცოდა, თუ ადამიანი არ
მოსწონდა, მისი არც კარგი უნდოდა და
არც ავი.

— ნუ სწუხარ, — აგდებით მიუგო, —
შენ არვინ არაფერს დაგაბრალებს,
დამშვიდებული იყავი.

— რა ვიცი, — ჩაიღუღუნა რედაქ-
ტორის მოადგილემ, — ორჯერ დამი-
ბარეს, ტყავი გამაძვრეს. ნეტავი რამე
მაინც მცოდნოდა.

ბიქტორს ჩაეცინა.

— რა არის ცხოვრება! ტყავს იქ
გაძრობენ, სადაც არ დაგიმსახურე-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 10.

ბია, და იქ კი არ გაძრობენ, რაშიც ნამდვილად ღირსი ხარ.

— მაინც რაში ვარ ღირსი? — საწყლად ახანამხამა თვალეზი ვიორგვი.

— დიაცადე, მავასაც ნახავ, — თავისებურად ანუგეშა ბიქტორმა.

— ახლა ახალი საზრუნავი გამიჩინე...

ამ დროს სამივეს დაუძახეს.

თათბირი წესით რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგეს უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ მან თავი აარიდა. მაგიდის თავში ტიტე ბარბაქაძე იჯდა. ბევრი ხალხი შეეყვარათ. ბავშვებიც მოეყვანათ. მათ შორის ის გოგონაც იყო, რომლის ხელში ნოდარმა აპულის „ოქროს ვირი“ შეამჩნია. ცალკე იჯდა სამი ბიბლიოთეკარი. თავმჯდომარის გვერდით ბიბლიოთეკის გამგე ელენე მოკალათებულიყო. ელენემ ისეთი თვალით გადახედა რედაქციის მუშაეებს, რომ გიორგი დაფრთხა და დაბნეულობისაგან დასაჯდომად სკამსაც ვერ მიაგნო. ბიქტორმა გიორგის ხელი მოჰკიდა და თითქმის ძალათი თავის გვერდით დასვა ნირწამხდარი რედაქტორის მოადგილე.

ტიტემ რაიკომის ბიუროს დადგენილების პროექტი წაიკითხა, სადაც შეფასებული იყო გაზეთში გამოქვეყნებული წერილი, როგორც არაობიექტური და ტენდენციური. ის ადგილი არ წაუკითხავს, თუ ბიურო რა სასაჯელს ადებდა გაზეთის მუშაეებს. ელენე სკამზე ვერ ისვენებდა, ცმუკავდა და ნიშნის მოგებით გადახედავდა ხოლმე რედაქციის თანამშრომლებს. პროექტში მოყვანილი იყო მშობლებისა და ბავშვების ჩვენებანი, რომლებშიც საბავშვო ბიბლიოთეკის გამგის მტკობა უზადოდ გამოიყურებოდა. ბიბლიოთეკარები ინტრიგანებად იყვნენ მონათლულნი. ტიტემ პროექტის კითხვა რომ დაამთავრა, ბიქტორმა რეპლიკა მისცა:

— ზოღიშ ვიხდი, ამ ბავშვებს სრულიად არ აინტერესებთ დიდების მსჯელობანი. რად ტანჯავთ, გაუშვით, და-

ლაშხამდე კიდევ მოასწრებენ თანაშა და ნავარდს.

ტიტემ აღმაცერად გადახედა ბიქტორს. ელენემ ვერ მოითმინა და სახეაქარხლებულმა ხმამალა წამოიძახა:

— ჩემი ბიბლიოთეკა ამათთვის არსებობს. ამ ანგელოზებმა უნდა დამიცვან ინტრიგებისა და ცილისწამებისაგან.

ბავშვები დამფრთხალნი შეჭყურებდნენ უფროსებს და ვერ გაეგოთ, ისინი ასე რად ცხარობდნენ და ასე რად უბუქვრდნენ ერთმანეთს.

— სიტყვას ჭაღბატონ ელენეს ვაძლევი, — გამოაცხადა ტიტემ და ამით ბიქტორს აგრძნობინა, შენი წინადადება არავითარი ყურადღების ღირსი არ არისო.

ბიქტორმა მხრები აიჩეჩა და არაფერი თქვა.

ელენე გაცხარებით ლაპარაკობდა ყველაზე მეტად თავის ბიბლიოთეკარებს დაესხა თავს. მათ შორის მხოლოდ მესამე ახსენა კეთილად, რომელსაც „იმ შეითხნის დასმენაზე“ ხელი არა ჰქონდა მოწერილი, რადგან იგი „ყველაზე პატიოსანია ჩემს ბიბლიოთეკარებს შორისო“. მერე მოჰყვა და მოჰყვა რედაქციის წყველკრულვას, მუქარასაც არ მოერიდა. ბოლოს ხელი ბავშვებისაკენ გაიშვირა და თვითუღს ჩამოუარა „თქვენი დედა ელენე ხომ კარგად გემსახურებათო“... ბავშვები თვალეზს ახამხამებდნენ, ჯერ თავიანთ დედებს შეხედავდნენ და რასაც ისინი ანიშნებდნენ, — თუთიყუშებივით იმას იმეორებდნენ.

ბიბლიოთეკართა შორის მხოლოდ გულო წამოდგა და თავისი სათქმელი ორიოდ სიტყვით ამოიწურა:

— რაც გაზეთში წერია, ყველაფერი სიმართლეა და თუ სიმართლისათვის დავისჯებით, დავისაჯოთ.

— სიმართლისათვის კი არა, ინტრიგისა და ცილისწამებისათვის დაისჯებით, — ჩაუერთო სიტყვა ელენემ.

ტიტემ სიტყვა ბიქტორს მისცა. ბიქტორი დინჯად წამოღდა.

— რაიკომის განყოფილების მიერ აქ წარმოდგენილი მასალებია სწორედ ტენდენციური, ხოლო დადგენილების პროექტს არ ვიზიარებ, რადგან იგი მიკერძოებულია და ფაქტობრივ მასალებიდან არ გამომდინარეობს, ამიტომ აქ დისკუსიას არ გავმართავ და ჩემს სათქმელს ბიუროზე ვიტყვი.

— სიმართლისა შეგეშინდა! — ლვარძლიანად უთხრა ტიტემ.

— არა, სიმართლის დასაცავად ასე სჯობია, — მიუგო ბიქტორმა.

ნოდარმაც ცოტა ილაპარაკა, ასე უჩინა ბიქტორმა. გიორგი კაკაბაძე ისე იყო ნირწამხდარი, რომ ორიოდ სიტყვაც ვერ ამოღებდა.

სხდომა ტიტემ შეაჯამა. ყველაფერში გაამართლა თავისი უფროსის მეუღლეს ქალბატონი ელენე და რედაქციას ბრალი დასდო შეუთმომწებელი მასალის გამოქვეყნებისათვის. შემდეგ იქ მყოფნი, ბავშვებიც კი ხვალ ორი საათისათვის ბიუროზე დაიბარა და თათბირი გაათავა.

გარეთ რომ გამოვიდნენ, დერეფანში დაბალი, მსუქანი კაცი შემოხვდათ. ბიქტორს ცივად მიესალმა და ოთახში შევიდა.

— ესაა ელენეს ქმარი, — უჩურჩულა ბიქტორმა ნოდარს, — ხომ ხედავ, წინასწარ თათბირზე არ გამოჩენილა, თითქოს განზე დგას, რადგან საკითხი ცოლს ეხება, მაგრამ ყველაფერი ეს მისი მოწყობილია.

ქუჩაში ნოდარი შეეკითხა:

— ბიუროზე რისი იმედი გაქვთ?

— იქ იმდენს ვერ გაბედავენ. შერე ბიუროზე ჩვენი მოხუციც იქნება. მაგის იმედი მაქვს.

ცოტა მანძილი რომ გაიარეს, ბიქტორმა თქვა:

— ნახვამდის, ნოდარ, გულს ნუ გაიტყბ.

შემდეგ ხელმარჯვნივ გაუხვია, მაგრამ მობრუნდა და ნოდარს მიუახლოვდა.

— ყველაზე გულისამრევი ბავშვების მოყვანა იყო, თუ მოიტყვენი, მანდ მოიტყვენ კისერს. აბა, ცხარეა შენაზე!

20

ნოდარი დილიდანვე ადგილს ვერ პოულობდა. პატარა კორესპონდენტთა ჰქონდა დასაწერი და გული ვერ დაუდო. ათჯერ შეასწორა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა. მარცხა და შურმანი მიუხვდნენ ნოდარს და ჩუქად ისხდნენ. ყველაზე საცოდავ დღეში რედაქტორის მოადგილე იყო. იმ დღეს ჩვეულებისამებრ ახალი ჟურნალ-გაზეთები არ მოუკითხავს. კარპეზი თავის გულის ნადებს არ ამკლავებდა, მშვიდად იყო. კიდეც კარგი, გიგა სადღაც წასულიყო, თორემ მის როზროხს ნოდარი ნამდვილად ვერ აიტანდა.

პირველის ნახევარზე ნოდარი ბიქტორის კაბინეტში შევიდა. ბიქტორი ახალი ვაზეთის მაკეტს ადგენდა.

— არ წავიღეთ? — უთხრა ნოდარმა.

— ჯერ აღრეა, — მიუგო ბიქტორმა, შემდეგ ახლად მიღებული ვაზეთი „პრავდა“ მიაწორა ნოდარს, — წაიკითხე?

— არა, დღეს ვაზეთების თავი არ მქონდა.

— ბოლო გვერდზე შესანიშნავი ფელეტონია, წაიკითხე. აი, ძმავ, თუ სწერ, ასე უნდა დასწერო!

ნოდარმა ვაზეთი გამოართვა, სავარძელში ჩაჰდა და ვაზეთი გაშალა. ფელეტონმა გაიტაცა, მართლაც რა შესანიშნავად არის დაწერილი, ნოველასავით იკითხება. ასე წერა რომ შეეძლოს!.. როგორც ჩანდა, ბიქტორი ნოდარს ჩუმ-ჩუმად ათვალეობდა, რადგან ფელეტონის კითხვა რომ მოათავა, მაშინვე შეეკითხა:

— ბრწყინვალეა, არა?

— ბრწყინვალეა, — მიუგო ნოდარმა, — მაგრამ ეს მაინც ვერ შევლის ჩვენს დღევანდელ გასაკირს.

ბიქტორს ხმამალა გაეცინა. წა-



მოდგა, ნოდარს მხარზე ხელი დაადო, წამოაყენა და უთხრა:

— ახლა კი დროა, წავიდეთ. ნუ დეღავ, ხომ გავიგონია, სანთელ-საყმელი გზას არ დაჰკარგავსო...

ორს ათი წუთი უკლდა ბიქტორი და ნოდარი პარტიის რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტის მოსაცდელ ღარბაზში რომ მივიდნენ. ბევრ ხალხს მოეყარა თავი. კედელთან მიდგმულ სკამებზე ბავშვები ბელურებივით ჩამოსხდარიყვნენ. თითქოს სცენაზე გამოსასვლელად, დედებს განსაკუთრებით მოეკაზმათ. ამდენი უცხო ბიძებისა და დეიდების გარემოცვაში ბავშვები დაბნეულად გამოიყურებოდნენ, თავისებურად არ ცელქობდნენ და არა ყიფიყიბდნენ.

თითო-თითოდ შედიოდნენ ბიუროს წევრები პირველი მდივნის კაბინეტში. აგერ, კარპეზიცი გამოჩნდა. შემოსვლისას ოთახი შეათვალიერა, ბიქტორი და ნოდარი რომ დაინახა, გაუღიმა და თვალი ჩაუკრა, გაამხნევა. შემდეგ ნახევრად მოწყული სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა და ისიც კაბინეტში შევიდა.

ოთახში უცბად სიჩუმე ჩამოვარდა. მოსაცდელში წარმოსადეგი ტანის მამაკაცი შემოვიდა.

— რაიკომის პირველი მდივანია, — წასჩურჩულა ნოდარს ბიქტორმა.

რაიკომის პირველ მდივანს თმა მთლიანად გასთეთრებოდა, მაგრამ სახე ახალგაზრდული ჰქონდა. ლოყაზე ღრმა ჭრილობის კვალი აჩნდა, ომის დღი იყო. შავი სათვალე ეკეთა. თვალებიც ომში დაზიანებოდა და ამიტომ შავ სათვალეს ხმარობდა. მიუხედავად იმისა რომ ცხელოდა, კოსტუმში იყო და თეთრ პერანგზე ჰალსტუხი ეკეთა. უზადოდ ეცვა, გემოვნებით.

ოთახში მყოფთ საერთო საღამო მისცა და ის-ის იყო თავის კაბინეტში უნდა შესულიყო, რომ მისი ყურადღება ბავშვებმა მიიპყრეს. მობრუნდა, მათკენ გაემართა და ხმამაღლა თქვა:

— ამ ბავშვებს აქ რა უნდათ?

პირველ მდივანთან ტიტე ბარბაქაძემ მიიბრინა და სხაპასუხით მღუფო: თქვენა

— საბავშვო ბიბლიოთეკის საკითხთან დაკავშირებით არიან გამოძახებულინი.

რაიკომის პირველ მდივანს სახე უსიამოვნოდ დაეღრიჯა, მაგრამ არაფერი თქვა. შემდეგ ერთ-ერთ გოგონას მიუახლოვდა, სწორედ იმას, რომელსაც ბიბლიოთეკის გამგემ აპულის „ოქროს ვირი“ გაატანა წასაკითხად და მის წინ შეჩერდა.

— გამარჯობა, გოგონავ! — მხიარულად მიესალმა.

გოგონას დედამ ხელი ჰკრა, წამოდექიო, მაგრამ რაიკომის მდივანმა მხარზე ხელი დაადო, იჯექიო. გოგონა მაინც ადგა.

— აბა, მითხარი. რაზე გარჯილხარ? — სერიოზულად მიმართა გოგონას.

ოთახში მყოფთა ასეთი ყურადღება რომ იგრძნო, გოგონა სულ დიბნა და ხმა ვერ ამოიღო.

— უპასუხე, — ჩაერია მათ საუბარში გოგონას დედა, — დეიდა ეღმნეს დასაცავად მოვედი-თქო.

რაიკომის პირველმა მდივანმა ცერად გადახედა დედას, ჩანდა არ ესიამოვნა მისი ჩარევა, თუმცა გარეგნულად არაფერი გამოუმყდებია. პირიქით, გოგონას დედასაც ხუმრობით მიმართა:

— ხელს ნუ გვიშლით, ქალბატონო, მე და ეს ქალიშვილი თავად მოვრიგდებით, — შემდეგ კვლავ გოგონას მიუბრუნდა, — რა გქვია?

გოგონამ ჩურჩულით უთხრა თავისი სახელი და გვარი.

— როველ კლასში სწავლობ?

— მეხუთე კლასში, — გაუთამამდა გოგონა.

— კარგად სწავლობ?

— კლასში გადასვლისას ორი ოთხიანი გამოიყვა და დედა გამიწყრა.

— რატომ ხუთები არ მიიღეო, ხომ?

— თქვენ საიდან იცით, ასე რომ მითხრა? — გაუკვირდა გოგონას.

— ჩიტმა მომიტანა ამბავი, — გავლიმა რაიკომის პირველ მდივანს. ღიმილი საოცრად უხდებოდა ნაჭრილობევი სახეს.

— მაშინ ესეც მითხარი, — განაგრძო რაიკომის მდივანმა, — აქაც დედოც წამოგიყვანა?

— ამას წინათ აი ეს დეიდა მოვიდა ჩვენთან, — და თითი ელენესკენ გაიშვირა, — მითხრა, ის წიგნი შეცდომით მოგეციო და ახალი წიგნი მომიტანა... — შეჩერდა გოგონა, სათქმელს თავი ვერ მოუყარა.

— აღრე ბიბლიოთეკის დეიდამ საინტერესო წიგნი მოგცა? — წაეხმარა გოგონას რაიკომის მდივანი.

— დავიწყე კითხვა და ვერაფერი გავიგე... — უცბად დედის გაბრაზებულ თვალებს წააწყდა, — ვაიჲ, — აღმოხდა, — დედამ მითხრა ასე თქვი საინტერესო წიგნი მომიტანა... მე კი ვერ გავიგე... არა, არა, როგორ ვერ გავიგე... — სულ აირია გოგონა და სათქმელი ვერ დაამთავრა.

— მერე, — სერიოზულად უთხრა რაიკომის მდივანმა, — პიონერი ხარ და არ იცი, რომ ტყუილი არ უნდა ილაპარაკო?

გოგონამ დედას მხერა მოაშორა და წაიბუტბუტა:

— დედა და მამა სულ ამაზე ჩხუბობდნენ. მამა ამბობდა, ბავშვს ტყუილს ნუ ათქმევინებო... დედამ არ დაუჭერა. მაშინ მამოცომ...

ნოდარმა ელენეს შეხედა, ერთიანად გაწითლებულიყო. არც გოგონას დედამ ადგა კარგი დღე.

— კარგი მამა გყოლია, — უთხრა გოგონას რაიკომის მდივანმა, შემდეგ გოგონას დედას მიუბრუნდა, — ძალიან გაბრძოვით, შინ ამის თაობაზე ბავშვს ნუ გაუჭავრდებით, — თვალთ ტიტე ბარბაქაძე მონახა და ცივად უთხრა, — ახლავე გაუშვით ბავშვები, რა მათი საქმეა დიდების ამბებში ჩარევა, — კვლავ გოგონას მიუბრუნდა, — ახლა არა მცალია, შემდეგ შემოიარე და სერიოზულად მოვილაპარაკოთ.

თუმცა, დაიცა, იცი რას გეტყვი, მე თვითონ მოვალ თქვენს სკოლაში, — შემდეგ სხვა ბავშვებსაც გადახედა ალურსიანად, — კარგად მენახეთ, ბავშვებო, წადით და ითამაშეთ! — გოგონას შუბლზე ეამბორა და მტკიცე ნაბიჯით კაბინეტისაკენ გასწია.

— ერთით ნოლია ჩვენს სასარგებლოდ! — უჩურჩულა ბიქტორმა ნოდარს.

ბავშვები დედებმა ფაცა-ფუციო წაიყვანეს. მოსაცდელი ოთახი კვლავ ახმაურდა.

კაბინეტიდან ზარი დარეკეს.

— აბა, დამტკიცებზე ვინც არის, შებრძანდით! — დაიძახა ხმამალა ტექნიკურმა მდივანმა.

ათიოდე კაცი კაბინეტში შევიდა. შიგ დიდხანს არ დაყოვნებულან, ჩქარა გამოვიდნენ. კაბინეტიდან კვლავ დარეკეს.

— მიღებაზე შენგირაძე! — დაიძახა ტექნიკურმა მდივანმა.

პარტიაში მისაღები სამი კაცი იყო. თვითელს ცალ-ცალკე ეძახდნენ.

— ჩვენთან მუშაობის ერთი წელი შეგისრულდება თუ არა, — უთხრა ბიქტორმა ნოდარს, — პირველი მე მოგცემ რეკომენდაციას პარტიაში მისაღებად.

— თუ დღეს გადავჩი! — ჩაიღულუნა ნოდარმა.

პარტიაში მისაღები მესამე კაცი რომ გამოვიდა. ტექნიკურმა მდივანმა დაიძახა:

— აბა, საბავშვო ბიბლიოთეკის საკითხზე ვინცა ხართ, შებრძანდით.

წინ ელენე გაუშვეს, შემდეგ ბიბლიოთეკარი ქალიშვილები, ბოლოს ბიქტორი, გიორგი და ნოდარი შევიდნენ.

რაიკომის პირველ მდივანს ფართო და ნათელი კაბინეტი ჰქონდა. მდივნის მაგიდასთან, ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ სამი გრძელი მაგიდა იდგა. ოთახი ხალხით იყო სავსე. შუაში მდგარ მაგიდასთან ერთნაირი სკამები იყო ჩამწკრივებული, კედელსა და

ფანჯრებთან მდგარ მაგილებთან უფრო დაბალი ხარისხის სკამები. შემოსასვლელთან, სადაც ბიუროზე გამოძახებულინი დასხდნენ, უბრალო სკამები ხაემწკრივებიანთ.

ბიჭორი და ნოდარი ერთად დასხდნენ. გიორგი მათ უკან მოეწყო ქალიშვილები სულ ბოლოს, ბოლო ელენე ცალკე დაჯდა.

— დაეწყოთ, — თქვა რაიკომის პირველმა მდივანმა, — ვინ უნდა მოგვახსენოს.

ფანჯარასთან მდგარ სკამიდან ტიტე წამოდგა.

— მე მოგახსენებთ.

— აბა, მოვუსმინოთ ტიტე ბარბაქაძეს.

ტიტემ ჩაახველა და დაიწყო. ბიჭორმა და ნოდარმა ერთხანს ყური უგდეს, მაგრამ ტიტეს ახალი არაფერი უთქვამს..

— ბავშვების ჩვენებებზე არ შევჩერდები...

— რატომ? — შეეკითხა ტიტეს რაიკომის პირველი მდივანი.

— ახლახან თქვენი დაკითხვის შემდეგ ეპვი შეგვეპარა მათ სიმართლეს.

— მე არავითარი დაკითხვა არ მომიხდენია, — ცივად თქვა რაიკომის პირველმა მდივანმა, — თუ თქვენ მათი ჩვენებები მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ, მოგვახსენეთ.

— რა ვიცი, — შეყოყმანდა ტიტე. — ბავშვების დედები მოვიდნენ, მათ მოიტანეს ბავშვების ჩვენებები, მათვე გვთხოვეს ბავშვებიც დასწრებოდნენ ბიუროს სხდომას. ამ ჩვენებებს დაეყრდნო განყოფილება, როდესაც ბიუროს დადგენილების პროექტს ადგენდა.

— ნახე, საიდან შემოუარა, მაგ გველაძეუამ, — უთხრა ბიჭორმა ნოდარს, — აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე კი იქა ზის, კედელთან პირველი.

ნოდარმა იჭით გაიხედა. გამგე თავ-

დახრილი იჯდა და თავის კოტიტა თბობებს დაჰყურებდა.

ტიტემ ერთხანს კიდევ დასხდა, დასკვნა გააკეთა და დაჯდა.

— ქალბატონო ელენე, თქვენ რას იტყვიან? — მიმართა ბიბლიოთეკის გამგეს რაიკომის პირველმა მდივანმა.

ელენე წამოდგა, აკანკალებული ხმით დაიწყო, მაგრამ ემჩნეოდა, მოტეხილიყო. ისევე გააფთრებით ვერ დაესხა თავს რედაქციას, როგორც წინასწარ თათბირზე. ახლა სხვა ხერხი იხმარა. შორიდან დაიწყო, სამსახურში თავისი პირველი ნაბიჯები მოიგონა, სადაც მას მადლობები ჰქონდა მიღებული. ბიბლიოთეკაში დიდი ხანი არ არის რაც მუშაობს, შეცდომები არ დამალა, მაგრამ მთლიანად უარყო თანამშრომელთა შინამოსამსახურებელ გამოყენების ფაქტები, გახეთის უსინდისო მონაპორიყო, მოწმედ კი ის მესამე ბიბლიოთეკარი დაასახელა, რომელსაც ხელი არ ჰქონდა მოწერილი წერილზე. გულო და ნელი ინტრიგანებად გამოიყვანა, რომლებიც გამგის ადგილს ეცილებიან. მხოლოდ არ ვიცო, დაუშვია, ორნი როგორ გაიყოფენ ბიბლიოთეკის გამგის ერთ ადგილსო. ბავშვებზე ბევრი არ უთქვამს, თავად მოყვანეს მშობლებმა, როდესაც ჩვენი ბიბლიოთეკის შესახებ ვაზეთში წერილი წაიკითხესო. რაც შეეხება იმ გოგონას, რომელსაც აქ შემოსვლამდე რაიკომის პირველი მდივანი გაესაუბრა, სრულიად მექანიკურად მისთვის შეუფერებელი წიგნი მისცა და ამისათვის რედაქციამ ჭვარზე უნდა აცვას? ისიც მართალია, რომ მასთან შინ იყო, მაგრამ, ზოგჯერ, თავის დასაცავად ისეთ რამეს ჩაიდნენ, ადამიანური თვალსაზრისით ეგებ მიეცეს რამე გამართლება, მაგრამ, რასაკვირველია, მოსაწონი არ არისო.

— ზედაც საიდან მოუარა, — გადაულაპარაკა ბიჭორმა ნოდარს, — რაიკომის პირველმა მდივანმა სიცრუეში გამოიჭირა და ახლა ესეც სურს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, მეც

ადამიანი ვარ, შევეცი და მპატიეთო. ელენემ სიტყვა მოათავა. ჩანდა, ენა კბილით ეჭირა, ცდილობდა ყელს მოჭენილი გაწიწმატება და აღელვება დაეფარა. გარეგნულად შეძლო თავის შეკავება, მაგრამ სახე ისე აუჭარხლდა, თმა და ლოყები ერთი ფერისა გაუხდა.

— თქვენ რას იტყვით, ქალიშვილებო? — მიმართა ბიბლიოთეკარებს რაიკომის პირველმა მდივანმა.

პირველად გულო წამოდგა, ისე იყო შემკრთალი და დაბნეული, რომ ხმა ძლივს ამოიღო:

— თავს უხერხულად ვგრძნობ... — აღუღლულდა, — არ ვიცოდი, ასე თუ მოტრიალდებოდა ეს ამბავი... ქალბატონ ელენეს მაგივრად მე ერთი სიცოცხლე გავათავე...

— ახლა წუხს! — ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა ელენემ. რაიკომის პირველმა მდივანმა მას მკაცრად გადახედა და შეჰძღვრე გულოს მიმართა:

— რაც თქვენს ჩვენებაში სწერია, სწორია თუ არა?

— ჩემს სიცოცხლეში ტყუილი არ მიტყვამს.. ყველაფერი სწორია, — თანდათან გათამამდა გულო, — რაც შეეხება გამგის ადგილს, დედას გეფიცებით, კიდევ რომ დამნიშნონ, მაინც უარს ვიტყვი. განა არ ვიცი, რომ ვერ შევძლებ...

— თქვენ? — ახლა ნელის შეხედა რაიკომის პირველმა მდივანმა, — თქვენ კი დაბრძანდით, — მიუბრუნდა გულოს, რომელიც ჯერ კიდევ ფეხზე იდგა.

გულო დაჯდა.

— ჩვენს ჩვენებაში სრული სიმართლე სწერია, — თამამად დაიწყო ნელი, — მაგრამ იმისათვის კი არ დავწერეთ, რომ გამგის ადგილი გვინდოდა.

— ქალბატონ ელენეს ქმარმა იცოდა შინამოსამსახურედ რომ გიყენებდათ? — შეეკითხა რაიკომის პირველი მდივანი.

— ქმარმა? .. — გაიმეორა ნელი და

გულოს გადახედა. გულომ რაღაც ჩუმად ანიშნა, — არა, მანქანაფურცელიც შეგეზიფეთება.

— მე უკონია, ვიმარჯვებთ, — ჩასჩურჩულა ბიქტორმა ნოდარს, — ახლა ყველაფერი იმ მესამეზე დამოკიდებული, მას ჩვენებაზე ხელი არ მოუწერია და მის ნათქვამს მეტი ფასი აქვს.

— თქვენ რას იტყვით? — მესამე ბიბლიოთეკარს გადახედა რაიკომის პირველმა მდივანმა. ირგვლივ სიჩუმე ჩამოწვა.

— რა ეთქვა? — შეკითხვითვე მიუვი პესანემ.

— მხოლოდ სიმართლე, — წახეხმარა რაიკომის მდივანი, — ბიუროზე მხოლოდ სიმართლეს ლაპარაკობენ.

ბიბლიოთეკარი შეყოყმანდა და ელენეს გადახედა. ელენე გაფართოებული თვალებით შეაკვირდა.

— ვერაფერს ვიტყვი, — ხელი ჩაიჭინა მესამე ბიბლიოთეკარმა, — თანაც ქალბატონ ელენეს თანდასწრებით როგორა ეთქვა?

— აი, თქვენმა მეგობრებმა ხომ თქვეს, — არ ეშვებოდა რაიკომის პირველი მდივანი.

— აქ თუ მხოლოდ სიმართლეს ლაპარაკობენ, მაშინ ამით ტყუილები რადა თქვეს!

— რა ტყუილები თქვეს? — ყალბზე დადგა რაიკომის პირველი მდივანი.

— ისა რომ ქალბატონ ელენეს ქმარმა არაფერი იცოდაო. როგორ არ იცოდა, რამდენჯერ თვითონ წამოშობლია ბაზარში.

აკა-იქ ჩაიციენეს.

— ასეთი შტერი თუ იყო, ეგ უბედური, არ ვიცოდი! — ველარ მოითინა ელენემ.

მესამე ბიბლიოთეკარი სულ დაიბნა. მიხვდა, ისეთი რამ თქვა, რაც არ უნდა ეთქვა, ამიტომ პირში წყალი ჩაიგუბა და უცხად დაჯდა.

რაიკომის პირველმა მდივანმა ელენეს გადახედა:

— მე მესმის თქვენი მდგომარეობა, ქალბატონო ელენე, მაგრამ, დამერწ-

მუნეთ, სიპართლე არავის დაეკარგება — ბოდისი!.. — წაილულულა ელენემ.

აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე გახვეებული იჭდა.

რაიკომის ბიუროს წევრებს შორის პირველი სიტყვა კარპეზმა აიღო. მიუხედავად იმისა, რომ ის წერილი მისი თანხმობით არ დაბეჭდილა, რედაქცია მთლიანად დაიკვა. ახალი მასალები დანიშნა, რომელთა არსებობა თავად ნოდარმაც კი არ იცოდა. როგორც ჩანდა, დაწერილებით გაცნობოდა საბავშვო ბიბლიოთეკის მუშაყთა საქმიანობას.

— ხომ ჰიჭყინაა ჩვენი მოხუცი, — უთხრა ნოდარს ბიქტორმა, — მაგრამ საქმე საქმეზე რომ მივიდა, ხელი კი არ დაიბანა, ჩვენ ამოგვიდგა მხარში.

შემდეგ რაიკომის თავმჯდომარე გამოვიდა. ეცადა, არც რედაქციისათვის ეწყენინებინა, არც ელენესათვის. სიტყვა მეტს არავის უთქვამს.

— წერილის ავტორი რას გვეტყვის? — ახლა ნოდარს მოუბრუნდა რაიკომის პირველი მდივანი. ნოდარი წამოდგა.

— რაც სათქმელი მქონდა, წერილში ვთქვი. რომელიც მხოლოდ სიპართლის კარნახით დაეწერე, სხვა რამ მიზანი არც მქონდა და არც შეიძლება მქონოდა.

საბოლოო სიტყვა რაიკომის პირველმა მდივანმა აიღო. დიდხანს არ ულაპარაკნია, მაგრამ ვიდრე დასკენას გამოიტანდა, აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგეს მიმართა:

— აქ თქვენზეც იყო ლაპარაკი, რას იტყვი?

აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე წამოდგა, ადამიანის ფერი არ ედო სახეზე. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი მისი უშუალო მითითებით იყო მომზადებული, მიხვდა, რომ ვერ მოიგზნდა.

— ჩემთვის გასაგები მიზეზების გამო, რამდენადაც ძნელი არ უნდა იყოს ამის თქმა, ჩანს რომ ჩვენმა განყოფი-

ლებამ საკითხი წესიერად ვერ შეისწავლა და, როგორც ჩანს, საბავშვო ბიბლიოთეკის გამგეს მოუწყვეს სამსახურის დატოვება.

რაიკომის პირველმა მდივანმა ნოდარის წერილი მოიწონა და ბიბლიოთეკის გამგის სამსახურიდან განთავისუფლება მოითხოვა. მესამე ბიბლიოთეკარზე თქვა, თავის ადგილას არა ზოსო. მაგრამ მთლად არც ელენე გასწირა, განყოფილებას დაავალა, მისთვის შესაფერი სამუშაო მოეძებნათ, თან კარპეზს შეეკითხა:

— კარპეზ, თქვენ წინააღმდეგი ხომ არ იქნებოთ ამ წინადადებისა?

— პირიქით, — მიუგო კარპეზმა, — კარგი წინადადებაა.

რაიკომის პირველმა მდივანმა განყოფილების მიერ წარმოდგენილ დადგენილებას პროექტს ხაზი გადაუსვა და თავის თანამემწეს ახალი დადგენილება უკარნახა. საკითხი თითქმის მოთავებული იყო, როცა ბიქტორმა სიტყვა ითხოვა. რაიკომის პირველმა მდივანმა თანხმობით თავი დაუქნია, თქვიო.

— მაგას რა სჯობია, — დაიწყო ბიქტორმა, — თუკი თვითეულ მუშაკს თავის კუთვნილ ადგილს მიუტყენთ, — შემდეგ რაიკომის ინსტრუქტორს ტიტეს გადახედა, — ვფიქრობ, ბიუროზე საკითხის გამოტანისას ობიექტურობა არ იყო დაცული, ამას ახალი დადგენილებაც ადასტურებს, — ბოლოს გაზეთის რედაქტორის მოადგილეს გიორგის გაუსწორა თვალი, — განა ამ მხრივ ჩვენს რედაქციაში ყველაფერი წესრიგშია, ჩვენთანაც სხედან თავისი ადგილისათვის შეუფერებელი ადამიანები.

ტიტე წამოხტა. გიორგი კი ისეთი გახდა, ნოდარს შეეცოდა კიდევ. ჭერ გაწითლდა, შემდეგ გაყვითლდა, ბოლოს გაფითრდა.

რაიკომის პირველმა მდივანმა ტიტეს სიტყვა არ მისცა, გააჩუმა.

— ამხანაგი ბიქტორი მართალია, ალბათ, მოგვიხდება ამის თაობაზე სა-



თანადო დასკვნების გამოტანა. რედაქციაში თქვენ დამყარეთ წესრიგი და რაიკომში ჩვენ მოფუვლით ჩვენს საქმეს. ამით დავამთავროთ.

მოწვეულები წამოდგნენ, კარბეზი ბიუროზე დარჩა. ნოდარსა და ბიქტორს თითო დაუქნია, თვალები უციმციმებდა.

— ხედავ რა ამბები დატრიალდა, — გასვლისას უთხრა ბიქტორმა ნოდარს, — საცოდავი ჩვენი ავტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე, მიხვდა, რომ საქმეს არაფერი ეშველებოდა და როგორ უცბად გასწირა ცოლი. მტერს არ ვუსურვებდი მის ადგილზე ყოფნას. ისეთი ცოლი ჰყავს, სულს ამოხდის. ტიტეც მან გააბრიყვა. დიდი ხანია ტიტეზე კბილი მაქვს დადგმული და ახლა ისეთი დრო შევეუბრჩიე, მისი საქმე მორჩენილია!

ქუჩაში მათ რედაქტორის მოადგილე გიორგი წამოეწიათ.

— მე რაღას მერჩოდო, შე დალოცვილო, — მიმართა საწყლად ბიქტორს, — ბიუროზე ჩემზე მეტი სალაპარაკო აღარაფერი გქონდა.

— პირადად რას გერჩი, — აულელვებლად მიუგო ბიქტორმა, — მაგრამ საუბარი რომ ისეთ ადამიანებზე ჩამოვარდება, რომლებიც თავიანთ ადგილებზე არა სხედან, შენ მომავონდი. ეს შენ კარგად იცი და რაღას მალაპარაკებ. გასაგებია, რომ ცოლ-შვილს რჩენა უნდა, მაგრამ რედაქცია რა შეუძია. მე მზადა ვარ ჩემი ხელფასისა და ჰონორარის ნახევარი მოგცე, ოღონდ...

გიორგიმ სიტყვა გააწყვეტინა:

— შენი სამათხოვრო რა მჭირს!

— მით უფრო, — კვლავ მშვიდად განაგრძო ბიქტორმა, — რედაქციის სამადლო რა გჭირს. სანამ გვიან არ არის, გზას დაადექი და შენი ადგილი მონახე, თორემ, ხომ ხედავ, რედაქციაში მუშაობა ალესილ ხმლებზე სიარულივითაა, შენ კი ეს არ გეხერხება, არც გინდა და ვერც შეძლებ...

დილით კარბეზმა ბიქტორს დაატყდა გამოიძხა.

— ნეტავი რა უნდა ჩვენს მოხუცს? — წაიღუღლუნა გიგამ.

კარბეზმა მათ მოსაწვევი ბარათი უჩვენა. მეზობელი რაიონის სოფელ კორდმაღალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თავისი მუშაობის ოცდაათი წლის იუბილეს იხდიდა და ახალდაბის რედაქციიდან ორი კაცი მიეპატიებინა.

— ბიქტორ, წაიყვანე გიგა და წადით. ჩვენი გაზეთის სახელით მიესალმეთ, რამე საჩუქარიც წაუღეთ.

გიგამ კარბეზს მიმართა:

— კარბეზ სამსონიჩ, თუ შეიძლება ჩემს ნაცვლად ნოდარ ბერიძე წავიდეს. ახალი თანამშრომელია, გაივლის, ახალ ხალხს გაეცნობა, იქით არც ყოფილა. მე ისედაც მოყირვებული მაქვს აქეთ-იქით სიარული.

— შენ რას იტყვი? — გადახედა კარბეზმა ბიქტორს.

— კარგი წინადადებაა, — კვერი დაუქრა ბიქტორმა გიგას, — გიგას მუდამ რომ ასეთი აზრები მოსდიოდეს, ჩვენს შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა.

— შენ თუ დაიწყე, — ხელი აუქნია კარბეზმა, — ასეთ წინადადებებს დაეთანხმები, აბა, რა იქნება. შენ და ნოდარს პირი გაქვთ შეკრული და აქ უჩემოდ ბნელ საქმეებს ატრიალებთ...

— კარბეზ!

— რაო, — უცბად მოლბა კარბეზი, — ხუმრობასაც ვერ იგებ. იცი, რას გეტყვი, საბავშვო ბიბლიოთეკის ამბავიც გეყოფათ, ხახვივით რომ შეგრჩათ. მართალია, მეც დავიცავით, მაგრამ ახლა პირდაპირ გეტყვი, მინც არ იყო საქირო მაგ წერილის გამოქვეყნება. სხვაგვარად მოველებოდა საქმეს. ნოდარი იყოს, თანახმა ვარ, წაიყვანე.

— კარბეზ, შენ რატომ არ მოდიხარ?

— სტუმარს ველი თბილისიდან. პასუხისმგებელი მდივანი და განყოფი-

ლების გამგე განა არ ეყოფით ამ საქმეს? — შემდეგ გიგას მიუბრუნდა, — ნოდარს დაუძახე, შემოვიდეს.

გიგა სიხარულით მიეპირა ნოდარს.

— მალარიჩი შენზეა, — არობრობდა, — ეს ამბავი მე გაგიკეთე და იმედია არ დამივიწყებ.

— რა ამბავი?

— რედაქტორი გეძახის და სასიამოვნო წინადადებას რომ მოგცემს, მისი ავტორი მე გახლავარ.

— მაინც მოთხარი, რა ამბავია?

— შეხვალ და გაიგებ.

ნოდარი კარპეზთან სწორად როდი შედიოდა, თუ არ ჩავთვლით იმ სარედაქციო თათბირებს, რომელსაც რედაქტორი ყოველ ორშაბათობით იწვევდა გუმოსული გაზეთების განსახილველად. მოკრძალებით შევიდა ნოდარი კარპეზის კაბინეტში.

— სწორედ შენზე ვლაპარაკობდით, — შემოვიგება კარპეზი ნოდარს, — სულ მამხალბებელ მასალებს რომ სწერ, რა ჩვენზე ერთხელ საქმე მასალაც დასწერო. ხომ შესძლებ?

— როგორც მეტყვიით, — მიუგო ნოდარმა. აბა, კარპეზის წინადადებაში სამალარიჩო რა იყო!..

— ხვალ შენ და ბიქტორი კორდმალში წახვალთ. არის ასეთი სოფელი ჩვენს მეზობელ რაიონში.

— ვიცი.

— ყოფილხარ?

— არა, ჭერ არა ეყოფილვარ.

— მით უკეთესი კორდმალში კოლმეურნეობის თავმჯდომარე იუბილეს იხდის. აი, მოსაწვევი ბარათი, შიგ ყველაფერი სწერია. იუბილარზე და იუბილეს შესახებ ნარკვევი დასწერე, ვრცლად დასწერე კოლმეურნეობის კარგი თავმჯდომარეა. ბიქტორიც წაგეხმარება. სხვაგან რომ პირი გაქვთ შეკრული, აქაც შეკარით.

— კარპეზ! — გადახედა რედაქტორს ბიქტორმა.

— ბიქტორ, — დაუყვავა კარპეზმა, — ხვალ დილით გაემგზავრეთ, რედაქცი-
6. „მნათობი“, № 11.

ის მანქანა წაიყვანეთ. მე აქ იოლად გამოვალ, სტუმრისათვის რაეც მოსწონს მანქანას. აბა, თქვენ იცით იმეორეთუქა

მაშ, ნოდარი კორდმალში მიდის და იას შეხედება. საქირო კია ეს შეხვედრა? ნოდარი კარპეზის სიტყვებმა გამოაფხიზლა.

— აბა, კეთილ მგზავრობას ვისურვებთ!

ბიქტორი და ნოდარი რედაქტორის კაბინეტიდან ერთად გამოვიდნენ.

— ხვალ დილის ათ საათზე ვაემგზავროთ, — უთხრა ბიქტორმა, — ახლოა კორდმალში. ნელა ვიაროთ, გზადაგზა შევისვენოთ, თვალს წყალი დავალეწინოთ. კარგი სოფელია, ღონიერი და უხვი.

ბიქტორთან გიგა შემოვიდა.

— მიდიხართ?

— მივდივართ. მაგრამ შენ ასე რად გაინტერესებს ჩვენი წასვლა? — შეეკითხა გიგას ბიქტორი.

— ბიქტორ ვარლამიჩი, ნოდარს კორდმალში მეგობარი ჰყავს, — ჩაუტკრა ნოდარს თვალი გიგამ.

— აქი არ ეყოფილვარო? — ბიქტორი ახლა ნოდარს მიუბრუნდა.

— არ ყოფილა, — კვერი დაუტკრა გიგამ, — მისი მეგობარი კი ქალიშვილია და მერე რა ქალიშვილი!

ნოდარმა მუდარით გადახედა გიგას.

— ბიქტორ ვარლამიჩისა ნუ გერიღებ, — ღიმილით უთხრა გიგამ, — ეს ისეთი კაცია, პატარასთან პატარაა, დიდთან — დიდი, ყველაფრის გამგები და გამტანი. ხომ არა გგონია, რამეში უკან დაიხიოს, — და თავისებურად დაუმატა, — პერპენდულუმ მობილე!

ბიქტორს გაეცინა და გიგას თითი დაუქნია:

— მაქე, მაქე, ჩემს გულს მაინც ვერ მოიგებ...
22

რედაქციას ძველი „მოსკვიჩი“ ჰქონდა. სოფლის ორლობებში ჩაყვავიით მანქანა დანჯღრეულიყო. ათ დღეს რომ

იმუშავებდა, ორი დღე რემონტში იდგა. შოფერი ილიკო ჭავრობდა, ყოველ ცისმარე დღეს სხვაგან სამუშაოდ გადასვლას აპირებდა და რედაქციას მაინც ვერ სტოვებდა. საბარგულში მანუთსა და მტვერში ამოგანგლული დაკონკილი შარვალ-ხალათი ედო. ვინ იცის, სად დადგებოდა მისი მანქანა ჭორივით, სად დასკირდებოდა ილიკოს ჩხირკედელაობა და მიწაზე კოტრიალი.

ბიქტორმა ავტომანქანა რედაქციაში დაიბარა, იქიდან წავიდნენ. მანქანაში რომ ჩასხდნენ, ბიქტორი შოფერს მიუბრუნდა:

— ილიკო, კორდმაღალში ქვეყნის მანქანები იქნება, ხომ არ შევრცხვებით?

— აღარ შემიძლია, — აწუწუნდა ილიკო, — გუშინ არ მიმუშავეია, გენერალურად შევამოწმე. თუ სტარტერმა არ მიღალატა, ჩემის აზრით, ყველაფერი წესრიგში იქნება.

— თუ გვიღალატა?

— მაშინ ხელით უნდა დაეჭოქოთ, მაგრამ, ჩემის აზრით, საქმე აქამდე არ უნდა წავიდეს.

— ეს შენის აზრით, — გაეცინა ბიქტორს, — მაგრამ თვითონ მანქანა რა აზრისაა?

— ამას ახლავე გაიგებთ.

ილიკომ მანქანა დაქოქა. მოტორი დიდხანს არ ამუშავედა, ეწვალა. ის-ის იყო გადაწყვიტა ჩასულიყო, რომ მანქანა ათუხტუხდა.

— ასე თუ ვიწვალეთ, — თქვა ბიქტორმა.

— მთავარი პირველი დაქოქვაა, ბიქტორ ვარლამიჩ. გამოცდილი შაქვს ეს უპატრონო! აწი ჩვენი საქმე, ჩემის აზრით, აღჩუზეა.

ილიკომ მანქანა დაძრა, გაბმული საყვირი მისცა და გზას დაადგა.

— ეს საყვირი რაღა იყო? — შეეკითხა ბიქტორი.

— ნიშანია, ბიქტორ ვარლამიჩ, — მიუგო ილიკომ, — მე ხომ აქ ახლოს

ვცხოვრობ. ათას მანქანაში გამოარჩევს ხოლმე ჩემი ცოლი ჩემი მანქანის საყვირის ხმას. ასე გაბმით ტრემ-ვაყვირებამით ნიშანს ვაძლევ, მიედივარ-მეთქი დაბრუნებისას სხვა სიგნალი მაქვს. მოგეხსენებათ შოფერის ბედი, სიცოცხლესა და სიკვდილს შუა ვკიდივართ. თუ სადმე წასული ვარ და იმ დღეს უნდა დავბრუნდე, რაც არ უნდა გვიან იყოს, ცოლი არ იძინებს, ვახშამსა და ცხელ წყალს მახვედრებს. შინ მისვლამდე ვახარებ, მოვედი-თქო.

ბიქტორს გაეცინა და მხარზე ხელი დაჰკრა.

— ყოჩაღ!

მანქანამ ქალაქის ასფალტიანი გზა უკან დატოვა და მოუკირწყლავ, მტერიან გზას დაადგა.

— ახალდაბიდან კორდმაღალამდე ავტობუსი არ დადის? — იკითხა ნოდარმა.

— დადის, — მიუგო ილიკომ, — სამტრედიის გავლით. აქეთ შემთხვევით მიმავალ მანქანას თუ წააწყდები. შოფრებს ამ გზაზე სიარული არ გვიყვარს.

შარავზა გორაკებს აჰყვა. მანქანა მიხვეულ-მოხვეულ გზას დაადგა ქშენითა და ტატიით. ერთხანს ასე იარეს.

— ილიკო, — უთხრა შოფერს ბიქტორმა, — მუხის ძირას რომ წყაროა, მანქანა იქ შეაჩერე. გრილოში დაეისვენოთ და წაივებმსოთ. ამ დღით მე და შენ ჩვენმა ცოლებმა დაგვაპურეს, ნოდარი კი სად ისაუზმებდა. მეუღლემ ცოტა რამ გამომატანა, კორდმაღალში ხომ არ წავიღებთ.

— ჩემის აზრით, კარგი წინადადებაა, — კვერი დაუქრა ილიკომ, — ჯერ არც გვაგვიანდება.

— ჩემთვის ნუ შეწუხდებით. — თქვა ნოდარმა, — მე ამ დღით ვისაუზმე.

— აბა, რას ისაუზმებდი, — შეუტია ბიქტორმა — ვთქვათ ჩაი აადულე და ჩაი დალიე, მერე ამოდენა ვაეკაცს ჩაი გეყოფა!

მგზავრობამ, მთის ჭანსაღმა ჰაერმა

მალაზე მოიყვანა ნოდარი, თუმცა უმადობას არც სხვა დროს უჩიოდა.

ერთხანს კიდევ იარეს და როდესაც თავქვე უნდა დაშვებულებიყვნენ, ილიკომ მანქანა დაამუხრუქა, შეაჩერა, მაგრამ მოტორი არ გამორთო.

— მოვედით თქვენს წყაროსთან, ბიქტორ ვარლამიძე.

— შენც ჩამოდი.

— ახლავე გეახლებით. აი, მანქანას თავდაღმართში დაეყენებ. ჩემის აზრით, მოტორი თუ არ დაიქოქა, თავდაღმართზე თავისთავად გაგორდება და მოტორიც ამუშავდება.

— შენი საქმისა შენ იცი.

ბიქტორი და ნოდარი მანქანიდან ჩამოვიდნენ. გზიდან ცოტა მოშორებით ტოტებგაფარჩხული დიდი მუხა იდგამებას რომ მიუახლოვდნენ, წყაროს წანწყარი მოესმათ. კლდიდან ანკარა წყარო ვადმო' უზჩუბებდა, ვილაცას წყლისთვის ხისგან გამოთლილი ღარი შეედგა. ბიქტორმა ტუჩები ღარს მიუშვირა.

ნოდარიც დაეწაფა წყაროს. ცივი, გემრიელი და მსუბუქი წყალი იყო. მერე შემოგარენს გადახედეს. ქვემოთ გაშლილი ველი შემოდგომის ნაირფერებში გახვეულიყო. აღმოსავლეთით გორაკებს შორის მოქცეული ახალდაბა მოჩანდა, დასავლეთით რიონი მოიკლავნებოდა. ცისა და მიწის დასალიერთან კი შავი ზღვა გაწოლილიყო. ალაგ-ალაგ ნისლი დასწოლოდა გოლიათს.

ერთხანს ჩუმად იყვნენ. ბოლოს დუმილი ბიქტორმა დაარღვია:

— ილიკო, — გასაქანა შოფერს, — ჩემი ბაღურა წამოიღე.

— ახლავე, ახლავე! — მიუგო შოფერმა.

ილიკოს მანქანა თავდაღმართთან შეჩერებინა და ახლა ბორბლებქვეშ ქვებს უღებდა. შემდეგ მანქანიდან ბიქტორის ბაღურა ვადმოიღო, თავის საუზმესაც ხელი წამოავლო და მათეც გამოეშურა.

— აბა, ვნახოთ, ჩემმა დედაკაცმა რა გაიმეტა, — ხელების ფშვინებით თქვა ბიქტორმა, ბალახზე გაზეით ვაშალა და

ბაღურიდან ამოალაგა და ამოალაგა, /
ოპო, პო, აი, ყოჩაღ! ეს ნიჭებს წყალში ჩადებული დედალი, ესეც ამოიქმობდა აგერ სულგუნი, მოხარშული კვერცხები. მეტი რაღა გვინდა, მეფერი სუფრა გვაქვს. აი, მხოლოდ სასმელი გვაკლია.

— სასმელი რად გვინდა, — შეეპასუხა ილიკო.

— შენი საზომით ნუ ზომავ, — უთხრა ბიქტორმა.

— მაშ, მე ცოდვა არა ვარ, ვარლამიძე, თქვენ უნდა სვათ და მე კი ხახამშრალმა უნდა გიყუროთ. პური ვქამოთ და სმით ეს ცივ-ცივი წყალი დაეყოლოთ.

— ესეც ჩემი ბრალია, რომ ეგ პროფესია აირჩიე?

გემრიელად შეექცნენ ბალახზე გაშლილ საუზმეს.

შემოდგომის მზე თანდათან მალდა ავიდა და სიცხემ დააქირა.

— იცი, რა ვქნათ? — საუზმის შემდეგ თქვა ბიქტორმა, — მაინც არსად მიგვეჩქარება, აქვე თვალი მოვატყუოთ, — ილიკოს გადახედა, — კორდმაღალში რამდენ ხანში ჩავალთ?

— ტატიოც რომ ვიაროთ, საათნახევარში იქ ვიქნებით.

— აგაშენა ღმერთმა. იუბილე ხუთ საათამდე არ დაიწყება. რაც უფრო გვიან ჩავალთ, მით უკეთესია. მასპინძლებსაც თვალში არ შევეჩხირებით და აქ უფრო დავისვენებთ, თორემ კორდმაღლელების ამბავი რომ ვიცი, ამაღამ ჭიხვის რქებით სულს ამოგვხდიან.

— ჭიხვის რქებში ჩაწურული ღვინით, — გაეცინა ილიკოს, — ვარლამიძე, ამაღამვე ვბრუნდებით?

— რაც არის, არცა, — ხელი ჩაიჭნია ბიქტორმა, — ხვალ მაინც შებათია, ამაღამ შენც მოულებინე-ღამე იქ გავათიოთ. მასპინძლის პოვნა, ალბათ, არ გაგვიჭირდება.

— ჩემის აზრით, შესანიშნავი იქნება! — ტაში შემოპკრა ილიკომ, — მოველახინოთ, მეტი რა დავერჩენია.

— ამიტომ, — განაგრძო ბიქტორმა,

— წინადადება შემომამკეს ამ შესანიშნავ მოღზე წამოვწვეთ, წავიძინოთ, რათა მომავალ ბრძოლებს ძალამოკრებილნი შევხვდეთ.

— ესეც შესანიშნავი აზრია! — კვერი დაუკრა ილიკომ, საკმლის ნარჩენები აალაგა, გახეთში გაახვია და მუხის დაბალ ტოტზე შემოსდო, — ეგებ ვინმემ გამოიაროს, შიოდეს და ჩვენი სანოვავე მიირთვას.

ბიქტორი და ილიკო ხასხასა მოღზე წამოწვენენ.

— შენც წამოწვექი, — ურჩია ბიქტორმა ნოდარს. ნოდარმა ჩაიმუხლა და ჩაჯდა.

— თქვენი არ ვიცი და, — მთქნარებით წამოიწყო ბიქტორმა, — მე კი ნამდვილად მეძინება...

ბალახზე წამოწოლილებს ჩქარა წაეძინათ. ირგვლივ ჰაერი გაირინდა, რომელსაც წყაროს საამური წანწყარი და კრიჭინობელათა ვაბმული კრიჭინილა არღვევდა. ცაში ქორი ირაოს შლიდა. შემოდგომის მზე სხივებს უხვად ღვრიდა. შორს ზღვარზე ნისლი თანდათან აიკრიფა და ცისფერი ზღვის ზოლი გამოჩნდა, თუმცა ძნელი იყო თქმა, ზღვა ასულიყო მადლა თუ ცა ჩამოსულიყო ძირს.

ბელურების გუნდმა ეჩვივით ჩაიქროლა და ერთ-ერთ ბუჩქს შეერია. შემდეგ იქიდანაც აფრინდა და ახლა სხვა ბუჩქს მიაშურა, ბოლოს სულ გადაიკარგა, გაუჩინარდა.

სადღაც შორს თვითმფრინავმა გადაიქროლა, მისი გუგუნე მთებში ჩაიკარგა.

ნოდარი გულადმა იწვა და უსაზღვრო ცას შეაეკერდა. დიდხანს უყურა. თანდათანობით ისეთი გრძნობა დაეფულა, თითქოს ცის ლავარდში ინთქებოდა და ტანქვეშ მიწა ეცლებოდა. გვერდ-იცვალა, ახლა გვერდიდან ვახედა ცას. შორს ღრუბლის თეთრი, პატარა ქულა გამოჩნდა, რომელიც ცაზე ობლად დაფარფარებდა. ხან იხვს დაემსგავსა, ხან ღამურას და ხანაც თოვლის გუნდას.

ღრუბლის ქულამ დიდხანს ვერ გასძლო, ლავარდში გაუჩინარდა.

— ვიშ რა კარგის, — ზამბარა ილაპარაკა, — რა ლამაზია, პატარა ია!..

რას ჩააცვიდა ეს ლექსი. ნუთუ შეიძლება ერთი გიყვარდეს და მეორესკენაც გული მიგიწვედეს. მხოლოდ ახლა გამოუტყდა თავს, კორდმაღალში იმიტომ მიდიოდა სიხარულით, იქ ია ეგულებოდა. ლიას გვერდით, ზოგჯერ იასაც იგონებდა.

ნოდარს თითქოს არ ეძინებოდა, მაგრამ ირგვლივ გამეფებულმა მყუდროებაში, გვერდით მწოლიარეთა საამო ფშვინვამ ძალუნებურად მასაც ძილი მოჰკვარა და არც გაუგია, თუ როგორ ჩაეძინა...

— ლია... ია...

— ბიჭებო, წამოდექით! — ბიქტორის ხმამ გამოადგოდა ნოდარი. მაშინვე წამოხტა. ეტყობა, დიდხანს ეძინა. ტანში საამო სიმსუბუქეს გრძნობდა. ილიკო დიდხანს ანჯღრავს, ვერ იქნა და ძილს თავი ვერ წაართვა.

— ჯანმრთელი კაცია, — თქვა ბიქტორმა, — აბა, მე სახეზე ბალახიც რომ შემეხოს, იმ წუთასვე ფეთიანივით წამოვხტებო.

როგორც იქნა, ილიკომაც ვახილა თვალი. სახეზე სამივემ წყალი შეისხა გამოფხიზლდნენ. ბიქტორმა საათს დახედა.

— საკმაო ხანი გასულა, — თქვა მან, — სანამ ჩვენი ჯაბახანით კორდმაღალს მივალწვეთ, სწორედ კარგი დრო იქნება.

მანქანაში ჩასხდნენ. ილიკომ სტარტერი ჩართო და ყველას გასაოცრად მოტორი უცხად ამუშავდა, ათუხთუხდა. ილიკომ ამყად გადახედა მგზავრებს, აღტაცება ველარ დაიოკა, ერთი „ჰეჰე-ჰეო!“, დაიძახა, თითქოს ცხენებს მიერეკებოდა და ავტომანქანა დასძრა.

წინ თავდაღმართი იდო, იოლად მიჰქროდნენ. გზაზე დატყეპნილი ხრეშე



ეყარა, მაგრამ მანქანას მტკერი ბოლქვეზად მაინც მისდევდა.

დაიწყო სოფლის ბაღა-ბაღები, ვენახები, მაღალი კოინდრით დაშვენიებული ეზოები, ქვის ორსართულიანი სახლები, რომლებიც ერთმანეთის წაბაძვით ტყუბებივით ჰგავდნენ ერთ-ერთს.

ერთი სოფელი მეორესგან კარგა მანძილით იყო დაშორებული. მათ შორის საზღვრად ან პატარა მდინარე იყო, ან მინდორი.

სოფლის შარავზაზე იხვები ჯგუფ-ჯგუფად მიმოდრიდნენ, აქა-იქ სისინით ბატებიც დაბაჯბაჯებდნენ. ბავშვები მანქანას ყოყინით აცილებდნენ, ქალიშვილები მგზავრებს შორიდან მოკრძალებით უქვრეტდნენ. მამაკაცები ხელებს იჩრდილებდნენ, ჩვენი სტუმრები ხომ არ არიანო.

შეუჩერებლად ჩაუქროლეს რამდენიმე სოფელს, პატარა ხიდი გაიარეს. ბიქტორმა ხელმარჯენივ შეახედა ნოდარს:

— აი, კორდმაღალიც!

სოფელი გორაკზე შეფენილიყო, შუაში შარავზა სჭრიდა. თუ აქამდე გზა ბრეშით იყო მოფენილი, ახლა ასფალტზე მიაქროლებდნენ მანქანას. ცოტაც და სოფლის შუაგულში შეჩერდნენ. შარავზის ვარდივარდმო სავაკრო მაღაზიები იყო განლაგებული. მაღაზიები რომ თავდებოდა, ბალი იწყებოდა. ბაღში კულტურის სახლის ახალი დიდი შენობა მოჩანდა. კოლმეურნეობის კანტორაც იქ იყო მოთავსებული, სოფლის საბჭოც. გზაზე, ბაღის წინ რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა იდგა.

— სხვებიც მოსულან, ასე რომ ჩვენც დროზე გამოვჩნდით, — კმაყოფილებით თქვა ბიქტორმა და ილიკოს მიუბრუნდა, — ილიკო, მანქანა ჩრდილში დააყენე, მაგრამ ისე გააჩერე, დაქოქვისას არ შევრცხვებთ, თორემ კორდმაღლელები ისეთი ენაკვიმატი ხალხია, სუფრაზე აღარ დაგვედგომება.

— ფიქრი ნუ ვაქვს, ვარლამიჩ, — მიუგო ილიკომ, — ფერდობზე დავაყენებ,

და თუ არ დაიქოქა, ჩავაგორებ.

— საღამომდე თავისუფალყოფილნი არ გინდა ვინმე მოინახულო?

— არა, აქ დავრჩები.

— მაშინ საიუბილეო საღამოზე შემოდი. აი, ბილეთი, ჩვენ პრეზიდენტში ვიქნებით, იქ უბილეთოთაც შეგვიშვებენ.

— ვნახოთ, ვარლამიჩ, — უთხრა ილიკომ, მოსაწყვევი ბილეთი მზის საფარ შემაში გაარქო, — შოფრებთან მივალ.

— აბა, შენ იცი.

კულტურის სახლის შესასვლელთან შინმოუსვლელთა დიდი სტენდი აღემართათ. სტენდის თავზე შავი ასოებით ამოეყვანათ: „სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში“. ქვემოთ პატარა ჩარჩოებში სოფლის ვაჟკაცების სურათები ჩაემწყრივებინათ. ბევრი იყვნენ, ზოგს სამხედრო ტანსაცმელი ეცვა, ზოგს სამოქალაქო. ომში დაღუპულთა გვარები ანბანზე დაელაგებინათ. შიგადაშიგ ცარიელი ჩარჩო მოჩანდა. ცარიელ ჩარჩოს გვარი კი ჰქონდა მიწერილი, მაგრამ, ალბათ, მათი სურათები ვერ ეპოვნათ. მგლოვიარედ იმზირებოდნენ ცარიელი ჩარჩოები იმ ყმაწვილების ნაცვლად, რომელთაც სამშობლოს სიცოცხლე შესწირეს და ამ ქვეყნად თავიანთი სახის გამოსახულებაც ვერ დატოვეს.

შინმოუსვლელთა სტენდის გვერდით, მეორე მხარეს სოფლის ახლანდელ მოწინავე მუშაკთა სტენდი იყო. იმ სტენდიდან ომში დაღუპულთა ყმაწვილების დაბერებული ცოლები და დავაჟკაცებული შვილები იმზირებოდნენ.

ხმელ-ხმელი კაცი ბიქტორს მიუახლოვდა და მიესალმა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მეზობლებო!

— გამარჯობა, სვიმონ, — მიუგო ბიქტორმა და ნოდარი გააცნო, — ჩვენი ახალი თანამშრომელია. ეს კი, — ახლა

ნოდარს მიუბრუნდა, — აქაური რაიონული პრესის მუშაკია.

— ნება მომეცით ვიმასპინძლოთ, — უთხრა მათ რაიონული პრესის მუშაკმა. — სტუმრები დავინაწილეთ. მე პრესა შემხვდა, მაგრამ ჭერ-ჭერობით თქვენს გარდა არავინა ჩანს.

— რაში გამოიხატება შენი მასპინძლობა? — ბიქტორმა სვიმონს თვალა ეშმაკურად ჩაუქრა.

— დახვედრა, ყურადღება, სტუმრის სურვილის უსიტყვოდ გამოცნობა და შესრულება.

— ნოდარ, ნუ გაოცდები, — უთხრა ნოდარს ბიქტორმა, — ამან საერთოდ ასეთი ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი იცის, თუმცა, უნდა გითხრა, ცუდი კაცა და ყურნალისტი არ არის.

— ჰო, ჰო, ჰო, დაიწყე ახლა შენებურად!

— ვტყუი თუ?

— კიდევ არ მორჯულებულხარ, — აქეთ შემოუტია სვიმონმა, — ჩანს კარპეზი შენს ნებაზე გატარებს და ხეირიანად ვერ გივლის. აი, ჩვენისთანა რედაქტორი უნდა გყავდეს, რომ მოგგრიხოს და მოგთოკოს.

— საწყალი, რა დღეში ჩაუვლია თავის რედაქტორს! განა ზედ არ ეტყობა, — თავი გაიქნია ბიქტორმა, — და მერე თქვენც პრესა გქვიათ, პრინციპული, გაბედული.

— ლაპარაკში ვინ მოგიგებს, — დაუთმო სვიმონმა, — ენა გაქვს ალესილი, — შემდეგ უფრო ტკბილად მიმართა, — ნამგზავრებს მოგშვივდებოდით. ამისათვის აქაურ მასპინძლებს საყველბურო სუფრა აქეთ გამლილი, წამოზრძანდით, წაეხებმსოთ.

— არა, გმადლობთ, — მეგობრულად გაუღიმა ბიქტორმა, — წყაროსთან შევისვენეთ, კარგად დაენაყრდით. ახლა ბანკეტამდე არა გვიჟირს რა. თუ ჩვენი პატივისცემა გინდა, წინ გავგიძეხი და სოფელი გვიჩვენე. წარმოიდგინე, აქ დიდი ხანია არა ვყოფილვარ.

— იოლი სამსახურია, — დაფაცურდა

სვიმონი, — ახლაც, ერთ წუთს/დამაცადეთ. — ვილაცებთან მეცედა, დაარიგა, მეზობელი რაიონული პრესის მუშაკები თუ გამოჩნდებიან, უყურადღებოთ არ დასტოვოთ, სათანადო პატივი ეცითო. შემდეგ მათვენ გამოსწია და უთხრა, — წავიდეთ.

სვიმონი ბიქტორისა და ნოდარის შუაში ჩადგა.

— ეს სოფელი, — დაიწყო სვიმონმა. — ჩვენს რაიონში ყველაზე ჩამორჩენილი სოფელი იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფელმა ფრთები გაშალა, დამშვენდა. კოლმეურნეობის სწორი ორგანიზაციისა და შრომითი აღმავლობის შედეგად...

— კარგი თუ ძმა ხარ, — შეაწყვეტინა ბიქტორმა, — როდის უნდა ისწავლია ლაპარაკი გაზეთის უხეირო მოწინავეს ხომ არა სწერ. შენ ერთი ეს მითხარი, აი, ის სახლი ვისია?

— რომელი?

— ეგერ, შეფერდებაზე რომ წამოუტომავეთ, ორსართულიანი.

— ვისია და ნინო მარგალიტაძისაა, ხომ გავიგონია, ჩაის კრეფის პირველი ოსტატია.

— გასაგებია. აი, ის, ხელმარცხნივ, დღის პირას რომ მოჩანს?

— ისა... — შეეყოყმანდა სვიმონი, — ვისია და ხილის მიმღები პუნქტის გამგისა.

— მის პირდაპირ რომ მოჩანს? ოხო, ხო, ხო, რა სახლია!

— მაგის პატრონი მევენახე კოლმეურნეა, — არ დაუყოვნებია პასუხის გაცემა სვიმონს, — ჰექტარზე ყველაზე მეტი ყურძენი მოჰყავს.

— ერგება და შეერგება! მაშინ ისი მითხარი და მოგშვივები, მეორე ფერდობზე ვის წამოუტომავეს სრა-სასახლე

სვიმონმა ბიქტორის თითს თვალა გააყოლა, შეეყოყმანდა.

— თამამად თქვი, ნუ ღებავ.

— ის სრა-სასახლე კოლმეურნეობის დღინის წერტის გამგისაა. აქეთ ამათვიანით წერტი ქუთაისში.



— მეც მანდა ვარ, — გაცხარდა ბიქტორი, — რად უნდა ეჭიბრებოდნენ საქმოსნები დოვლათში სოფლის გამრჯე ადამიანებს! ჩვენი სოფელი საოცრად გამოიცვალა, კოლმეურნის ოჯახში „ეოლგა“ და „მოსკვიჩი“ უცხო როდია, მაგრამ ხილის მიმღები პუნქტის გამგე რომ ასეთ სასახლეს ააგებს, რატომ არ გვიკვირს? შეეაჩიეთ თვალი საუბედუროდ ამ ამბავს, არ გვეხამუშება უბრალო საქმეა, გამოარკვიე მათი ზელფასი და შემოსავალი, დაუტოვე საცხოვრებელი მინიმუმი და თუ რას ააშენებენ, მავსაც ვნახავთ.

— ერთბაშად ბევრი მოინდომე! — გაეციხა სვიმონს.

— მე მხოლოდ სიმაართლე მოვინდომე, — უფრო გაცხარდა ბიქტორი, — აბა, ცოტა მეტი კონტროლი დავაწესოთ, მაშინ ნახავ გასაძვრენ ხვრელს თუ იპოვნიათ. ახლა კი არ ცხვენიათ, თავიანთ ნაქურდალსა და ნაპარავს სახალ-

ზოდ ამზეურებენ. ის შენეტილი მემღლები პუნქტის გამგე ნინო მარტვილიძის გვერდით არც უნდა გამოჩნდეს.

სვიმონს გაელიმა.

— მოვეშვათ, წამოდით წყაროს გიჩვენებთ, ისეთი საინტერესო ისტორია აქვს...

შემდეგ ბიქტორი და სვიმონი სხვა საკითხზე შეკამათდნენ და წელი ნაბიჯით განაგრძეს ვზა. ნოდარი ცალი ყურით მათ უსმენდა, თან იას ეძებდა. თუ კორდმალაში ჩამოვიდა, ბარემ იასაც ნახავს. ერთხელ გადაწყვიტა სვიმონისათვის ეკითხა, ია ჩიკვაძეს თუ იცნობთო, მაგრამ ეუხერხულა. ალბათ, არც იცნობდა, ან საიდან უნდა ცნობოდა ერთი უბრალო სოფლელი ქალიშვილი, რომელმაც წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და გორის ინსტიტუტის მისაღებ გამოცდებზე ჩაიჭრა. წერილის მოწერას შეპირდა, არ მოუწერია მაინც რად უნდა იას ნახვა, რისთვის?..

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მ ი თ ი

პერმესი პირველად ხედავდა როგორ ფეთქავდა მისი შიშველი, ოდნავ წამოზრდილი ღვიძლი და ისე თავისუფლად ვერ გრძნობდა თავს, როგორც ჩვეულ, შელამაზებულ გარემოში.

— ბეცები რომ იყავით, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. რაც უფრო მაგრად დახუქავთ თვალებს, მით უფრო მალე ამოიხრჩობით საკუთარ ბუნაგში.

— ჭერჭერობით დრო შენი მოკაცშირეა, პრომეთე, უწინ განაჩენი ჩვენ გამოგვეკონდა, ახლა კი შენ გამოგაქვს, — დაიწყო კვლავ პერმესმა და ისე მოიხარა ბეჭებში, თითქოს ცად აწვდილი მწვერვალების დამთრგუნველი სიდიადე პირველად იგრძნო, — მაგრამ ერთი რამ მაინც გავიწყდება. უჩვენოდ ცხოვრებას ვერავინ გაართმევს თავს.

სტიქსმა და ჰესიონემ ისევ მოიწყინეს. ის, რაც ცოტა ხნის წინათ ცხადი და გასაგები იყო, კვლავ გართულდა, მსხვერპლსა და ჭალათს შორის დამყარებულ ურთიერთობას გასცდა.

— მას შემდეგ, რაც ცეცხლი მთელ ქვეყანას მოედო, თქვენი არც გამოცდილება სჭირდება ვინმეს და არც დახმარება. ადამიანები უკეთ გაართმევენ თავს იმას, რასაც თქვენ ვერ მოერიეთ. ოლიმპო გაირიყა, წარსულს ჩაბარდა.

— არ მეგონა, ასე თუ გახლდით?

— არც მე მეგონა ასეთი ჭკუამოკლები თუ იყავით, მაგრამ სიძულვილი აქ არაფერ შუაშია. ცეცხლი რომ თქვენდამი სიძულვილის გამო მომეტაცებინა, ჩემი ფასი თხის კული იქნებოდა.

— შენ კარგად იცი, პრომეთე, რომ მტყუნანისა და მართლის გარჩევა ჩემი საქმე არაა. მე მხოლოდ იმას გთხოვ, დამისახელო, დამისახაიათო იმ საბედისწერო მოვლენის არსი, რომელიც დალუპებით გვემუქრება.

— ბედისწერას გინდათ შევებათ?

— ჩვენ ჭერ იმედი არ გადაგვიწყვეტია.

— ტყუილად ხარჯავთ დროს. წადი და შენს შუბლმაგარ მბრძანებელს უთხარი, რომ მისი მუქარის არ მეშინია. ჩემი ხვედრით მე კმაყოფილი ვარ.

პერმესი უკეთეს პასუხს არ მოელოდა, მაგრამ მაინც გაწყრა, წარბები შეიკრა. იგი უმალდესი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო და მანამდე არ წავილოდა აქედან, სანამ სიბრძევეს არ გამოამქლავებდა.

— ყველაფერი, რაც გვკირს, შენგან გვკირს. შენისთანა ვერაგი არავინ გაჩენილა ჩვენს შორის, მაგრამ შენს ოხტში ჩვენ კიდევ ამოვალთ.

— კი ამბობდნენ მრისხანე პერმესს

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 10.

სასაცილოაო, მაგრამ არ მეგონა ასე უხეიროდ თუ ბაძავდი მამაშენს.

— მამაჩემს რომ ჰკუთა ჰქონოდა, ძმებთან ერთად ჩაგაგდებდა ქვესკნელში და ჯაჭვით დაგაბამდა.

— როგორც ხედავ, ჯაჭვით დაბმას მე მაინც ვერ ავცდი.

— ვიცოდი, რომ რაღაცას მოგვეპარავდი და გაგვაშწარებდი, მაგრამ ბოძალი შენთვის მკერდში კი არ უნდა გაეყარათ, არამედ პირში.

— მე კიდევ ვიცნობ ერთ მამალ ქურდს, რომელიც თავისუფლად დასეირნობს ამქვეყნად.

ჭერმესი ქალებს მიუბრუნდა და მუქარით, მის გასაგონად უთხრა.

— თუ თავი არ მოგებურებიან, დროზე გაეცალეთ აქაურობას. ამაღამ იმდენი მეხი დაატყდება ამ კლდეს, რომ ქვაც კი აღულდება.

იმ დამეს მართლაც მოგროვდა მის თავზე შავი, ქვეყნის დამაქცევარი ღრუბლები, მაგრამ სტიქსი და ჰესიონე არსად გაქცეულან. კარგად იცოდნენ, რომ გაქცევით მარტო მას კი არ უღალატებდნენ, არამედ საკუთარ თავსაც. ყველაფერი, რაც გაიღეს, ერთბაშად ჩაეყრებოდათ წყალში. ქარი დაქრილ უჩჩხლევივით ღრიალებდა, ცა იწვოდა, დაფრდებული დედამიწა კენესოდა. ფასის მთა ისე ირყეოდა, თითქმის საძირკველი ჰქონდა გამოთხრილი. სტიქსმა და ჰესიონემ ხერელი მონახეს, ერთმანეთს მიეკვრნენ და დილაღე სული არ მოუთქვამთ. ციდან მონადენი ცეცხლი თმასა და წვერს ურუჯავდა, ელვა აბრძალებდა, მაგრამ მის რწმენას ვერაფერს აკლებდა. წყალი რომ ღვინოდ ქცეულიყო, ხარბად დაეწაფებოდა, დათვრებოდა და ტკბილად დაიძინებდა.

მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. ადამიანებმა მის შესახებ ლეგენდები შეთხზეს, მაგრამ ირგვლივ არაფერი შეცვლილა. სტიქსი და ჰესიონე იმავე ლოდზე ისხდნენ და კიდევ უფრო მწარედ მოთქვამდნენ. ფერუცვლელი კლდეების დაღარული ზედაპირი საკუთარი სახის დანახვის საშუალებას არ იძლეო-

და. წარმოდგენა არ ჰქონდა როგორ აღიბეჭდა მის გაუხეშებულ ფეხებს დროის უხილავი ნაბიჯები. სტიქსი კვლავ დევ მხნედ გამოიყურებოდა, ჰესიონე კი თავს ველარ ერეოდა, საკუთარ გულს ასკდებოდა. ხანდახან ისე გაიჩინებოდა, რომ სინამდვილესა და ზმანებას ერთმანეთისაგან ველარ არჩევდა.

სანამ ჩრდილთა გადაადგილებას აკვირდებოდა და არწივის მოფრენამდე დარჩენილი დროის გახანგრძლივებაზე ფიქრობდა, სტიქსი ლოდიდან ჩამოვიდა, სამხრეთ ფერდობს დაჰყვა და თვალს მიეფარა. მაჯები ისე ტკიოდა, თითქმის გაშიშვლებულ ძარღვებზე ეკიოდა. კლდეთა მახვილი კუთხეები ხან რბილდებოდა, ამოუხსნელი ნიშნების მოხაზულობას იძენდა, ხანაც ისევ მკვრივდებოდა და თვალს ეკალივით ესობოდა. ჰესიონე ვერ ისვენებდა, შფოთავდა, საკუთარ მკერდს ევიდებოდა. დღეს რომ რამე არ მომხდარიყო, ალბათ გრძნობას დაკარგავდა და დიდხანს ვერ მოვიდოდა გონს. სტიქსის თანდასწრებით ყოველთვის ერიდებოდათ რაღაც ისეთის თქმა, რაც მესამეს გარიყავდა, მაგრამ როცა მარტო რჩებოდნენ, თამამად ლაპარაკობდნენ.

— ის წყველი არწივი რომ დღესაც მოფრინდეს, ცივი ხმით ავიკვლდები და ქვეყანას შევძრავ. არ ვიცი, რა მემართება, მაგრამ მეტის ატანა აღარ შემიძლია. ანდა აქამდე როგორ ვიტანდი. შენ დაბმული და უმწეო ხარ, მაგრამ მე რა მაჩერებს, რატომ არ ვცდილობ კბილებით გადავლრდნა ეგ ჯაჭვი.

ჰესიონე ვერც ჯაჭვს გადალრდნიდა და ვერც ბოძალს ამოაძრობდა მკერდიდან, მაგრამ ერთი ღირსშესანიშნავე ამბავი მაინც მოხდა. ამ პატარა ქალმა არტახები მოიშორა. შეიძლება სწორედ ამ დიდმა, უცნობმა გრძნობამ ააფორიქა მისი სული.

— აღარ გეშინია ზევსის, ჰესიონე?

— ო, ახლა არავისა. და არაფრის არ მეშინია. ზევსი ძაღლობირი და სისხლის მსმელი ობობაა. აქ რომ იყო.

წვერებს დაფავლევდი და სახეში მივაყრიდი.

— შენი თვალების ელვარებისაგან, მგონი მთებსაც კი დასცხა.

— შენ დაგტიროდი და თურმე თავი მქონია სატირელი, — სთქვა ჰესიონემ ისე, თითქოს გარდაისახა, სხვა ადამიანი გახდა.

მოპირდაპირე კლდის ჩრდილი პლატოზე ჩამოცოცდა და მისკენ დაიძრა. ახლოვდებოდა გმინვისა და ქვაზე თავის რახუნის ყაში. მისი სისხლი ჯერ კიდევ აჩნდა დაღარულ კლდეს, მაგრამ ამ ცოტა ხანში სისხლი ისევ დაიღვრებოდა და მთელი ქვეყანა წითლად შეიღებებოდა. გონებამ რას არ მოუჩინქნა ძირი, რა არ განსაზღვრა, მაგრამ დროს ვერაფერი მოუხერხა, ერთი წამითაც ვერ შეაჩერა. როგორც კი მზე მწვერვლებს თავზე წამოადგებოდა, არწივი ღვიძლს ბასრი ბრკყალებით ჩაეკიდებოდა და საზარლად დაჯიჯგნიდა.

— დღეს მთვრალივით ვარ და ქვეყანა მეპატარავება. ამიტომაც ვერ ვბოულობ ადგილს. მინდა ბედს შევებრძოლო, ჩემი თავის პატრონი გავხდე, — სთქვა ჰესიონემ გამომწვევეად და მწვერვლებს თვალი გაუსწორა. მათ ჯავშანზე პირველად ასხლტა მოტყუებული ქალის მხერა.

— აქამდე უკვდავება შენი წილხვედრი იყო, ჰესიონე, ახლა კი იმსახურებ.

— მას შემდეგ, რაც თვალი ამეხილა, ეტეები მხარჩობს. როგორ შეიძლებოდა ისეთი ქალი გყვარებოდა, როგორიც აქამდე ვიყავი?

— თავისუფლება ბევრ რამეს უბამს მხარს, მაგრამ როცა დროს უპირისპირდები, სიცოცხლე უნდა შეგეძლოს. სიცოცხლე ვველგან აუცილებელია, ჰესიონე, ყაყაისს ველზეც და ტკივილის აღესილ მარწუხებს შორისაც.

— შენი სიცოცხლე დიდი ხანია არ გამიგონია.

— მე მუცლით ვიციანი, გამოადრძული მუცლით და ჩემი სიცოცხლის ფასი უკვე იცის კაცობრიობამ.

თმგაშლილი სტიქსი ისე მობრბოდა

მათკენ, თითქოს ვილაც მოსდევდა, მაგრამ მისი გაბრწყინებულ ფეხები სიხარულს უფრო გამეფებდნენ ვიდრე შიშს.

— აქეთკენ ვილაც მოდის. მხარზე შეილდი აქვს გადაკიდებული, ხელში დიდი კეტი უპირავს, წელზე მოკლე ხმალი არტყია. ნეტა ვინ არის, რა უნდა, იცის ჩვენი არსებობა თუ არა. აღნაგობით ღმერთს ჰგავს, სიარულით კი მოკვდავს, — წამოიძახა სტიქსმა შეცვლილი ხმით და ჰესიონეს მხარში ამოუღდა.

ჰერმესის შემდეგ იგი არც უკვდავთ გახსენებით და არც მოკვდავთ ზოგჯერ სივრცე ჩარჩოსავით დავიწროვდებოდა და ამ ეიწრო სარკმელში რომელიმე უკვდავის სახე გამოჩნდებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენება იყო, კომპარული ზმანება, რასაც ამაოების დალი აჩნდა და სინამდვილეს გაურბოდა. თვალის დახუჭვა კიდევ უფრო ამძაფრებდა თავისთავად გადასხეაფერებულ, ფერშეცვლილ წარსულს, რომელსაც ბნელი ორმოდან კიდევ უფრო უსიამო სურათები ამოჰქონდა. ამიტომ გონებას მოდუნების, მოშვების საშუალებას არ აძლევდა. თვალი წინ აფარებულ ფარდას ხედა და რაღაც ისეთს ეპოტინებოდა, რაც ჯერ კიდევ ვერ გამოახუნა დრომ. შემოდგომის ფერსა და მწუხარებას შორს ეძებდა, ფახისისა და ლუხუნისწყლის შესართავთან, მაგრამ ახლა ისიც კი აღარ იცოდა, რას უფრო დარაჯობდა — მყინვარებს თუ მათ ანარეკლს.

პლატოზე ჯერ ჩრდილი გაწვა, შემდეგ კი გოლიათური აღნაგობის მამაკაცი გამოჩნდა. დეკაცს მხარზე მკლავის სისხო მშვილდი ეკიდა და ქედმალლობაზე ეტყობოდა, რომ თავს ღმერთების შთამომავლად თვლიდა, იჯრამ ისე იქცეოდა, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ გათვითცნობიერებული ადამიანი. ეტყობა, ჯერ კიდევ არ იცოდა ზეირიანად, რისთვის იყო გაჩენილი, რა ეკეთებინა ამქვეყნად და ამიტომ მის ძალ-ღონეს გაქნილი, პატივმოყვარე მბრძანებლები იყენებდნენ. აქეთ, ალბათ, ძვირფასი

საუნჯის მოსატაცებლად გამოგზავნეს, მაგრამ გზა აებნა და შემთხვევით ფასის მთას მოადგა.

— ვინა ხართ, აქ რას აკეთებთ, ვინ გაბედა კაცის კლდეზე მიჭაჭვა? — ჰკითხა მან ქალებს ძლიერი, უსამართლობით აღშფოთებული დეკაკაცის ხმით და ხშირი წარბები მრისხანედ შეჭყარა. ფასის მთაზე ღმერთებიც ამოსულან და ტიტანებიც, მაგრამ აღშფოთება ასე თამამად არავის გამოუთქვამს.

სტიქსი და ჰესიონე თვალს არ აშორებდნენ მოულოდნელ სტუმარს. მათ სრულიად არ აინტერესებდათ, რას ეძებდა ეს დეკაკაცი, როგორ მოხვდა აქ. შთავარი იყო მისი აღშფოთება საქმედ ქცეულიყო და გამაწამებელ ლოდინს ზოლო მოღებოდა.

— ეტყობა ბერძენი არა ხარ, თორემ გეცოდინებოდა, ვინ არის აქ მიჭაჭვეული, ან ჩვენ ვინა ვართ.

დეკაკაცმა ქალებს ისე გადახედა, თითქოს ნანობდა რომ გამოელაპარაკა. — ამგვარი შეურაცხყოფა ჩემთვის ჯერ არავის მოუყენებია. დედის საშოში თვით ზეგსმა ჩამსახა, ხოლო მშვა ელექტრიონის მშვენიერმა ასულმა ალკიშენემ. ეტყობა თქვენ თვითონ არა ხართ ბერძენები, რა კი არ იცით, ვინ არის ჰერაკლე.

სტიქსი და ჰესიონე იმაზე უარესს არაფერს მოელოდნენ, რაც გადაიტანეს და აზიტომ ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება არ უნდოდათ. თუ თავმომწონე გოლიათის გულს ვერ მოინადირებდნენ, ეცდებოდნენ ისე გაეცოდებინათ, რომ რაიმე საშინელება ჩაედინა.

— მოკვდავთ და უკვდავთ ჩვენ ცოტათი ვანსხვავებთ ერთმანეთისაგან.

— უკვდავება თქვენ, ალბათ, მემკვიდრეობით გერგოთ, მე კი გმირობით მოვიპოვებ, — განაცხადა დეკაკაცმა ისე, თითქოს წინასწარ ჰქონდა აღთქმული.

— კი მაგრამ, რად გინდათ? — ჰკითხა ჰესიონემ ნალღიანი, ოდნავ დამციწავი ღიმილით.

— არ ვიცი, მაგრამ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის იმხელა უფსკრულია

გათხრილი, რომ ჩემისთანა კაცის დაუძღურება და სიკვდილი ვღმარააღმყოფებელია, დიდი უსამართლობაა. — რატომ?

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ ტოლი არა მყავს ქვეყანაზე, მეორეც — ჩემი ბუნება სიკვდილს ვერ გულობს.

— მე როგორმე შევეგუებოდი.

— რამ მოგაძულათ თავი?

— აი ის, კლდეზე მიჭაჭული ტიტანი, პრომეთეა, მე ჰესიონე გახლავართ, ეს კი ჩემი და — სტიქსია. თქვენ, ალბათ, არ იცით რას ჰქვია უიმედობა, დაღლა, ტყვილი?

ჰერაკლემ ადგილი მოინაცვლა და აღელვებისაგან ცოტათი წამოწითლდა. მას არც სითამამე აკლდა და არც ძალღონე, მაგრამ აქ დამკვიდრებულმა მღუმარებამ მანაც შეაკრთო. ერთხანს თავჩაჩინდრული იდგა, საკუთარი გულის ცემასა, თუ შინაგან ხმას უსმენდა, შემდეგ მხრებზე მოგდებული ცხვირის ტყავი მოიცილა და, ალბათ, ისეთ რამეში დაეთანხმა საკუთარ თავს, რაც აქამდე წარმოუდგენლად მიაჩნდა.

— არ მეგონა აქამდე თუ იტანჯებოდა ის, ვინც ადამიანებს სახე დაუბრუნა, ვის წინაშეც ყველა გმირი ბაღლია და ყველა წამებული ბედის უსამართლოდ მგმობელი. აქ მე აქამდეც ამოვიდოდი, მაგრამ პრომეთეს თავგანწირვის ამბავი საბრალო ქირონმა მიაპბო ბავშვობაში და მას შემდეგ არავის გახსენებია.

ჰერაკლე ლაპარაკს განაგრძობდა. თვალტრემლიანი უამბობდა როგორ დასჭრა საყვარელი მასწავლებელი, მაგრამ მას უკვე არაფრის გავგონება, არაფრის დამახსოვრება არ შეეძლო. არწივთ მწვერვალს გადმოსცდა, ფრთები დაკეცა და ქვესავით წამოვიდა მისკენ სხეული დაშლას, მტერად ქცევას ნატრობდა, მაგრამ ხორცი ხორცადვე რჩებოდა და ძაბდაგებდა. თუ ამ დეკაკაცს რამე შეეძლო, ახლა უნდა გამოეყო ხელი, შემდეგ კი მისი არც დახმარება სჭირდებოდა და არც თანაგრძნობა. ჰესიონე ცივი ხმით აკივლდა. ჰერაკლემ

არწივი მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა პლატოზე მოძრაევი ჩრდილი გაწვა. ჰესიონე ჩრდილს დასდევდა, ფეხით თელავდა. მშვიერი მხეცის მზერა მიდამოს აბნძმურებდა. ჰერაკლე გაფითრდა, დაიძაბა, სმენად და მზერად იქცა. იმ წუთში მისთვის არც საზღაური არსებობდა და არც მოვლენათა ურთიერთკავშირი. მშვილდმომარჯვებულმა კარპაკიდან გრძელი ისარი ამოიღო, ლარს წაშოაკცა და კლდის ჩრდილში გაჩერდა. არწივი საზარლად წიოდა, მარტო მის ლეიძლს კი არა, მთელ ქვეყანას უპირებდა და დაგლეჯას და სწორედ მაშინ, როცა ფრთები გაშალა და ამოვსებულ ლეიძლს დაუპირისპირდა, ისარმა ზუზუნით გააპო ჰაერი და ბასრბრკყალეზიან მტარვალს ყელში გაეჩხირა. სისხლი წვიმად წამოვიდა, გაფარვარებული ჰაერი გააგრილა. არწივი მოწყვეტილ ლოდვიით დაეცა ჰერაკლეს ფეხებთან და სანამ სული ამოხდებოდა, მოგუდულ ჰიდრასავით ფართხალეზდა. ჭიჭანას გადარჩენილი სხეული ზეიმობდა. წინ გადახრილს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს საკირედან მიწის ზედაპირზე ამოათრევის. ერთ წამში შიგნითაც და გარეთაც იმდენი რამ შეიცვალა, რომ არც კი იცოდა რა დაემასოვრებინა. ჰერაკლე ერთხანს გაოგნებული იდგა, მოკლულ არწივს დასცქეროდა. რაც არ უნდა იყოს, ზებუნებრივ ძალას დაუპირისპირდა და ასეთი თავხედობისათვის შეეძლოთ დაესაჯათ, მაგრამ გამარჯვებამ ისე აღამაღლა საკუთარ თვალში, რომ იგი აქედან მანამდე არ წავიდოდა, სანამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა. მკვდარ არწივს ფრთა ფეხით შეუკეცა, წელს ზემოთ გაშიშვლდა და ქალებს მიუბრუნდა.

— გამიგონია ეს ჭაკვი ჰეფესტომ გამოსკედაო, მაგრამ რაკი არწივის მოკვლა შევძელი, არც ჭაკვის დაღწევა გამიჭირდება. შეიძლება, ამისათვის ღმერთებმა დამსაჯონ, მაგრამ თუ თქვენ აქ დაგტოვეთ, სასჯელს მაინც ვერ ავტდები, საკუთარი თავი გამაწამებს. ლაჩ-

რულ სიცოცხლეს კი ღმერთების განაწყენება მირჩევნია.

— განაჩენის თანამედროვეთა განთავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ რომელიმე უკვდავი მის მაგივრად ადესში ჩავა, — უთხრა დეკაკს სტიქსმა.

ჰერაკლემ კედელთან მიგორებულ ლოდს იმხელავე ლოდი დაადგა ზემოდან, მაგრამ სტიქსის სიტყვები მაინც გაიგონა.

— ჩემი მასწავლებელი ქირონი დიდი ხანია ევედრება ღმერთებს მოკვდავად აქციონ და ამ ქვეყანას მოაშორონ, პრომეთეს მაგივრად იგი სიამოვნებით ჩავა ადესში.

ჰერაკლე ლოდს ლოდზე ადგამდა და თანდათან ზევით მიიწევდა. ყოველი მისი მოძრაობა ხალისიანი, მოხდენილი, ზუსტი იყო. ტანზე ბორცვებად დაყრილი კუნთები არც ქვეს უშინდებოდნენ და არც რკინას. სანამ ბოძალზე დაკიდებული ზელს მოინაცვლებდა, ჰერაკლე მთელი ტანით აღიმართა მის წინ. ასე ახლოს დიდი ხანია არ უნახავს ცოცხალი არსება, არ უგრძნვია ადამიანის ოფლის სუნი. სასჯელმა და მარტობამ გარიყა, ცხოვრებასა და პირობითობას ჩამოაშორა. ახლოდან ჰერაკლე უფრო უხეში და მოუქნელი ჩანდა, ვიდრე იმ სიმაღლიდან, საიდანაც პირველად დაინახა. სხეული დაიძაბა, ნღველნარევი სიბარული და გარდუვალი ტყვილი ერთმანეთს შეერწყა. ჰერაკლე ბოძალის მსხვილ თავს ჩაეჭიდა, ძლიერად მოქაჩა, მაგრამ ვერ ამოაძრო. რკინის მახვილი ბოლო კლდეს შეზრდოდა, შედულაბებოდა. ჰერაკლე მიხვდა, რომ ბოძალს მოუწყველად ვერ ამოაძრობდა და ადგილი მოინაცვლა. ნაჭიგანი სხეული მკერდში გაყრილ რკინასთან ერთად ირყეოდა, ტყვილი-საგან იკრუნჩხებოდა. ცნობიერება ისე ხშირად ეთიშებოდა, რომ ვერც კი იგრძნო როდის ამოაძრო ჰერაკლემ მკერდიდან ბოძალი. გონს მხოლოდ მას შემდეგ მოვიდა, როცა შევიწროებული გული გაფართოვდა, საკუთარ ღრუში ჩაჯდა.



ამასობაში ჰერაკლემ ფეხებზე დადებულ ხუნდები დაღწა და ახლა მოკლე, ორღესულ მახვილს დაქიმულ ბორკილებს სცემდა. მკახე ბგერები კლდის ზედაპირზე სხლტებოდა, სულში იჭრებოდა, განუუმორებელ ქლერადობას იძენდა. უეცრად, ჭაჭვი გაწყდა და მან წონასწორობა დაჰკარგა, გვერდზე გადაქანდა. ახლა მობრუნებაც შეეძლო, ქვესთან ბრძოლაც და საკუთარი თავის ირგვლივ ტრიალიც. თავისუფლებას მხოლოდ ერთი ძაფილა აშორებდა, მაგრამ ჭერჭერობით ვერც მარჯვენა ხელს ხმარობდა და არც იმის იმედი ჰქონდა, რომ მარცხენა ხელის მტევანი დიდხანს გაუძლებდა მისი სხეულის სიმძიმეს. ჰერაკლემ სული მოითქვა, ოფლი მოიწმინდა და ხმალს პირი უცვალა. ხმალი თვალისმომკრელად ელავდა, ნაპერწკლები თავზე აცვიოდა და სწორედ მაშინ, როცა მარჯვენა ხელის მოხრა შესძლო, კლდეს მოსწყდა და წვეტიან ქვებზე პირქვე დაეცა. სანამ გონებას დაკარგავდა, ქალების კივილი გაიგონა, მაგრამ იმ წამს არც სხეული გააჩნდა, არც სული და არც არსი. მის მაგივრად კავკასიონის სიდიადე და მღუმარება შეტყვევებდა.

ეგეოსის ზღვაში მეკობრეებმა შეიპყრეს, მონად გაყიდვას უპირებდნენ, მაგრამ სანამ ბორკილებს დაადებდნენ, ზღვაში გადაეშვა და ცურვით მიაღწია ნაპირს. ჭრილობის კვალი საღდაც შიგნით დარჩა, გარედან კი მისი სხეული ისეთივე უხადო იყო, როგორც მარმარილოსაგან გამოკვეთილი აღონისისა. ლემნოსიდან ათონის ნახევარკუნძულზე გადავიდა, მთელი ქალკიდია გაიარა, თერმეის სრუტე გადასცურა და ოსასა და ოლიმპოს შორის უკაცრიელ ნაპირს მიაღმა. ვიწრო ყურეში ზღვა მღვრიე და აქაფებული იყო. ქაფი მისი ტეინის ხერხელებშიც გროვდებოდა. ხეირიანად ისიც კი არ იცოდა, რისთვის გაგზავნა სტიქსი და ჰესიონე ატიკაში, თვითონ კი აქეთ გამოსწია. რა უნდა ეპოვნა ამ გაბრუნებულ მხარეში ისეთი, რომ სამერ-

მისოდ გამოსდგომოდა. ქარი და თოვლების კივილი ზურგში სცემდა, მხარეში ღრუბლები ქარაფებში მღვრიეებში მზიანი ღღე რომ ყოფილიყო, ქვეშაზე წამოწვებოდა, აზრს მოიკრებდა, მაგრამ ცა პირს არ იხსნიდა, ზღვა კი ნაპირს წუწავდა, მომაბზრებლად ღმუოდა. მთას შეჩვეულს ბარი ეუცხოებოდა, სუნთქვა უჭირდა. ზოგჯერ ისიც კი ავირებდა, რომ მხარი არ ექცა, ყველა გზა არ დაჰკარგა. განათვისუფლების შემდეგ შეკუმშული დრო ერთბაშად დაგრძელდა და როცა დაწვეა სცადა, მიხვდა, რომ ეს თითქმის შეუძლებელი იყო. წარსული უკან ექაჩებოდა, ცხოვრების ახალ აბიზინებულ ველ-მინდვრებს აცოცხლებდა, მაგრამ ხელშესახებად არათერს იძლეოდა. შეიძლება ამაში თვით მას მიუძღოდა ბრალი, შეიძლება ცოტათი ეშინოდა კიდევ პირისპირ შეჩეხებოდა იმას, რაც დაღუპვისაგან იხსნა, რასაც აწყობილი ცხოვრება და ცივილიზაცია უწოდეს. საბერძნეთში ხალხისთ არათერი შეგებებია და ახლა მხოლოდ იმის იმედი ჰქონდა, რომ ყოველი წინგადადგმული ნაბიჯის შეფასების შემდეგ უფრო იოლად დაეწეოდა დროს, უფრო ცხადად დაინახავდა სინამდვილეს, უფრო ადვილად იპოვიდა საკუთარ თავს.

ერთხანს ზღვის ნაპირს მიჰყვებოდა, შემდეგ ხეცს აჰყვა და ნისლში გაუჩინარდა. კლდეზე მიჯაჭვამდე ყოველი გზა, რომელზედაც ფეხს შესდგამდა, გრაგნილივით იშლებოდა და სხვა გზებს ებმოდა, ახლა კი ვერათერს ხელავდა, ნისლი ხრიოც ფერდობებსაც ფარავდა და გაუჩვეველი აზრის ჩანასახსაც. გადატანილი ტკივილი არათერს საწინდარი არ იყო, არათერისაგან არ იცავდა. წინ იმდენივე განსაცდელი ელოდა, რამდენიც შემთხვევას მოაქვს. მეკობრეებს მისთვის არ უკითხავთ, ვინ იყო, საიდან მოდიოდა, იგემა თავის წილი ტანჯვა თუ არა. ტყვეებს ისინი მხოლოდ კუნთებსა და კბილებს უსინჯავდნენ და წარსულიანად ყადდნენ. ნისლი შეთხელდა, მაგრამ არ გაფან-

ტულა. ეკლიანი ბუჩქები წვივებს უკაწრავდა. საკუთარი ხელით მოზანდული სანდლები ქვაზე ცურავდა. რაც უფრო მალა მიიწვედა, მით უფრო მძაფრად უცემდა გული. ნაჭირლობევი ტკიოდა, ყრუდ ეხმინებოდა ერთმანეთზე დალაგებულ დღეთა შრიას. ნისლის სუნს ხავსისა და შემოდგომის სუნი ამძაფრებდა. ხეირიანად ჭერ კიდევ არ იცოდა, რა შედეგი გამოიღო მისმა თავგანწირვამ, რა უფრო ისმოდა დანაოქებული დედამიწის ხვეულებში — სიცილი თუ ტირილი, რა უფრო ხშირად ელავედა ღია ცის ქვეშ — ალესილი ხმალი თუ სახნისის პირი.

ნისლს მხოლოდ მაშინ დააღწია თავი, როცა ხევი აიარა, ზეგანი გადასტრა და მაღალი მთის ფერღობს მიადგა. ქარი ღრუბლებს ფლეთდა, აღმოსავლეთისაკენ ერეებოდა. ცაში აქა-იქ გაჭრილი სარკმელიდან სინათლე იღვრებოდა. ვიწრო პორიზონტი სწორედ იქ ეყრდნობოდა მიწის პირს, სადაც ვეროპა პენეოსს ერთვოდა. ამ უკაცრიელ მხარეში მხოლოდ მას შეეძლო აღექვა გაფითრებული ლანდები და მკვეთრი ფერისცვალება, მაგრამ ქვევით ჩაცოცხლებული ნისლის ზედაპირზე სულ სხვა ნიშნები ირეკლებოდა და მზერა მათ გარდა ვერაფერს ამჩნევდა.

ზემოდან დედამიწა კუნძულებით მოფენილ ოკეანეს ჰგავდა. უსასრულო სივრცის ფსკერზე დალექილი ცხოვრება გადარეცხილივით დუმდა და ერთი წუთით დადლილობა იგრძნო. ციცაბო აღმართებს ერიდებოდა, უფსკრულებს გვერდს უვლიდა. ახლა სულერთი იყო, რომელ გზას დაადგებოდა, როდის ავიდოდა ოლიმპოზე. თავისუფლება დაყოვნების, დროის ფლანგვის საშუალებას აძლევდა. ზოგჯერ ოლიმპოს ზურგს შეაქცევდა, ქვაზე ჩამოჯდებოდა და თესა-ლიის გულს გადახედავდა. ნისლის გაფანტვამდე პენეოსის ხეობის მიღმა არაფერი ჩანდა. მაგრამ როცა ქარმა და დღის სინათლემ დედამიწა საფარისაგან გაანთავისუფლა, პორიზონტი გაფართოვდა და თვალმა შეეხა იგრძნო. პურის ყანე-

ბი აედოთ, ბალახი მოეცელოთ, მიწის პირი სხვადასხვა ზომის ნაკვეთებად დაეყოთ და დაესერათ. ნაწევმართი გზები გაშავებულიყო, ხეებს ცალი მხარე შემოძარცვოდათ. გოგო-ბიჭები ტბის პირას თხებს მწყემსავდნენ. იქ, სადაც პენეოსი აღმოსავლეთისაკენ უხვევდა, ქალაქი აეშენებინათ. აკროპოლს უკან თაღოვანი ხიდი მოჩანდა, ხილს იქით წისქვილი, წისქვილს მიღმა საგუბარი. ვიდაც სახედარზე ამხედრებულიყო და ქალაქისაკენ მიიჩქაროდა. ამ ქალაქის ჭერ არც სახელი იცოდა და არც იმ მოგონო შენობის დანიშნულება, რომელსაც გარს გაღავანი ერტყა, მაგრამ როცა უკან დაბრუნდებოდა, ამ ქალაქში გზად შეივლიდა, მოედანზე მოჩუხჩუხე შადრევანთან ჩამოჯდებოდა და ახალგამომცხვარ პურს ზეთის ხილს შეატანდა. წყაროს წყლის ჩუხჩუხი ბერძნებს ყოველთვის დიდ სიხარულს გვრიდა. წყლის კულტი მათ გადაბრუებული ველებიდან წამოიღეს და სალოცავ ღვთაებად აქციეს. თუმცა უწყლობა ახლა ისე არ აწუხებდა, როგორც ადამიანებთან შეხვედრა. რა უნდა ეთქვა, რა პასუხი გაეცა კითხვაზე, როგორ გაემხილა საკუთარი ვინაობა. ვინ დაუჭერებდა, რომ ტყვეობას თავი დააღწია და საბერძნეთში დაბრუნდა, ვინ შესძლებდა გაწყვეტილი, კვალგადარეცხილი დროის აღდგენას და გადაბმას, გამოხუნებული საუკუნეების ერთმანეთთან დაკავშირებას.

თესალიის ველი ღრუბლებიდან გამოცურებული მზის სხივებით თბებოდა და ნაადრავლ ქვეყანას ცხოველყოფელი ფერებით ავსებდა. ფეხზე წამომდგარი ერთხანს ქალაქისკენ დაძრულ ხალხს აკვირდებოდა, შემდეგ სწრაფად შემობრუნდა და აღმართს აჰყვა. მთა მთას ცვლიდა, ხევი ხევს და ბოლოს გამოჩნდა ოლიმპო მარჯვნივ გადაბრილი მწვერვალი თოვლს დაეფარა. მუდამ მოკრიალებული ცა ამღვრეულიყო. ქვა-სა და ლითონს ბრწყინვალება დაეყარვა. ქარს ზემოდან სუსხთან ერთად გაპარტახების სუნთქვაც მოჰქონდა. საბო-

დიშო თითქოს არავისთან არაფერი ჰქონდა, მაგრამ რაღაც მაინც აწვალავდა, ტვირთით აწვეებოდა მხრებზე. ამის ასხნა ვერც აბიღოსში შესძლო. პესიონე ისე ავიდა დაკიდებულ კიბეზე, თითქოს კიდევ ერთხელ კარგავდა ქმარს. მისი მუქი, უძირო თვალები მთელ სანაპიროს ირეკლავდა, გაფითრებულ სივრცეს ეყოფოდა. გემი მსუბუქად ირწეოდა. მგზღავთურები ზღვაში გასასვლელად ეშვადებოდნენ. პირველად სწორედ მაშინ იგრძნო, რომ ტკივილს ვერასოდეს დააღწევდა თავს, ვერაფერს შეინარჩუნებდა ისეთს, რაც ბოლომდე ეყოფოდა. გემი ნაპირს მოსწყდა, ყურე გადასერა და კონცხს მიეთარა. მას შემდეგ არა ერთხელ დაუნახავს ქვეყანა იმ ქალის თვალებით, რომელიც სტიქიასა და შემთხვევითობას მიანდო.

სანამ მთას შემოუვლიდა, ერთ ადგილას ფეხი დაუცურდა და კინაღამ უფსკრულში გადაიჩეხა. ამგვარი რამ ადრე არ ემართებოდა. უფსკრულის პირას სიარული ჩვეულებრივ ამბად მიიჩნდა. მაგრამ მაშინ წინ იყურებოდა, იცოდა, სად მიდიოდა და რისთვის, ახლა კი რაღაც უკან დარჩენილს ეძებდა და გზას ბრმად მიიკვლევდა. ცივი ქარი სახეში სცემდა, მესხიერება დალატობდა, ისეთ ფერებს სთავაზობდა, რომელთა მსგავსი ირგვლივ არ ჩანდა. ეტყობა დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა ოლიმპოს არც ვათბობა სჭირდებოდა და არც განათება. ახლა აქ, ალბათ, ისევე ციოდა, თოვდა და წვიმდა, ისევე ბნელოდა ღამით, როგორც ფასის მთის მიდამოებში. ფხვიერი თოვლის კრისტალები სანდლებში უცვიოდა, შიშველ ფეხებს ტყენდა. ერთ ადგილას გათლილი ქვებისა და ნაქედი რკინის გროვა შენიშნა, მიხვდა იმასაც, რომ ოდესღაც აქ გზა გადიოდა, მაგრამ გზის სახელი ვერ გაიხსენა. ერთხანს კლდის ქიმს მიჰყვებოდა, შემდეგ ნახევრად ჩამონგრეული გვირაბი გაიარა და როცა დღის სინათლეზე გავიდა, მის წინ აკროპოლი აღიმართა. ეს დიდებული ციხე-დარბაზი ახლაც ისეთივე ზვიადი და მიუკარებუ-

ლი ჩანდა, როგორც ოლიმპიელების ბატონობის დროს, მაგრამ აქაურ ბრწყინავდა, თვალს აღარ იტაცებდა. მისი რილოს უმოაჯირო კიბის საფეხურები წყალს მოერღვია, მორებივით ჩამოეტანა დაბლა. ტერასები მეწყერს წაელეკა. ღორღად დაეხვევებინა. იმ ადგილას, სადაც დაბლვერილი მოზერები იდგნენ, რკინის გადაღუნული ღეროებიღა დარჩენილიყო. მრისხანე ოლიმპო იავარქმნილიყო, ნასახლარად ქცეულიყო. ნაკიბარზე აბობლება გაუქორდა, ფეხი უცურდებოდა, მაგრამ სხვა გზა არსად ჩანდა და დიდი ვაი-ვაგლახით მიადრია აკროპოლამდე. მძიმე კარისათვის ოქრო შემოეცალათ, სახელურები მოემტვრიათ, თამასა გაელუნათ. ყანგი ისე მოჰკიდებოდა ოდესღაც ჰეფესტოს მიერ გამოქედილ რკინის მსხვილ ფურცლებს, როგორც ქვას ხავსი, ამ კარების წინ ყოველთვის იდგნენ შეიარაღებული მცველები და ზევსის ნებართვის გარეშე დარბაზში არავის უშვებდნენ. ახლა კი არც დარაჯები ჩანდნენ და არც მრისხანე მბრძანებლის თვალი იგრძნობოდა. ცხოვრებამ ოლიმპოს ზურგი აქცია, გვერდზე მოიტოვა. შეიძლება, იქ, დაბლა, არც კი იცოდნენ, რომ ოლიმპო დაემხო, გავერანდა. ზევსს ეგონა უმისოდ დრო გაჩერდებოდა, მიწა გაუდაბურდებოდა, მაგრამ ქვეყანა კვლავ ბრუნავდა, წინ მიიწევდა და ახალ ჰორიზონტებს ეპოტინებოდა.

კარი ადგილიდან არ იძროდა. გათოშლილი დიდხანს ეჯაჯგურა მძიმე კარს და როცა შეაღო ისეთი ჭრიალი მოესმა, თითქოს აკლდამის მყუდროება დაარღვია.

დიდი დარბაზი მიტოვებულ გამოქვამულივით ცარიელი დაუხვდა. ღიობები დარბაზს სანახევროდაც ველარ ანათებდნენ. იგი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ის დიდებული, სასიამოვნო მუქი, რომელიც თანაბრად ეფინებოდა ქერსა და კედლებს, ხელოვნური იყო. საუკუნოვანი მდუმარება ყოველ ჩქამს ეხმიანებოდა, მისი ფეხის ხმა ისე ისმოდა დარბაზში თითქოს ქერიდან ლოდები ცვიო-

და. კედლებსა და სვეტებზე აქა-იქ შემორჩენილი ოქროს ნამცეცები ნახევრად ბნელს კიდევ უფრო აბნელებდა. დასჯამდე კედელზე არც ფრესკა შეუნოშნავს და არც ბარელიეფი, ახლა კი კამაროვანი შესაკრავიდან ჭერამდე ფერადი საღებავებით დახატული სურათი მოჩანდა. სურათი ალაგ-ალაგ დაშკადარიყო, ერთ ადგილას კი საგრძნობლად დახიანებულიყო. ტახტზე წვერმოშვებული ქედმაღალი მამაკაცი და თმადახუჭუჭებული, სახეშესუქებული ქალი ისხდნენ. მამაკაცს ხელში დაკლავილი ელვა ეჭირა, ქალს რაღაც საგრილებლის მავვარი. ტახტიდან მხარმარცხნივ სამი ქალი იდგა, ორი ახალგაზრდა და შიშველი, ერთი კი ხანში შესული, მდიდრულად შორთული. ხნიერი ქალი რაღაცას ეუბნებოდა ერთმანეთის გვერდით ამოღტილ ქალიშვილებს. ასევე სამი მამაკაცი იდგა ტახტის მხარმარჯვნივაც. ერთს ხელთ შუბი ეყურა, მეორეს სამითითი, მესამე კი სავარძლის უკან გაჩერებულიყო და ისე იღიმებოდა, თითქოს ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდებოდა, მის გასართობად იყო მოგონილი, ქალიშვილები და ჰაბუყები რომ უფლისწულები იყვნენ, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ სახით ვერც ერთი ვერ იცნო. მხატვარს შიშისა თუ სხვა უფრო საჩოთირო მიზეზის გამო მათთვის ზოგადი, ალფეგორიული მნიშვნელობა მიენიჭებინა და სახიერი მსუავსები-სათვის თავი აერიდებინა. ტახტის წინ, ზურგიან სავარძლებში მდიდრულად ჩაცმული მამაკაცები და დედაკაცები ისხდნენ. მათ უკან მუხები ჩამწკრივებულიყვნენ. ტალიას ცალ ხელში დაი-რა ეჭირა, მეორეში ნიღაბი, შუა დარბაზში დაფნის გვირგვინით შემკული, ძვირფას მოსასხამში გახვეული მამაკაცი იდგა და კითარას აკვენსებდა. მისი ცნობა არ გასჭირვებია. ასე ამკარად მხოლოდ აპოლონს შეეძლო შუა დარბაზში გაჩერება და რჩეული საზოგადოების არა მარტო მუსიკით მოხიბვლა, არამედ გარეგნული ბრწყინვალებითაც. მხატვარს უხვად გამოეყენებინა

ნათელი, ბუნებაში ნაკლებად გვერცელებული ფერები, მაგრამ დროთა განმავლობაში საღებავებზე დაკრძალული სინალისე დაეკარგათ და ჟამდაკრული ფერის სინატიფე შეეძინათ. სურათები კედლის ზემო კუთხეშიც მოჩანდა. პორტრეტებს ამა თუ იმ ეპიზოდის ან-სახველი სცენები ცვლიდა: ფრთოსან რამებს — დამორჩილებული ან განგმირული ურჩხულები, მაგრამ ბუნება ან მისი მრავალფეროვნება არსად ჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს დედამიწაზე არც ხე იზრდებოდა, არც დეღე იყო, არც მთები და არც მინდვრები.

იგი ჯერ კიდევ კედელს ათვალთვრებდა, როცა ზურგს უკან შემამფოთებელი, ყრუანტელის მომგვრელი გრძნობა იშვა და მთელ მის არსებას დაეუფლა. იმ ადგილიდან, სადაც უწინ ტახტი იდგა, სიცივე მოედინებოდა, გარს ერტყმოდა, აზრის მოკრების საშუალებას არ იძლეოდა. დარბაზში ციოდა, მაგრამ ის სიცივე, ძვალ-რბილში რომ ატანდა, სხვა წარმოშობისა იყო, იდუმალი სამყაროდან ყონავდა. თავი ნელა მოაბრუნა და დარბაზს გახედა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა. ამოვარდნილი ქვები ისე იმსხვებოდა მის ფეხქვეშ, როგორც თიხის ფილები. სვეტსა და სვეტს შუა დამტვრეული ავეჯი ეყარა. სინათლე კრთოდა, დაუმალავის დამალვას ცდილობდა. თავისუფლად მოძრაობა მხოლოდ მაშინ შესძლო, როცა შუა დარბაზში გავიდა. საკუთარი ფეხის ხმით გამხნეებულ დინჯად უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც უწინ კოცონი გიზგიზებდა და უეცრად ელდანაკრავივით შეჩერდა. ტახტზე ვიღაც იჯდა. დადლილსა და გაწამებულს რა არ მოსჩვენებია ამქვეყნად, მაგრამ ასე არც მოჩვენებას შეუზღუდავს და არც ზმანებას. შუბლი, ცხვირი ღიად დარჩენილი თვალები, ყოველი ლაქა, ყოველი ნაოჭი იმდენად ნაცნობი იყო, რომ გაკვირვებისაგან ყვირილიც კი აღმოხდა. მის წინ ზევსი იჯდა. გაქვავებული, კისრამდე საკუთარ ბალანში ჩაფლულ

ზევისი, რომელსაც ბაგეებზე მწარე, ბედს დამორჩილებული მბრძანებლის ღიმილი შერჩენოდა. წარბშეკრულს თავი გვერდზე გადაეარდნოდა, სხეული ტახტს შეზრდოდა, შესისხლხორცებოდა. ირგვლივ გამეფებული სიჩუმე ნახევრად ბნელს ეფარებოდა, იმუქრებოდა და იმდენად სრულყოფილი იყო, რომ წამოშლილ მოგონებებს ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებას არ აძლევდა.

ტახტის მახლობლად რამდენიმე ტყავ-გადაამჭრალი, ზურგმონგრეული სავარძელი იდგა. ზოგიერთს ძირი გავარდნილი ჰქონდა და სიცარიელეს ეხმიანებოდა. უსიამო გრძნობა გარეთ, დღის სინათლისაკენ ექაჩებოდა, მაგრამ ტახტს მაინც მიუახლოვდა და ერთ-ერთი სავარძლის კიდზე ჩამოქდა. ახლა ზევისი ორ ნაბიჯზე იყო მისგან. გაქაღარავებული წვერი ხის ფესვებივით განტოტებოდა, ტახტის ზურგს, სახელურებსა და სვეტებს შემოხვევდა. მის ზემოთ ბადესავით ეკიდა თითქმის ჰერამდე გამჭული აბლაბუდა. ზევისს სახის მეტი არაფერი უჩანდა. ღიად დარჩენილ თვალებში იმდენ სიცივეს მოეყარა თავი, რომ დედამიწას ბოლუსებად გამოადგებოდა. გაქვავების წინ, ეტყობა, მთელი თავისი ცხოვრება ერთ აზრში ჩაატია და ის აზრი შხამივით მწარე იყო.

ახლა თითქმის ხედებოდა, რისთვის გაგზავნა ჰესიონე ატიკაში. თვითონ კი აქეთკენ გამოსწია, ამ ეულკანისვით ჩამქრალ მთაზე ამოზობდა. ზევისის გაქვავება რომ საკუთარი თვალით არ ენახა, ყველაფერი ისე დარჩებოდა, როგორც მანამდე იყო. ზევისის მიერ დაწესებული კანონები კანონის მამიებლებსაც აურევდა გზა-კვალს და კანონის დამცველებსაც. ერთს არ ეცოდინებოდა, რომ არარსებული ხელისუფლების სახელით სჯის, ხოლო მეორეს — დამსჯელს უკან რომ არავინ დგას. ზევისის დამზობაზე უფრო ძნელი მის მიერ დამკვიდრებული კანონების აღმოფხვრა იყო; ჰერაკლეს რომ გზა არ აბნეოდა და შემთხვევით ფასის მთას არ მოს-
7. „მნათობი“, № 11.

დგომოდა, იგი კიდევ დიდხანს იქნებოდა კლდეზე მიჯაჭვული. მკვდარი სამყარო არსებობას განაგრძობდა, ცოცხლებზე ბატონობდა. ამიტომაც ისურვა ცხოვრების შეფასება თავიდან დაეწყოდა არა ბოლოდან. ამგვარი რამ მის მეტს არავის მოუვიდოდა აზრად.

ზევისი ისე იყო შეკრული და შეფუთნილი საკუთარი წვერით, რომ ვერც კი მიხვდა, რა მდგომარეობაში იქდა — ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი, თუ მოხრილ მუხლებზე შემოხვეული. ფართო პირისახე დაგრძელებოდა, ნამარბულევ ასკეტივით გაფერმკთალებოდა. უეცრად, ხშირი წვერიდან ოზობა გამოზობდა, ყვრიმალიდან ცხვირისაკენ დაიძრა და ისე გადაზობდა სახის მეორე მხარეს, თითქოს მაღალი მთა გადალაზა. შიგნით რაღაც გაღლეა, მოღუნდა. ახლა ის მძიმე, შემაშფოთებელი გრძნობაც აღარ აწუხებდა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ კინალამ გათოშა. უეცრად შესქელებული ჰაერი მკვეთრმა ხმამ გააპო და თალს მისწვდა. ერთხანს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დარბაზში კიდევ იყო ვიღაც, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ სიტყვების მასვე წამოსცდა და მის სმენამდე მათმა გამოძახილმა მოაღწია. გამოძახილი უცხო, ცხოვრების დამაკნინებელ, ხელაღებით უარყოფელ ბგერებსაც შეიცავდა, მაგრამ ყველაფერი, რაც აქედან წაიღო, ან ადამიანებს დაურეგა, ანდა კავკასიონის მთებში ჩამარხა და უკან აღარაფრის დაბრუნება აღარ შეეძლო.

სანამ კუთხეებიდან ანრდილები წაბოიშლებოდნენ და წარსულის შეკოწიწებას შეეცდებოდნენ, იგი სავარძლიდან წამოდგა, აღმოსავლეთ კედლისაკენ დაიძრა და სიჩუმე ფეხით გათელა. უწინ არ იცოდა, რა იყო დაღლა, შიმშილი, წინ ყურება და ვერაფრის დანახვა, ახლა კი პირი გამწარებული ჰქონდა და თვითონაც არ იცოდა, საით იყურებოდა. გაქვავებული სამყარო აჩლუნგებდა, საუკუნეების სიმძიმე ახალ შთაბეჭდილებებს ისე ტკეპნიდა, რომ მისე-

ულს აღარაფერს უტოვებდა. სადღაც მეხსიერებასა და ჯერ კიდევ გადაუხდელ ვალს შორის გაჩხერილი აზრი ხან უფერულდებოდა, ხანაც ბოძალივით იჭრებოდა ტვინში. იავარქმინილი სასახლე ძლივს გასაგონად კვნესოდა. ერთ ადგილას მტვრით დაფარული საფეხურები შენიშნა. საფეხურები თანდათან მალა იწვევდა და თითქმის ლიობამდე აღწევდა. ვიწრო კიბეს ბოლომდე აჰყვავ, კედელს მხრით მიეყრდნო და ოლიმპოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობს გადახედა. ჯვბირი წყალს მოერღვია, უფსკრულები თოვლს ამოეფსო. ქვემოთ პალიაკომონის ხეობა და ძაფივით დაწყვეტილი მდინარე მოჩანდა, კიდევ უფრო შორს ილირიისა და თრაკიის ველები, საიდანაც ქარს ზამთრობით სუსხი მოჰქონდა, ზაფხულობით კი მტვერი და სევდა. ყოველი სიბრტყე, ყოველი გაშეშვლებული ზედაპირი ჰესიონეს სახეს ირეკლავდა, ხალისიანი ფერებით მოსავდა და ტკივილისმაგვარ გრძნობას იწვევდა. ვერაფრით ვერ აეხსნა, რატომ არ წამოიყვანა თან, რატომ მიანდო წყალსა და ქარს. რა უნდა გასჭირვებოდათ ისეთი, რომ ერთად ვერ გადაეტანათ. მისი ნათელი მზერა ბნელს გაფანტავდა, მოქნილი სხეულის რხევა მღუმარებას აამეტყველებდა. ამ კიბეს სულმოუთქმელი ამოიბრუნდა, გვერდით ამოუდგებოდა და ათას რამეს ჰკითხავდა, გააცინებდა, გაათბობდა. ახლა კი მარტოღმარტო იდგა მარმარილოს ცივ საფეხურებზე, გარეთ დარჩენილ ქვეყანას მკვდარი სასახლის ჩაბნელებული თვლებით გასცქეროდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყველა კრილობა გაეხსნა. თუმცა კრილობის გახსნა ისე არ აწუხებდა, როგორც ტვინში კლდის პირწამახულ ნამსხვრევით გაჩხერილი აზრი, რომელიც ოლიმპოსა და მელეას კონცხს ერთმანეთთან აკავშირებდა. რაღაც არ უნდა დაჭდომოდა, ქირონისათვის ხმა უნდა მიეწვდინა, ეუწყებინა, რომ ყველა ადრე გამოტანილი განაჩენი გაუქმებულია, ზევსი ვეღარავის აიძულებს მის მაგივრად ჩავი-

დეს ადესში. შეიძლება, იგი სწორედ ამისათვის ამოვიდა ოლიმპიდან მსხვერპლი არ სჭირდებოდა, მსხვერპლზე მოპოვებული თავისუფლება — თავისუფლებად არ მიიჩნდა.

ზვრები, ზეთისხილის ბაღები და ბოსტნები უკან მოიტოვა, შარავჯას გაჰყვა და ქალაქის გარეუბანს მიადგა. შრებოდა მიწა, ჰაერი, დანესტიანებული გულის შიდა კედლები. ზვიდან ათენი თვალუწვდენელი ჩანდა. ამხელა ქალაქი არსად ენახა. სასახლეები და ტაძრები სხვადასხვაფერად ბრწყინავდნენ, მოედნები ქუჩებს კრებდნენ, ჩრდილები ღამის დარაჯებივით თვლემდნენ. გზაში ბევრჯერ უთქვამთ ათენი დიდებული ქალაქიაო, მაგრამ თვალწინ გადაშლილმა სიდიადემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჰარბა. არ ეგონა, ადამიანები თუ ასე მალე გადასახლდებოდნენ ბნელი გამოქვაბულებიდან ნათელ სასახლეებში, ასეთ ბეჭვანიერ, მთელი ქვეყნის სიბრძნის დამტვე ქალაქს თუ ააშენებდნენ. თუმცა სხვა ქალაქები ათენთან შედარებით სისხლნაკლებნი, ფერმიხდილი ჩანდნენ, არც სიამაყე გააჩნდათ მისი და არც გამოცდილება. ათენს შემართებაზე ეტყობოდა, რომ არ იცოდა, რას ჰქვია დამარცხება, პირში წყლის ჩაგუბება, თავისუფლებაზე ხელის აღება. ღამლამობით ალბათ ოცნებობდა, მთელ მსოფლიოს ებოტინებოდა, ხან ურჩხულები ესიზმრებოდა, ხანაც ჰესპარიდების ბაღები, ხოლო როცა გული სიმხურვალისაგან ებერებოდა, ელევსინის ბაღებში დიონისეს იწვევდა და ვახურებულ გულს ღვინით იგრილებდა. უფრო ხშირად ცხოვრებას კანონებითა და სალი აზრით საზღვრავდა, სარფიანად ვაჭრობდა, ოქროს ფულს ქრიდა, მევახშეობდა, აშენებდა ნავსადგურებს, წყალსაცავებს, ტაძრებს. მოხატულ ამფორებში ღვინოსა და ხორბალს ინახავდა, წარსულს ტკბილად იგონებდა, მოედნებზე ღვაწლმოსილთა ძეგლებს დგამდა და მომავალს იმედიანად უყურებდა.

ზოგჯერ კი ყველაფერი ბეზრდებოდა, ყოფიერებას ამაოებად თვლიდა, ცხოვრებას ადარებდა აგორებულ ბორბალს, რომელიც უსასრულოდ იმეორებს შობისა და სიკვდილის ერთფეროვან ჯერადობას და ცისკენ იყურებოდა. გაღმერთებას ლამობდა. გონებისა და გრძნობის გაუთავებელ კიდილში იბადებოდა რალაც ისეთი, რაც ქალაქს ბედისწერასთან შეკიდებული, წარმავლობის წინააღმდეგ ამბოხებული გოლიათის იერს აძლევდა.

როცა ათენს ზემოდან დასცქეროდა, ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ადამიანების ბედ-იღბალზე არ ფიქრობდა, მზერადაძაბულს გული სიამაყით ევსებოდა. ამ დიდებული ქალაქის მშენებლობაში მასაც ედო წილი, მანაც გაიღო სისხლი და ოფლი, მაგრამ მათ შორის დროის უფსკრულები ჩაწვა და ახლა არ იცოდა, სცნობდა დიდი ქალაქი ცეცხლის მომტაცებელს, თუ ზურგს შეაქცევდა, თავიდან მოიშორებდა. ბერძნები არც ისე გულუბნები აღმოჩნდნენ, როგორც ეგონა. გზადაგზა რომ ლუკმა პური შრომით არ ეშოვა, შიმშილისაგან ხორცი დასცივდებოდა. ერთი-ორჯერ წამოსცდა კიდეც, ვინ იყო და საიდან მოდიოდა, მაგრამ მისი სიტყვები თესალიელებს, ფოკიდიელებს და ბეოტიელებს სასაცილოდ არ ეყოთ. სიმართლე ყოველგვარ სიკრულებზე ძნელი დასაჯერებელი აღმოჩნდა. გარეგნულად რომ ბერძენს არ ჰგვანებოდა, ბევრ უსიამოვნებას გადაეყრებოდა. ერთ სოფელში დღესასწაულს შეესწორა. შეზარხოშებულმა ბეოტიელებმა სუფრაზე მიიწვიეს, ახალი ღვინითა და თხის ხორციტ გაუმასპინძლდნენ, ბოლოს ვინაობა ჰკითხეს და როცა გაიგეს, ვინ იყო და საიდან მოდიოდა, გიჟად ჩათვალეს, ძაღლები მიუსიეს. იმ ღამეს ზემოდან არაფერი გადაუფარებია. მისი დაფლეთილი მოსასხამი ძაღლებს შერჩათ პირში. ბოლო დროს წვიმიან ამინდში გარეთ ღამის თვეა უქირდა, დილით გათოშილი დგებოდა, მაგრამ გზაზე გასულს ერთი რამ მაინც ანუჯე-

შებდა. ყოველი საორიენტაციო ნიშანი იმავე ადგილას ზედებოდა, სკდამ-დგოტოვა. ხეობები მთებს ემყოფებოდა, ქალაქებს გადაჰყურებდა და გზაზე ავარდნილი მტერის კორიანტელში ნათლად ისახებოდა ის ნიშნები, რომელთა ამოხსნა სრულად არ უქირდა.

როცა ვიწრო, მოუკირწყლავ ქუჩაზე ფეხი შედგა, ქალაქს უკვე ეღვიძა. ქუჩის ორივე მხარეს ერთსართულიანი, ყრუფასადიანი, ბრტყელსახურავიანი სახლები იდგა. ყოველი სახლის კიშკართან ან დაფნის ბუჩქი იყო დარგული, ანდა წვერწამახული ძელი აღმართული. ძელებზე მურტის გვირგვინები ეკიდა. ქუჩაში ჯერჯერობით არავინ ჩანდა, მაგრამ ყოველი მხრიდან ისმოდა ახალგაღვიძებული მამაკაცების ბუზღუნი, ქალების წყველა-კრულვა, ბაღების ღნავილი. კედელში დატანებული ნიშებიდან ხისაგან და ქვისაგან გამოთლილი ღმერთები იყურებოდნენ. ქუჩა ისეთი ქუჩყიანი იყო, რომ ბოლომდე ფეხწაუბილწავი ვერაინ გავიდოდა. რა არ ესხა, რა არ ეყარა მის ზედაპირზე. ჭურჭლის ნარეცხი, დამპალი ხილი, ბოსტნეულის ნაფცქვენები, ნეხვი, ნაფოტები, ძელები და ქვები. როცა ათენს ზემოდან დაჰყურებდა, არაფრით არ ეგონა, აქ თუ ამდენი ქუჩყი და სიბინძურე დახვდებოდა.

ღამეული ზმანებებისაგან თავდახსნილი ქუჩა იშმუშნებოდა, ფეხის ხმის აღსაქმელად ემზადებოდა, მაგრამ მას ისე ეგებებოდა, როგორც მყუდროების დამრღვევ გადამთიელს. საცხოვრებელ სახლებს შორის აქა-იქ გრძელი შენობები მოჩანდა, საიდანაც ტყავის, მატყლის, სელისა და ჟანგის სუნნი გამოდიოდა. ამ ვიწრო კარებიან, გრძელ სახლებში ან მონები ცხოვრობდნენ, ანდა რომელიმე ადგილობრივ მკვიდრს სახელოსნო ჰქონდა გახსნილი. პირველად მონები თებეს მისადგომებთან ნახა. დადალულ ბორკილგაყრილ ადამიანებს მათრახების ტყლამუნით მიერეკებოდნენ მალაროსაკენ და სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ. კაცი რომ კაცს მუ-

შა, საქონლად გაიხდიდა, ამას ცეცხლის მოტაცებამდეც თვალისწინებდა, მაგრამ არ ეგონა ასე თუ დაამდაბლებდა, გაათახსირებდა. ერთმა ახოვანმა, წვერმოშვებულმა მონამ თვალი გაუსწორა და რაღაც ანიშნა, მაგრამ სანამ იგი წვერმოშვებულს მიუახლოვდებოდა, წინ მათრახმომარჯვებული ზედამხედველები გადაუდგნენ. ანთებული თვალების ფსკერზე მტაცებელი მხეცის რისხვა ელავდა. ამ თავგასული მოძალადეების გარეკვა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ამით მონობისაგან ვერავის იხსნიდა. ადამიანებს მან ცეცხლი მოუტანა, სხვა ყველაფერი კი თვითონ უნდა მოეგვარებინათ და მოეწესრიგებინათ.

ქუჩა რკინაზე რკინის ცემამ გააყრუა. სანამ მიხვდებოდა, რისთვის ატეხეს ამხელა აურზაური, თითქმის ყველა კარი გაიღო და ხალხი ქუჩაში გამოცვივდა. რა ფერის კანი არ ირეკლავდა ამომავალი მზის სხივებს — მიტკალივით თეთრი, ძველი პერგამენტის მრუდითალო, ყავისფრად მოელვარე და ნახშირივით შავი. სახეები ისე ირეოდა თვალწინ, როგორც აფრიალებული ფოთლები. ჰაერი მტკრისა და დაუბანელი ადამიანების სუნით გაიჟღინთა. იგი მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა, რომ ქუჩაში გამოცვნილთა უმრავლესობა მონები იყვნენ, მკვიდრი ათენელები კი აქა-იქ ჩანდნენ. მონებს არც ბორკილი ედოთ და არც დადაბლული იყვნენ, მაგრამ თავისუფალი მოქალაქისგან მათი გამორჩევა მაინც არ ჰქონდა. ნაღვლიანი თვალების ფსკერზე ნაცარი, ლითონის ნაწივი, მატყლისა და სელის ნაკუწები იყო დაღუპილი. ხელები დამსკდარი და გადატყავებული ჰქონდათ, სახე კი ჯიუტად ინახავდა იმ ნიშანს, რომლის შორიდან დანახვა არ ხერხდება. მზე ფერზე მოდიოდა, მაღლა იწვევდა და მის ამოსვლასთან ერთად დაურევებულთა სულშიც იღვიძებდა რაღაც ისეთი, რაც ძველ სამყაროს არღვევდა. დასაკარგავი მათ არაფერი ჰქონდათ და ამიტომ უფრო მშვიდად ეგებებოდნენ ყოველახალ დღეს, ვიდრე მათი

პატრონები. ბედს დაბადების დღიდანვე ემდუროდნენ, მაგრამ მათი ბედი არავის შურდა და ამიტომ სასურველად თილებამდე არ მიდიოდნენ, მათზე უკეთ არავინ იცოდა, რას ჰქვია ლოდინი და ამიტომ დამცირებასაც უძლებდნენ და წვალებასაც, მათზე გამარჯვებული არავის ჰქონდა და ამიტომ ევატორიებსა და დემიურგებს ვერც კი წარმოედგინათ მათ გარეშე არსებობა. ათენი დიდი ქალაქი იყო. მის სახელოსნოებში დამზადებული საქონელი მთელ მსოფლიოში იყიდებოდა, მისი ნავსადგურებიდან გასული გემები კიდით კიდემდე სერავდნენ ზღვებს, მისი ფული ყველა ფულზე უფრო ძვირი ღირდა, მისი შურდათ და ეშინოდათ, მაგრამ ამ უდიდესი ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს მონები შეადგენდნენ და როცა სამშობლოს ივიწყებდნენ, მათი მშობლიური ქალაქი ათენი ხდებოდა.

ქუჩები ხან მორევით ფართოდებოდა, ხანაც კლდეებს შორის მოქცეულ მდინარესავით ვიწროვდებოდა. შეყვითლებული ბაღები ქალაქის მკერდზე დაყრილ ლაქებს ჰგავდა. ხალხთან ერთად ქუჩაში ცხენები, სახედრები, თხები, ღორები და ცხერები მოეფინებოდნენ. გამვლელები მუჯღუგუნებით მიიკვლევდნენ გზას. ერთ ახალგაზრდა, ლამაზ ქალს წინ მონები მიუძღოდნენ და გზას იდაყვებით უკაფავდნენ. ქალი მამაკაცების მზერას გრძნობდა, თავისივე სიკეკლუცეს ეფარებოდა. რა არ ეწერა, რა არ ეხატა სახლების ყრუ კედლებზე. ვიღაც ვიღაცას სიყვარულს უხსნიდა, მკერდსა და ფეხებს უქებდა. ვიღაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ლანძღავდა, დიდყურა ვირს ეძახდა. ერთს კი სხვისი თუ საკუთარი სახლის კედლები უხამსი ლექსებით აეჭრებდნენ. აჭრებულ კედლები გარედან მსუბუქი, გულგახსნილი ჩანდა, მაგრამ მათ მიღმა უამრავი უხამსობა, უზნეობა და ბნელი ზრახვები იმალებოდა. ერთხანს ბრბოს წინ მიუძღოდა, ახლა კი უკან მიჰყვებოდა და სხვადასხვა მო-

ყვანილობის ზურგებს აკვირდებოდა. მკვიდრი ათენელები თამამად მიაბიჯებდნენ, მოსასხამებს მიაფრიალებდნენ, გზას არავის უთმობდნენ. ამ უბანში ალბათ წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და მეზღვაურები ცხოვრობდნენ. მათ სიარულზე ეტყობოდათ, რომ ძლევამოსილი სახელმწიფოს თავისუფალი მოქალაქეები იყვნენ. ერთ მაღალ, მწითურ მამაკაცს ყურში ოქროს საყურე გაეყარა, ამხანაგებისათვის ხელი გადაეხვია და როცა იცინოდა, მთელ ქუჩას აყრუებდა. ეტყობა, იგი ახალგადმოსული იყო ნაპირზე, რადგან რწვევით დადიოდა. მეზღვაურებს ათენში სიმდიდრე და ზღაპრული ამბები მოჰქონდათ. შემდეგ ეს ზღაპრები ჰაერში იფანტებოდა და მთელ ქალაქს იპყრობდა. რამდენი საოცნებო ჭეშყანა იყო აღმოსავლეთით და დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, რამდენ რამეს ეპოტინებოდა გაღვიძებული წარმოდგენა. ზღაპრები და სინამდვილე ერთმანეთს ავსებდა, მარადიული სევდით იმსკვალებოდა და ხან გამარჯვებას ზეიმობდა, ხანაც ცრემლად იღვრებოდა.

სუნთქვა თითქოს არ უჭირდა, მაგრამ იმ ადგილას, სადაც ბოძალი ჰქონდა გაყრილი, დიდი ხვრელის სიცარიელეს გრძნობდა. შეიძლება, ტკივილი მესხიერებამ უფრო შემოინახა, ვიდრე სხეულმა. სხვა რით უნდა აეხსნა გაღვივებული ნაკვერჩხლის დანახშირება, დიდი ქალაქის შეუვალობა. ქვის, ლითონისა და ფარჩეულობის ბრწყინვალეობა ფერთა კორიანტელს ქმნიდა, რაღაცის დათმობას თხოვლობდა, კი არ თხოვლობდა, შეუძნეველად იჭრებოდა სულში და მის გარდაქმნას, გადასხვაფერებას ცდილობდა. მზარგაშლილი ქალაქისათვის სულერთი იყო საიდან მოდიოდა, რა შეინარჩუნა და რა გაფლანგა. ჰაერს მარტო მტვერი და ფერთა აღრევა კი არ ამიძიმებდა, არამედ მდიდრულად მოპირკეთებულ კედლებს შორის დაბუდებული გულგრილობაც. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუწევდნენ ანგარიშს თუ სხვებში გაითქვიფებოდა,

კერპის წინაშე მუხლს მოიყრიდა, ადგილობრივ კანონებს დაემორჩილებოდა. მანამდე კი ისეთივე უცხო უმნიშვნელო როგორც ზღვის გაღმელი ბარბაროსი. კავკასიონი ამ მდიდარი ქალაქისათვის შორეული ოცნება იყო, სადაც მდინარეებს ოქროს ქვიშა მოაქვთ და ხეობებში სამკურნალო ბალახები იზრდება. საიდანაც ხელცარიელი დაბრუნება სირცხვილად ითვლებოდა. მსუყვე ფერებით გამძლარი ქუჩა ზღუდავდა, ხარკს თხოვდა, მაგრამ რა მიეცა, როცა გაწამებული სულისა და სხეულის მეტი არაფერი გააჩნდა. საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ საკუთარი სახეც კი დაჰკარგა, რადგან მისი არავის არაფერა სჯეროდა.

შუბლდაღარულმა, შექალაქებულმა მამაკაცმა გვერდით ჩაუარა, თვალი შეავლო, ერთი წამით გაუსწრო კიდეც, მაგრამ შემდეგ ისე დახარა მძიმე ქუთუთოები, თითქოს შეურაცხყოფა მიაციენესო. ზოგიერთი მის სახეზე რაღაცს კითხულობდა, აზოგადებდა, აზვიადებდა და როცა გარკვეულ დასკვნამდე მივიდოდა, საკუთარ თავს უწყებოდა. დაუჯერებელის დაჯერება ჰკვირნასაც უჭირდა და ბრყევსაც. ამიტომაც აღარავის აღარ უმხელდა საკუთარ ვინაობას. თუმცა ბოლო დროს წარსული ისე გაბუნდოვანდა, რომ ყოველ აზრს შუაზე ზღუწდა, მესხიერებას უმოწყალოდ ძარცვავდა. ღია ცის ქვეშ ულუქვამაპროდ დარჩენილს ჩვეულებრივ მოკვდავებით ციოდა, შიოდა, წყუროდა. ოლიმპოდან გამობრუნების შემდეგ ისე დაპატარავდა, რომ ათენელი მოქალაქეებისაგან მხოლოდ მდაბიური ტანსაცმლით გამოირჩეოდა. ქვეყნად რომ ფული გაჩნდებოდა, წინასწარ იცოდა, მაგრამ არ ეგონა ლითონის პატარა ნაჭერს თუ ასეთ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ. ჯიბეში მხოლოდ ერთი ტეტრადრამა ეყო. ოქროს გაბრტყელებულ, გვერდებზემოცვეთილ ნაჭერს ცალი მხარე ჩაზნექილი ჰქონდა, მეორე ამობურცული. წადმა პირზე ათენა იყო ამოტიფრული, უკანაზე ფრთებგაშლილი ბუ. ფული სხვა

დროსაც დებია ჯიბეში, მაგრამ ეხამუშე-
ბოდა, საოცარ პირობითობად და ბავშვ-
ვურ თამაშად მიაჩნდა. როცა პირველად
შეაძლიეს, ზედაც არ დახედა, გასამრ-
ჯელოდ პური და რძე მოითხოვა. მას-
პინძელმა სიამოვნებით მოუბრუნინა
ერთი ც და მეორეც. მხოლოდ მოგვიან-
ებით მიხვდა, რომ იმ ფულით ათვერ
მეტ პურსა და რძეს იყიდდა.

ბრბო ქუჩას ალმა მიჰყვებოდა, ყაყა-
ნებდა, წინასწარ ვარაუდობდა, რას მო-
იგებდა და რას წააგებდა. მან შემთხვე-
ვით გაიგო, რომ ამ ქუჩას პანათენის
ქუჩა ერქვა. ჰეფესტოს დიდებული ტაძ-
რისა და მის ირგვლივ გაშენებული ბა-
ზრის სახელი საბერძნეთის ყველაზე ჩა-
მორჩენილ კუთხეშიც კი იცოდნენ.
პროვინციელებისათვის აგორას ბორცვი
საუნჯეთა საკრებულო იყო, სადაც მთე-
ლი მსოფლიოს სიმდიდრე იყრიდა თავს.
ბაზრის მისადგომებთან მსხვილი ვაჭ-
რები და მდიდარი მონათმფლობელები
ცხოვრობდნენ. გადახურული ჭიშკრები
მარმარილოსა და ელევსინის ჭვისაგან
იყო ნაგები. თბრილებში წყალი მოჩუ-
ხჩუხებდა. მტვერმა და ყაყანამ შემოდ-
გომის მშვიდი დღის სურნელება შთან-
თქა, უკან დასახევი გზა მოუჭრა. ჰესი-
ონეს მონახვა ამ ხალხით გაკვირილ
ქალაქში ისევე ძნელი ჩანდა, როგორც
მოწყვეტილი ღილის პოვნა. აქ არც
ტანმალალი სტიქსის დანახვა იყო ად-
ვილი საქმე, და საერთოდ ადვილი აღა-
რაფერი აღარ ეჩვენებოდა. ამიტომ
სჭირდებოდა, ძალიან სჭირდებოდა ის,
ვინც მუდამ გვერდით ჰყავდა. ჰესიონე
არც ათენში იგრძნობდა თავს უცხოდ,
ამ მკვიდროდ შეკრულ ბრბოში მასზე
უკეთ გაიკვლევდა გზას. ყნოსვა არა მარ-
ტო სპილენძისფერი თმის სურნელებას
გრძნობდა, არამედ კავკასიონის სუფთა
ჰაერის სიმსუბუქეც ენატრებოდა. პირ-
ქუში მწვერვალები შემოდგომის ნაღე-
ლიან ცას უმოწყალოდ ხევდნენ და და-
კარგვის შიშით გამოწვეული დარდის
გლუვ კედლებს ლაღრავდნენ. რა უნდა
დაებრალებინა სხვისთვის, როცა ყველა
გზა თვითონ გადაშალა, ძვირფასი სა-

უნჯე წყალს გაატანა. იმ დღეს ქარი
დასავლეთიდან უბერადა, ტალღები
ნაპირს აწყდებოდა და ყრველი გამოსა-
თხოვარი სიტყვა მწარდებოდა, სხვა
აზრს იძენდა.

სპილენძისაგან ჩამოსხმული, შიშვე-
ლი ჰერმესი ისე მოულოდნელად აღი-
მართა მის წინ, როგორც მაშინ, საი-
ღუმლოების გამხელას რომ თხოვდა.
მალაღკვარცხლებეზე შემდგარ, გარუ-
ჯულ ღმერთს ბრბო „ბაზრის ჰერმესს“
ეძახდა და ზოგჯერ ისეთ რამეს სწირა-
და, რასაც სხვა ღმერთი იუყადრისებ-
და. მისი გულის მოგებას განსაკუთრე-
ბით ვაჭრები და ჰეტერები ცდილობდ-
ნენ, რადგან დასაფიცებლად სჭირდებ-
ოდათ. ჰერმესის უკან ჰრელი, სვეტე-
ბიანი სტოა მოჩანდა, რომლის შესახებ
ჯერ კიდევ ათენში ჩამოსვლამდე უამ-
ბეს ბევრი რამ. ბრბო იტოტებოდა,
იქსაქსებოდა. ყვირილი, ყაყანი, ყრო-
ყინი, და ჰყვილი აქ აღამიანებსაც სა-
ვალდებულოდ მიაჩნდათ და ცხოვე-
ლებსაც. მათი გნისისაგან ყურთასმე-
ნა არ იყო. აგორაზე ამოსვლამდე წარ-
მოდგენა არ ჰქონდა მჭახე ბეგრები და
მოკვდავთა ინტერესები თუ ასე გადაე-
ხლართებოდა, დაუპირისპირდებოდა
ერთმანეთს. სმენადახშულმა ჰრელ
სტოამდე მიაღწია და მონუსხულივით
შეჩერდა. გლუვი კედლები თავიდან
ბოლომდე მოხატული იყო. უფრო.
სრულყოფილი ამქვეყნად არაფერი ენ-
ახა. კედელი ამოუხსნელ იდუმალეზას
ინახავდა და უჩვეულო სამყაროს ჭმნი-
და — ფერების, ხაზების, მოძრაობის
საოცარ მთლიანობას, რაც ერთსა და
იმავე დროს ნამდვილიც იყო და ფან-
ტასტიურიც. საომრად გამზადებული
ათენელების, ტროელების, აინტის, კა-
სანდრეს, ძმძუგაშიშვლებული ამორძა-
ლების, ჰერაკლესა და სხვათა დამხატავს
თავის გმირებზე უფრო ძლიერი სული
უნდა ჰქონოდა, თორემ შიშველ კე-
დელს ასე ვერ აამეტყველებდა. წინ გა-
დაშლილი საოცრება ცხადყოფდა, რომ
მხატვარმა დრო შეიპყრო, ფერებით შე-
მოსა და საკუთარი ხელით დააბა. ამით

წარმავლობასაც შეებრძოლა და ცოტათი ათენელებიც გაანებივრა.

განზოგადებული აზრი გადაადგილებას თხოულობდა და ყოველივე იმას, რასაც მანამდე თითქოსდა ხელით ეხებოდა, დაუკითხავად ისაკუთრებდა. სანამ კარიბჭეს გასცდებოდა, კიდევ ერთხელ შეავლო თვალი განზე გაჩერებულ აინტს. მისი ვაჟკაცური, გოროზი სახე შიშს გაუფერმკრთალებინა. მარცხენა წარბს ზემოთ ნაჭრილობევი აჩნდა. თავი ისე ჰქონდა დახრილი, თითქოს დანაშაულს ინანიებს და განაჩენის გამოტანას ელისო. ათენას, საკურთხევლის შემბლალავს გამოხედვაზე ეტყობოდა, რომ სასამართლო პროცესის, უაზრო კითხვებისა და გაუგებრობის უფრო ეშინოდა, ვიდრე ქალღმერთის რისხვისა. მის ვაჟკაცობას კანონები თრგუნავდა და არა ხორცშესხმული მოწინააღმდეგე.

ქრელ სტოას მხოლოდ მაშინ მოშორდა, როცა ჩრდილები დაილიენ და მოთინებით ელაღნენ იმ დროს, როცა ხელახლა დაიწყებდნენ ზრდას. პანათენის გზის გადაღმა უამრავ ხმელ და წყლიდან ახალამოყვანილ თევზს ყიდდნენ. თევზის სუნი და გაუთავებელი ყაყინი ტენის აწვებოდა, ქიმურები კანსა და ფერს იცვლიდნენ, ათენელებს ემსგავსებოდნენ. სანამ საუკუნეთა მღუშარება დროის გადაჩოჩებას ცდილობდა, მარჯვნივ გაუხვია, თხრილზე გადებული ბოგირი გადაიარა და თორმეტიღმერთის საკურთხევლამდე მიადწია. მხარმარჯვნივ ოთხკუთხა პერისტოლოსი მოჩანდა, მხარმარცხნივ ზევსისა და აპოლონის სტოა, ბულევტერიონი და თოლოსი. ამ არაერთხელ გადაკეთებულ ნაგებობებს ზემოდან ჰეფესტოს დიდებული ტაძარი დასცქეროდა. სიბრაღელის საკურთხევლის გასწვრივ ცაცხეებისა და ჰადრების ხეივანი გაუშენებინათ. თავღია აუზებში წყალი ისე ბრწყინავდა, როგორც მუქი ფერის მარმარილო. ერთ-ერთ ხანდაზმულ ჰადარზე აბრები ეკიდა, მაგრამ შორიდან ვერ გააჩნია, რა ეწერა მათზე. გონებაში

რადაც იკვებებოდა, უკან დახევას თხოვდა. წარსულის ასეთი შემოტევა ყოველთვის აღიზიანებდა და თავდახსნილს ერთი წუთით ისიც კი მოეჩვენა, თითქოს აბრებიანი ჰადრის წინ თავმოყრილი ხალხი დეღაედა. შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ აგორაზე იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ მიწა არ ჩანდა. აქ, ალბათ, ყველას თავისი ადგილი ჰქონდა დასაკუთრებული და ყველა პოულობდა თანამზრახველს, საქმესა და გასართობს.

წინ ბეჭებში მოხრილმა მოხუცმა ჩაუარა. ბერიკაცს ილიაში წიგნები ამოეჩარა და გზას ისე მიიკვლევდა, თითქოს მის მეტი ქვეყნად არავინ იყო. ეტყობა, იგი უკვე ცხადად გრძნობდა სიკვდილის სუნთქვას და გულზე აღარავინ ეხატა, ის წიგნებიც კი აღარ სჭირდებოდა, რომლებშიც ამ ცხოვრების აზრს ეძებდა. ხალხით გაქედილი ბაზარი, ალბათ, ისეთივე უდაბნოდ ეჩვენებოდა, როგორც ზღვის გაღმა უნახავს ჭერ კიდევ მაშინ, როცა გული ერჩოდა, ცნობისწადილით თერებოდა.

მოხუცს რომ აჩრდილივით არ ჩაევილო კიდევ დიდხანს იდგებოდა ერთ ადგილას, მაგრამ აჩრდილმა ფეხი აადგმევინა, თან გაიყოლა. აპოლონის სტოამდე მეთვალყურესავით მიჰყვებოდა უკან, ხან ზურგს ხედავდა მისას, ხან კეფას, ზოგჯერ ისეთი გრძნობაც კი ჰქონდა, თითქოს ქვეყანასაც მისი სვალეებით უყურებდა და უეცრად მოხუცი სადღაც გაქრა, ხელსა და თვალს შუა გაუჩინარდა. გვერდით ელევსინის ქვით მოპირკეთებული კედელი აღიმართა. პირდაპირ კი მარმარილოს ფართო კიბე. ჰაერა შემსუბუქდა. ფეხი ქვის სიმტიცესა და სიცივეს გრძნობდა. კიბე ჭერ კიდევ არ ჰქონდა მოთავებულ, როცა წინ მზის სხივებში გახვეული ჰეფესტიონი აღიმართა. მარმარილოს ექვსი სვეტი დარჩეულ ვაჟკაცბივით შედგომოდნენ მძიმე თაღს და ისე მსუქად ეკირათ, თითქოს არ იცოდნენ რა იყო დაღლა. ტაძარი ერთ დღეში აშენებულს ჰგავდა, მღეროდა, ფერე-

ბად იღვრებოდა. მოედანზე ასულმა პირისახიდან მტვერი მოიცილა, სული მოითქვა და უკან მიიხედა. მოპირდაპირე ბორცვზე აღმართული აკროპოლი მთელი თავისი სიდიადით გამოჩნდა. ნაგებობათა სიმეტრია და სწორხაზოვნება სხვა ფორმებს არ სცნობდა, ყველაფერ არამწყობის უპირისპირდებოდა. პართენონი ზღაპრულ სასახლესავით ბრწყინავდა, პროპილეი ყველა გზასა და კიბეს ეგებებოდა, ჰეკატომპედონი საკუთარი კონტურების სიკვადეში იკვეთებოდა, ელექტრიონი ჩრდილებს იზიდავდა, სხვა ნაგებობებს ფონს უქმნიდა. კედელ-შემოვლებულ ბორცვზე იმდენი მარმარილო, ქვა და ლითონი ბრწყინავდა, რომ მათი შუქი აგორამდეც კი აღწევდა. ეს ორი ბორცვი მოჭიშველიათებით იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, მთელი ქვეყნის ყურადღებას იქცევდნენ და ცხოვრებას შეჰხაროდნენ, მოკვდავთ ამხნევებდნენ. შეიძლება, ზოგიერთი სწყველიდა კიდეც იმისათვის, რომ ცეცხლი მიწაზე ჩამოიტანა, ავი და კარგი გამოამზეურა, მაგრამ ადამიანის გონების გამოფხიზლება ამ ორი ბორცვისთვისაც ღირდა.

ტაძარში შესვლა არ უნდოდა. საკუთარი ფეხის ხმა აკრთობდა, აუცხოებდა. ქვის ცხოველმყოფელობას გარედანაც გრძნობდა. სარანიის ყურიდან ვრილი ნიავი უბერავდა. ზღვის სუნთქვით გაგრილებულმა კვარცხლბეკზე აღმართულ ღმერთებს თვალი შეავლო, მარჯვნივ გაუხვია და ჩრდილოეთის კედელს გაჰყვა. არქიტრავსა და ლავგარდანს შორის დიდებული მეტოპები მოსჩანდა. მზერა დაიძაბა. ბასრი ბრწყინებით ჩაეჭიდა დორიულ გორელიფს. წარმოდგენის უეცარმა გადანაცვლებამ ღვიძლი აატკივა, ერთი წამით გონებაც კი დაუბნელდა, მაგრამ მეტოპს მზერა მაინც ვერ მოსწყვიტა. თეზევსი მოზვერის კისერს უგრეხდა, კავკასიონი ხომალდივით ირწეოდა, აგორა ვაჭრობდა, ბორგავდა, ოფლს ღვრიდა. ჰერაკლე ჰესპარიდების ბაღში იჯდა მსხმოიარე ხის ქვეშ, მეკობრეები ქალაქს ძარც-

ვავდნენ, გაუპატიურებული ქალი შიშველ სხეულს ზელებით იფარავდა, ორფეოსს ევრიდიკე ამტყავდნენ, ადესიდან, მკედელთა უბანში ორლესულ მახვილებს სკედდნენ, დადალულ მონებს მათრახებით ერეკებოდნენ მაღაროსაკენ, ლაიფები კენტავრებს ებრძოდნენ. მამაკაცები ამორძალებს, ბერძნები ტროელებს. დაქიმული კუნძები, განრისხებული სახეები, გამარჯვების აპოთეოზი და დამარცხების საშინელება დროის ყოვლის შემძლეობას აუფასურებდა. უაზრობით ღლიდა. ათენელებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ხანგრძლივი ოცნება და მიუწვდომლისაკენ სწრაფვა ბევრად უფრო დამღლელია, ვიდრე მძიმე შრომა.

ტაძარს რომ შემოეზარა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა ათასი სინამდვილე ერთმა შესცვალა. შიმშილისაგან კუჭი ეწვოდა, თავი სტკიოდა. კიბე უფრო ჩაირბინა, ვიდრე ჩაიარა. მწკრივად დარგული ცაცხვების მახლობლად გადახურული ფარდულები შენიშნა. ირგვლივ ხალხი ირეოდა. წინ გამოდგმულ მაგიდებზე სხვადასხვა სისქისა და ფერის წიგნები ელაგა. წიგნებს აქ ისევე ყიდდნენ და ყიდულობდნენ, როგორც ხმელთევზს პანათენის გზის გადაღმა. წიგნებს შორის სუფთა რვეულებიც მოსჩანდა. ხბოს ტყავი არაჩვეულებრივად ნაზი იყო და ყოველი ასო მის ზედაპირზე ნათლად ისახებოდა. უამრავი შთაბეჭდილებებისაგან გაბრუებულს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ეწერა ამ წიგნებში, მაგრამ ერთი სქელტანიანი ფოლიანტი მაინც გადაფურცლა. უხაროდა, რომ ადამიანებმა აზრისა და გამოცდილების შესანახად წიგნი გამოიგონეს და თითქმის ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადეს. ასოების მოხაზულობამ, მათმა სიმბოლოურმა/მნიშვნელობამ მკაზხე ბგერები დააყრუა, თვალთ დანახული გაზარდა და გააფართოვა. ტაძრის კედელზე გამოკვეთილმა ფრიზებმა და ხბოს ტყავზე აღბეჭდილმა ნიშნებმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ კაცობრიობას მისი დაბ-

მარება აღარ სჭირდებოდა. ადამიანთა მოდგმას ადვილად ვეღარავინ მოუღებდა ბოლოს.

დროის კავშირი მისთვის დიდხანია დარღვეული იყო და ამიტომ ვერც კი შენიშნა, როდის გადაიხარა მზე. პირამდე სავსე აუზიდან წყალი მოჩუხჩუხებდა. მწვანედ მოღვილივე სითხის თეთრ ნაკადს ორივე ხელი შეუშვირა და წყალი სახეზე შეისხა. ღვიძლი დამშვიდდა, დაჭრილ ფრინველივით აღარ ფეთქავდა. ფიჭრი აფრავაშლილ ხომალდს დაედევნა, მაგრამ კონცხს ვეღარ შემოუარა და უკვანვე გამობრუნდა. ექსედრის კედელზე ზღვის ქაფიდან ამომავალი აფროდიტე ამოეტეფრათ. კედლის ძირში ფერუმარლით სახეშეღებილი ქალები ისხდნენ. ათენელ ჰეტერებზე ბევრი რამ გაუგონია, მაგრამ არ იცოდა სიყვარულს თუ აქ ისევე ყიდდნენ, როგორც ზეთისხილს. თუმცა მამაკაცები ფარდულებსა და დახლებს უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე ქალებს. გამაწამებელი ლოდინი ნელსაცხებელთა სურნელებს ხრწნიდა, ფერებს აჰკნობდა. ერთმა ახალგაზრდა, ხორცსავსე ქალმა თვალი გაუსწორა და მზამზარეული ღიმილი შეაგება. მოტკბო ღიმილი კანქვეშ შეიჭრა, დაწვები შეუფერადა. იგი არც წმინდანი იყო და არც ქალის უნახავი. მაგრამ მაინც შერცხვა, ნაბიჯს აუჩქარა. საუნჯეთა შორის ზეტიალი სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ რაიმეს შექმნა სურდა. ცხოვრება თხელ, ელასტიურ საბურველში ეხვეოდა, საკუთარ მონაპოვარს იცავდა და ახლოს არ იკარებდა, არ ცნობდა.

ათენმა გააკვირვა, მისმა სილიადემ და მრავალფეროვნებამ დალაღა, მაგრამ თვალუწვდენელმა ბაზარმა იმაშიც დაარწმუნა, რომ მოკვდავთ ერთმანეთისა ეშინოდათ და დანაშაულის ტვირთ ქვეშ იდრიკებოდნენ. არსად, არცერთ ქალაქში არ უნახავს იმდენი გასაყიდად ან გადასაცვლელად გამოყვანილი მონები, რამდენიც აქ, აგორაზე ნახა. ანაკის გვერდით მომალლო მოედანი აღემართათ. მოედანზე მონები რიგრიგობით აჰყავ-

დათ და ირგვლივ თავმოყრილ ხალხს მათ ფიზიკურ მონაცემებს უქებდნენ. იყიდებოდა კაცი და ქალი, ახალგაზრდა და ჰარმავი, თეთრკანიანი და შავკანიანი. მონებს კბილებს, კუნთებს, გულს უსინჯავდნენ, აჩოქებდნენ, აყენებდნენ, ცხოველებს უთანაბრებდნენ. მონების ყიდვა-გაყიდვას პირველად ესწრებოდა და ამიტომ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ღირდა ჯან-ლონით სავსე მამაკაცი, მაგრამ როცა ერთი მაღალი, თმაგაჩეჩილი სკვითი ას დრამად გაყიდეს, გაუყვირა. ერთ წელიწადში იგი ბატონის დანახარჯსაც აუნახლაურებდა და სარგებელსაც მისცემდა. მონებს მძიმე შრომის მეტი არსად არაფერი ელოდათ, მაგრამ მაინც უხაროდათ, როცა მათ ათენელი ყიდულობდა და არა საბერძნეთის სხვა რომელიმე ქალაქის მკვიდრი. უძრავი ჰაერი და გრძნობა იმისა, რომ სადღაც ხარ და არცა ხარ, რაღაც პირადულს სტაცებდა, აკნინებდა. ზოგჯერ ისიც კი ეჩვენებოდა, რომ სადაცა ხელს სტაცებენ, მაღლა აიყვანენ და მონად გაჰყიდნიან. უკან დახევა გაუჭირდა, ვიღაცას ფეხზე ფეხი დაადგა. ხეირიანად არც კი ესმოდა იმის სიტყვების აზრი, დაზარალებული რომ უმასპინძლდებოდა. გვერდით მეტრონომმა ჩაუარა. მონებს წონით არ ჰყიდდნენ და ამიტომ მხარზე სასწორგადაკიდებულმა იქითკენ გასწია, საიდანაც ყველის სუნი მოდიოდა. ერთხანს უკან მიჰყვებოდა მეტრონომს, შემდეგ გვერდი აუარა და რძეს დაუწყო ძებნა.

ძელს მიყრდნობილს ცალ ხელში პური ეჭირა, მეორეში თიხის ქილაში ჩაცივებული რძე და რამდენიმე წამს პურისა და ქილის მეტს ვერაფერს ხედავდა. პირი გამოვსებული ჰქონდა, რძე ნექტარზე უფრო გემრიელი ეჩვენებოდა. სხეულში ისეთი სიტკბოება იღვრებოდა, რომ ერთი წუთით თვალიც კი დახუჭა. ქვეყანა მორღვეულ კედელივით შემოეცალა, ბუნდოვანება უზარმაზარ სფეროებად დაიშალა. ზოგჯერ რომელიმე მათგანს გარსი შემოეცლებოდა და სკენესავით ირთვებოდა. მიუწყ-

დომელი შუქი დღეთა რიგს შლიდა, უფრო დიდ ან უფრო მცირე მონაკვეთებად ყოფდა, ზოგ რამეს სფერულ კედლებს აწებებდა, ზოგს კი ჩრდილთა ღვედებით კრავდა, ნავაგს ატანდა. გადასაყრელად თითქოს არაფერი ემეტებოდა, მაგრამ დრომ მესხიერების სარდაფები გააფერანა, აღრინდელ შთაბეჭდილებათა ნაზამთრალი მინდვრები გადახანა და აღარ იცოდა, რა მოეხერხებინა მხრებზე დაწოლილი საუკუნეებისათვის, საიდან მიდგომოდა იმ ცხოვრებას, რომელიც უგულუბელყოფდა. მარტო მაინც არ დარჩენილიყო, არ დაეკარგათ, ვისაც მიწა მსუბუქი ეჩვენებოდა, ვინც არაფერ უსახურს არ სცნობდა:

გახელილ თვალეში ისე შემოიჭრა აგორა, როგორც უტიფრად მორთულ-მოკაზმული, აქაქანებული ჰეტერა. მისი ყურადღება მოლისფერმა კარვებმა მიიპყრო. დაბალ სკამებზე ჩამომსხდარი კოლხები თავლს, სელსა და დამუშავებულ ტყავს ყიდდნენ. კოლხებს სხვა ხალხისაგან სახის წყობითა და გამომეტყველებითაც ასხვავებდა, მაგრამ ამჯერად მისი ყურადღება თექის ფართო-ფარფლებიანმა ქუდებმა და მრგვალსაყელიანიმა ექსომიდებმა მიიპყრო. ფაზისიდან დარდანოსამდე კოლხებთან ერთად იმზავრა, მათი პური იგემა, მათი ღვინო დალია, ერთ ვაჭარს კი ისე დაუახლოვდა, რომ ბოლოს მისივე ენაზე ელაპარაკებოდა. პირველად სწორედ იმ ვაჭარისაგან გაიგო, რას წარმოადგენდა ათენი, რით იყო ძლიერი და ღირსშესანიშნავი. შეიძლება, ცოტათი იმ ვაჭარსაც მიუძღოდა ბრალი იმაში, რომ ჰესიონე ატიკაში გაგზავნა. უეცრად იმ რიგში, სადაც კოლხები ვაჭრობდნენ, შეიარაღებული ჯარისკაცები გამოჩნდნენ. მუზარადებისა და ფარების ბრწყინვალეობამ იქაურობა გადაასხვავებრა, ვაჭრობა გააუფასურა. შეზარხოშებული ჯარისკაცები უმიზეზოდ იციზოდნენ, მყიდველებს ავიწროვებდნენ. ბაზარში უსაქმოდ ხეტიალი მათ აღმათ აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ იარაღი მოარჩილსაც ბევრს აბედვინებს. როცა

კოლხებს ჩაუარეს, ერთმა ჯმუხმა ჯარისკაცმა დახლიდან თიხის ქილა აიღო, ცხვირთან მიიტანა, დაყნოსა, შემდეგ საჩვენებელი თითი თავლში ამოავლო და პირისკენ წაიღო. თავლს იგი კარგახანს უსინჯავდა გემოს, მოწონების ნიშნად თავს აქეთ-იქით აქნევდა და როცა გული მოიმსუყა, ქილა ამხანაგს გადასცა. კროლათვალემა კოლხი მოთმინებით ელოდა, როდის დაუბრუნებდნენ უკან ცარიელ ქილას.

ყოფის ქრელი, ცვალეზადი წახნაგებით შებოჭილმა ვერც კი შეამჩნია, როგორ ჩაელია პური ხელში. უკანასკნელ ლუქმას ქილაში დარჩენილი რძე დააყოლა, ჩრდილს გადააბიჯა და ბულევეტერიისაკენ წავიდა. დაგორებული მზისათვის ტაძარს ცალი კუთხე ჩამოეთალა. აქა-იქ გაუყიდაც საქონელს კრავდნენ, დახლებს ასუფთავებდნენ, კარგებს იღებდნენ. ნაგებობებთან და ხეივნებში სხვაგვარად ჩაცმული, სხვა სულისკვეთებით შეპყრობილი ხალხი გამოჩნდა. სივრცეს მხოლოდ კვარცხლბეკზე შემდგარი ზევსი გაპყურებდა უცვლელი გამომეტყველებით. ბერძნებს მეორეხარისხოვანი ღმერთებიც კი არ დაეტოვებინათ უყურადღებოდ, სადღაც ჰესტიასა და პანდორას ქანდაკებებსაც კი მოჰყრა თვალი, მაგრამ მისი სახე არც ჭევისგან გამოეყვითა ვინმეს და არც კედელზე გამოესახა. შეიძლება, ძლიერათ ამა ჭეყენისა ეშინოდათ მისი ამბოხი სულისა, ან შეიძლება მის ტანჯვას მოერიდნენ და ვერ გაბედეს საუკუნოვანი ტყვილის სააშკარაოზე გამოტანა.

ბულევეტერიონის წინ, ხის მოაჯირებიან კვარცხლბეკზე ვილაც შემდგარიყო და ხალხს სიტყვით მიმართავდა. ორატორს დიდი შუბლი, ჩამოწოლილი ცხვირი და ჰკვიანი თვალეები ჰქონდა. ყოველი მისი წინადადება სხარტი და დასრულებული იყო, ხელის ყოველი მოძრაობა მეტყველი და წინასწარნავარაუდვეი. ორატორმა კარგად იცოდა, რა დროს რა მიეჩქმალა და რა ვაეზვიადებინა, ათენელები თავიანთ ალტაცებას

და გულისწყრომას ერთმანეთს უზიარებდნენ, ისე ჩურჩულებდნენ, თითქოს წარმოდგენას ესწრებოდნენ. ორატორი მოქალაქეებს არწმუნებდა, რომ პელოპონესთან ომი გარდუვალიაო. მისი აზრით, ათენი ძლევამოსილი, თავისუფლებისმოყვარე რესპუბლიკა იყო, რომელმაც საბერძნეთი დაპყრობისაგან იხსნა და ამიტომ უფლება ჰქონდა სუსტებისათვის მფარველობა გაეწია, ხოლო ისეთი გაყოყნიებული და არაფრის მაქნისი პოლისი, როგორც სპარტა იყო, დაესაჯა. „სპარტელები იმიტომ ვერ გვიტანენ, განაგრძობდა იგი მკუქარე ხმით, რომ მათზე ძლიერნი, მდიდარნი და გონიერნი ვართ. შეხედეთ ათენს და შეადარეთ სპარტას, სპარტა მას გარეუბნადაც არ გამოადგება. ვის აუგია ჩვენზე უკეთესი ტაძრები, ვის ჰყავს უფრო ძლიერი ფლოტი, ვის ხაზინაში ჩხრიალებს უფრო მეტი ოქრო, ათენი უძლეველია და ამიტომ დატაკ, უმეცარ სპარტელებთან საბოდიშო არაფერი აქვს. ომს გაუქიანურებლად მოვაგებთ. შეიძლება, ხმელეთზე ბრძოლა ცოტათი გავვიჭირდეს, მაგრამ ზღვაზე სპარტელებსა და მათ მოკავშირეებს ერთ დღეში მოვსრავთ, პელოპონესში ჯარს ვადავსხამთ, და მათ გიმნასიებს მიწასთან გავასწორებთ. ომის წინააღმდეგ მხოლოდ ის ილაშქრებს, ვინც მხდალია, ვინც საკუთარ კეთილდღეობას სახელმწიფოს ინტერესებზე მალა აყენებს. დამიჯერეთ, ხანგრძლივი მშვიდობის მოსაპოვებლად სასტიკი ომია საჭირო“. იგი კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა და ხალხის მხარდაჭერას უფრო ეძებდა, ვიდრე სიმართლეს. დემაგოგი ბევრი უნახავს, მაგრამ ასეთს არსად ვადაჰყვრია. ყველაფერი, რაც მის თვალსაზრისს ამართლებდა სწორი და გონივრული იყო, რაც ეწინააღმდეგებოდა — უგუნური და უაზრო. ორატორს სასიამოვნო ხმა, ბუნებრივი პათოსი და თავდაჯერებულობა ყაყაჩოს ნახარზივით მოქმედებდა ხალხზე. ამიტომაც ჩამოვიდა კვარცხლბეკიდან გამარჯვებული სარდლის იერით. მისი ადგილი დაიჭი-

რა დიდმუცლიანმა, მელოტმა, ენამოსწრებულმა მამაკაცმა. ეტყუება: ეფე ბირველად არ იდგა კვარცხლბეკზე. წაადგან ხალხი ისე შეეგება, როგორც სახელმძღვანელო მსახიობს. ორატორმა ოდნავ ჩახლჩილი ხმით ჯერ მოწინააღმდეგე გაასწორა მიწასთან, შემდეგ კი ომის წინააღმდეგ გაილაშქრა. მისი აზრით ათენი ჯერ კიდევ არ იყო მზად ომისათვის. „სპარტა სამხედრო ბანაკი უფროა, ვიდრე სახელმწიფო, — ღალატებდა იგი ხმამალა, — და ამიტომ ხელჩართულ ბრძოლაში ჩვენ მათ ვერაფერს დავაკლებთ. ვოლიტები ატიკაში შემოიჭრებიან, ნარგავ-ნათესებს გააოხრებენ და ქალაქში გამოგვამწყვდევენ. მართალია, ათენი დიდი ქალაქია, მაგრამ მთელი ატიკის მოსახლეობას მაინც ვერ დაიტევს. დაიწყება შიმშილი. ქურდობა, ემიანობა. ოქრო უსარგებლოდ გაიფლანგება, ხალხი გაველურდება, მოკავშირეები გავვიდგებიან და იარაღს შემოგვიბრუნებენ. ამავე დროს უსისხლოდ შეგვიძლია მოვიგოთ ომი. ამისათვის მხოლოდ ისაა საჭირო, რომ ვაწარმოოთ მეტი საქონელი, გავზარდოთ სავაჭრო ფლოტი, გავასესხოთ ფული. გავა რანდენიმე წელიწადი და ჩვენი მოვალე იქნება არა მარტო სპარტა, არამედ საბერძნეთის ყველა პოლისი. შეფეები და ტირანები ნებაყოფლობით დაგვიტომბენ იმას, რის წასართმევადაც სისხლის დაღვრას ვაპირებთ. ხანგრძლივი მშვიდობა სასტიკი ომით კი არ უნდა მოვიპოვოთ, არამედ მოთმინებით და გონიერებით“. ჩასუქებული მამაკაცი ისე იმედიანად ლაპარაკობდა, ისეთ მტკიცე კოშკებს აგებდა, რომ მისი სიტყვების სამართლიანობაში დაეჭვება ძნელი იყო. როცა კვარცხლბეკიდან ჩამოვიდა, აქა-იქ ტაშის ცემაც კი გაისმა. წარმოდგენა თითქოს დამთავრებული იყო, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა. ორატორი ორატორს ცვლიდა. ყველა თავის თვალსაზრისს იცავდა და ვიწრო ინტერესების ქსელში ეხვეოდა. ათენელები აღარ წარმოადგენდნენ ერთ მთლიან, შეუპოვარ ერს, რომლისთვი-

საც მთავარი მიზნისაკენ სწრაფვაა და არა ათასი აზრის მორიგება. ქედმაღლობა, სიმდიდრე და დაუხარჯავი თავისუფლება მომავალში მათ ბევრ უსიამოვნებას მოუტანდა.

ქადრების ჩრდილს ხალხი ისე ეტანებოდა, როგორც უდაბნოში გაბიზნულნი ოაზისს. ყოველ ხის ძირში ვიღაც ქადაგებდა, სიტყვებს ან თათლში ავლებდა, ანდა ქვასავით ისროდა და დაუმტკიცებელს ამტკიცებდა. უნდოდა რომელიმე ჯგუფს მიტმასნებოდა, ათენელი ფილოსოფოსისათვის მოესმინა, მაგრამ დაღლილობამ დააჩლუნგა. გონებაში შორიდან მონადენი ქარი შეიჭრა და წყალი აამღვრია. ის, რაც ადრე სიზმარივით უდღეური ეჩვენებოდა, სინამდვილედ იქცა. უეცრად თვალწინ ყველაფერი აირღაირია, მხრებს უზარმაზარი ლოდი დააწვა. ლოდის სიმძიმეს დაბადების დღიდანვე გრძნობდა, მაგრამ ხეირიანად თვითონაც არ იცოდა, რა ერქვა მოუშორებელ ტვირთს — დრო, თავისუფლება თუ რაღაც შეუცნობელისადმი მორჩილება. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. ყველას იმდენი საქმე და საზრუნავი ჰქონდა, რომ მისთვის არავის ეცალა. ფეხებს მძიმედ ადგამდა, დაშავებულ თითებს შორის სისხლი მოჟონავდა. საკმარისი იყო წაბორძიკებულები და ფეხზე ველარ წამოდგებოდა, ლოდი ხერხემალს გადაუმტვრევდა. უეცრად ხალხი აღელდა, აკიჟინდა. ახალგაზრდები ხეებზე აცვივდნენ, აბრები ჩამოგლიჯეს და ძირს ჩამოყარეს. სანამ მიხვდებოდა, რა მოხდა, გვერდით შუბლგახსნილი, მკლავმავარი მამაკაცი ამოუდგა. ლოდს ურო მოუქნია, კიდე ჩამომატვრია, წატეხი ზურგზე შეიგდო და თამამად გასწია წინ. მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. ლოდი იმსხვრეოდა, ყოველ დიდსა თუ პატარა ნამსხვრევს ვიღაცა ზურგს უშვებდა და მის ბედს იზიარებდა. მიწა გუგუნებდა, ქვის მტვირთელთა ფეხის ხმას ეხმიანებოდა. წინ მიმავალთ ვერც ეჭვი ბორკავდა და ვერც თხრილებად ქცეუ-

ლი ჩრდილები აბრკოლებდა. თავის წილი ტვირთი ყველას ხალისიანად მიჰქონდა. სიცარიელე ამოივსო, აზრი მოსულოვრებულ თევზივით ფართბალებდა. მან მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ ადამიანებმა ნაბიჯს უკლეს, როცა აზრი ნაწილობრივ გამოიკვეთა. მიწა ოფლითა და სისხლით ირწყვებოდა, იხუთებოდა, ხეივანს კი ბოლო არ უჩანდა. ხალხი უსასრულობის შიშმა შეიპყრო. პირგამშრალი, ზურგგადატყავებული ადამიანები მძიმედ სუნთქავდნენ, თავიანთი გაჩენის დღეს წყევლიდნენ. ჩამორჩენილნი სასოწარკვეთილი სახით გასკვეროდნენ სივრცეს. იგი მათ სწორედ მაშინ წამოეწია, როცა ერთმა გამხდარმა, პირზე დუქმომდგარმა მამაკაცმა სახიფათოდ წაიფორხილა. ხელი რომ არ შეეშველებინა, ალბათ წაიქცეოდა და ველარც წამოდგებოდა ფეხზე. სახეშეშლილი მამაკაცი ერთხანს უაზროდ უტკებოდა, შემდეგ იცნო, მთელი ძალღონე მოიკრიბა. მხრიდან ქვა ჩამოიღო და უსიტყვოდ დაუბრუნა უკან. ამის დანახვაზე სხვებმაც შვებით ამოისუნთქეს. ქვები ისე ეცემოდა მის ზურგს, როგორც სეტყვა. ქვეყანა შექანდა, მძიმედ შემობრუნდა. ქვა ქვას ეწებებოდა და ერთ მთლიან ლოდად იცვრებოდა. ბეჭები სტკიოდა. მუხლები ეკეცებოდა. ასეთი დაღლილობა მაშინაც არ უგვრძენია, როცა კლდეზე მიკაპვეულს ზამთრის სუსხი და ბნელი ღამე ისაკუთრებდა. ერთი წუთით რომ არ ჩამოშვდარიყო, ცალკეულ ნაკვთებად დაიშლებოდა.

როცა თვალი გაახილა და აღრეული ქვეყნის დალაგება სცადა, ცნობისმოყვარე მზერას წააწყდა. მოპირდაპირე ხის ძირში სახედანაოჭებულო, ცხოვრებისაგან ნათრევი მოხუცი იჯდა. ბერიკაცს, ალბათ, ამქვეყნის აღარაფერი აკვირებდა, მაგრამ მას მაინც ისე უყურებდა, თითქოს შუბლზე მესამე თვალი ჰქონდა ამოსული.

— ვინ ხარ, ძმობილო, საიდან მოდიხარ? — კითხა ბერიკაცმა ჩიფჩიფით. შექძლო ან სულ არ გაეცა პასუხი,

ანდა საკუთარი ვინაობა დაემალა, მაგრამ ამდენი თვალთმაქცობის თავი არ ჰქონდა.

— პრომეთე ვახლავართ.

— იაპეტისძე?

— დიახ.

მოხუცმა ტუჩები დამანჭა და გვერდზე გადააფურთხა.

— მაშ, მამაშენი ტიტანი იყო?

— პირადად მას ამაში ეჭვი არ ეპარებოდა.

— გინდა დაგიმტკიცო, რომ მამაშენი ტიტანი კი არ იყო, არამედ ძაღლი?

— გმადლობთ, ერთხელ მე ეს უკვე დამიმტკიცეს.

— ალბათ, არ იცოდნენ ვისთან ჰქონდათ საქმე, თორემ უარესსაც დაგიმტკიცებდნენ.

— მაინც?

— დამთხვეული რომ ხარ და ტყუილების გულა.

სანამ მის სახეზე ღიმილი გამოკრთებოდა, მოხუცმა დაკონკილ მოსასხამს ხელი დაავლო, ფეხზე წამოხტა და ისე გაეცალა იქაურობას, თითქოს სახეში შეაფურთხესო.

შურგით ცაცხვის დაღარულ ტანს გრძნობდა. ჰეფესტიონის მახვილი კუთხე სიმკვეთრეს კარგავდა. არ ეგონა, ასე თუ გაუჭირდებოდა დროსთან ჰიდილი, მიწაზე ფეხის მოკიდება. ათენელ ორატორებთან შედარებით ბლუ და მოუქნელი ჩანდა. გარდასულმა საუკუნეებმა ცხოვრებას სხვა აზრი შესძინეს, ზოლო სხვა აზრშეძენილმა ცხოვრებამ განზე დარჩენილნი დაივიწყა. უამრავ მიზანს შორის ახლა მხოლოდ ერთი ასულდგმულეობდა. რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, მოენახა ჰესიონე, ეგრძნო მისი სხეულის სითბო, სურნელება, მიწის სინოყიერე. თუმცა მიწა ახლა ვერაფრით ანუტეგშებდა. ჰესიონე ზღვას მიანდო და ამიტომ ნავსადგურისაკენ უნდა დაძრულიყო, იქ უნდა გაეგო მოვიდა „ანკილე“ თუ არა.

ქვეყანას ყოველთვის ზევიდან, მწვე-

რვალეზიდან დაჰყურებდა, მაგრამ ზოგჯერ ზღვის ნაპირზე ჩასვლა დევრთფეროვანი სივრცის პირისპირა იჭრებოდა. ზღვა სამყაროს აბრტყელებდა, დაღლილი თვალი განსხვავებულ ფერსა და მყარ საგნებს ეძებდა. განსაკუთრებით არ უყვარდა წყლით გაქლენილი ნავმისადგომების სუნი. ამ დროს ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ფეხქვეშ რაღაც იხრწნებოდა. ერთ დღეს ზღვის ნაპირს გაჰყვა, ტალღებს დააკვირდა, მაგრამ მათ შორის ვერავითარი სხვაობა ვერ აღმოაჩინა. ზღვის ნღობა თავიდანვე არ ჰქონდა და აკო აუხდა კიდეც. შეიძლება იქვე გემბანზე გააუპატიურეს, შემდეგ რომელიმე შორეულ ქვეყანაში ჩაიყვანეს და მონად გაჰყიდეს. ჰესიონესთანა ქალს უყურადღებოდ, საკუთარი თავის ამა-რა არაეინ დასტოვებდა. ან იქნებ გემი კლდეს შეასკდა და ნაფოტებად იქცა. ჰესიონეს ზღვა ადვილად ვერ დაახრჩობდა, სულერთია, რა ამობოჭრებულ იც არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ სტიქია ხშირად მის შემოჭმედზე უფრო ეერაგია. ვინ იცის, სად გარიყა, ვის ჩაუვგლო ხელში.

როგორც კი ჩრდილოეთის კედელს გასცდა და ატივის ყველაზე დიდ ნავსადგურს მიადგა, ფართო, სწორი ქუჩები და ბორცვებზე აღმართული ტაძრები დაინახა. პირეოსი ათენისხელა ქალაქი არ იყო, მაგრამ უკეთ დაგეგმილი სჩანდა. ქუჩები ერთმანეთს სწორხაზოვნად ჰყვეთდნენ და თავს მოედნებზე იყრიდნენ. პირეოსელები, ისევე როგორც ათენელები იდაყვებითა და მუჭლუფუნებით იკავადენენ გზას. სხვაგვარად არსებობა, ალბათ, ველარც კი წარმოედგინათ. ზოგჯერ მამლებივით წამოიჭახებოდნენ, მუშტებს მოიმარჯვებდნენ, მაგრამ ასეთ ჩხუბში ყოველთვის ის იმარჯვებდა, ვინც გარტყმას მოასწრებდა და გაიქცეოდა. შემდეგ მისი დამწვევი აღარავინ იყო.

ღამე და ღრუბლები ერთმანეთს ეჭობრებოდნენ, ვინ უფრო მალე დაეუფლებოდა ცას. ნავსადგურიდან თოლიე-

ბის კვილი ისმოდა. ქალაქი კეთილმოწყობილი, სტუმართმოყვარე ჩანდა, მაგრამ მან მაინც არ იცოდა, სად გაეთია ღამე. პიროვნული შეუვალობა სწორედ იმ დღეს დაჰკარგა, როცა სინამდვილე მითად იქცა და მთელი კაცობრიობის საკუთრება გახდა. შინ დაბრუნებული, ქალაქში უქმად მოხეტიალე პრომეთე არავის სჭირდებოდა, არავითარ პატივისცემას არ იმსახურებდა. კაცობრიობისათვის იგი ცეცხლის მოტაცებისათვის დასჯილი, კლდეზე მიჭაჭვული, სამუდამოდ გადაკარგული გმირი იყო და არა მაწანწალა. საუკუნეების მანძილზე შელამაზებულ, საქვეყნოდ აღიარებულ მითს გასაბიძარებლად არავინ დაანებებდა. ახლოს არავინ გააკარებდა. რამდენიც არ უნდა ეყვირა, პრომეთე ვარ და კავკასიონიდან მოვდივარო, მაინც მკრეხელობას დააბრალებდნენ და საკუთარ სახელს მსხვერპლად მოუტანდნენ. ერთადერთი ხსნა ჰესიონეს პოვნა და მყინვარების მახლობლად დასახლება იყო, მაგრამ როგორ მოეცილებინა ის მძიმე ტვირთი, რომელიც სასჯელივით აწვა მხრებზე.

ზღვა ჯერ არ ჩანდა, მაგრამ ნავსადგურისათვის დამახასიათებელი ხალხმრავლობა, ფუსფუსი და მერყევი განწყობილება უკვე იგრძნობოდა. ნესტიანი ჰაერი მკაზხე ბგერებს არბილებდა, თვალი მხოლოდ იმას ამჩნევდა, რაც გარემოს ეთიშებოდა. სამხრეთის კედელზე უზარმაზარი, ბოლოებდაფლეთალი ჩრდილი ვადმობობდა, ქუჩის გაჰყვა და არტემიდას ტაძარს გველშაპივით შენოხეხია. ათენში ხეტიალს უქმად არ ჩაუვლია. შთაბეჭდილებები დაჩაუფნდა, დახარისხდა. ადამიანებს სიცოცხლე უყვარდათ, ღმერთებზე უფრო უყვარდათ და ამ ძვირფას საუნჯეს ისე უფრთხილდებოდნენ, რომ ერთმანეთსაც კი არ ანდობდნენ. სხვა ქალაქებში პართენონისა და ჰეფესტონის მსგავსი ტაძრები არ იდგა, მაგრამ არც ისეთი უნდობლობა იგრძნობოდა, როგორც ათენში. მეზობელი მეზობელს აღმაცერად უყურებდა, ეშინოდა არ დამასწ-

როს, სხვის თვალში არ დამამაცეროს, არ გამსრისოსო. ათენში ნიშნობილად აღარ არსებობდა. მართალი იყო ის, ვინც სასამართლოში საქმეს მოიგებდა. ამიტომაც იქცა ბრალდება უძლიერეს იარაღად, ამიტომაც ვერ გადაურჩა განდევნას ვერცერთი ნიჭიერი სტრატეგი. საბერძნეთს გაერთიანება, ერთ ხალხად შეკვრა სჭირდებოდა, მაგრამ ამისათვის ათენს რაღაც უნდა დაეთმო, ათენს კი არაფრის დათმობა არ უნდოდა.

ბნელს ისევ ღრუბლებმა დაასწრო და ცას დაეპატრონა. პიროსელები ღეთის წყალობასავით ელოდნენ წვიმას, რადგან ირგვლივ ყველაფერი ამომშრალი იყო — თბილებიც, აუზებიც და ქეებიც. ფეხშიშველა, მზით გარუჯული ბიჭები წყალს მოხატული ჯამებით ყილდნენ და წვრილ ფულს უბეში იყრიდნენ. მათი ყვირილი ქუჩის ერთი თავიდან მეორეში ისმოდა. ბრბო ნავსადგურისაკენ მიედინებოდა. იქ მათ ან ქონება ეგულებოდათ, ან და რაღაც ისეთი, რასაც სხვაგან ვერ იგებდნენ. საით არ მიჰქონდათ აქედან ფული, დაუფიწყარი შთაბეჭდილებები და რამდენიმე ბერძნული სიტყვა. პელესპონტში, სადაც თევზს კრაქის შუქზე იჭერდნენ და შზეზე ახმობდნენ; კირენში, სადაც ჯიშინ მოზერებს ერთმანეთს აქიდებენ; სირაკუზში, სადაც ცეცხლის პირას მიდგმული ქოთნებიდან ყველი ამოჰყავთ; ეგვიპტეში, სადაც პაპირუსისაგან ქაღალდს აკეთებენ; ლიბიაში, სადაც სპილოს ძვლისაგან სამკაულებს ამზადებენ; ეგზეაში, სადაც ხილის ბაღებს და ცხვრის ფარებს აშენებენ; ფინიკიაში, სადაც მსხმოიარე პალმები იზრდება და დიდებული პური მოჰყავთ; კართაგენში, სადაც ქსოვა და კერვა იციან; კოლხეთში, სადაც ტყეს ამუშავებენ და მადანს ადნობენ. ყველაფერი ეს ზღვის, სახიფათო ზღის მიღმა იყო, მაგრამ საფრთხე მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა წინ შემოგეფეთება, მანამდე კი იმედი და ოცნება ერთმანეთს ავსებს და ქვეყანას გაუხუნარი ფერებით მოსავს.

პიპოდომოსის მოედანი ათენის ბევრ



მოედანზე უფრო დიდი და კეთილმოწყობილი ჩანდა. ეტყობა, ჰესტიას აქ დიდ პატივს სცემდნენ, რადგან მისთვის ტაძარიც აეგოთ და კერაც მოეწყოთ. მოედანზე ხალხი ისე ირეოდა, როგორც ოდენონის წინ. რას არ ყვებოდნენ, რას არ ეკითხებოდნენ ერთმანეთს. ყოველი მართალი თუ დაუჯერებელი ამბავი ათენში აქედან ვრცელდებოდა. ვისაც საკუთარ მიწაზე გამდიდრება ვერ მოეხერხებინა, აქ მოდიოდა, საოცარ ამბებს ისმენდა და ბოლოს რომელიმე გემზე მებრუნად ეწყობოდა. საღამოობით ქალაქში ღვინის სუნს კუბრში ამოვლებული კანაფის სუნი ერეოდა და სულში ეჭრებოდა. სიტყვა სხვა მნიშვნელობას იძენდა, ფეხი სხვაგვარად ეხებოდა მიწას. ფერხულში ჩაბმა მასაც სწადდა, მაგრამ ვერაფრით ვერ ახერხებდა დროის მიერ მივიწყებული, ხაცსმოკიდებული ბილიკების მიტოვებას. იდგა ისე, თითქოს მიწიდან ამოთხრილი, უხეშად გამოჩორკნილი ქანდაკება იყო. ქვეყანას არაფერი დააკლდებოდა იმით, რომ იგი ამ აღზნებულ, მრავალეროვან ბრბოში გათქვეფილიყო, მაგრამ ჭერჭერობით ამის უფლება არ ჰქონდა.

ბნელი ისე სწრაფად ეუფლებოდა ქალაქს, თითქოს საღდაც შეყოვნდა და დაკარგული დროის ანაზღაურებას ცდილობსო. სახლები ბინდის ქვეშ შეიყუჩნენ. ტაძართა სილუეტები გაბუნდოვანდა. ნავსადგურისაკენ მიმავალი ქუჩა უამრავ ხალხს შობდა და იქითკენ მიერეკებოდა, საიდანაც ზღვის ტალღების ცემა ისმოდა. გამარჯვებას ჩვეული ქალაქისათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ რას უწუნებდა, ვინ რისთვის ესაყვედურებოდა. იგი არც ბნელს ეფარებოდა და არც სათნოების საბურველში ეხვეოდა. თუ გაბინძურდებოდა, ქვებს მოზიდავდა და პირისახეს მოიპირკეთებდა.

ფეხის ხმას ზღვის ტალღების ცემა ანშობდა. მის გვერდით მოაბიჯებდნენ ისინი, ვინც ამ გამდიდრებულმა ქალაქმა ერთმანეთისათვის ცოტათი უცხო გახადა, საკუთარ მიზნებს დაუმორჩილა.

ნაგებობათა უზადო მოხაზულობაში იბადებოდა რწმენა, რომ მისი წარუღებებს ვერავინ დალევდა, მიზრ ნახსენებ არასოდეს დაყრუვდებოდა. ჭერჭერობით ამ გამრჯე ქალაქს დასჯაც შეეძლო და შეწყალებაც, ღვინის სმაც და საღად აზროვნებაც, მისი ეჭვები ხალხით იყო სავსე, მისი უბე ოქროთი დამძიმებული. მაგრამ როცა ოქროს სიყვარული და ფუფუნება ძვალრბილში გაუჭდებოდა, როცა თვითონაც მოიწამლებოდა და სხვებსაც მოწამლავდა, მაშინ ცხოვრებაზე აზრს შეიცვლიდა, ექვებით დასნეულდებოდა და პირველსავე დამპყრობელს დანებდებოდა.

სანაპირო იმდენად ფართო იყო, რომ დიდ მოედანს ჰგავდა. მხარმარჯვნივ სახელგანთქმული დიგმა მოსჩანდა, მხარმარცხნივ მაღალი კედელი, რომელიც ზღვას ფარავდა. ბასტიონებზე დანთებული ცეცხლი სანაპიროსაც ანათებდა და ნავმისადგომებსაც. ტრაპეზიტებს მაგიდები აელაგებინათ, ვაჭრებს გამოფენილი საქონელი ჩამოეხსნათ, მონებს ქუჩა დაეგავათ. ჰაერი ზღვის, შემწყვარი ხორცის, ღვინისა და ნელსაცხებლების სუნით იყო გაქლენთილი. ღამე საქეიფოდ, ვნებათა დასაცხრომად ემზადებოდა. ბრბო ორ ნაწილად გაიყო ერთმა ღობეებგანათებულ სახლებს მიაშურა, მეორე კედლის ქვეშ გაძვრა და გაუჩინარდა. ბრბოს ნაბიჯების ხმა ცხადყოფდა, რომ ზოგიერთებისათვის ეს ქალაქი სამშობლო იყო, ზოგიერთებისათვის კი უცხო მიწა, რომელსაც ან უნდა შეეგუო ან გაეცალო. უცხოთა მიმართ პირეოსი შემწყნარებლობას იჩენდა, მაგრამ იმ ბერძნებს, რომლებიც სამშობლოდან გადაიხვეწნენ და ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ უკან, პირქუშად ეგებებოდა. ძალით ამ ქალაქს ვერავინ ვერაფერს წაართმევდა, რადგან თავის დაცვაც იცოდა და მოწინააღმდეგის მიწასთან გასწორებაც, მით უმეტეს ისეთი მოწინააღმდეგისა, რომელმაც უკანასკნელი დრამა დაახურდავა.

ერთხანს დიგმას უვლიდა გარშემო. მის აგებულებასა და რელიეფს სწავლო-

ბდა, შემდეგ მხარი იცვალა, პოლტივო-
ას ჩაუარა და ქუჩას გაჰყვა. განათე-
ბული სახლებიდან მთვრალი მამაკა-
ცების ზორზოცი და ქალების კისკისი ის-
მოდა. იგი მხოლოდ მოგვიანებით მიხ-
ვდა, რომ ამ ქუჩაზე ყოველი სახლი
ან სასტუმრო იყო, ან სამიკიტნო, ან
საროსკიპო. ათენში ერთი ბანჯგელიანი
მეზღვაური ყველის ვაჭარს პიროესელ
პეტერებს უქებდა. შეიძლება ის მეზ-
ღვაური და ყველის ვაჭარი ახლა რომე-
ლიმე საროსკიპოში ისხდნენ და ქალებს
ღვინოს აძალეზდნენ ყოველ კარს ზე-
მით ფერადი საღებავებით დახატული
აბრა ეკიდა. ეტყობა, აბრებს აქ ხშირად
ანახლებდნენ, რადგან მათ ზედაპირს
დროის კვალი არ ეტყობოდა. დოქიდან
მოჩუხჩუხე ღვინოს, ძროხის მოხარ-
შულ თავ-ფეხს და შამფურზე წამო-
გებულ მწვადებს გულგრილად ჩაუარა,
მაგრამ შემდეგ აბრასთან მცირე ხნით
შეჩერდა. ზემოდან თეძობგამოკვეთი-
ლი. ცეკვისაგან აღტყინებული ქალი და-
სცქეროდა. უფრო ეროტიული არსება
არასოდეს ენახა. ქალის გაშლილ მკლა-
ვებს და შიშველ წელს ქალის შუჭი
არაჩვეულებრივ ელასტიურობას ანი-
ჭებდა. პაერში ატანილი, წინ გატყორ-
ცნილი სხეული ცარიელი ძახილი იყო.
კარს იქედან გამაყრუებული ტაშის ცე-
მა ისმოდა. შეიძლება იმ წუთს მასაც
შეელო კარი და საოცრების სანახავად
ღრიანცელისაგან ჰერახდილ დარბაზში
შესულიყო, მაგრამ ამ დროს ბნელს
ანოფარებული საუკუნეები წამოეწია
და წინ გაიგდო. მას უკვე აღარ ჰქონდა
ხეტილის, ჰუჭურუტანაში ყურების უფ-
ლება.

ქუჩას თვლემაზე ეტყობოდა, რომ
კომპარული სიზმრები აწვალებდა. ცხო-
ვრება ჯერ კიდევ ბაზრებს, სამიკიტნო-
ებსა და საროსკიპოებს ებღაუჭებოდა,
მაგრამ შორს აღარ იყო ის დრო, როცა
დიდი ქალაქების მკვიდრნი ძველ კერ-
პებს დაამზობდნენ, ნანგრევებში ახალ,
განუყოფელ ღმერთს იპოვნიდნენ და მი-
სი სახელით უამრავ დანაშაულს ჩაიდენ-
დნენ.

ფალერის ყურის ყველა ნავსადგური
დახურული იყო და ვერაფრით ვერ მი-
ხვდა საიდან მისდგომოდა წმინდა ნა-
პირს. უკან შემობრუნებულმა რომე-
ლილაც ღია კარი განვლო, ვიწრო მო-
ედანი გადაკვეთა, ქარაფოვან ნაპირს
მიადგა და ზღვას გადახვდა. ხმელეთში
ღრმად შემოჭრილი ყურე დაბალყელი-
ან დოქს ჰკავდა. სამხედრო გემები
მძიმედ ირწეოდნენ და საკუთარ ჩრდი-
ლებს აფრთხობდნენ. მთელი სამხ-
რეთ სანაპირო გემთსაშენ სახელოსნო-
ებს ეჭირა. წყალში ჩასაშვებად ან გა-
საშრობად ნაპირზე ამოტანილ ზომალ-
ლებს მხოლოდ ჰეინტები უჩანდათ და
ბუნჯიდან თავგამოყოფილ ურჩხულებს
ჰკავდნენ. დღის ბოლოს არავითარი
სუნი არ იზიდავდა, არავის ფეხის ხმა
არ აფრთხობდა. მხოლოდ მუხნარი შრი-
ალებდა მესხიერების ჯერ კიდევ გაუჩა-
ნაგებელ ველზე და თვალი ხავსის ხა-
ვერდოვან ზედაპირს ეტანებოდა. პი-
როსი პირს იკრავდა, ღიად დარჩენილ
სარკმელებს გმანავდა. ქვემოდან გემების
ჭრიალი და კვნესა ისმოდა. ტუჩებზე
ქაფმომდგარი სამყარო შეეღას თხოვდა
მაგრამ კაცობრიობისათვის მას უკვე
არაფრის მიცემა აღარ შეეძლო.

— ვინ ხარ, აქ რას აკეთებ? — მოესმა
ამ დროს უხეში, ბრძანებას მაჩვენელი
ხმა და მიხვდა, რომ ნავსადგურს კატ-
რონი გამოუჩნდა.

შუბის, ფარისა და მუზარადის ელ-
ვარებამ მუქი ფარდა გახია, ღამეს პი-
რი გაუხსნა. ჯარისკაცს სახეზე ჩრდილი
ეფინა და ფანტასტიკური ქვეყნიდან
მოსულს ჰკავდა.

— საბაჟოს ვეძებ.

— საბაჟო ემპირიონის სამხრეთითაა.
ეტყობა, აქაური არა ხარ, თორემ გე-
ცოლინებოდა, რომ აქ უნებართვოდ შე-
მოსვლა აკრძალულია.

— თქვენ აქ რაღაც ისეთი შემოგპარ-
ვიათ, რასაც ვერ გაასამართლებთ და
ვერც დასჯით.

— დამანახე და ნახავ, თუ ვერ დაე-
სჯით.

— თვალთ არა ჩანს.



— ზედმეტი ხომ არ გადაგიკრავს?
 — ვერ გრძნობთ, თორემ განაჩენი უკვე გამოტანილია.

ჭარისკაცმა ხელი ჩაიქნია, შუბი მხარზე გაიღო, წყნარად უთხრა, როცა შემოებრუნდები აქ აღარ დაგინახოო და მოპირდაპირე მხარეს წავიდა. ახლანას ვერაინ დააჩერებდა, რომ გიყს არ ელაპარაკებოდა. ზღვის ზოლებად დასერილი ზედაპირი კიდევ უფრო ჩაშავდა, გაბუნდოვანდა. ემპირიონისაკენ გზის სწავლება არ სჭირდებოდა. დიაფეგმა აქედან კარგად მოჩანდა. უკან გამობრუნებულმა ქსავით დახშული მოედანი გაიარა, სანაპიროზე გავიდა და აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. სახეზე რამდენიმე ცივი წვეთი დაეცა. პირეოსი და მისი გამომშრალი შიგნეულობა დასალობად ემზადებოდა. შუა ქუჩაზე გასულმა გაუხეშებული ხელი სახეზე ჩამოისვა. ეკვი აღარ ეპარებოდა, რომ შუბლზე და ტუჩის კუთხეებში ნაოლები გაუჩნდა, წვერში ქალარა გაერია.

გრძელ, ვიწრო სარკმელებიან საწყობს გვერდი აუარა. დიაფეგმასთან გავიდა და ჭვის ჭებირზე დაბმულ სავაქრო გემებს გახედა. გემები წყალთან მირეკილ საქონელივით ჩამწყრივებულიყვნენ, კრილობებს იშუშებდნენ. საბაფოს ფანჯრებიდან სინათლე გამოსჰვიოდა. იმ მხარეს, სადაც ოთხკუთხა, ბრტყელსაბურავიანი შენობა იდგა, ბნელი ფარდა ირზეოდა, წვიმიდა.

სპილენძის ფურცლებით შექედილი კარი დაუკითხავად შეაღო, ბოძთან განერდა და იქაურობას თვალი მოავლო. ეს იყო ერთადერთი სახლი, რომლის ზღურბლსაც გადაბიჯა. ქალის შუქით განათებულ ოთახში რამდენიმე მაგიდა იდგა, მაგრამ ღამის სათვეად მხოლოდ ორი კაცი დარჩენილიყო. ერთს დიდი თავი, ხშირი წვერი და გოროზი გამომეტყველება ჰქონდა, მეორეს ვიწრო მხრები და ამოღამებული თვალები. მისკენ არც ერთს გამოუხედავს და არც მეორეს. მთვლემარე მამაკაცებმა თავი

მხოლოდ მაშინ ასწია, როცა იგი მაგიდას მიუახლოვდა.

— რა გნებათ? — ჰქინა-ჰტყროსმა ეპიმელეტმა ისე, თითქოს ლოცვა შეაწყვეტინესო.

— ვერ მერტყვით, მოვიდა „ანკილე“ თუ არა?

— მოსასვლელი რომ ყოფილიყო, აქამდე მოვიდოდა.

მაჩებმა რკინის სალტეების სიცივე იგრძნეს.

— ხომ არ იცით, რა ბედი ეწია?
 — აშბის მომტანი არავინ გვინახავს.

უკეთეს პასუხს არც მოელოდა, მაგრამ სანამ სხვისი პირით არ მოისმენდა, ვერ დაიჩერებდა, ვერ შეიგნებდა. გარეთ ისე გამოვიდა, რომ ეპიმელეტს არ გამოშფიდობებია. წვიმის წვეთები შემსხვილებულიყო, დამძიმებულიყო, დაცარიელებულიყო ის საუფლოც, რომელსაც წარმოდგენით ავსებდა, მისატყუებლად იყენებდა. ახლა უკვე აღარ იცოდა სად წასულიყო, რა ეკეთებინა ამ კუბრის სუნით გაყლენთილ ქალაქში. ერთხანს მოციმციმე შუქს აკვირდებოდა, შემდეგ ყრუ ყურემდე იარა, კედლის ქვეშ დატანებულ ხვრელში გაძვრა და ზღვის პირას გავიდა. მეთევზეთა ნავები ბერეკაცებივით თვლემდნენ. დაღლილობა გრძნობებს აჩლუნგებდა, ყოველგვარ ვარაუდს აცამტვერებდა. ზურგს უკან ატუხული ჩრდილი ცხადყოფდა, რომ დროის დარღვეული კავშირი აღარასოდეს აღდგებოდა, აღარავინ დაუბრუნებდა სახლკარსა და თავშესაფარს. ბრტყელ ქვაზე ჩამოჰქადარმა ვერც კი შენიშნა როგორ ახსნა ნავი. სველი თოკი ფეხზე ედებოდა, ქვეწარმავალივით იკლაკნებოდა. აკვიატებული აზრი სახნისივით კაწრავედა ტენის. უეცრად ნავში ჩახტა, ნიჩბები მოიმარჯვა და ნაპირს მოსცილდა ბნელმა სიცოცხლის გაბუნდოვანებული ნიშნები ვადარეცხა.

• • •

ჭირონი გამოქვაბულის წინ იდგა, ცას შეკუთრებდა და ისე ქუთავდა თვა-

ლებს, თითქოს სინათლე აბრმავებდა. მტკივან ფეხს აწვალებდა — ხან ხრიდა, ხან განზე მიჰქონდა, ხანაც ისევ მიწაზე დგამდა. მას შემდეგ, რაც ერთმანეთი არ უნახავთ, საუკუნეები გავიდა, მაგრამ მაინც არ ეგონა, ქირონი თუ ასე შეიცვლებოდა. მისი ვაჟაკური, მიმზიდველი სახე ღრმა ნაოკებს დაეფარა, ხშირი წვერი გათეთრებოდა, გრძელი ღონიერი მკლავები შეზმოზოდა. ოდესღაც გასლაგნილი, წაბლისფერი ბეწვი გაქუცოდა. კენტავრის ამაყი შემართება სიბეჩავეს დაეთრგუნა. ჰაერში საცვილის სუნი იდგა. მეღვას კონცხი ისევე მოწყვეტილი ჩანდა მთელი ქვეყნისაგან, როგორც თვით ქირონი.

გაწამებული კენტავრის თვალებში ერთი წუთით ნაპერწყალმა იელვა, ხანდაზმულობის თხელი გარსი გახია და ისევ ჩაქრა. საფეთქლებამდე გადაჭიმული ნაოკები ამოიბურცა. ლაწვების სიფერმკრთალემ ცხადჰყო, რომ გადაწყვეტილებას მას უკვე ველარავინ შეაწყვეტინებდა. ამიტომაც გამოუწოდა ხელი ისე, თითქოს გუშინ დასცილდნენ ერთმანეთს.

— ცოტა დაგავიანდა, მე უფრო ადრე გელოდი. მაგრამ მაინც მოხარული ვარ, რომ დაბრუნდი, საკუთარი თვალით რომ გხედავ, — უთხრა ქირონმა შეცვლილი, დაბეჩილი ხმით.

— ბრუნვა სხვას რას ნიშნავს, თუ არა დაბრუნებას, მაგრამ მე იმითომ შემავიანდა, რომ ვალის აღება არ მინდა.

— ჩემთვის არავის არაფერი დაუძალებია.

— შენი თანხმობა მის წყალობასა და დანაშაულის გამოსყიდვას ნიშნავს, მე კი არაფერი ჩამიღენია ისეთი, რასაც გამოსყიდვა სჭირდება.

ქირონმა თვალებზე ხელი გადაისვა და მცირე ხნის დუმილის შემდეგ თქვა.

— დანაშაულზე არავის არაფერი უთქვამს, განაჩენი უკვე გამოტანილი იყო. ეძებდნენ უკვდავს, რომელიც შენს მაგივრად ჩავიდოდა ადესში. ამის

მსურველი ჩემს მეტი არავინ აღმოჩნდა.

— მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. შენ, ალბათ, არ იცი, რომ ოლიმპო გავერანებულა, ზევსი გაქვავებული, განაჩენი გაუქმებული.

— განაჩენის გაუქმება არ ხდება, მაგრამ რომ ხდებოდეს კიდევ, ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. ბევრიც რომ ვეცადო, სულის სიმშვიდეს მაინც ვეღარ დავიბრუნებ. დავიღალე, არ მინდა, აღარ შემიძლია.

— ეტყობა, რომ ჩვენვე დაგვაკისრა დროის მოსპობა.

ქირონს სახე მოედრიცა, ქვედა ტუჩი აუქანკალდა. ტკივილისაგან გაფითრებული თავს ძალას ატანდა, რომ კენესა არ აღმოხდენოდა. ჭრილობა გაფართოებოდა, გვერდები შემოლპობოდა.

— გამაცილებ ცოტას? — ჰკითხა ქირონმა მოშხამული ხმით და აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. მტკივან ფეხს ძლივს აკარებდა მიწას. სიარულს გადაჩვეული როგორღაც უხერხულად კოჭლობდა.

— ამქვეყნად დიდი ხანია არ მედგომებდა, — დაიწყო ქირონმა, როცა გამოქვავებულს გასცდნენ, მაგრამ ჩემი მუდარა არავინ შეისმინა. მეხმტყორცნელს ტახტზე ასვლის დღიდანვე ვძულდი, ჩემთვის სიკვდილიც კი არ ემეტებოდა. ამიტომ შენ კი არ უნდა იყო ჩემი მადლიერი, არამედ მე შენი. რამდენი ხანია გამოქვავებულში ფეხი არავის შემოუდგამს, არავის უკითხავს, როგორ ვარ, რასა ვიქმ, რა მიჭირს და რა მიღბინს. ტკივილმა დაქანცა. თავი ისე მომაბეზურა, რომ საკუთარი სახის დანახვა შემძავოა. ღამღამობით საცხეს მაძლევდა, მციებდა. რაც კი ძონძეული გამაჩხდა, ყველაფერს ზედ ვიყრიდი, მაგრამ მაინც ვერ ვთებოდი, ჭრილობა ისე ყარდა, რომ ვირთხები ახლოს არ შეკარებოდნენ. რამდენი ხანია ბალახის სურნელება არ მიგრძენია. მდინარეში ფეხი არ შემოიდგამს, ჩიტს არ შეგზმინებთვარ გამოქვავებული ციხედ, აკლდამად იქცა.

მაგრამ ყველაზე ძნელი ასატანი მინც ის აღმოჩნდა, რომ საყვარელ საქმეს მოეწყვიდი. მას შემდეგ, რაც ყმაწვილების წკრიალა ხმები არ მესმის, არსებობამ ყოველგვარი აზრი დაკარგა.

ქირონი სწრაფად, დაუბრკოლებლად ლაპარაკობდა. სიტყვებს ისე მეკეთრად გამოთქვამდა, თითქოს მათი სიკეთე ტკივილს უყუჩებდა. იყო დრო, როცა ფიქრობდა, რომ მასზე მკაცრად არავინ დაუსჯიათ ამჟვეყნად, მაგრამ ბრმა შემთხვევამ ქირონი კიდევ უფრო უგუნურად დასაჯა, საკუთარი თავი შეაძულა. საბერძნეთის ქალაქებში ხეტიალის დროს ბევრი აღმზრდელი და ჭადაგი უნახავს, ზოგიერთისათვის მოუსმენია კიდევ, მაგრამ არცერთ მათგანს არ ესმოდა ახალგაზრდებისა ისე, არავინ არ იწვევდა ყმაწვილებში უფრო დიდ პატივისცემასა და სიყვარულს, როგორც ერთ დროს ქირონი. მისი სიყვარული ველზე დაჰქროდა, ცას სწვდებოდა, ნაპერწყლებად იბნეოდა. მისი სიბრძნე შეგირდებს ათბობდა, შიშისა და პირობითობისაგან ათავისუფლებდა, ამიტომაც დაზარდა რჩეული ვაჟკაცები. და სწორედ მაშინ, როცა უგუნურ თანამოძმეებს ჩამოშორდა და ცალკე დასახლდა, ჰერაკლემ მუხლში მოწამლული ისარი გაუყარა. იმ დღეს ველს კვნესა აღმოხდა და მისი გამოძახილი სამუდამოდ დასახლდა გამოქვაბულში.

— მოწამლული არასოდეს ვყოფილვარ და ამიტომ არ ვიცი, რა უფრო მწველია, გახურებული რკინა თუ შხამი.

— ტკივილს როგორმე გავუძლებდი, მაგრამ ცხოვრებას აღარ სჭირდება ჩემისთანა საოცრება, ერთ არსებაში გაერთიანებული კაცი და ცხენი. ახლა მი ისევე მიფრთხიან, როგორც ერთ დროს ურჩხულებს უფრთხოდნენ. კენტავართა მოდგმა ამოწყდა, გადაშენდა. ამ ქვეყანას მხოლოდ მე შეერჩი. სიბრძნეს აღარ აქვს ის ფასი, რაც ერთ დროს ჰქონდა. შეიქმნა სკოლები, გიმნასიები, აკადემიები, სადაც ყველაფერი შეზღუდულ სივრცეს, ზუსტად დანაწევრებულ

დროს და მკაცრ პირობითობას ემორჩილება, სადაც ყმაწვილებს ვერ ვტანათლებენ და ალაღებენ, არამედ სხვაგვარად და აჩლუნგებენ. ასწავლიან მხოლოდ იმ საგნებს, რაც მეზობლებთან ქიშობაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოადგებათ — მხოლოდ რიტორიკას, მათემატიკას და სასამართლოში საქმის მოგების ხერხებს. ცოდნა უპირატესობის საწინდარი ვახდა და ამიტომ მასწავლებელს აღარ აინტერესებს შეგირდმა მასზე მეტი იცოდეს, მას სჯობდეს. ერთი სიტყვით, მეგობრობის, ერთმანეთისთვის თავდადების დრო წავიდა, დღეს ყველას მხოლოდ საკუთარი თავი უყვარს და მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის იღწვის. ვის რაში სჭირდება ჩემი ბნელი გამოქვაბული, როცა ქვეყნად ნათელი, კეთილმოწყობილი სასწავლებლები არსებობს. ერთ დროს მზის ამოსვლას ხელაპყრობილი ვეგებებოდი, შეგირდებთან ერთად ჰიმნს ვუმღეროდი სიციცხლესა და ყოველი არსის ცხოველყოფილობას, ახლა კი მზე თვალებს მტკენს, ზოლო პირი ისე აქვს გამოშხამული, თითქოს ამ დილით მთელი ჯამი ციკუტი დამელიოს.

ზღვის დახერგილი ნაპირი მარცხნივ უხვევდა, ნისლისაგან თავისუფლებოდა და აქაფებულ ტალღებს მშვიდად ეგებებოდა. დაბალი, ეკლიანი ბუჩქები დღის უმანკო პირს ფხაქნიდნენ. ამ გაუდაბურებულ ზეგანზე არც ბილიკი ჩანდა სადმე და არც ადამიანის ნაკვალევი. ყველა გზა წამლილიყო, გადარეცხილიყო. ქირონი ფლოქვეებს ისე სციმდა ქვებს, თითქოს მიწაზე ფეხს ველარ იკიდებდა. მას შემდეგ, რაც გამოქვაბულს გამოსცდნენ, თავი მალა არ აულია, უკან მოუხედავად ისწრაფოდა სიბნელისა და არარსებობისაკენ.

— მარტობაში არაფერი არ მაწუხებდა ისე, როგორც უკან მოხედვა. — ჩიოდა ქირონი. — სახეები იცრიცებოდნენ, დროის უზარმაზარი მონაკვეთები უკვალოდ ქრებოდა და მათ ადგილს უსახურობა ისაუთრებდა. ზოგჯერ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მტკივა-

ნი მუხლის გარდა არცერთი ნაკეთი არ ვამაჩნია. ჩემი ბნელი, აყროლებული გამოკვებადიდან ბევრი რამ სულ სხვაგვარად ჩანდა, ვიდრე მანამდე მეჩვენებოდა. რაც ერთ დროს სიქველედ მიმაჩნდა, გადაფასების შემდეგ უხამსობა აღმოჩნდა. არ ვიცი, ნივთთა ამ მოვლენათა როგორი შერწყმა ჰქმნის სრულყოფილ არსებას, მაგრამ ასეთი სასტიკი შეუსაბამობა, როგორიც ტკივილი და უკვდავებაა, ბუნებაში არ უნდა არსებობდეს, ხოლო თუ არსებობს, არ უნდა იყოს ტკივილი, დაღლა, გულგატეხილობა, ამოვების გრძნობა. ჩემი აღდგენა, ჩემი ტკივილის შემსუბუქება არავის შეუძლია, არავინ მოიძებნება ისეთი, ვინც ჩემს მარტობას, წარსულსა და ცოდვებს გაიზიარებს. რა შეიძლება იყოს იმაზე დიდი სასჯელი, როცა გინდა მოსწყდე ამ ჭვეყანას და შენი თავისათვის ვერაფერი მოგიხერხებია. ყბები გტკივა, კბილები აღარ გვიარგა და მაინც ღეჰავ დროს, ღეჰავ მანამდე, სანამ გული არ აგერევა და რწყევას არ დაიწყებ.

ჭირონს სახეზე სიმწრის ოფლი ასკდებოდა, მაგრამ ლაპარაკს მაინც განაგრძობდა. კენტავრის ღრმად ჩაეარდნილი თვალები დაუნახავს უფრო ეტანებოდა, ვიდრე ხილულ ჭვეყანას. მსიმეფლოკვების ცემა ყველა უცხო ბგერას აზობდა. დაკოკლებული ბიძაშვილის კვალს მისდაუნებურად მისდევდა და რაღაცის რცხვენოდა. ერთი წუთით გარდასახვა, ჭირონის ტყავში გახვევაც კი სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ვერც თავი იცნო და ვერც სხვისი ბუნება შეითვისა.

— სიარული მარტო იმიტომ კი არ მიჭირს, — განაგრძობდა ჭირონი, რომ ფეხი მტკივა, არამედ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ლოდალქცულ წარსულსაც მოვართევ თან. ერთ დროს ჭვეყნად ყველაფერი შესაძლებელი იყო. ორსტეულაანობა და ორსულიანობა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აღამიანებმა სიმეტრია და პროპორცია სამყაროს ძი-

რითად თვისებებად აღიარეს, როცა მწყობრსა და ერთგვარტყენს სიღამაზე უწოდეს, ხოლო ფრანკმათა მოსტყვევას და შეუსაბამობას სიმახინჯე, დაიწყო არსისა და არსებულის ორ ნაწილად გაყოფა, ერთმანეთისადმი დაპირისპირება. ამ ორი ცნების დამკვიდრებამ ისე გარდაქმნა ყველაფერი, რომ მე და ჩემისთანები განწირულნი აღმოჩნდით. ჩემს სიმახინჯეს მხოლოდ ბავშვები არ აქცედნენ ყურადღებას. მათთვის მე უცნაური, სხვებისაგან განსხვავებული ორფეხი ვიყავი, მაგრამ მაინც საყვარელი მწვრთნელი. შემდეგ საბერძნეთი სახელმწიფოებად დაიყო, ცხოვრებამ ჭალაქებში გადაინაცვლა და ჩემი შეხიზვნა აღარავინ ისურვა. დაკოკლებული, ყველასაგან მივიწყებული თავისთავად ამოვირიცხე მოქალაქეთა სიიდან. ეტყობა გამჩენმა იმთავითვე ვერ გაითვალისწინა დროის ყოველსშემძლეობა, თორემ ცოცხალ არსებას უკვდავებას არ მიანიჭებდა.

ჭირონისათვის, ალბათ, არც დრო დაუნიშნავს ვინმეს და არც ადგილი, მაგრამ ისე მიიწევდა წინ, თითქოს იცოდა. საღ უნდა მისულიყო და როდის, ხმელი ბალახი ქვიშასავით ხრამუნებდა. თვალუწვდენელი სივრცე ნაკვეთურებად იყოფოდა და ყოველი ნაკვეთური თავის წილ მიწა-წყალს ღობეს ავლებდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლა იმას, ვის რა სტკიოდა. ლოდინი ამოიწურა, ყველა უკან დასახვეი გზა დაიხშო. შეგნებაში რაღაც გადაადგილდა და ყოველგვარი შეუსაბამობა გათანაბრდა. მთავარი იყო ცეცხლის მოტაცება. მისი მიწაზე ჩამოტანა, სხვა ყველაფერი კი — სასჯელი, განთავისუფლება, უკან დაბრუნება, ზესკენლისაკენ და ჭვესკენლისაკენ სვლა ყოფიერებას ეკუთვნოდა და არა მას.

— რამდენი ზრამ უნდა მეამბნა შენთვის, რა არ გადავინახე, რა არ გამოვიზოგე, მაგრამ, აი, შეგხვდი და სათქმელი თითქმის არაფერი მაქვს. ეტყობა. სიტყვამ და აზრმა ჩვენთვის კარგა ხანი დაკარგა მნიშვნელობა.

ქირონმა მისი სიტყვები გაიგონა, თავი მოაბრუნა და ისე შეხედა, თითქოს მათ შორის აღმართული კედლის დაღეწვა სურდა.

— მე აქამდეც შემეძლო მიმეტოვებინა ეს ქვეყანა, ამის უფლება შენი განთავისუფლების დღიდან მოვიპოვე, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ბოლოს ჩემს კარს მოადგებოდი და არ მინდოდა დაკეტილი დაგხვედროდა. წუხელი თვალი არ მომიხუჭავს. ვემზადებოდი რაღაც ისეთისათვის, რასაც ყველა მოკვდავმა აუცილებლად უნდა გადაუხადოს ხარკი. თვალწინ უამრავმა აჩრდილმა ჩაიარა, მაგრამ ყველაზე ცხადად მაინც შენი სახე იკვეთებოდა. ველოდი არა იმიტომ, რომ გამცილებელი მჭირდებოდა, არამედ მსურდა თვალი შემეგვლო შენთვის. ამიტომაც შევეგებე ამ დილით მზეს. მზის ამოსვლისას ყველა ფარდა იხსნება, ყველა ბზარი და ნაოკი იკვეთება. მართალია, ჩემი მზერა დიდხანს ვერაფერზე ჩერდება, დაბაბულობისაგან იბინდება, მაგრამ ახლა თვალის ერთი შევლებაც საკმარისია იმის დასანახავად, ვინ გადაასწრო დროს და ვინ არა. ხედავ, აი, ამ გამხმარ ფოთოლს. მან სხვებს აჭობა, დროს გადაასწრო, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა, ყვავილობის დროიდან გამოყოფილი ილუზია, რასაც ქარი ერთ დღეს ისევე გაფანტავს, როგორც შენ გაფანტე ჩემი სიზმრები. აქედან მარტო წავალ. ყოველი მოკვდავი სიკვდილს მარტო უნდა შეეგებოს.

ქირონი ცალ ფეხზე იდგა, მძიმედ სუნთქავდა და ზღვას გასცქეროდა. მისი თვალები ქვეყანას კი არ უცქერდნენ, არამედ რაღაცას იმახსოვრებდნენ, თან წასაღებ ბარგივით კრავდნენ. ერთად რომ არ მდგარიყვნენ, წინ გადაშლილ სივრცეს ალბათ სხვა თვალით დაინახავდა, სხვა ფერებს გამოჰყოფდა, მაგრამ ქირონის მზერა ქვეყანას გარდაქმნის, გადასხვაფერების საშუალებას არ აძლევდა. დღეს ყველაფერი მისი იყო და ანგარიში მხოლოდ მისი განწყობილებისათვის უნდა გაეწია.

— საწინააღმდეგო თუ არაფერი გეძებნება, გაგაცილებ ბარემ ბოლფმდე — სთქვა მან და ცხადად ეტყობოდა, როგორ მოიკალათა შეგნების რომელიღაც კუთხეში უსაზღვრო მწუხარებამ.

ქირონმა მტკივანი ფეხი მიწაზე დადგა, მთელი ტანით შებრუნდა და გზა განაგრძო. საუკომანო და თავსამტკრევი აღარაფერი ჰქონდა. იცოდა, სად მიდიოდა და რისთვის. ეკლიანი ბუჩქების მიღმა გადახრუკული მინდორი მოჩანდა. მინდორს ზემოდან კლდე დაჰყურებდა. კლდის ქიმზე ორბი იჯდა. მესხიერებამ სივრცე მოკრიბა, კავკასიონი და მელეას კონცხი ერთმანეთთან დააკავშირა, მაგრამ ეს კავშირი უღლეური აღმოჩნდა.

— მოვედით, თქვა აქლოშინებულმა ქირონმა, ჩაიჩოქა და გაოფლიანებული სახე მოსასხამის კალთით შეიმშრალა.

უხეში ბალახით დაფარულ მინდორზე ქვების მეტი არაფერი ჩანდა. ზოგ ადგილას ბალახი იმდენად ხმელი იყო, რომ ფიჩხივით იმტკრეოდა. რამდენი ასეთი მინდორი მოიტოვეს უკან და ამიტომ ვერაფრით ვერ მიხვდა, რატომ მაინცდამაინც აქ შეჩერდა ქირონი და არა სადმე სხვაგან. რა დაინახა ამ უნაყოფო მინდორზე ისეთი, რასაც გარდუვალობის ნიშანი აჩნდა.

— რატომ მაინცდამაინც აქ და არა სადმე სხვაგან? — ჰკითხა ქირონს ისე, როგორც მორზე თავდადებულ ბრალდებულს ეკითხებიან.

— იმიტომ, რომ სხვაგან არ არსებობს.

— დიდხანს მოგიწევს ლოდინი?

— ლოდინი დამთავრდა.

— რომ არ მივიღოს?

— მაშინ ჩემი ყმული შეამჩრუნებს ცაცობრიობას.

ქირონა გაუნძრევლად იჯდა, მაგრამ მისი ჩრდილი ძლივს შესამჩნევად თრთოდა, განზე გაცოცებას ცდილობდა ეტყობა, მის სხეულში კიდევ იყო დარჩენილი რაღაც ისეთი, რასაც ამქვეყნის მიტოვება არ სურდა. უფერული

დღე უიმედობის გამკვირვალე სუდა-
რაში ეხვეოდა, მზერა ხან უკან იხევდა,
ხანაც ხანდაზმულობის ღრმა ნაოკებს
აკვირდებოდა.

— თუ გეშველება მაინც?

— მეშველება.

უკან გადაქანებული ქირონი ქვესკ-
ნელის სუნთქვას გრძნობდა და დრო-
დადრო ისე იძაბებოდა, თითქოს გადა-
სახტომად ემზადებოდა, ცნოვრებიდან
ბნელეთის საუფლოში გადასახტომად.
სადაც ან სულ არაფერი ეგულებოდა,
ანთა იმედი ჰქონდა, რომ იმქვეყნიური
სიმშვიდე ტკივილს განუქარვებდა, მო-
ასვენებდა.

უცრად მიწა აგუგუნდა, მინდორი
გაიპო და უზარმაზარმა შეემა ხახამ ქი-
რონი შთანთქა. უფრო სრულყოფილი
სრბნელე არასოდეს ენახა. უძირო უფს-

კრული მის ფეხებთან იწყებოდა, მთელ
ამქვეყნიურ სინათლეს ისაკუთრებდა
და არავითარ სხვა უსხლევრობას ვერ
სცნობდა. შეშფოთებულმა ხელები
უკან წაიღო, ხმელ ბალახს ჩაეკიდა, მა-
გრამ სწორედ ხმელი ბალახის სიხეშხე-
შემ აგრძნობინა, რომ დრომ ყველაფერი
თავისთვის მიითვალა, არავის არაფერი
შეარჩინა. რაც უფრო ვიწროვდებოდა
უფსკრული, მით უფრო სწრაფად ირ-
ღვეოდა მისი სხეული, იშლებოდა ნა-
ვთებად, უჩრდებდალ, უმცირეს ნაწი-
ლაკებად, იბინდებოდა, ითიშებოდა გო-
ნება, იხუთებოდა სული და როცა ცნო-
ბიერება წყალში ჩავარდნილ ნაპერწკა-
ლივით ჩაქრა, ვერავინ გაიგო, რა მოხ-
და — მიწამ ჩაყლაპა, ჰაერში გაიბნა თუ
ცამ აიტაცა.



სისოსხლის ჯემ

ემღვნება ხარილაოს ფლორაკოსს, რულა
კუკულას და სხვებს — საბერძნეთის თა-
ვისუფლებიხათვის მებრძოლ ამხანაგებს.
(ნაწყვეტი პოემიდ-ნ)

I

წვიმაში,
ხვატში,
ავდარში,
დარში, —
სადაც იყოს და რაც გინდა იყოს:
გინდა ნიაფი,
გინდა ქარი,
გინდ ქარიშხალი, —
თავს ნუ დახრით და
ნუ შეშინდებით —
ჩემო ლამაზო, საყვარელო ყაყაოებო!..
ცათა ბრწყინვას და
მინდერების ღელვას
უხდება, თქვენი მორცხვი ღიმილი,
ვითა თენებას აღმური მზისა!..

თუ ფერი თქვენი
ღამეულმა დარდილოს ფერმა —
გულს ნუ გაიტყვით, —
გათენდება ბრდღვიალა დილა
და კელავ ჩაიციმვეთ
მოლივილივე, ოქრონა კაბებს!..
წვიმაში,
ქარში,

ავდარში,
დარში, —
თავს ნუ დახრით და
ფერს ნუ დაკარგავთ —
ჩემო კამკაში,
საყვარელო ყაყაოებო!..

გამოდით გზებზე,
ბილიკებზე...
და საზეიმო
ფერებით მორთეთ ირგვლივეთი —
გემუდარებით!..

თქვენ — საბერძნეთის ასულებო!
ო, ღვიძლო დანო,
თავი ამაყად ასწიეთ მზისკენ, —
ვერცა ქარი და
ვერცა ხორშაკი
თქვენს საქორწინო
ლამაზ კაბებს
ფერს ვერ შეუცვლის!..

დღეთა სრბოლაში,
ძველ და ახალ გმირების სუნთქვად, —
მარად ენთება
ყაყაოთა უქრობი ცეცხლი!..

II

ცვრიანი დილა
 ამომავალ მზის შუქზე ბზინავს, —
 დგას პარტიზანი ქალიშვილი
 მწვანე ბექობზე, —
 სევდიან მზერით ეფერება
 ცასა და მიწას...
 ტყე გახვითქული ცხენივით ფშვინავს
 და ფოთლებიდან ცრემლებივით
 იღვრება ცვარი...
 დგას პარტიზანი ქალიშვილი
 და შეპალადებს
 ელადის ზეცას,
 მთაგორებს და მზეს ამომავალს:
 „ო, საყვარელო,
 სულზე უტკებუო,
 გაწამებულო მამულო ჩემო!..
 ჩემო გრამოსო, —¹
 გამარჯვების ოცნებით სავსე! —
 შენი დიდების დარაჯად ვდგავარ,
 გარს მახვევია ურიცხვი მტერი,
 მე უკან მაინც არ დავიხვე,
 არა და არა?..
 თუნდაც ეს თოფი
 სანთელივით ჩამადნეს ხელში,
 გამოშლიოს სუყველა ვაზნა,
 აღარ შემეძლოს მტრებისათვის
 ცეცხლის გაგზავნა, —
 მე გულის ცეცხლით გადავწვავ ყველას, —
 ვინც შენ გჯიჯგინს და
 სულს გიხუთავს,
 მამულო ჩემო!..“

ჰა, ვიწროვდება,
 ვიწროვდება
 მტარვალთა ალყა,
 ამაყ ქალიშვილს
 უმძაფრდება
 თვალეში რისხვა,
 უკანასკნელად ეფერება
 მშობლიურ ციდან
 გადმომდგარი მზე
 და სხეულზე ედება ცეცხლი!..
 ...აჰ, ამ ადგილას,
 უზრუნველად მღეროდა ერთ დროს,

¹ გრამოსი — მთა ჩრდ. საბერძნეთში.

მზენარევე ნისლში
 უფრენია
 ლამაზი ფრთებით
 და ჩიტთა ქღურტკულს
 ააყლია
 ნაზი გალობით...

...ჰა, ვიწროვდება,
 ვიწროვდება
 მტარვალთა ალყა,
 მორჩა,
 გათავდა —
 აღარ დარჩა არცერთი ვაზნა, —
 უკანასკნელად მიმოავლო
 გარემოს თვალი,
 სისხლი თქრიალით
 გადმოსკდა მკერდით,
 მზე ჩაიტოვა თვალეში და...
 დალია სული!..

გრამოსის მთიდან
 ახლაც ისმის ძახილი თითქოს:
 „ო, ჩიტუნებო,
 ჩემო კარგო, ოქროს ჩიტებო! —
 დარდსა და სევდას
 ნუ გაირევთ
 ხასხასა ხმაში, —
 მე არ მოვმკვდარვარ —
 მე ელადის სუნთქვაში ვცოცხლობ, —
 მედგარი ბრძოლით გათენდება
 მშვიდობის დილა
 და გამარჯვების მზეს შევხვდები
 ცოცხლებთან ერთად!..“

III

ცხადი ხომ ტანჯად გადაგვიტყეხს, —
 სიზმრებიც ხელაყვეს:
 ფერად სიზმრებსაც
 ჩხვლეტენ ვკლებით
 და გვტკივა სული —
 ძილშიც და ცხადშიც!..
 შეახრამუნეს
 იმედითა და ოცნებით სავსე
 ჩვენი სიზმრები
 და სისხლიც ჩვენი
 ზედ მიაყოლეს აღისფერ ღვინოდ!..
 ბრძოლის ჭარცეცხლმა
 გაგვაკაჭა და გამოგვაწრთო



და ქარიშხალმა მიგვეფანტ-მოგვეფანტა
 ფოთლების მსგავსად, —
 ვინ — სად და ვინ — სად!..
 კვლავინდებურად
 ზეცას ერთვის კენესა მიწისა,
 უსამართლობის ცივი თოვლით
 მძიმდება მიწა
 და გულის ცეცხლი
 აღნობს ყინულს —
 ამაყი ცეცხლი!..

IV

ო, ჩემო რულა,
 საყვარელო დაიკო რულა!
 შენმა ხელებმა,
 უნაზებსმა შენმა ხელებმა
 გაიბრძოლეს და გატანჯული
 სიცოცხლის ფასად
 ააფრთხილეს გალიიდან
 ცისფერი მტრედი,
 მტრედი, —
 რომელსაც უმზადებენ
 ახალ გალიას!..
 შენს ნაზ ღიმილში
 თვინიერი სიმშვიდე სუფევს —
 გამოსასყიდად
 ძმათა შენთა
 დაღვრილი სისხლის!..
 მონატრებული დაო ჩემო —
 დიდება შენდა!
 შენს ღიმილშია
 ცისარტყელის ლამაზი ფეთქვა
 და ფიცი შენი მეორდება
 სიცოცხლის ვქოდი!..

V

ყური დაუგდეთ
 მთის არწივის —
 ეტისის ყაშყაშს, —
 მზის ამოსვლისას

დიდებულად ლივლივებს იგი...
 ყვავე-ყორნებისთვის
 მოაქვს ეტისს
 სასჯელი — ცეცხლი!

ეტისის ირგვლივ
 დარაზმულა
 მებრძოლი ხალხი,
 ხალხი, —
 რომელიც მიჰყვებოდა
 მხარდამხარ გმირებს:
 ვოლოკოტრონისს,
 ძაველას და
 კარაისკაკისს!..
 მალე,
 სულ მალე

მზე ამაყად ამოენთება,
 დაღვრილი სისხლი
 აყვავდება ყაყაჩოებად —
 ტანჯული ხალხი
 გააგრძელებს
 შეწყვეტილ ცეცხლს
 და გამარჯვების
 სიხარული
 აანთებს გულებს!..
 მანამდე —
 ყველამ,
 ყველამ,
 ყველამ, —
 ქალმაც და კაცმაც,
 დიდმა,
 პატარამ, —
 გული გულს
 და ხელი ხელს მისცეს, —
 დე, ეგეოსი ბობოქრობდეს,
 ვით მოწოდება! —
 რათა მზე მალე ამოენთოს
 ამაყად მთებში
 და გაიშალოს გაღვიძებულ დედამიწაზე!..

შალვა ამისულაშვილი

მევენახეობის გავრცელება

კაი ყოფნა და სიუხვე
შელავს შოაქვს კაი უმისასა.
ხალხურა

1.

მეგონა, შილდაში მოვხვდებოდი. მეგონა და აკი გზადაგზა იმიტომაც ვიშორებდი ტი-
ციანის სიტყვებს: „შილდაში მღერის დედას
ლევანა და ართანაშა უარალაშვილი“. არც
მერი შილდელის სახელი დამეჩვენებია. თან
ამასაც ვფიქრობდი, სადაც მომღერლები იბა-
დებიან, იქ შრომის გმირებიც იქნებიან-მეთქი.
სინამდვილეში საქმე სხვანაირად დატრიალ-
და, უვარლის რაიკომის მდივანმა, ავთანდილ
დავითაშვილმა შეიღდა კუკანით შეიკვალა,
მერე რაიკომის ერთი ახალგაზრდა ინსტრუქ-
ტორი გამაცნო, მეგზურობას გაგვიწევსო.

ჩემს განწყობილებას უცებ ფრთები დაეშ-
ვა. დავითაშვილმა შემატყუო და გამამხნევე-
ბელა კილოთი მითხრა: კუკანში აღექვანდრე
ჩიხვადეს შეხედები, სოციალისტური შრომის
გაიჩია, თანაც თორმეტა შეჯალს მამა.
ნგონი, უფელაზე უფრო ის გამოდგება თქვენი
ნარკვევის მთავარ პერსონაჟადო.

მამსოვს, ჩემს ბავშვობაში, გავგონარსა და
ახტაჩანა გოგოებს კუკანში გათხოვებით ეშუ-
ქრებოდნენ, მაგრამ რისთვის, რატომ, რა იყო
მიზეზი?! — ახლა ეს ფიქრი ამეყვიატა გზაში.

იქნებ, მიზეზი იმ სოფლის სიღარიბე, სიღა-
ტაკე და სიღუბე იყო.

ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია გავიხ-
სენე, ადრე მასში ჩემი ძველთაძველი სოფე-
ლიც ვერ აღმოვაჩინე, კუკანის როგორ ვიპო-
ვიდი. ფიქრი ჩემს ახალგაზრდა თანამგზავრს

გავანდე. მან გაიციანა, ძალიან ღრმად შეჭრა-
ლხართ წარსულში, კუკანს ნახევარ საუკუნე-
ზე ცოტა მტი ისტორია თუ ექნებაო.

მიპქროდა ჩვენი ციხფერი მანქანა, წინ
თეთრი აპრილი მიუძღოდა. მე ფიქრით აღექ-
ვანდრე ჩიხვადესთან ვიუფი უყვი...

სოფელ კუკანის დასაწყისთან იქაური პარ-
ტორგი დაგვხვდა, პავლე ბუზალაძე და ჩიხვა-
დესთან კი არა, კოლმურწეობის კანტორაში
წავიუფანა, რათა ჭერ თემჭდომარე შურა
სიკანტელაშვილი გვენახა. იგი ადგილზე არ
დაგვხვდა. გვითხრეს: ცოტა შეუძლოდ იყო
და შინ წავიდაო.

ჩიხვადეს ნახვა მეორე დღისათვის გადაე-
დეთ. პარტორგი თავმჯდომარესთან გეუშრა.
მე და ინსტრუქტორი ისევ უვარლის გზას
დავადექით. გზაში შევხვებენე, ხვალ ჩემი
გულისათვის აღარ მოუდენილიყო, მე თვი-
ონ გავართმევედი თავს უოველივეს, მით უმე-
ტეს კუკანელებმა უყვი იტოლდნენ ჩემი იქ
ყოფნის ამბავი.

მალე მთავარ გზატკეცილზე გავედით, ალაგ-
ალაგ შრიალა ვერხვების ხეივანში მიიკლაკენ
ბოლა იგი, რაც აქეთობას არ შემომჩნევია რა-
ტომაც. გაპარულ ასფალტზე ჩამავალი მზას
კოცონები ენთო...

2.

დოლის ცხრა საათი იქნებოდა. კაკუნი გაის-
მა. კარი გავადე, დერეფანში ვიღაც კაფანდარი
ჭაბუკი იდგა. მე მიკაოხა, გამოვემცნაურე.

მანქანით ვარ კიკიან-დან, თავმჯდომარე გემოვნაზედა თქვენს წასაყვანად, თამაში მქვია. დაბლა, სასტუმროს წინ დაგვლოდებიო...

კიკიანელი თამაზ-ბიჭი პირველ სართულზე დეშვა, ზე კი მცირე ხნით ისევ ოთხსაში შევტრიალდა. დრო აღარ იყო დედა, დაფაცურდი და სამორივერში სიტყვა დავტოვე, სადაც მივდივარ.

მანქანაში რომ ჩავსხედით, ისევ თავმჯდომარე ჩამოვუვადე ლაპარაკი თამაზს:

— გუშან, მგონი, ცუდად უყოფილა თქვენ თავმჯდომარე, დღეს, ალბათ, თავს უკეთ გძნობს, თორემ...

— დიხ, დილას ექვს საათზე კანტორაში იყო უკვე და კომპლექსურ ბრიგადებს სადღერო დავალებები მასცა.

— სულ რამდენი კომპლექსური ბრიგადაა თქვენს კოლმეურნეობაში?

— თერთმეტი. თვითელი მათგანი სამოც-სამოცდაათ კაცზე ნაკლებს არ ითვლის.

— აღექსანდრე ჭიხაძე რომელ ბრიგადაშია?

— მესამეში!

— თავმჯდომარე კმაყოფილი თუა ჭიხაძის მუშაობით?

— არ ვიცი. კმაყოფილი იქნება ალბათ, მაშ სოციალისტური შრომის გმირი რისთვისა მქვია ამ კაცს?

— აღექსანდრე აქურია, თუ ჩამოსულია საიდანმე?

— ტყიბულელია. ცხრაასოთხმეტში გადასახლებულია მისი ოჯახი აქ.

— მაშინ თქვენი სოფელი არც იქნებოდა.

— მართლაც ბრძანდებო, საიოდე კომლი სოფლად არც ჩათვლებოდა. აღექსანდრე ჭიხაძე კიკიანის მეოთხე თუ მეხუთე მოსახლეა მერე აბესალა ხუცუშელი გამოჩენილა. ის კიდევ კიათურელია. ადრე აბესალომი რქმეგია. აბესალომი აბესალად გადაწოდებეს და საბუღელებს ვადაურქმეგიათ, რადგან აბესალომი, იმათი ფიქრით, მხოლოდ უღამაზები კაცი უნდა ყოფილიყო.

— აბესალომი და აღექსანდრე თუ მეგობრობენ ერთმანეთში?

— მეგობრობენ და მერე როგორ?! სწორად შეგებრებაში გამოუწვევათ ერთმანეთი.

— წილსაც თუ გამოიწვიეს?

— არა მგონია...

— რატომ?

— იმიტომ, რომ აბესალომმა სამოცდაათ-თმეტს ვადააბაქა, არც აღექსანდრე უნდა იყოს იმაზე პატარა. ბებრების შეგებრება კი, აბა, ვის გაუგია?

სულ მალე სოფელი ოქტომბერი გამოჩნდა და თამაზსაც საუბრის თემა შეცვალა, მგონი რაღაც იუბერბულა თავის ნათქვამში.

— ოქტომბერს წინათ ზინობიანი ერქვა,

კიკიანე ცოცხალი სოფელია... აქ ცხოვრობენ უდები ანუ უდინები. რამდენადაც ვამიგია, კაცასიული ალბანელები მყოფდებიან უნდა იყვნენ. ვადოსახლებულან ამ კორპორაციის დახუთიოდ წლის წინათ საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთიდან, სოფელ ვარაშენიდან. ეს მომხდარა ვინმე ზინოს თაოსნობით და ზინობიანსაც ამიტომ უძახდნენ პირველ ხანებში.

— საინტერესოა, რა იყო მიზეზი მათი გადასახლების მთავარი მიზეზი? — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

თამაზმა პასუხი არ დააუცნა:

— მგონი, მუსავატელებს დაურბევიათ სასტრუქად და ვართამენელებს სხვაგან სად შეინიზნებოდნენ, თუ არა ჩვენთან?

— რომელ კოლმეურნეობაში ირიცხებიან და მუშაობა თუ იცინა მუყაათი?

— დასაძრახი არაფერი აქვთ. ჩვენს კოლმეურნეობაში არაან გაერთიანებულები და კარგად ვიცნობ მათ ავსა თუ კარეს. სხვათა შორის, ჩვენი კოლმეურნეობა ძალიან ინტერნაციონალურია... საერთო შრომაში არც ლეკები ჩამოვვრჩებიან, ზოგი მათგანი განთქმული მტევნაზეც კია. მათ შორის შემოიღია დავასახელო რამაზან იბნაფი და ახმად-ალი შაშალოვი, სოფელ ჩანთლისურეთში ცხოვრობენ.

ამასობაში კიკიანიც გამოჩნდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შურა სკინ-ქელაშვილს კვლავ ერთი ფეხით გაეწრო ჩვენთვის. გადაწვევით, მარტოს შენახა აღექსანდრე ჭიხაძე. თამაზი უარზე დადგა, თავმჯდომარეს ეწყინებოდა...

მოსაცდელად კანტორაში შევედი. თამაზი ნერვიულობდა. მიზეზს არ მიხედავდა.

ბედურ ქალბატონი შურა მალე დაბრუნდა, რომელიღაც ნაკეთზე ყოფილიყო შესამოწმებლად. მას ჩემი თავი თამაზმა გააყნო. ხელა თამაზად ჩამოვართვით ერთმანეთს, საუბრის დაწყებაც არ ვაგვიძნელებია.

ვაუტარად შევრეკილა თმები ერთგვარ სიმსუბუქეს და, მგონი, ერთგვარ სინატიფსაც ანიჭებდა მას. აპრილის მზიანი, კაშკაშა დღე იყო გამიყვარდა, რომ იგი უთავსაფროდ ყოფილიყო მინდვრად.

აკი კოლმეურნეობის პარტორგმა მეგობრულად შენიშნა კადეც:

— ამ გაგანია სიცხეში უთავსაფროდ სიარული როგორ შეიძლება! ერთი სასაფხულო ქოლგა მაინც გეშოვათ სადმე..

შურამ სიცილით უბასუბა:

— კიი სასაფხულო ქოლგა, მართლაც, რომ კაია, მაგრამ ჩემთვის ვინ გაიმეტებს, როცა მამაკაცები მარტო ავდარში კი არა, დარშიც ქოლგებით დადიან.

კანტორაში ვუღიანი ხარხარი ატყდა, თავმჯდომარე ფეხზე დგომით დაიღალა და

ფრთხილად დაეშვა სკამზე თავის დიდ, ფართო მაგიდასთან; ბოლოს შურა ჩემზე გადმოიტანა: ცოტახანიც მოითმინეთ და აღექსანდრე ჭიხაძემ აქ გეახლებათ, კაცი მყავს გაგზავნილიერ.

მერე, ის კაცი მოვიდა, მაგრამ ჭიხაძემ ამ მოპოვოდა. ახალსოფელში წახულიყო. იქ ქალიშვილი მყავს გათხოვილიო. ალბათ, უჭირდა რამე, თორემ კიკაინიდან ფეხს არ გასდგამდაო...

იმ კაცს მალე სხვა კაცი მოსუვა. იმან კიდევ თამაშს მოაკეთებ, მამაშენია ცუდად, წაძი, მიხებდე, მგონი წამლებია ჩამოსატანი უვარლიდანო. თამაში კარისაკენ გავეშურა, თავმჯდომარემ სიტყვა დაადევნა, უმანქანოდ არ წახვიდეო... მერე მე მომიბრუნდა და ამოიოხრა: საწყალი მამამისი დიდხანია გულს უღივიბო...

რადგან ჭიხაძემ „გვილატა“, შურამ გადაწყვიტა, აბესალომ ხუციშვილს ესტუმრებოდიო შეამაგრის ვენახებში. ეზოში ჩავედიო. ქრეშართან დიდი სატვირთო მანქანა იდგა. ორდენი კაბინაში ჩავსხდით. შოფერი ცოტა შევაფიროვეთ, ცალი წარბი ალბათ იმიტომაც გაიღამაქურა.

3.

ხანდაწმულობის მიუხედავად, აბესალომი არც ისეთი შერუხედავი აღმოჩნდა, როგორც ეს გავაზრდებოდა და საბუღელებს ეგონათ ერთხელ. ახალგაზრდობაში კიდევ, ცხადია, უკეთესი იქნებოდა. მაგრამ ისიც ხომ უთქვამს ხალხს, კაცს შრომა ალამაზებსო, პოდა, სწორედ ამ სილამაზით არის საინტერესო აბესალომ ხუციშვილის მთელი ცხოვრება.

მას, როგორც მოხუცებულს, ამეზამდ ნახევარი ჰექტარი ვენახი ჰქონია გაპიროვნებული შეამაგრის ფართობებზე, ასევე აღექსანდრე ჭიხაძესაც. მხოლოდ სხვა ადგილას.

— წელს თქვენ და ჭიხაძეს რატომ შეეპირებინათ არ გამოგვიწვევათ ერთმანეთი, პატრიცმულო აბესალომ?! — იყო ჩემი პირველი მოკრძალებული კითხვა.

— თქვენ საიდან იცითო, შეიცხადა. ბოლოს პასუხს აღარ დაელოდა და გადაპირით მიიხრა: უმცროსი ისაა, გამოიწვევოს და მეც თანახმა ვიქნებო.

მე და შურამ ერთმანეთს გადავხედეთ მოგვეწონა მოხუცის პირდაპირობა.

საუბარში შევატყვე, რომ აბესალომს ლაპარაკი არ უჭირს, ამიტომ შევითხვებს თავი დავინებე და ნებაზე მივეშვი. შურა კი შოფერთან ერთად სხვა საკომპლემენტო ნაკეთების დასათვალისწინებლად გაეისტუმრეთ.

— წარმოშობით იმერელი ვახლავართ, კიათურის რაიონიდან, ბატონო. მაღაროშიაც მიმუშავია, მაღაროდღად კი არა, ისე, ბატონო

ხელზე მოსაშახურედ. მაშინ თოხსმეტი წლას ძლივს ვიქნებოდი. მაღაროს მფლობელს ერთი დიდუბრა ვირი მუხადა, შეეკანავედი, ზედ კალანჩებს გადავკაღებო ხურჩინივით, შვი ორ კოყურას ჩავუდგამდი. მე კიდევ გაეზურ მოვსებოდი ხოლმე და მამადა. დავძრავდი წყაროსაკენ წყლის მოსატანად.

აბესალომმა ცოტახანს სული მოითქვა, (მამა ლიან ჩქარა ლამაზობდა), ისევ განაგრძო თავისი შთავარი სათქმელი:

— ეგრე ვაჩხიყულს რომ მიფურბობ, ბატონო, მართლა ასე კი არა საქმე, სამი ომის მომწიფე ვახლავართ, ორი მსოფლიოსი და ერთიც სამოქალაქოსი... ღარიბები ვიყავით, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ იყო. ჭერ ერთი ძალიან მწირი ადგილები იყო ჩვენში, მერტყე — უმწიფობა და უმამულოებს სიმდიდრე საიდან გვექნებოდა. ეს ომიანობა კიდევ ხომ სულს ვახმადდა პირდაპირ. აი, სწორედ ამ ვაჭირვე-მამ მოგვიყვანა კახეთის მიწაზე მე და ჩემი ძმა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მივახარეთ მიწას. რა ვქნათ, ეგრე უოფილა წუთისოფელი და, რას ვიკამთ...

— ეჰ, რას ვიკამთ-მეთქი, — მეც დავეუბნებოდი და კვლავ თავის ნებაზე მივეშვი.

— მე და ჩემი ძმა აღექსი რომ დავსაზღდიო აქა, ასეთი წალკოტი კი არ იყო მაშინ. ტყეებზე რომ არაფერი ვთქვა, ძეძენარს, ჭანარსა და გახვევებულ ბაღებს კლანჭებით ვაფარჩხულ ფესვებში მოვეწყვედიო ჩვენი მარჩენალო მიწა. დიდი ოფლისდგრა დაგვიკრდა, რომ პირველი ხნული ვაჭიშულიყო ახლად დაბადებულ მიწაზე. ამა წარმოიდგინეთ ადგილი, სადაც შინაური ფრინველი ვაგარუდდებდა, სადაც შინაური პირუტყვი გაქუხდებდა და გავუღურდებდა, რა უბედური დასაძლევნი იქნებოდა ის ადგილი?!

აბესალომმა, შურა რომ დინახა შოფერთან ერთად ჩვენსკენ მომავალი, უფრო დაუჩქარა ლამაზაჲ.

— მუყოთობაში მე და ჩემი ძმის სხვებმაც მოგვაძახეს. ახლა აღექსანდრე ჭიხაძემაც ამოგვიდგა მხარში, მთლად წელში გავიმართეთო, კოლექტივი არ იყო და კოლექტიური შრომით ვძლევდით უველაფერს... შემდეგ, ბატონო, კოლექტივობაც დაიწყო. დაიწყო და პირველი კოლექტივის პირველ თავმჯდომარედ მე ამიჩიხეს. ხალხი ძალიან მენდობოდა და მომდევნო კიდევ. ახლა რომ ორსართულიანი კვატორის კანტორა აქვს კიკაინის კოლმურჩეობას, მაშინ სად იყო ასეთი რამ. მახოვს, ვამგეობის პირველი კრება ჩემს ყორწილმებულ ეზოში გაიმართა...

შოფერთან ერთად მომავალი თავმჯდომარე, რაც უფრო გვიახლოვდებოდა, აბესალომიც უფრო და უფრო ჩქარობდა... ჩქარობდა, რათა მოესწრო უველაფერის თქმა.

— სხვა ომებს აღარ ვავიხსენებ და დიდ სამშულო ომიდან ცხრაასორმოცდახუთში დავბრუნდი. ახა იმ წელს რაღა იქნებოდა და ცხრაასორმოცდაექვსში ურთი პეტტარი აბენჩა-რი ვენახა ჩამაბარეს. მოდა, სტალინგრადიდან პერლინამდე ბრძოლით ნახიარულეე კაცს ერთხელ კიდევ მომიარა ვაწის სიყვარულმა და...

— ამ დროს შურას ხმაყ გაისმა:
 — რაო, რაო აბესალა? ძაბი, კაცი დავბერილო და კიდევ სიყვარულზე ლაპარაკობ?!
 — რატომაც არა...
 — უჩაღ, ბერიკაცი! — მხიარულად შეუძახა შურამ.

— მოდა, ერთხელ კიდევ მომიარა ვაწის სიყვარულმა და ის პეტტარი ვენახი ხუღ მცირე ხანში წალკოტად ვაქციე.

— ეგ ცარიელი სიტყვაა, აი, როგორ აქცეე წალკოტად, მოავარი ისაი — შეუთხო ცეცხლი თავმჯდომარემ.

— მიწა ფურკამეჩივითაა, — განაგრძო აბესალომ, — ვაპყნეთ, ვვაპყნეს, არა და, შენ შეთვისა და შე ჩემთვისაო. ოცდაშვიდი-ოცდარვა ტონა უურბენი რომ გამოგვქონდა თითო პეტტარ ვენახიდან, ორი ძმდენი კიდევ სასუქა შეგვქონდა შიგა... ჩემი თუ არა გქერაო, აგერ აღქსანდრე ჭიხვანსა პეიბოთე... ახლა რომ ტექნიკაა, მაშინ საღ იყო. თოსი, ბარი და ცხენახ გუთანი, აი შთელი მაშინდელი ტექნიკა!

აბესალომ უცხად გაჩუმდა. აღბათ, ფეხებზე გაუხსნა ჭიკჭე ჯდომამ თუ შეაწუხა, წამოდეგა, წელში გაიმართა და სიტყვაც გამართა ისევ:

— დღეს ისეა გაიოლებული შეშაობა, რომ შახიამანსაც ტრაქტორის საშუალებით ასხურებენ ვენახს ორასლიტრის ბოლონიბიდან. შე კი ავ გამხმარ ბეჭებზე სილენძის კალოხანა „აბარატი“ შევიდა და ისე ვუჭეუტუნებდა ამდენ ვაფოთლიდ ვაწებს. მერე, ერთხელ და ორჯერ კი არა, რეაქტორ მთელი სეზონის მანძილზე... დაბ, ახლა რომ ტექნიკაა, მაშინ საღ იყო, და მიუხედავად ამისა, არიან ქუკაანში მევენახეები, რომენდის თითო პეტტარ ვენახიდან სამ ტონაზე უვეთ მინც ვერ იღებენ მოსავალს...

— თქვენ თვითონ როგორა გაქვთ საქვე ამ მსრივ? — პეიბოთა თავმჯდომარემ.

— ვაგოების ხელში გამოვლილი ვენახა რომ ჩამაბარეთ, არ იციო, როგორ მეტნება საკმე? აგერ, გამხედეთ ვაწებს, ისინი გეტყვიან რემ სათქმელ... მოვლით კი უფლი, მაგრამ დრო, დროა საჭირო, ქალბატონო შურამ ერთ ეს მემჩბერი ადგილები შედევსო და სარეკორდო მოსავალი თუ არ ჩავაბარო, აი ეს ქული ნუმიც მხურებაი! — თქვა აბესალომ და თუშერი ქული მიწაზე დაამხო...

დაშვიდობებისას აბესალომი ბეგრს ეყრებეწა, შინ წავეოლიდით. შურა უარზე დადეგა, სხვაგანაც ვართ მიხასველებიო, უსსე რომ არ იყო, ძმაზე მკლოვიარედ წარდა — შენძ დებოა. მკლოვიარედ რომ ვარ, მეც მიტომ გეპატეებით, შესანდობარს მინც ვიტყოდიო.

ჩავსხედით ისევ სატიერთო მანქანის კაბინაში შე და შურა. შოფერმა ერთხელ კიდევ გაიღმეცრა ცალი წარბა... კაბინიდან თვალი მოვყარ, მიწაზე დამხობილი თუშერი ქული თუ როგორ ნერვიულად აიღო ხელში აბესალომმა. მე გულში რაღაც გამოუთქმელი სიხანული ვიგრძენი.

4.

ქუკაანელებს სახნავ-სათესი მიწები, ვენახები, ბაღა-ბაღები და, წარმოადგინეთ, საძოვრებიც კი, სხვა სოფლებივით შორს კი არა აქვთ, არამედ იქვე, სოფლის გარშემო. ამიტომ იყო, რომ იმ დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მრავალი ადგილი დააოთვადიერებინა, მათ შორის ალექსანდრე ჭიხვანის საკოლმეურნეო ნაკვეთიც. ავ თვალს არ დაენახებოდა, ისე იყო მოვლილი.

— აი, ასე რომ უფლიდეს ყველა თავის ნაკვეთს, მეტი რაღა გვინდოდა? — ჩაილაპარაკა თავმჯდომარემ.

— კაცს თორმეტი შვილი ტყუილად ჰუავს?! — გაღმოაღაგა თავისი გულის წადები შოფერმა.

— შეოლები სხვასაც ჰუავს, მაგრამ ვენახები არ უფარვათ, არაი — თქვა გადაქრით თავმჯდომარემ.

სოფელ წინობიანის იქით, ყვარლასკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხრიდან ჭეჭილების სამწვანემ შემომანათა თვალმში. შიგ შესული ნახირო რომ დავინახე, კინაღამ ვუკოვლე, თავმჯდომარემ შემამჩნია და მშვიდად მომმართა:

— მანდ ნადრევი ქერის ნათესებია, საძოვრებად ვიყენებთ. მეწველი საქონელი გულს რომ იჭერებს, მერე გადავხვით და სიონდს დავთესავთ, ტყესავით წამოიშლება ნაქერალ მიწაზე, დიდრონ, დიდრონ ტაროებს დაუარის...

ნათქვამია, რასაც დათეს, იმას მოიპეო. ამ ხალხურ თქმაში დიდი სიბრძნეა. ეს კარგად იციან ქუკაანელებმა და მომზადებულადაც შეზედნენ საგზაფხულო სამუშაოებს, მიწის უკვილს ადრე გაზაფხულიდანვე გახუვენენ კვალდაკვალ...

1971-1972 წლების მაკრამა ზამთარმა დიდი ზარალი მიავენა საერთოდ კახელ მევენახეებს. მას ვერც ქუკაანელები გადაურჩნენ: ასოც პეტტარზე ვენახი შტამზე გადაიჭრა და ახამდე პეტტარ ფართობზე კიდევ ვაწი მთლანად ამოიძირკვა. მიუხედავად ამისა, შარშან შემო-

დგომარე ექვსას ტონაზე მეტი ყურბანი ჩაბარეს სამშობლოს.

მევენახეთა ამ მწვანეღობაში თავისი საქმით ერთხელ კიდევ თავისებური სიტყვა თქვა სოციალისტური შრომის გმირმა ალექსანდრე ჭიხვაძემ, მასთან ერთად პ. ქვაკრელიშვილმაც.

არც გასული წამთარი უფილა თავზე ხელის მომთათუნებელი, უმოწყლოდ დააწანა მოსავლიანი კვირტები, ერთწლიანი ნაწარდა ვაზიც, მაგრამ ჭიკაძელებმა გულა როდი გაიტყვეს, 1978 წელი დამკვრელური შრომის წელიწადად აქცევს.

მათ არც აკურთ მემინდვრები ჩამორჩებიან.

ჩვენ რასაც ვკისრულობთ, უსიკვდილოდ შევასრულებთო, — ამბობენ ჭიკაძელები. შეასრულებთ კიდევაც, როცა ხუციშვილისთან და ჭიხვაძისთან ვუთქაყებო ყუოლებმა სოფელს. არანაყოფე ქეზას იმსახურებს აგრეთვე პაველ უიფშიძე, რომელმაც ჩედიმეტი ფურკამენი აბარია მოსავლელად და წველაღობის გეგმებს გადაქარბებით ასრულებს. რომელი ერთი ჩამოვთვალთო, სხვაც ბევრია. მაგრამ ესენი ხომ ძველი თამბახანი არიან. მათ ნაკვალავზეც ახლებიც დავუთქაყებულან.

აი, თუნდაც აგროტექნიკოსი გიორგი ყიფშიძე, შინაურულად ყოჩას რომ უძახან. იგი მერვე ბრიგადის ხელმძღვანელობს. კოლმეურნეობაში „ბრიგადის შუქურად“ არის ცნობილი. თავისი საქმის ასევე კარგი მცოდნეა შოთა ხულოშვილი. მას რატომღაც სიტყვა „შეღორება“ არ მოსწონს, „მეტახეობის“ ფერმის გაშვებაზე სდებს თავს. ვეტექიკობის მოვალეობას ღირსეულად ასრულებს ნიკოლოზ ხუციშვილი — მევენახე „ახეხლას“ უფროსი ვაჟიშვილი... ამ ვაჟიშვილების გვერდით უნდა დავასახელოთ სახელოვანი ახლგაზრდა მეფრინველე ქალი — ზინაიდა ბუზალაძეც...

5.

აი, ჩვენ უკვე შოთა ხულოშვილის „მეტახეობის“ ფერმაში ვართ; ამ ფერმის პარველა ბრიგადა აქვეა, მეორე — თებულ-ჩოხში. ფერმის გაშვებ ადრე ვუფუნა მოლაშვილს უწუშავნია, საქმისათვის თავი ვერ გაურთმევია და კოლმეურნეობის გამგეობის დავალებით, მეორე თვეა, რაც იგი შოთა ხულოშვილმა შეცვალა თურმე.

პაველ ბუზალაძეც ფერმაში დამხვდა. — ვიდრე ესენი მწუნესურს ხუფრას ვაწყოებენ, ჩანთლისყურბენი ავიდეთ, — მიობრა მან, — ღეკები ცხოვრობენ იმ სოფელში. აქვეა, მოტოციკლით ავირბენენ და ჩამოვირბენეთო.

ვილაყამ დიძახა, იქ რა გინდათ, კაცო, როცა აქედანაც კარგად ჩანსო. ჩვენ მანც წავედით. მართლაც, იმაზე მეტი ვერაფერი ვნახეთ, რაც შოთა ხულოშვილის „მეტახეო-

ბის“ ფერმიდან ჩანდა, მაგრამ იქ ვნახეთ ერთი საუცხოო კაცი, რაწლიანი სკოლის დარქტორი მაჰმედ-ალი მაჰმედის მწვენილი ლეკის ბავშვებს მწვენიერად უჭარხულს სწავლის. პარფესიით ავრონომი უფილა. ოდესღაც ავართში წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა. მქონდა პატარა ვენახიც, რომელსაც თვითო უვლიდა თურმე. პატარაობისას ვინმე აფენდებრეშია ყველაშვილის ოჯახში უცხოვრია და ქართულსაც აფენის საშუალო სკოლაში დაუფლებია.

იქიდან რომ წამოვიდეთ, მაჰმედ-ალი მაჰმედის-ძეც თან წამოვიყვანეთ. გზად ცოტახანი ჩანთლისწყაროსთან შევიჩრდიეთ. წყაროსთან, ტირიფის დახრილ ტოტზე ლეკური თურგა ეყავა სპილენძისა, ჩამავლ მწვენი უცნურად ბზანავდა. მის ქვეშ ლეკის პატარა ბიჭები ირეოდნენ, მოფერებით ტილა-ბიჭებს რომ ვატყვით სოლმე ქართველები. ტილაც ხში ბიჭხა ნიშნავს ლეკურად. მათ შორის რამდენიმე ექრიალა გოგონაც ჩანდა. გამოველაპარაკე ბავშვებს, ყველამ მშვენივრად მინახუხა ქართულად. გახარებულმა ლეკური თურგა ტირიფის ტოტიდან ჩამოვიდეთ, შიგ ცოტადენი წყაროს წულა ჩავაყენე და სპილენძის ძველებურ ბუკივით ბოლო ავაწვენიე ტუჩაზე მოუუღებისას, ლეკის ბავშვები ვაცირვებათ შემოწეურბენდნენ. ზე მათ სათითოდ მუვათურბუც. ცალ თვალზე ცრემლი მომადგარატომღაც...

მალე სუფრაც გაიშალა.

ჩვენ ყველანი მწვადებს შევაქცყოფით, ხოლო მაჰმედ-ალი მაჰმედის ძე ცივად მოხარულ დედალს მიირთმევდა, ჩვენს ჩუმად ფერმის ბიჭებს საგანგებოდ დეკლათ მისთვის. მოყლდე, სამწო, სამეგობრო სურდა იყო ვაშლილი.

ჭერ კაკლას ქვეშ, ნაბადგადაფარებულ გქავებულ ფესვებზე ვისხედით. მერე, ბოლმარომ შევკაწურხა, ახლა შუა ეროში მდგარ მაგიადა შემოვიფხებდით.

სადღერატმელოებში ენაშტობა გამოჩინა ახეხლზე ხუციშვილის ბიჭმა ნიკალამ. კარგად ჩაქდა მებსიერებაში ერთი მათგანი:

— ვაჩისათვის ფესვი წარსულია, სამამულე რქა — მომავალი. მოდი, ორავეთი გამარჯვებული უფიდიეოს მუღამ ქართული ვაზი, ჩვენც მასთან ერთად გაგვეპარჯებოდებ...

— მე რაღა დავსავე, ხალხო, ერთი ხატყა მეც მათქმევინეთო! — გასწა უტებად ონი კოდოევის მოულოდნელი სუყვედურა.

— თქვი, შენი კირიმე, თუკი სათქმელი ძალას გატანს! — შესძახა ნიკალამ.

— მოდი ამ ქიქით გაუმარჯოს ყველაზე ღიდასამდებობას — კაცურ კაცობას!

— მაგისთანა თანამდებობა კიდევ სწორედ

შენს გაქვს, შენს გაგვიარებს შენი კაცობით, შენი კვირით! — ხმა დასტრა ახლა მამამედ-ალი მამამედის ძემ.

მიუხედავად იმისა, რომ სუფრა უკვე აშლა-ზე იყო, მის ნათქვამს ჩვენც მივუმატეთ თითო-ორი სიტყვა.

დაისის შუა სიფრქველში შედიოდა. მის ტყანს ფერდობებზედა სოფელ ჩანთლის-სურესაკენ სხებდა და ჭრობებს მიერტყებოდ-ნენ ლეკის გოგონიკები, თან ქართულად მღეროდნენ ხმამაღლა. ჩვენც ვამხნევებდით ჩვენი ქართული შემახლებით, რომ უფრო გახედულად, უფრო ხმამაღლა ემღერათ... მამამედ-ალი მამამედის ძე სიხარულისაგან სტრებზე ბრუნავდა.

მ.

ორი თუ სამი დღის შემდეგ თამაზი ისევ გამოჩნდა სიკვდილმშველის „მოსკვირით“, მამარქში უკეთ არისო. მე და შურა კი მამამედ ისევ სატვირთო მანქანით დავდიოდით.

ნახვით ბევრი რამ ვნახეთ, კიდევ, მათ შო-რის — კომპაგვირის სახელობის ზეიანი, რო-მელიც ახალსოფლისაკენ მიმავალ გზატკეცილს ქუჩაწინან აერთიანებს. ზეიანად კაცობის ნერ-გები ჩემსწიკვებინათ ქუჩაწინელ კომპაგვირ-ელებს. თანსაზა უყისრით კომპაგვირული ბრავაიბის ზღმძღვანებს ქუმბერ ქვაჭრელი-შვილს და საუფეთესო კომპაგვირულ მუშაკს გიული მიქაუტაძეს.

ზეიანის ერთ მხარეზე საფრავის ნამუენი ვაჩი იყო ჩაყრილი. ამ ახალშენის გაშენება-შიც არანაკლები ამაგი გაუწევია ქუმბერ ქვა-ჭრელიშვილს და აკი კომპაგვირების გამგე-ობას მასზე გაუპირავნებია კიდევ.

ახალშენში მოხუცი კაცი შევნიშნეთ. ეს ხომ ალექსანდრე ჩინვაძეაო, წამოიძახა კოლ-მეურნეობის თავმჯდომარემ და ჩვენთან მოიხ-მო. გაიყარა ჩემი თავი. ახალსოფლიდან მომა-ვალს აქ ათელო მუხლში ქარი და მომავლა ვენახში დავთვალავრებინა. მოსწონებოდა.

— ამ სიშორეზე ფეხით რატომ ვავლათ, პატრიცემული ალექსანდრე? — ჰქობა მო-რიდებულად თავმჯდომარემ.

— მანქანით მერეც შევოფა სიარული, ქალ-ბატონო შურა!

— რაო, რას გეუბნებთან, ფიგულს ვამქვენ თუ არა?

— ფიგულზე უარი ვთქვი, მოსკვიჩი მანდა.

— რადა?

— ჩემმა ბიჭებმა ევტრე მარჩიეს...

— მერე? მოსკვიჩზე მოგცეხს პირობა?!

— პირობა რომელია, სამი დღის შემდეგ სულ ალმა-დაღმა იქროლებო.

— შენი დაწინებულა ფაგული ვიღახთვის ნიუსით?

ღლის ქრილობების სიმბოლოდ ქცევა. და საერთოდ გურამ პეტრიაშვილი ხშირად ხლართება ლექსის სიუჟეტსა და სიმბოლურ-ალეგორიულ პლანს შორის (გახსენეთ აგრეთვე — „მეუღდე“).

„სკოლა“. აქ კიდევ ერთხელ ვლინდება პოეტური გულუბრყვილობა, რაც გ. პეტრიაშვილის რაციონალურ სტილს არ შეეფერება. ამ ლექსის პოეტურობა ემსგავსება მოქროვილი ნეტების ბზინვას:

თეთრ ოთახებში
შერბები ღვანან,
თითქოს ბოროტ ლმერთს დაუნგრევია
აღსასვლელი
ზეცაში
კიბე,
მავრამ წმინდა საფეხურები
კაცს სათუთად შემოუნახავს...

მ. ს. ზუსტე, სისადავე და პოეტურობა

გურამ პეტრიაშვილის ლექსების სიზუსტე და სისადავე მათემატიკური აზროვნების ლიტერატურულ პერიფრაზად უნდა ჩაითვალოს. მისი ნაშატი პრეტენზიას აცხადებს საგნის სწორ ასახვაზე. ეს სტრუქტურული წინაპირობაა, თავისთავად მიღებული და აღიარებული, მხოლოდ იმ პრინციპთან მისასვლელი გზა გამოდის დაცილებული სიბრტყიდან, მავრამ როგორც მათემატიკაში არსებობს პირობითობათა უპირადი ზღვარი, თანამედროვე პოეზიაშიც გამოიკვეთა (ჩვენს სინამდვილეშიც) თითქმის ურთიერთგამომრიცხველი პოეტური სისტემები. გურამ პეტრიაშვილი არ ცდილობს საგნის აღგებრული სირთულით ამტყველებას. მისი აზრები თითქოს ოთხი მოქმედების ფარგლებში მოჭრაობენ. ამიტომ ლექსები უცნაური ჩანს ჩვეულებრივი მკითხველისათვის, ზოლო სპეციალისტი ამჩნევს მომეტებულ სიმარტივეს. ეს შეეხება როგორც მოცემულ შანსებს, ისე მის მოწოდებას. შეიძლება ლექსში იყოს როგორც სინალოგი, ისე ბუნდოვანება, როგორც სიმარტივე, ისე სირთულე. აქ უკვლადურს წყვეტს კონკრეტულ სიტუაციაში მხატვრული აზროვნების ენერჯია და სტილი. შემოქმედით ცდილობს შინაგან ღრმადებას ადეკვატური ფორმების მოუძებნოს. ამ ნებელობას სპეციფიკური საფუძვლები აქვს. ჩვენც შეიძლება გ. პეტრიაშვილის ლექსების ფორმალური და შინაარსობრივი სტრუქტურები ბუნებრივად ჩავთვალოთ, მიუთმეტეს, როცა პოეტის ებრძვის ნაშადადვ სტილიზებას, მანერულიობას, სიტყვების კეცლუცობას, მომგებიანი თემების ექსპლოატაციის ტენდენციას. მავრამ ამ ლექსებში მიღწეული პოეტურობა არაა საკმა-

რისი. ავტორის პოზიციაზე მოთიანადაც რამ გადავიდეთ, მაინც რჩება უქმარისობის გრძნობა. არსებულის სიტყვიერი ურყველობა მავრამ საინაცვლო ღირებულების შექმნა — თითქმის შეუძლებელი. ასეთი პათოსი სუბიექტურადაა მომგებიანი. პოეტი უფრო აკონკრეტებს საკუთარი პოეზიის ნიშნებს. მავრამ როცა თორია პრაქტიკულად ხორციელდება, უკვლადვარი სექსისი მისაღები მოგვეჩვენება. პირველი ფრთხილი და მკრთალი ნაბიჯები არ გვაძლევენ გაზედული თქმის უფლებას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წიგნს უძღვის უცნაური ანოტაცია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს გურამ პეტრიაშვილის ლექსებთან.

„ხეივანი თოქინა“

1. პოემა-მოხლოვა.

ბესიკ ხარანაულის პოემა „ხეივანი თოქინა“ დაწერილია შინაგანი მონოლოგის მეთოდით. აქ უირაზეა დაუენებული ტრადიციული მოდელები. პოემის ეანრიც თვალდათვალ უცნაურად არის შეცვლილი. კლასიკური ნორმებით განწმობილი „ხეივანი თოქინა“ ლიტერატურულ გაუგებრობად ჩაითვლებოდა. მავრამ არ შეიძლება სინამდვილეს თვალი არ გავუსწროთ და შეფასება არ მივცეთ იმ საბალებებს, რაც ჩვენს ლიტერატურაში ჩნდება. უამისოდ ლიტერატურა საარქივო შანსლად იქცეოდა. ტრადიციის უწყვეტი განახლება დევანდელი ქართული პოეზიის სახიციებლო პროცესია, ამ მიზნის ეწირება არაერთი ბრწყინვალე პოეტის ტალანტი. ეს, რამდენადაც ინტუიციური ბრძოლა, თხოულობს ახალ არენას და ვეღარ ითავებს გაქვავებულ კრიტერიუმებს. ეს არა ტრადიციული სიხალეა. ჩვენ სრულებითაც არ ვთვლით, რომ ბესიკ ხარანაულმა საოცარი პოემა დაწერა. მავრამ მეტწილად სწორად მიგვაჩინა მისი მხატვრული პრინციპები, რომლის გამოვლენამ შესაძლოა იგი აუცილებლობადაც იკავიოს. ჩვენს სინამდვილეშიც იქნება ე. წ. ცნობიერების ლიტერატურა. წარმოიშვა ტიპოლოგიური სიხალე. იგი ნაწილობრივ შეეზარდა კლასიკას, როგორც აუცილებელი ელემენტი. ამ სინთეზიდან გამოიკვეთა პირველი მეტაქვლად ნათელი კონტრეტი (პოეზია — ოთარ კილაძე, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეკორი. ლია ბტურა, ქარტი ფხოველი; პროზა — თამაზ კილაძე, ოთარ კილაძე, ედიშერ უიფიანი, გურამ გეგეშიძე), რომლის განვითარებით ჩამოყალიბდება ახალი ტიპოლოგიური მოთიანობა. რასაკვირველია, მარაღელურად არსებობენ არანალები ღირებულების მწერლები, რომელთა ლიტერატურული მრწამსი და პრაქტიკა განსხვავებულ ტენდენციებს ამჟღავნებენ.

ბესიკ ხარანაულის „ხეივანი თოქინა“, რომ-

მიყვარტილი ამ უღიდეს მოვლენებს შორის — რომელსაც არცინ არ უმღერდა, არავის ახსოვდა. ეს წამი — ვიღრე ვაგიღვიძებთ, როცა არ გვიანავს. ვიღრე ახლო საგნები თუ შორი ცნებები, ვიღრე ეს სამყარო, ვიღრე ეს ცხოვრება, თითო-თითოდ თუ ჯგუფ-ჯგუფად. წესრიგით თუ აურზაურით არ შემოვა ჩვენში, არ შემოცვივდებამ! რა გვეკუთვინს ჩვენ?

მსჭვლომის გადმოცემა ოქმისებური წინადადებებით ცალკეულ შემთხვევაში ბუნებრივია, უყეთესი, ვიღრე სიტყვებით არტიტიწში. მაგრამ ამგვარი განუწყვეტელი შტურში პარონის საბოლოო აღიარებით მთავრდება, რომელიც ხვდა სპეციფიკას ატარებს. ამიტომ უნდა ეცადოს ბესიყ ხარანაული, რათა ფრანჟას შესძინოს ფერადოვნება და არტიტიწში. ცნობიერების ლიტერატურას ეყარება უმთავრესი ძალა, როცა ისმობა ტენდენცია სახის და ცნების გამთლანებობასთვის. შინაგანი მონოლოგი ხომ წვდენის შეგრძნების ესთეტიკით განიზომება ტრადიციული და მოდერნიზებული მოდელების სტრუქტურული აღრევა უსამოდ გახშიანდა ქვეცნობიერი ფსიქიკის წვდომა ემიროული ასოციაციების ქვეით ბანდურ შედეგს იძლევა. ცალკეული ასოციაციური ხაზი კი რამდენადმე დამოუკიდებელი მონოლოგია. მონაკვეთობს დასრულებული ფიქრების გარსი. ფიქრება დუნედ და რბილად მოწარაობენ. პოეტის თითქოს აღაგებს ჩვეულებრივ შეხედულებათა ქაოსს. ეს თითქოს პრინციპიც არის, თუმცა ხალო. იდეებიც აღიტერატურის ტენდენციები. პოეტს ცდილობს იყოს ნაყლებად პოეტური, აწარს — ნაყლებად ღრში, ვრწმობა — ტრანსპარტული და გაყვითლი, ხასე — ყოფითი მეტაფორების ანახსენება. თითქოს ჩაწერილია კონკრეტულ თემაზე ფიქრთა მდინარება მართლწერის გათვლისწინებით. პოეტს საერთოდ არ იშველიებს კონტრასტულ წარმოდგენებს, დაცობებული სიბრტყეების სახეობრივი სინთეზის ზერხს. მაგრამ შემოაქვს პაროდია: „ღმერთი თვითოვლიზე ხომ ვერ იფიქრებს? მე და პეტრეს კი საერთო მხოლოდ ზერხემალი გვაქვს“; „ყელავ გაიღვიძა, კვლავ გაიღვიძა, არც უფრო აღრე-არც უფრო ვიან და შეიძენედ, რომ კიდევაც დაოსტატდა ვადიქებამი“..

პაროდია ლამის შემოქმედებით შეთოლად გამოცემის ბესიყ ხარანაულში. პაროდირებულია ყოველი ცხოვრებისეული სეკიონი. ირონია, სეკსისი, მსაბუნჯი იუმორი, შენგნებული მიხამვა, პოეტურის განმარტვა პოეტურისაგან. მიზანი — ანტი-პოემის შექმნა. აქედან — ხაზი გადაესვა კლასიკური და აღრეული მოდერნიზმის

ესთეტიკას. შედეგი — პერსპექტივა ლიტერატურის თეომაზინისა. ეს პრინციპიც არამი ვიღვიძათ, მიანც უნდა შევნიშნოთ, რომ წინააღმდეგობა მას მძაფრად ვერ აწვსთარუნს, მაგრამ ლური და შინაარსობრივი სტრუქტურების სიახლენი ფუნქციურ ღირებულებას ვერ იტენენ. თითქმის უმტკივნეულოდ, ჩუმად და წყნარად იქმნება ახალი სქემები. მაგრამ პოეტური აქტივობის შეგნებული მოდუნება სახეიროს არაფერს იძლევა. ხოლო როცა ფრანგები აწრობრივი სიმძაფრითა და მეტაფორული პირობითობით იმუხტება, მიიღება შესანიშნავი მხატვრული დეტალი:

და როცა ღმერთმა დაასრულა ამბის მოყოლა,

დასძინა ბოლოს: აღამიანები იმგვარადვე ცხოვრობდნენ მუდამ, თითქოს ისინი მე შემექმნას არა თიხისგან, არამედ ქვისგან და რკინისაგან, ანდა — ქარისგან. მყიფენი ხართ, მყიფენი ხართ. და მტკრევალები,

მე ახლაც მასსოცს, როგორ ფრთხილად დავღვი მიწაზე სულ პირველი კაცის მოდელი. ავადმყოფი რომ იტყვის ხოლმე: „საიდანღაც ქრის“, ისე მივიარს და ვერ მივმხედარკვარ, სიიდან არის თქვენში სული თავისთავზე იღმარებისა.

რო თესლი ანდა რა მარცხელი შემოყვა, ნეტავ, მე იმ თიხაში, რომ თქვენს თავს ვეღარ ყაბულებდით. მომამზერეთ ჩემი მთიდან ძარს ვადომხედვა, წამდაუწუმ ვიღაც მოსდევს მის ხრიალ კალთებს, დინჯად მოხობხავს, თუმცა გზადგზა, ქაცვეზზე ტოვებს სულის ხორცებს, იმის ნაწონქებს. მათ მალლა უნდათ, ჩემთან უნდათ, მე კი თვით მიიდა, რომ იმითი მესხარბეობდეს.

საერთოდ, „ხეიბარი თოქინა“ უფრო სტრუქტურულად საინტერესო ნაწარმოებია, ვიდრე ხარისხობრივად. ეს არაა მთლად სასიამოვნო ლექტა იღმათ, აუტორიაც ვრწმობს ამ პოემის ცალკეულ ნაელოვანებებს.

მ. ი ნ ე რ ტ უ ლ ი პ ე რ ს ო ნ ა ე ი

წიგნის ანოტაცია გვაუწყებს: „ამოვამი ასახულია აღამიანის სუდიერი სამყარო, რომელიც

თავის უმოკმედობისა და ინერტული ბუნების გამო ფეხს ვერ უწყობს თანამედროვე ცხოვრებას“. ამრიგად, პოემის პერსონაჟი („მე“) და ავტორი თავიდანვე ერთმანეთს დაშორიშორდნენ. ამაზე მიუთითებს ვაჟას სტრიქონებიც, რომლებიც ემიგრაციაზე უძღვის ამ ნაწარმოებს. პოემაში ინდივიდი საზოგადოებისაგან იზოლირებულიად გამოიყოფრება. სამყარო მისთვის ჰერეტის ასპარეზია — იწყება მოვლენებზე დაუინტერესოებელი დაკვირვება („ვახსოვდეს, ძილიც სიკვდილისაა“; „აბა რა არის ორმოცი წლის კაცის ცხოვრება?“ „მე ვიკავებ თქვესმეტე წლის და მე მიყვარდა“; „თითქოს რაღაც მდინარეს ვეძებ ჩემს შახოვრობაში“). ასეთი პოემა უკვე ნაკლებად იტანს სივრცეში გადაადგილებას, აქტიურ მოქმედებას. პერსონაჟი მარტოვდება, იგი ჰერეტს სამყაროს, თავის თავში მოცემულს. თვითვე შენიშნავს, რომ პოეტური მწერა გარედან შეიწინა არის ჩაბრუნებული. პასიურობის დემონსტრირება აღუნებს ვნებებს. გრძნობები ხელდახელ იცრიცება. პერსონაჟი იძლევა თავისი გადაჯვარების სივსალებს: „საიქიოში აღარ მინდა მე ქართვლომა, რომელიმე დიდი ერის შვილი მსურს ვიყო, რომ ერთი სიტყვით გავაგებინო ვეფლას ვინც ვარ“; „მე რომ არ ვიყო ამ ქვეყანაზე, უველაფერი კარგად, კეთილად იქნებოდა“. პოემაში მხოლოდ წამიერად გამოკრთის სიცოცხლის ხალისი. ასეთ დროს ბრწყინვალედ გადმოიციება გრძნობების სიფაქიზე:

აი, ასეთმა ცამეტე წლის თეთრმა გოგონამ, როგორც ძაღლთან მივლენ ფრთხილად, როგორც ნიშში მორიდებით შეიხედავენ, ვით საოცრებას შემპობს თათი.

პერსონაჟის სულში დარღვეულია ტრადიციული სიკეთის თვალსაზრისი („მუშაინიში? დიდებულია, ვეირვეინია კაცობრიობის, შავრამ, დავ, სხვამ მისდლოს მას“). იღვივებენ საწოთირო მოტივებო. დაძვებებული კაცი ეგოისტურ ლტოლვებსაც გადავადობს. ხანაც ქვეყნობიერ კომპლექსები, ამოიწვეიან („ისე მიყვარდა ბიჭანემის განიერა მზრტების ყურება, როგორ მინდოდა ჩახუტება, როგორ მინდოდა დამეყოფნა

მისი ხელები — მადლობით, რადგან არ მზარხოზდნენ“). მერვეფი ინდივიდი კრტეტების გამუდვანებასაც ერიდება; ახტე ჩამოტქმენებო საბოლოოდ თოჯინას სახე. დეგრადირების პროცესი იქცევა ესთეტურ ფაქტად. მიიღება დეკადენტურად განწყობილი ადამიანის ახალი ვარიანტი. ანტინიცმეანური პოზიცია უცაკისი სპირიტუალიზაციის მოდელს გვავაწოებს. ეს საწყისი მომენტი იძლევა ხასიათის კომპლექსურ განსტობას: ენერჯის მოდუნება, სურვილის დაკარგვა, მორჩილების ეოცია, მოქმედების უარყოფა, ჰერეტით შემოტრადევა, უმინოზობა, ბანალური საგნებისა და მოვლენების გარემოცვა, აზროვნების შენელება, გრძნობების დაქუცმაცება... ასე იკავებს მორჩის ადვილს ანტი-გმირი. დეგრადირების პათოსით პაროდული ელფერი იღვება უოველივე ფახეულსა და უფახურს. ესაა მორალულ სქემებად ქცეული იდეების ხელახალი გარდასახვა: ბესიკ ხარანაულის პოემის დეკადენტი პერსონაჟი მკვეთრი ინტელიგენტური ნიშნებითაა აღბეჭდილი. მისთვის არისტოკრატობის კულტი მორისპო. არტისტიზმი და მთლიანი ადამიანიც მას გადაბეჭვა. ეს პროცესი ხელოვნებაშიც ასახა. ცვალილებანი დაეტყო ფორმებს. იმპრესიონიზმის, ექსპრესიონიზმის, სიმბოლიზმის უნატიფეხი ფორმები „ცნობიერების ნაკადის“ მღვრივე მორვეში გაითქიფა. სიღამაზეცა სიმშვენიერეს წაერთვა ადრეული წარმტაცო სხივი და ფერი. ბესიკ ხარანაულის პერსონაჟიც პასივიზმით განადგურებული ხეიბარი თოჯინაა. იგი ისევე მშვიდად კვდება, როგორც ცხოვრობდა: „მკვდარი კი არა ვარ, მკვდარს ვაჩაერებ“; „ის არ მერჩივნა, დედის საშვილოში რომ ვიჭექე, როგორც ძველი მინიატურა ოქროს ჩარჩოში“. პერსონაჟის სულიერი დეგრადირების ესთეტკაცო სიმბოლიზტური სიმბინიჭის კულტის თანამედროვე ვარიანტად ჩათვლება, უარყოფილია საგნის სამოსელი და თვით იდუმალ არსზე გადაიბრუნება ფიზიკურად განსვლილი მოვლენები. ასე შესანიშნავად იხატება ინერტული პიროვნების ხასიათი. მხოლოდ პოეტმა უნდა შეიძლოს მიკვლევული, ჩვენთვის ორიგინალური სტრუქტურება მეტი პოეტური სრულქმნა.

შენიშვნები ქართული სურათოგოქვრების ისტორიის გოგირით საკითხზე

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების კვლევის დროს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას ძველების დათარიღება წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წარსული მემკვიდრეობის შესწავლის დღევანდელი მაღალი დონე საშუალებას იძლევა ამა თუ იმ ნაგებობის ქრონოლოგიური ადგილი, დაახლოებით მაინც, იმთავითვე განისაზღვროს, ხშირად ეს საკითხი მკვლევარის ძირითად ამოცანად იქცევა ხოლმე. ეს კა თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს ნაშრომზე, რადგანაც მასში სხვა საკითხები, როგორცაა ძველის მხატვრული თავისებურებების გარკვევა, არქიტექტურის ისტორიაში მისი ადგილის დადგენა მეორე პლანზე ინაცვლებს ან, ფაქტურად, კვლავ მისი თარიღის დაუმწკრეტების საქმეს ემსახურება.

ცნობილია, რომ ძველი ქართველი ოსტატები იშვიათად თუ აწერდნენ ნაგებობებს მშენებლობის წლებს ან საკუთარ სახელს. ასეთი ფაქტები სულ თითქმის წამოსათვლელია. არც ისტორიული წყაროები გვაწვდიან ამ მხრივ ბევრს რაბზე. აღბათ, რელიგიური თუ მორალური (ან ორივე ერთად) კრძალვა უშლიდა ხუროთმოძღვარს ხელს დრო აღნიშვნა ნაგებობაზე და თავისი სახელი შეშინებას მოამოშველობისათვის. შენობის საძირკვლის ჩაყრისთანავე იგი დიდი მოწიწებით ეკიდებოდა თავისსავე შტკმნის — ეკლესიას ან ტაძარს, რომელიც იმთავითვე წმინდანთა მარადიულ სასუფევლად მიიჩნდა. ასეთად თვლიდა მას ხალხიც და სწორედ ამ მიზეზით ეკლესია, რა ზომისა და რაანირიც უნდა ყოფილიყო იგი, განსაკუთრებული გულმოდგინებით შენდებოდა. სწორედ ამიტომ საკულტო ნაგე-

ბობათა არქიტექტურაში გამოყოფილია ერთი შემოქმედებითი პოტენციის მაქსიმუმი. არც ერთი სასახლე დაუნგრეველი არ დარჩენილა; შემუსრულია ყველა ცაზე და ბასტიონი; ბოლნისის, ჭერის, ნიკორწმინდის, მანგლისისა და სხვა ტაძრებს კი დღემდე აქვთ შერჩენილი უწინდელი სახე. რაღა თქმა უნდა, არც მათდამი ყოფილა ლეონტი მტერი, ბუნება, საუკუნეები, მაგრამ შურუწველ ხელს მრავალჯერ შეუკეთებია და აღუდგენია ისინი. ერთი იცოდა მათი ფასი.

სამშვილდის სიონის ისტორიაში კი, თითქოს, ყველაფერი პირაქით არის. იგი ზუსტადაა დათარიღებული 759-777 წლებით. ცნობილი არიან მისი მშენებლებიც. ხოლო, მას შემდეგ რაც, XVI საუკუნის 70-იან წლებში სიონი თურქებმა დაანგრეს, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ძველს გულშემატკივარი აღარ ჰყოლია. დღესაც იგი სათანადო ზრუნვის გარეშეა დარჩენილი. ვერა და ვერ მოხერხდა მისი დაქველვი კედელ-კამარების ნაწილობრივ მაინც, რესტავრაცია და კონსერვაცია.

სამაგიეროდ, მეცნიერთა მხრივ სამშვილდის სიონს, უდავოდ, არ აკლია ყურადღება. მასზე ჭერ კიდევ XIX საუკუნის ავტორების ვებლებით ბევრ საინტერესო მასალას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქართული ძეგლების მსგავსად, მასაც არ ასცდდა „ბიზანტიური სტილის“ ნაგებობად აღიარების „პატივი“. მაშინ მართლმადიდებლური სამყაროს ყველა ქვეყნის კულტურა ბიზანტიურად ითვლებოდა და მათში ვერაფერ ვერაფერს ხედავდა ინდივიდუალურსა და ორიგინალურს. ამდენად, სამშვილდის სიონისადმი ინტერესი ძირითადად მისი კლასიკური წარწერის მო-

ება და, იქნებ, სასახლეთა დარბაზებია სათესად გამოყენებული.

იყო ჩუბინაშვილი ქალაქში საე ნაწილს — აღმოსავლეთის, შუა და დასავლეთის ნაწილებს — გამოყოფის. არჩევს ცალკეულ უბნებსაც. ნაგებობების ხასიათის მიხედვით ცდილობს დაადგინოს მოსახლეობის სოციალური განსახლების ზონებიც (დადებულია, მოქალაქეთა, ვაჟარ-ხელოსანთა). მაგრამ ყოველივე ეს შეკლებიერებს ვარაუდად დარჩება მანამ, სანამ, არქეოლოგიები უფრო აქტიურად არ ჩაერთვებიან საქმეში. აუცილებელია სამშენობლის სრული არქეოლოგიური გათხრა და შეწავლა. მხოლოდ ამის შემდეგ ვახდებთ შესაძლებელი ქალაქის ზუსტი სახის, მისი გეგმარების ხასიათის დადგენა.

საონის ტაძარი პლატოს სამხრეთის კიდეებთან ახლოს დგას. იგი ცენტრალურ გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენდა; მისი გუმბათოვან თავისუფლად მდგომ ბურჯზე იყო აღმართული. ნაგებობის გეგმას ფრად საყურადღებო თავისებურებები აქვს: იგი გეომეტრიულად ზუსტი კვადრატია; ცენტრალური აბსიდა ირსვე მხარეს მდებარე სამკვეთლო და სადაკვანე დამოუკიდებელ სათავსოებს არ წარმოადგენენ; დამოუკიდებელი სათავსოები არსებობს მათ გვერდით — ჩრდილოეთითა და სამხრეთით. ტაძრის აღმოსავლეთ მოსაკვეთში მუთაბილიანი სისტემა შექმნილი. შესაბამისად, აღმოსავლეთის ფასადზე ოთხი დეკორაციული ნიშა ჩანსული, რომლებთანაც შეესაბამებული აბსიდების შორის არსებული კედლის უსარგებლო მასა. სამხრეთით ტაძრის თაღებით ვასწილი კარიბჭე ჰქონია, ხოლო ჩრდილოეთით, ამის შესატყვისად, არსებობდა გრძელი სათავსო, რომელიც, აგრეთვე, აბსიდური მომრგვალებით მოვრდებოდა.

გუმბათის ნაგებობის ცენტრი ეჭირა. გუმბათოვან კვადრატთან წრეზე გადახველა განზორციელებული იყო ტრომების შემკვებით. ინტერიერში სამკვეთლო და სადაკვანე ორგანულად ერწყმოდა ნაგებობის ცენტრალურ სივრცეს, დასავლეთის მოსაკვეთში, ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს, პატრონიკები იყო გამართული. ტაძრის შესახველი ჰქონდა სამხრეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით.

ყოველივე ეს იმდენად ცხადად აქვს ჩამოყალიბებული ნ. ჩუბინაშვილს, რომ არაფერი ეჭვს არ იწვევს. დანგრეული ნაგებობის ასე მწუხარი სახით რეკონსტრუქციის საქმეს დღედად შეუწყო ხელი ავტორის მიერ 1948-49 წლებში ჩატარებულმა გათხრებმა.

ავტორი სწორად იქცევა, როდესაც ნაშრომის ძირითად ტექსტში არ შეჰქვს გათხრებისა და გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების დეტალური აღწერა. ეს, უდავოდ, გადატვირთავდა ნაშრომს. მაგრამ ამასთანავე მუშაო-

ბის პროცესის საჩვენებლად მოწოდებულია ამ მასალების ჩართვა აუცილებელი იყო. ავტორს ამოცანა ფრად საინტერესოდ აქვს გადაწყვეტილი: შესაბამისად შესრულებულად მოლოდინად გამოვლენა კარგად დაბეჭდილ ტაბულებს, რომლებშიაც ვარაუდული სახით მოცემულია კვლევის შედეგები, წინ უძღვის, „ტაბულების, ნახაზებისა და ფოტოლიუსტრაციების ამოტირებული სია“. აქ არის ვადმოტანილი ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოებისა და მოპოვებული მასალების დეტალური აღწერა, რაც საესებით გამართლებულია.

ისიც ცხადია, რომ ასეთი ძველის რეკონსტრუქციისათვის ყველა საჭირო მასალას ავტორი ვერც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოიპოვებდა. ამიტომ იგი ანალოგიების მეშვეობით პროექტირების ხერხს მიმართავს, იშვებებს სხვა მსგავს ნაგებობებსაც. უპირველეს ყოვლისა, წრომს, რომელთანაც სამშენობლის ხონს, სტრუქტურის თვალსაზრისით, ბევრი რამ აკავშირებს.

სამშენობლო წარწერიდან ცნობილი ვახდა ტაძრის აგების დროცა და მისი მშენებლებიც. წარწერა ტაძრის აღმოსავლეთის ფასადს ვასდებს მთელ სიგრძეზე. იგი ჭლიერ არის და ნააზნებული. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ლ. მუსხელიშვილმა წარწერა ასე აღადგინა:

„ქ. ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო, შეიწყალენ მამულებელნი ამის წმიდისა ეკლესიისანი, ვარაზაკურ, იოვანე და... ნათესაეთ პიტიახში. წელსა კ(20) მეფობასა კონსტანტინესა დიადედ საძირკველი ხელითა მამულისა და ერისთავისა ვარაზაკურისათა და ვერდა მოსწრო აღმუნებია. ვარაზაკურ შეესუნეა და მისა უყუანთ ძმად მისი ერისთავი იოვანე იწრაფდის. ავსრულა იოვანეცა და (მას შემდეგ ვიდა სხვას, უთუოდ ეპისკოპოსის და, აღნათ, ავრეთვე პიტიახში ნათესავს) მისცა უფლმან სრულად აღმუნებია წმიდისა ამის ეკლესიისა და სტოვათა. და წელსა გ(3) ლეონ მეფისასა, დღესა ეწყენისა, უო სატურთებია ვ(6) დღე დიდითა კრებითა, განშუენებია...“¹

წარწერაში ტაძრის მშენებლებად დასახელებულია პიტიახში ოქაბის სამი წევრი, რომელთაგანაც პირველი — ვარაზაკურ სხვებზე უფროსი ნანს.

თითქოს, ყველაფერი გარკვეულია, თუ არ გავითვალისწინებთ ერთ საკულისხმო გარემოებას: ხშირად ანალოგიურ წარწერებში მშენებლებად მოხსენებულნი არიან არა თვითონ ხუროთმოძღვრები, ე. ი. არა შენობის ავტორები, არამედ ქტიტორები — დამკვეთნი, რომ-

¹ ლ. მუსხელიშვილი, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, ენიკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 88, 92.

ლებიც მშენებლის პატივსაც თვითონ ანიჭებენ. ნიკო ჩუბინაშვილსაც მიაჩნია, რომ სამშვილდის სიონის წარწერაში ჩამოთვლილი პირება მხოლოდ კტიტორები არიან, ხოლო ტაძარს თავიდან მხოლოდ ერთი (უცნობი) ხუროთმოძღვრის მიერ არის აშენებული (გვ. 48). რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ ეს ასეც იყო, მაგრამ სხვაგვარი ვარაუდი უფრო რეალური ჩანს.

უნდა ვიფიქროთ, რომ პატივსაც ვაკრის წარმომადგენლები მშენებლობის ინიციატორებიც იყვნენ და ხუროთმოძღვრებაც ერთდროულად. ისინი თვითონ ზღელძეველსა და მშენებლობის ტაძრის მშენებლობას. სხვაგვარად, ალბათ, გაუმართლებელი იქნებოდა მთელი მოთხოვნა იმის შესახებ თუ როგორ „დაიდგა საძირკველი“ სიონისა ვარაზბაქურის მიერ, როგორ „აწიროდნენ“ იოვანე მისი გარდაცვალების შემდეგ და, როგორ დაატრულა მშენებლობა მესამე პირმა. რომ ისინი მხოლოდ კტიტორები ყოფილაყვნენ, უფრო ბუნებრივი იყო მშენებლობაში მათი, როგორც ერთი ოჯახის წევრების, საერთო წვლილის სხვა ფორმით აღნუსხვა.

ისიც შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ სამშვილდის მშენებლობაგან მესამეს, რომელიც მკვლევართა მიერ ეპისკოპოსად იგულისხმება (რადგანაც მანვე აკურთხა ტაძარი), თავიდან არსებული პროექტით უნდა დაესრულებინა მშენებლობა (დღეს ევსე ალარ იწვევს ის, რომ ძველი ქართული ოსტატები გარკვეული პროექტით აშენებდნენ ნაგებობას). პროექტის „ავტორი“ კი უნდა იყოს ვარაზბაქური უნდა ყოფილიყო. ვარაზბაქური რომ თვითონ იყო ტაძრის მშენებელი, წარწერიდან გარკვევით ჩანს: მისი „ზელითა“ დაიდგა ნაგებობის საძირკველი.

სხვა წყაროებიდანაც ირკვევა, რომ ქართველი საეკლესიო და საერო დიდებულები არ თაკილობდნენ ასეთ საქმიანობას. ბევრი მათგანი კარგად იყო გაწავლული ხუროთმოძღვრული ზედღონებაში. სერაპიონ ზარზმელი იყო „ფრად შეწყულ წესითა ხუროთბინათა“; ილარიონ სამთავნელმა სამთავისის ტაძარი ააშენა; ერისთავთერისთავთა შთამომავალი აბუსერიძე ტბელი წმ. გიორგის ეკლესიის მშენებელია აქარაში. ამდენად, სამშვილდის სიონის წარწერაში მოხსენიებული პირების ტაძრის ხუროთმოძღვრებად მიჩნევა არ არის საფუძველს მოკლებული.

სიონის კურთხევა მომხდარა ენკენიის დღეს, რომელიც 18 სექტემბერზე მოდის. ენკენიის დღე კრისტიანულ დღესასწაულთა შორის ერთერთ უდიდეს დღესასწაულად ითვლებოდა. ამ დღეს ზღებოდა ეკლესიების კურთხევა, განახლება, შეკმაბა. დღესასწაული, რომელსაც სატფური (სატფურება) ეწოდებოდა, რამდენიმე დღეს ვრძელდებოდა და უამრავი ხალხი იღებ-

და მონაწილეობას. წერილობით წყაროებში დაცული ეს უაღრესად საყურადღებო ფაქტი, სამშვილდის სიონის წარწერითაც დასტურდება.

VIII-IX საუკუნეები ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში მიჩნეულია კლასიკური პერიოდიდან ცხოველმატულ სტაღვე გარდამავალ ხანად. ეპოქად, როცა უამრავი ახალი ხუროთმოძღვრული თემა და ფორმა ჩნდება და ამ მიმართულებით ინტენსიური ძიებება მიმდინარეობს. სამშვილდის სიონი ამ პერიოდის დამახასიათებელი ნიმუშს წარმოადგენს. იგი, ერთი მხრივ მკვირდელ უკავშირდება კლასიკურ ეპოქას, მეორე მხრივ კი ახალ ელემენტებს შეიცავს. სამშვილდის სიონის ანალიზის დროს ნიკო ჩუბინაშვილს სწორედ ამ პერიოდს ეძღვნება განხილვებულ ეპოქადღება.

სამშვილდის სიონის კომპოზიცია ზოგადად წრმის ანალოგიურია, მაგრამ მათ შორის განსხვავება აშკარად არის გამოხატული. წრმის კლასიკურად გაწონასწორებული, დახვეწილი არქიტექტურული ფორმებით გამოირჩევა. მის ინტერიერში ყველაფერი იქითყენ არის მიმართული, რომ მკურთხევის ყურადღება ცენტრალური საკურთხეველსაყენ იყოს კონცენტრირებული. სამშვილდის სიონში კი გვერდის ახლები, რომლებიც ვახსნილია ტაძრის შინაგანი სივრცისაყენ, ფანტავენ ყურადღებას. შექმნილია უფრო მომრავი და ცხოველმატული სავრცე, რაც სამშვილდის სიონის ინტერიერის წრმისაყენ განსხვავებულ სტრუქტურას განაპირობებს. ნაგებობის ცალკეული ნაწილების ახალი ურთიერთშესატყვისობა კლასიკური ხანისათვის სრულიად დაუწყვეტელი იყო.

უდავოდ საინტერესოა ნ. ჩუბინაშვილის შემდეგი თვალსაზრისი: „სამშვილდის სიონის წრმის შესავსად, ე. ი. კლასიკის ზულისკვეთებით აგების ფაქტი იმას გვიდასტურებს, რომ ახალი პრინციპები, ახალი მეთოდები, ახალი კომპოზიციური ხერხები, ჭერ კიდეც არ არის შემუშავებული. ახალი მხოლოდ იწყებს გზის გაკვლევას“ (გვ. 55).

განსაკუთრებით საინტერესოა ნაწრმის დასკვნითი ნაწილი, სადაც ლაპარაკია ეპოქის მხატვრულ-ესთეტიკურ მანწარაფებებზე. ამ დროს ჩამოყალიბებულ ახალ მიდრეკილებებზე არქიტექტურაში, განზოგადებულია კვლევის შედეგები. ზოგადად დახასიათებულია სხვა ნაგებობებიც, რომლებიც ქრონოლოგიურად და სტილისტიკურად სამშვილდის სიონს უკავშირდება. მიმოხაღულია ისტორიული ვითარება.

VII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში მიმდებ ხანა დგება. ქვეყანას არაბები იპყრობენ. თბილისში არაბი ამირა ზის. საქართველო დაშლილია ცალკე ამიერ-სამთავრო-

¹ К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века, Тифлис, 1912, გვ. 173.

ებად. ხალხი მდგარ წინააღმდეგობას უწევს დამპყრობლებს. ბრძოლა მწვავეა და უკომპრომისო. განსაკუთრებით მახვილდება ეროვნულობის, ქართველობის გრძნობა. საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები უოველგვარ ღონებს ხპარობენ ეროვნული თვითშეფთხების შესანარჩუნებლად. მოძალბებული მამადიანობის საპირისპიროდ ქრისტიანობის დაცვა მათთვის ერთი უპირველესი საზრუნავთაგანია. ქრისტიანობა ქართველობის გადარჩენისათვის ბრძოლაში უძლიერესი საშუალებაა.

თანდათანობით უაღრესდება სამი მსხვილი სახელმწიფოებრივი გაერთიანება — ზემო ქართლი (ტაო-კლარჯეთი), კახეთი და დასავლეთი საქართველო, რომელთა მეთაურნიც არაბობის შესუსტების კვლადკვალ, ცდილობენ საქართველოს კვლავ გაერთიანებას. კულტურის კერებში ცენტრადან პროვინციებში ინაცვლებს.

არაბობას ქართულ კულტურაზე რაიმე შეხმნევი ვაფიქნა არ მოუხდენია. ხუროთმოძღვრება და საერთოდ, ზელოვნება, უცხო ფორმებს არ ითვსებს. იგი კვლავ თვითშეფთხავი რჩება. ქართული არქიტექტურის ევოლუცია თუმცა კი ერთგვარად შეფერხდა, მაგრამ არ შეწყვეტლა. VIII-IX საუკუნეებში მიმდინარეობს ახალი ცხოვლებათულ-დეკორაციული სტილის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი და ამ პროცესის დამახასიათებელ ნიმუშად აუტორს სამშვილდის სიონი მიჩნია.

ნიკო ჩუბინაშვილის ნაშრომს კიდევ ერთი ღიჩისება აქვს. მას ბოლოში ერთვის „მოკლუ სტენოგრაფიული ჩანაწერა აჟად. გიორგი ჩუბინაშვილის მიერ 1948 წლის 28 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XI სამეცნიერო სესიაზე წყაობული მოხსენების თემაზე: „VIII-IX საუკუნეების ქართული ხელოვნება, მისი სახისთა და ისტორიული ადგილი“. გიორგი ჩუბინაშვილის ეს მოხსენება დღემდე არ იყო გამოქვეყნებული და ამ პუბლიკაციით ავტორმა ფრიად სასარგებლო საქმე გააკეთა. სტენოგრაფიულ ჩანაწერებში თვისებების სახით შედგენილია VIII-IX საუკუნეების ქართული ხელოვნების ძირითადი ნიმუშები, რომელთა გარემოცვ დიდად დაბრკოლებულია ამ შეტად რთული ეპოქის მხატვრული აზროვნების თავისებურებათა გარკვევა.

VIII-IX საუკუნეები ქართული ხელოვნების ისტორიაში, მართლაც, რთული ეპოქაა. მართო არქიტექტურაზე რაც ვიმსჯელოთ, რომელიც ძველ ხანაში ხელოვნების წამუვანი დარგი იყო უფუდლოვის, გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აქ იმდენა პრობლემაა, რამდენი ძველიც არსებობს. ამ დროის არქიტექტურულ თემათაგან თითქმის არც ერთი არხად და არახდროს აღარ შეორდება. მიუხედავად იმისა, რომ უწინდებურად წამოლო კვლავ გუმბა-

თოვანი არქიტექტურაა, ახ თემან უამრავი სახესხვაობა უჩნდება, რომელთაც, ერთი შეხედვით, თითქმის, არაფერი აქვთ ნატივნი მათი უპიტებსო ცალკე. ვანერძებულ წამუშებლად რჩება ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ამ ხანაში არ არსებობს ერთიანი არქიტექტურული სტილი. შემოქმედებითი ორიგინალობა და ინდივიდუალურობა ეპოქის დამახასიათებელი პრინციპია. შეხამლებელია მხოლოდ ერთი საერთო ნიშნის გამოყენება — ეს არის ცხოვლებათულობისაკენ მიდრეკილება, რაც სხვადასხვა ნაგებობებში სხვადასხვა ზომითა და სახით არის გამოხედვებული. ამასთანავე, სწორედ ეს არის ის სიახლე, რომელიც VIII-IX საუკუნეებში გაჩნდა და აქედან შემდგომ ხანას გადაეცა, სადაც იგი სტილის განუხადვრელ ფაქტორად იქცა. მომდევნო ხანაში დაქვიდრდა, აგრეთვე, ამ დროს ჩასახული კვადრატადან გუმბათის წრეზე გადასვლის ახლებური სისტემა: ტრადიციული ტროპების აფრებით შეცვლის ცალკეულ შემთხვევებს IX საუკუნეში უკვე ვხვდებით. სხვა მხატვრულ-კონსტრუქციული და სტრუქტურული სიახლენი მხოლოდ ჩვენითვის საინტერესო ეპოქის კუთვნილებად დარჩნენ.

ახეთი ვითარების გამო, მიუხედავად იმისა, რომ დღეს კარგად არის გარკვეული ეპოქის მხატვრული თავისებურებანი, გამოკვეთულია ცალკეული ძეგლებაც, რჩება თვლი რაიგი საკოთხები, რომლებიც დღეისათვის არ არის გადაწყვეტილი და რომელთა წამოქცა, სათანადო საბუთების უპიარობის გამო, ქვრტერობით ვარაუდების ფარგლებს ვერ გასცდება. ამ საკოთხების დასმა მინც უცილებლად მიგვანსია, და თანაც სწორედ აქ, სამშვილდის სიონთან დაკავშირებით, შემდეგი მიწვეების გამო: 1. სამშვილდის სიონი ზუსტად არის დათარბებული; 2. იგი ეპოქის წამუვანი ძეგლია; 3. მხოლოდ სამშვილდის თემა იხეთა, რომელსაც იმავე ეპოქაში ანლოგიები (რუხი, იყალთო) და ვარიანტები (არტანუჯი, ბარცანა, ოხანა) გაჩნია; 4. სამშვილდის არქიტექტურულ-კონსტრუქციური გადაწყვეტა უადრესად სიციცლებულმარანი ადმონდა, რაც ევლუციის მომდევნო საფეხურზე აშკარად ვლინდება.

6. ჩუბინაშვილის მიწანს წარმოადგენდა სამშვილდის სიონის მოწოგრაფიული შესწავლა და ეს ამოცანა ავტორის მიერ სათანადო სისრულით არის გადაწყვეტილი. ავტორს, უწინარეს ყოვლისა, აინტერესებდა უშუალოდ, ძეგლითან დაკავშირებულა საკოთხები; ჩვენ სხვა კუთხიდან ვინდა შევხედოთ VIII-IX საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ზოგერთ თავისებურებას და, ამდენად, კვეთთ დახმული საკოთხების გაუთვალისწინებლობა, რა თქმა უნდა, ამ მალად მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომის ნაკლად არ ჩაითვლება.

საქაროა ზოგი რამ, ზემოთ უკვე აღნიშნული, კვლავ ვაიმეორით. როგორც ითქვა, VIII-IX საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში ძიებების ხანაა. ჩნდება გუმბათოვანი ნაგებობების მრავალრიცხოვანი ვარიანტები, რომელთა უმეტესობა არც მანამ და არც შემდეგ აღარ განმეორებულა. ისმის კითხვა — რამ განაპირობა ძიებების პროცესი? უფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ არქიტექტურული აზროვნების ცვლილების შედეგი არ უნდა იყოს. ასეთი რამ უფრო ადვილი ასახსნელი იქნებოდა, რომ საქმე ადრექრისტიანულ ხანასთან გვეკონფეს, პერიოდთან, რაცა ახალი რელიგია თავის მოთხოვნილებების შესატყვის არქიტექტურულ ფორმებს ეძიებდა. ამ დროიდან დამკვიდრდა ჩვენში სამხანაო ნაწილაკა, რომელიც ქართული ეროვნული ფსიქოლოგიისათვის უცხო იყო და ასეთად დარჩა კიდევ. პარალელურად ჩამოყალიბდა გუმბათოვანი ნაგებობების ტიპი, რომელიც ერთგვარ ტრადიციებსაც შეესატყვისებოდა და ქრისტიანული კულტის მოთხოვნილებებსაც უპასუხებდა. ეს ორი წინაპირობა ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად უნდა გავვლიხსნით იმისათვის, რომ უკვე VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ქართულმა ხუროთმოძღვრებამ კლასიკურ სრულყოფილებას მიაღწია. კლასიკური არქიტექტურის პრინციპები სწორედ გუმბათოვან ნაგებობებში გამოვლინდა. ქრონოლოგიურად მოკლე დროში აშენდა მცხეთის ჭვარი და მისი ტაძარს ძეგლები — წრომი, სამწყვრისი, იშხანი, ბანა, რომლებიც ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენდნენ.

არქიტექტურის შემდგომი ლოკატორი განვითარება წრომის ვარიანტით უნდა წარმართულიყო და ახეც მოხდა. ჭვარის გენიალურმა ხუროთმოძღვარმა შექმნა უოველმხრივ დასრულებული, კრისტალურად ჩამოყალიბებული არქიტექტურული ფორმა და ამით ამოწურა კედლებს ამ თემის შესაძლებლობები. ჭვარის კომპოზიციის გამეორება სხვა არქიტექტორს აშკარად ემაგონობას უქადადა. მას ან ზუსტი ასლი უნდა გაეკეთებინა ამ ნაგებობისა, როგორც ატენის სიონის ავტორი მოიქცა, ან ახალი თემა ეძია, რადგანაც ჭვარის კომპოზიციაში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანა, უსათუოდ დაარღვევდა ნაგებობის მხატვრულ-ტიქტონიკურ მთლიანობას. წრომში უკვე ნაყოფიანა საკულტო ნაგებობის ის სტრუქტურა, რომელიც შემდგომი ხანის გუმბათოვან ხუროთმოძღვრებას დაედო საფუძვლად.

ჭვარისაგან განსხვავებით, წრომის კომპოზიცია, გუმბათის თავისუფლად მდგომი ბურჯებზე გადაკრული ვაშო, ნაშუალებას იძლევა უფრო ცხოველხატული, მოძრაივი არქიტექტურული ორგანიზმის შესაქმნელად. არქიტექტორს შეუძლია სურვილისამებრ გაზარდოს ნაგებობის გა-

ზარტები, ჩართოს კომპოზიციაში ნართიკი, მინაშენები, დამატებითი სათავსოები... პატრონიკე. ამით იგი ნაგებობის მხატვრულ მთლიანობას არ დაარღვევს. ჭვარის ტიპის ნაგებობების გაზარტების მნიშვნელოვანი გაზრდა შეუძლებელიც კია. ეს გუმბათის დამეტრის გაზარტებაც გამოიწვევდა, რაც ურთულეს ტექნიკურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ნაგებობის მკლავების გაღრმავება-გაფართოვება კი გარკვეულ, შეიძლება ითქვას, ნორმატიულ ფარგლებში შეიძლებოდა მხოლოდ, რის გადალახვაც კვლავ მხატვრულად არასასურველ შედეგს მოგვეცემდა. წრომის ხუროთმოძღვარმა დახლოდა ნინოწმინდისა და ჭვარის ტიპის ძეგლების ეს შეზოკილობა.

წრომი მთელი თავისი არსით კლასიკური ნაწარმოებია. მისი სიერცობრივი და მოცულობითი მონაკვეთები დამოუკიდებლობასაც იწარჩუნებენ და, ამასთანავე, მთელის განუყოფელ კლდეშენებასაც წარმოადგენენ (სწორედ ეს პრინციპია დაარღვეული სამშვილდის სიანში), მაგრამ ნაგებობის სტრუქტურა იმთავითვე შეიცავს ისეთ ნიშნებს, რომელთაგანაც შეშვევ ახალი სტალი უნდა ამოცნენებულიყო. საქმარისია ითქვას, რომ ტაძარში სხვადასხვა კარიდა — შესული ადამიანის თვალწინ მისი შიდა სივრცე სხვადასხვა ასპექტით იხსნება. მკაფიოდ გამოყოფილი ცენტრი, ინტერიერის ინარჩენ, მისგან დაშორებულ, მონაკვეთებზე შეტად არის განათებული. დეკორაციული მორთულობაც, კვლავ ჭვარის ორნამენტაციის მსგავსად, ლაკონური და თავშეკავებული, მინც განსხვავებულია მისგან — უფრო მრავალხანოვანი და მრავალფეროვანია. ერთი სიტყვით, ჭვარი მაღალი კლასიკის ხანის ნაწარმოებია, ხოლო წრომი იმევე ეპოქის გვიანი ფაზის დამახასიათებელ ნიმუშს წარმოადგენს (იგივე შეიძლება ითქვას ბანა-იშხნის კომპოზიციაზეც, სადაც წრომში გამოვლინილი მხატვრული პრინციპების განსაზოცილებლად სხვა სტრუქტურული ხერხებია გამოყენებული). ნიშანდობლივია მათ შორის ქრონოლოგიური სიახლოვეც.

მსოფლიო ხელოვნების ისტორიიდან ცნობილია, რომ სხვაგანაც მაღალი კლასიკა მხოლოდ მოკლე ხნის მანძილზე იწარჩუნებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტაბილურობას, რომლის შემდეგაც სწრაფად იწყება ახალი ფაზა, და ეს საბუღად ხუნტირებია.

სამშვილდის სიონი წრომის ხაზის გაგრძელებაა, მაგრამ მის ირგვლივ ქრონოლოგიურად დაგვუფებულია ისეთი ძეგლები, რომელთა შესახებ იგივე არ ითქმის. მათ წარმოშობას სხვა ვერაფრით ავხსნით. თუ არა რელიგიის სფეროში მომხდარი ცვლილებებია. უნდა ვთვალოდო, რომ ქრისტიანულმა ლიტურგიამ იცვალა ერთგვარად სახე, რაც საკულტო ნაგებობათა არქიტექტონიკაშიც სათანადოდ აი-

რკელა. რამდენადაც შეიკვალა საეკლესიო არქიტექტურისადაც წაუღებელი მოთხოვნები. ეკლესიის ცალკეულ მოწყობის ახალი ფუნქციური და სიმბოლური თავისებურებები გაუჩნდა.

აკად. გიორგი ჩუბინაშვილს VIII-IX საუკუნეების ზეგონების შესახებ მსჯელობის დროს არა ერთხელ აქვს მითითებული, რომ ამა თუ იმ ეკლესიის ზეგონითი ნაწილი დამკვეთის მოთხოვნებით უნდა იყოს განპირობებული. იმასვე ამბობს ნიკო ჩუბინაშვილიც სამშენებლის სიონისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში. მაგრამ გაურკვეველია, რა ახალი მოთხოვნები გაუჩნდათ ამ დროს კტიტორებს და რა საფუძველი ჰქონდა ამ მოთხოვნებებს. ეს, ჩვენი აზრით, მხოლოდ ლიტურგიულ პრაქტიკაში ახლებური წესების დამკვიდრებას შეეძლო გამოეყენებინათ.

სხვა რით შეიძლება ავსნათ თუნდაც ასეთი ფაქტი: VIII-IX საუკუნეების ეკლესიებში დამახასიათებელია მრავალი საკურთხევის (ახსიდი) არსებობა. ამასთანავე, სწორად ცენტრალური ახსიდი ზომით დანარჩენებს ბევრად არ სჭარბობს. თუ ვაერთიანდებით ამ ძველების ინტერიერის ორგანიზაციის თავისებურებებს, მათი საკურთხეველები მნიშვნელობით, თითქმის ყველა, ერთმანეთის ტოლფასიანია — მათ შორის ცენტრალური ისე ხაზგასმულად არ არის გამოყოფილი, როგორც წინა პერიოდის ტაძრებში. ჭვარსა და წარმოში ფაქტურად თითო საკურთხეველს ვხედავთ, გვერდის სათავსოების ახსიდები კი დამხმარე როლს ასრულებენ. სამშენებლის სიონს ბუთი საკურთხეველი აქვს, ვანნაძინის ყველაწმინდას — ცხრა, ისეთ პატარა გუმბათოვან ნაგებობას, როგორცაა თეოდოსის ჭვარპატიოსანი — სამი (უფრო სწორედ — ბუთი, რადგანაც ცალკე სივრცობრივ ერთეულბად ჩამოყალიბებულ სამკვეთლოს და სადიაკვნეს ღრმა ნახევარწრიული ახსიდები აქვთ).

გარდა ამისა, ამ დროის ყველა ნაგებობაში შეიმჩნევა შინაგანი სივრცის მცირე ზომის მონაკვეთებად დანაწევრების ტენდენცია. ეკლესიის ამ ნაწილებში, ცალკე სათავსო იქნებოდა იგი, თუ უბრალოდ ინტიმური კუთხე,

ახსიდი რომ არ ყოფილიყო, ადამიანს ისედაც შეეძლო განმარტობა და ლოცვა. ეკლესიების ინტერიერი, სხვა დროის ნაგებობებთან შედარებით, ჩანს უფრო ნაკლებად განვითარებულად. მხოლოდ სათავსოების შექმნილია ინტიმური და, ამასთანავე, ცხოველბატული გარემო, რაც უდავოდ, შეესაბამებოდა ეპოქის სულიკვებითს. ცხოველბატულობა მიღწეულია არა იმ ხერხებით, რომლებსაც X-XI საუკუნეთა ზეგონების დროს ვხვდებით, არამედ ერთსა და იმავე არქიტექტურულ ორგანიზმში ინტიმური კუთხე-მონაკვეთებისა და კომპარტიმენტების კონტრასტული დამახასიათებელი ნაგებობის მაღალ, გაშლილ ძირითად სივრცობრივ ბირთვთან, რომელსაც ზემოთ ატყორცნილი გუმბათი ავირგვინებდა (საერთოდ ამ დროის ძველებისათვის წინა ხანასთან შედარებით უფრო მაღალი პროპორციებია დამახასიათებელი).

ჩვენთვის საინტერესო ხანაში საბოლოოდ დამკვიდრდა წარმის ინტერიერში განხორციელებული ყველა ფუნქციური დანიშნულების მქონე ელემენტი — პატრონიკე, რომელმაც ნაგებობაში შინაგანი სივრცის ორგანიზაციაში საგრძნობი კორექტივი შეიტანა. წარქოლის დასავლეთ ნაწილში მეორე სართულად გამოყოფილი სათავსო ფაქტურად პატრონიკეა, სადაც, როგორც ჩანს, ვინმე პრივილეგირებულად ბერის ცხოვრობდა. მას თავისი საკანად გამოუსვლელად, აღმოსავლეთის მხარეს გაჭრა სარკმელიდან, შეეძლო ღვთისმსახურების მოსმენა და მასში მონაწილეობის მიღება. საკანი ღრმად არის შეჭრილი ინტერიერში და, ეკლესიის ისედაც მცირე ზომის გამო, მას ქვევით დარჩენილი მონაკვეთი, რომელიც მრევლისათვის იყო განკუთვნილი, ძლიერ ვიწრო და დაბალია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეკლესიაში საკანი იყოს მთავარი და არა საკურთხეველი. კტიტორის უცნაურმა ნება-სურვილმა (კტიტორი კი, ალბათ, სწორედ საკანში მყოფი ასკეტი იყო) ზეგონების დროს გარკვეული პრობლემის წინაშე დააყენა. მას ნაგებობის არქიტექტონიკა საკნის შესატყვისად უნდა გადაეწყვიტა. ტრადიციული ყველიანი გუმბათი ანუთ ნაგებობას არ გამოადგებოდა; დარღვევა იმ ინტიმურობას, რომელიც „მოცემულობით“ იყო განსაზღვრული. ამიტომ, მან გუმბათის მაგივრად ნაგებობის ცენტრი კომარით დაავიკვინა, გაიხსენა რა ჭვარის მცირე ტაძარში განხორციელებული ანალოგიური სისტემა.

ამ მხრივ წარქოლი გამოკვლევის არ წარმოადგენს. მსგავსი ფუნქციური დანიშნულების მქონე პატრონიკე აქვს იუდათოს ღვთაების ტაძარსაც, რომელიც ამავე ხანის განკუთვნილია.

1 აქვე შევნიშნავთ, რომ ვანნაძინის თითოეული ახსიდი, ალბათ, ცალკე წმინდანის სახელზე იყო ნაყრთი. იგივე უნდა ითქვას სამეკლესიანი ბაზილიკების შესახებაც, რომლებშიც სამი საკურთხეველი დღის სხვადასხვა დროს ლოცვის რიტუალის ჩატარებისათვის კი არ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, როგორც ეს დღეს აისი მიჩნეულია, არამედ ანალოგიურად — სამი წმინდანის სახელზე იქნებოდა ნაყრთი.

VIII-IX საუკუნეების ძველებს შორის გურჯაანის ყველაწმინდა სრულიად განცალკევებულია დღას. იგი ბაზილიკური ტაძის ნაგებობაა, რომლის ცენტრალურ ნაწევს ორი გუმბათია აღმართული, ე. ი. იგი ქრისტიანულ საკულტო შენობაა ორი უმოკრესი თემის — ბაზილიკისა და გუმბათოვანი ნაგებობის შერწყმის ცდას წარმოადგენს. გურჯაანის ყველაწმინდის მსგავსი მანგალითა საქართველოში სავსეა არ არის, ზოლოდ მსოფლიო ხუროთმოძღვრების ისტორიაში იშვიათად ვხვდებით. ქრისტიანულ სამყაროში არსებობს სულ რამდენიმე ნიმუში ორგუმბათოვანი ეკლესიებია, მაგრამ თითქმის ყველა მათგანზე მეორე გუმბათი აღმართულია გვიან, თანაც სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხანაში, რაც შეტად ნაშინაფლობივია. ეს ნაგებობებია: წმ. იორინეს ეკლესია კონსტანტინეპოლში, წმ. სვიმეონის მონასტრის მთავარი ეკლესია ასუანში, აშიღის (ღაბრქვიარი) ნესტორიანული ეკლესია, უნაიავის (ვალიტია) და ბანაგია კანაქრას (კვიპროსი) ეკლესიები. ერთი სიტყვით, გურჯაანის კომპოზიცია ფრიად ორიგინალურაა.

არაფრის ვიტყვით ნაგებობის შინაგანი სავრცის ორგანიზაციის თავისებურებებზე. ძველი დეტალურად აქვს დახასიათებული ვიორჯი ჩუბინაშვილს ნაშრომში კახეთის ხუროთმოძღვრების შესახებ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ დროის ნაგებობათა ჩვენთვის საინტერესო ნიშნები გურჯაანის ყველაწმინდაში სავსებით ნათლად არის გამოვლენილი.

ამ ფაქტორთა შორის, რომლებიც განაპირობებენ ქართული გუმბათოვანი ტაძრების არქიტექტურული სახის მთლიანობას, გუმბათის როლი იმდენად დიდია, რომ თუ იგი ნაგებობას რაიმე მიწეზეთ აკლია, ხელოვნების ნაწარმოებია კარგავს მხატვრული ზემოქმედების ძალას. გუმბათი ნაგებობის მხატვრული და სტრუქტურული სახის განსაზღვრელი ფლემენტია; მაგრამ ეს ასეა მხოლოდ მაშინ, როცა ერთგუმბათიან სისტემასთან გვაქვს საქმე.

გურჯაანის ყველაწმინდისაგან მიღებული შთაბეჭდილება კი სრულიად სხვაგვარია. ნაგებობა მხატვრულად არ არის სრულყოფილი. ამასთანავე მისი ორგუმბათიანობა, რა თქმა უნდა, არც ხუროთმოძღვრის ფანტაზიის ნაყოფია და არც შემთხვევითი რამ. შემთხვევითი არ არის იმიტომ, რომ თუ მთლიანად ნაგებობაზე ვიშეჯერებთ, მას მალეა რანგის ოსტატის ხელი ეტყობა. იგი თავისი დროის მოწინავე ხუროთმოძღვარია, რომელიც უმიწეზოდ ვერ დაარღვევია, ესოდენ მკვეთრად, ქართული გუმბათოვანი ნაგებობების საუკუნეთა მანძილზე მტკიცედ ჩამოყალიბებულ ტრადიციულ სტრუქტურას. ავტორს ნაგებობის ბაზილიკური გრძივი კომპოზიციაც ვერ უყარნახებდა მასზე ორი გუმბათის აღმართვის აუცილებლობას. მაგრამ

გურჯაანის ტაძრის ორგუმბათიანობის მხატვრული ავტორიანობის გარკვეული საკითხი მაინც არ ამოიჭურება. საქმე ისაა, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში გუმბათი არა მარტო მხატვრულ-კომპოზიციურ როლს ასრულებს, არამედ მას სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. საზოგადოდ ქრისტიანულ ტაძარს სამყაროს სიმბოლურ გამოსახულება წარმოადგენს. ბიზანტიური თვალსაზრისით იგი მარკოკოსმოსია.

ამედ უნდა იქნას გაგებული ქართული ტაძრის რელიგიურ-სიმბოლური არსიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი დღეისათვის შეუძნალებელია, არ არის ამ თვალსაზრისით გადასინჯული სათანადო წერტილობითი წყაროები, ჩვენი აზრით, თვით არქიტექტურულ მასალად დანდობით მაინც შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გამოტანა.

უდავოა, რომ ქართული გუმბათოვანი ნაგებობების ვეგმებისა და აქედან გამომდინარე, მასების ჭვრისებურ წყობას, კონსტრუქციულთან ერთად, სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს (ზოგიერთ მხოლოდ სიმბოლურად კი; მანგალითად, მცხეთის ჭვრის მცირე ტაძარში). სხვადასხვა დროის ზოგიერთ ნაგებობაში შეიმჩნევა ინტერიერის კედელ-კამარების გაყოფი სარტყელი, და მასაც, უწინარეს ყოვლისა, ეკლესიის ზემო და ქვემო ნაწილების აზრობრავად (სიმბოლურად) გათიშვის ფუნქცია ეციხრება. გუმბათი აშკარად ზეცას გამოსახავს. ამაზე მიუთითებს მასზე გამოსახული ჭვარი (ქვეთვე გამოკვეთილი რელიეფურად) ან ჭვრის ამაღლებების სტენა (ფრესკულად შესრულებული). ამასთანავე, გუმბათის ეკლესია გაქრილი ფანტაზიიდან უხვად შემოსული სინათლით ნახევარსფერო თითქმის მოკვეთილია მისი საურდენისაგან. იქმნება გუმბათის ზეატორცნობის მანეტოზური შთაბეჭდილება. მაგრამ ქართულ ტაძრების გუმბათი კი არ გამოსახავს ზეცას როგორც ეს კონსტანტინეპლის ამა სოფიაშია, არამედ ზეცის სიმბოლოს წარმოადგენს. რაკი, ასეა, გუმბათი ერთი უნდა იყოს და არა ორი. არსებობს მრავალგუმბათიანი სისტემაც (ვენეციის სან მარკო და სხვა ბიზანტიური ნაგებობები), მაგრამ მათ შორის ერთია მთავარი, დანარჩენები მასზე მცირე ზომისაა და მას ემორჩილება. ამდენად, ამ შემთხვევაშიც კვლავ ძალაში რჩება ქრისტიანული საკულტო ნაგებობების მწყობრი სიმბოლიკა, რომელსაც გურჯაანის ყველაწმინდის ავტორი არ მისდევს.

ქრისტიანული ეკლესიის სტრუქტურას განაპირობებს აგრეთვე მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი — ლიტურგიული პროგრამა, რომელიც ნაგებობის სიმბოლიკასთან შეიძლება არის დეკავირებული. ეს პროგრამა ჭარ კიდევ აღდგურისტიანულ ხანაში ჩამოყალიბდა და დეკანონდა კულტის სამწარურის მოთხოვნილებათა

შესაბამისად, უნდა ვივლინებოდეთ, რომ მსგავსი რამ ჩვენიც არსებობდა. მსგავსი, მაგრამ არა ანალოგიური, რადგანაც ქართულ ქრისტიანობას და, მით უფრო ქართულ სამშენებლო ხელოვნებას ღრმა ეროვნული თავისებურებები ჰქონდა. ადგილობრივ ტრადიციებზე აღმოცენებულ ვუმბათოვან ნაგებობათა თემას ორგანულად შეუთავსდა რელიგიის მოახლოვნება (ან, პირიქით, რაც ან შემოსვლაში სულერთია). საკულტო ნაგებობის მშენებელ ხუროთმოძღვარს გარკვეული პროგრამა ეძღვნოდა. მას არ შეეძლო გადახვევა ამ „მოცემულობიდან“ საკუთარი შეხება-სურვილით, არ შეეძლო ძირფესვიანად შეეცვალა „მოცემულობა“. იგი მხოლოდ ამ პროგრამის მობედვით აშენებდა, ამ ჩარჩოს ფარგლებში აშეღვინებდა დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნების უნარს. როგორც ჩანს, გურჯაანის ტაძრის ავტორს ტრადიციულიდან განსხვავებული „მოცემულობა“ ჰქონდა.

არსებობდა კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც შეეძლო რამდენადმე შეეცვალა საკულტო ნაგებობის დეკორატიული სტრუქტურა. ვსოლისსმობთ დამკვეთის მოხოვნას, რაზედაც ზემოთ უკვე ითქვა (დამკვეთის სურვილით გაჩნდა წირქოლში და იყალიბოში ასე უცნაური პატრონივე). მაგრამ ეს შიანც მეორეხარისხოვანი ფაქტორი იყო. გარკვეულ ტრადიციებზე აღსრულ ქტიტორს არც მოთხოვნა შეეძლო და არც სურვილი უნდა ჰქონოდა იმისა, რომ ხუროთმოძღვარს რადიკალურად შეეცვალა ნაგებობის ლიტურგიული პროგრამა. გურჯაანის უველაწმინდის ორგუმბათიანობა და ძირითადად აქედან გამომდინარე მისი მხატვრულ-ტექტონიკური თავისებურებანი არც დამკვეთის ნება-სურვილზე უნდა უყოლიოყო დამოკიდებული.

მეშასაღამე, VIII-IX საუკუნეთა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება სხვა უპოქისაგან განსხვავდება არსებითი ხასიათის მქონე სტრუქტურული, მხატვრული, კომპოზიციური თავისებურებებით. ამის საბლუსტრაციოდ ზემოთსტანალი ფაქტები მხოლოდ არქიტექტურული აზროვნების ცვალებადების შედეგად ვერ ჩაითვლება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ თავისებურებათა უმთავრესი მიზეზი იყო ღვთისმშობლის აღსრულების წესებსა და საკულტო ნაგებობათა ლიტურგიულ პროგრამაში მომხდარი ცვლილებები. მაგრამ ჩვენთვის არ არის ცნობილი რა ხასიათისაა გაჩნდა VIII-IX საუკუნეებში ქრისტიანულ ლატურგიაში. ამიტომ ვამოტიმული თვალსაზრისის ისტორიული დოკუმენტებით დავასტურება ვერაჭირობით ვერ ხერხდება. მომავალში ამ საკითხთან დეკვირებით ბევრი რამ საინტერესო შეიძლება გაიკვეს.

ასეთი დასკვნის შემდეგ ბუნებრივად დაიბადება კიხვა — არსებობდა თუ არა რელიგი-

აში ამგვარი ცვლილებებისათვის სათანადო საფუძვლები? უდავოდ არსებობდა, მსგავსე-ლობაში მივიღებთ ამ დროს ისტორიულ ვითარებას.

არაბების მიმღე უღელქვეშ მყოფი, პოლიტიკურად უფლებდაყრდილი და ეკონომიურად დაბეჩავებული ქართველი ხალხი სულიერ კრიზისს განიცდიდა. ქვეყანაში შერიკა და შემცირდა ქრისტიანობის გავლენა. ბევრი ქართველი ისლამს ეზარა და ამით ეროვნული გადაგვარების გზას დაადგა. ხოლო მათ შორის, ვინაც აშკარად არ განუდგა მამამავეულ სარწმუნოებას, ბევრნი „არყოფდნენ ვითარცა ღერწმანად ქართველ ძლიერთა“ (იოანე სახანისძე).

ბუნებრივად, ასეთმა ვითარებამ საზოგადოების გარკვეულ ფენებში იმთავითვე მძლავრი საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია. ერის მოწინავე წარმომადგენლები ხალხში ეროვნული სულიკვეთების გავლენებისათვის ძალას არ იშურებენ. მათთვის ამ საყოველთაო უბედურებისაგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება არის „საკუთარი ეკლესიის ფრთათა ქვეშე ნაყოიანლურ-ქრისტიანული კულტურის გავლენა“.1 მათი მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო და მას უადრესად მნიშვნელოვანი შედეგები მოუვა.

ამ პერიოდში შემუშავდა ეროვნული ავოგრაფია; დაწესდა წმინდა ქართული დღესასწაულები ეროვნული წმინდანებისა და სხვადასხვა მოვლენების აღსანიშნავად; შეიქმნა საკუთარი წესი და განგება სახარების საკითხებისა; შედგენილ იქნა დამოუკიდებელი განცოფა კანონთა ან ფსალმუნთა. ამავე ხანაში დამკვიდრდა ქართული სისტემა წელთაღრიცხვისა. მაგრამ უველაზე მტრე თავისებურება, როგორც აღნიშნავს აკად. კ. კეკელიძე, ამ დროის მოღვაწეებს ლიტურგიულ მწერლობაში გამოუჩნდიათ. ერთი სიტყვით, აქ ხანაში ქართველები დადგომიან ღვთისმშობლის „სრული გეროვნების გზას“.²

ეს უადრესად დაბაზული და მჩქეფარე შემოკლებებითი საქმიანობა, ბუნებრივად, ძირითადად იმიდინარეობს ეკლესია-მონასტრებში, რომლებიც ამ პერიოდში არანაზული ინტენსივობით შენდებოდა. ნაშანდობლივია ისიც, რომ შეეცვალა სამონასტრო მშენებლობისათვის ადგილის შერჩევის პრინციპი, თუ წინა ხანაში მონასტრები მწირ და უდაბურ ადგილებში არსდებოდა, ახლა ამისთვის წყლიან, მოსავლიან, ცხოველხატულ გარემოს ირჩევენ. მონასტრები გზების, დასახლებული პუნქტების, ქა-

1 კ. კეკელიძე, ქართული ლიტურატურის ისტორია, 1, 1951, გვ. 43.
2 კ. კეკელიძე, ქართული ლიტურატურის ისტორია, 1, გვ. 42-50.

ლაქების მახლობლად შენდება. იჭრება მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ ხანაში საეკლესიო აღმშენებლობა, რა თქმა უნდა, ისეთივე მნიშვნელობის მქონე მოვლენაა, როგორც ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა; ისინი არსებითად ერთ საქმეს ემსახურებიან. სამშვილდის სიონის მშენებელი, ერისთავი ვარაზბაკურ და სხვა ტაძრების კტატორები, თუ ხუროთმოძღვრები ქვეყანაში ქრისტიანობის განმტკიცების, და ამდენად ქართველობის შენარჩუნებისათვის ისეთივე თავგამოდებული მებრძოლინი არიან, როგორც იოანე საბანისძე, ილარიონ ქართველი ან გრიგოლ ხანძთელი. სავსებით სწორია ნ. ჩუბინაშვილი, რომელსაც ამბობს, რომ „ამ დროის საეკლესიო არქიტექტურა, როგორც იდეოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთი ფაქტორი, ხალხს სიცოცხლისა და უკეთესი მომავლის რწმენას უნარჩუნებსო“ (გვ. 48).

შურადღებია უნდა მიიქცეს კიდევ ერთ გარემოებას: ავ დროს ბიზანტიაში ხატომებრძოლების მწვავე პრესიის მიმდინარეობს, რომელმაც მძლავრად შეარყია ქრისტიანული დოგმატა. თუმცა კი დღეს აღიარებულია, რომ საქართველოში ხატომებრძოლობას საზოგადოებრივად გამომავალი არ ჰქონია, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ იდეოლოგიურად ისეთ არამყარ ხანაში, საქრისტიანოს ცენტრში, ბიზანტიაში, დატრიალებულ უაღრესად მნიშვნელოვან ამბებს ჩვენშიც სადმე და რაიმე კვალი არ დაეტოვებინა. მოვიხვედებით მხოლოდ ზემოთ მოტანილ მასალას: გურგაანის ტაძრის მშენებლის ნაგებობებიდან მეტი წილი ბიზანტიურია. სამშვილდის სიონის წარწერაში ბიზანტიის იმპერატორების მოხსენება მისი მშენებლების ბიზანტიურ ორიენტაციაზე მიუთითებს. შეიძ-

ლებოდა სხვა ფაქტების მოტანაც, მაგრამ ერთი რამ ისედაც ცხადია: მიუხედავად იმისა, რომ ამ ხანაში ქართული ეკლესია კვლავ ერთეული თეოლოგიადობის შენარჩუნების მიზნით უპირისპირდება კიდევ ბერძნულს (საერთოდ უოვლევარ არაქართულს), მათ შორის კავშირ-ურთიერთობა არ შეწყვეტილა და ეს კავშირი იყვანებოდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც.

რა თქმა უნდა, აქ მოტიანილი ფაქტები და მოვლენები ზემოთაღმოქმული მოსაზრების სამტკიცებლად პირდაპირ საბოთებს არ წარმოადგენენ, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამ ფონზე საეკლესიო ხუროთმოძღვრების ლიტურგიულ პროგრამაში ჩვენს მიერ ნაგარაუდვე ცვლილებები არ უნდა იყოს მოვლადენილი.

და სულ მოკლე დროში, რაღაც ცხრა-ათწელიწადში, იმდენი რამ გაეყოდა, შეიცვალა, ვარდაქმნა, გაუმჯობესდა, რასაც სხვა დროს ალბათ ასი წელიც არ ეყოფოდა. შატოლ მშინდელი პრიმიტიული ტექნიკით, ბარ-წარაქვევებით ტონ კლდეზე გაკრილი ბარისახოს საავტომობილო გზა თქვათ, რომელმაც ზევურეთს ახალი უფლის მთელი სიკეთე უკლებლივ მოუტანა: შეიქმნა სათემო სახეობები (სულ ექვსი), ჩამოყალიბდა პარტიული-კომპარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სოფლებში გაიხსნა საექიმო პუნქტები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, დაწყებიათ და რაწვლიანი სკოლები, ბარისახოში აშენდა საშუალო სკოლა-ინტერნატი, აგრეთვე საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, აფთიაქი, სასტუმრო, უნივერსალი და საბაჟა-

ლო-სახურსათო მანქანები, ფურწე, ელექტრო-სადგური, მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები, რადიოს და კავშირგაბმულობის კვანძები, მოკლედ რომ ვთქვათ, ხევსურეთში მთელი სიძლიერით დაპროტოლა განახლების მაცოცხლებელმა სიომ და მისი ყველა კუთხე-კუნჭული, თვით ყველაზე შორეული და მთვარდნილიც, ცხოვრების საერთო ფერხულში ჩააბა და კულტურულ-მატერიალურად დაწინაურებულ ბარის სოფლებს გაუთანაბრა.

ხევსურეთი იღიბნდა, ხარობდა, წვიმოხდა და საამისო მიწეზეც ბქონდა, ხუმრობა ზომ არ არის, პირველყოფილი თემური წყობილებიდან პირდაპირ სოციალიზმში გადაბიჭა და ახალი, ზედნიერი ყოფის — კომუნისტური ცხოვრების მშენებელთა რიგებში ჩადგა. ხარობდა კიდევ იმტომაც, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა უახლესს დროში სამაქვანე გზის შატალადღე შეყვანასა და ბარისაზღვი რაიონული ცენტრის გასწავს პირადებოდა, მაგრამ მთელი ეს კარგად დაწყებული საქმე სამაშულო ომმა შეაჩერა.

— ფუბ, ღმერთმა დასწევდეთ ის დღე და საათი! — მისი გახსენება ვეიას ახლაც გულს უმღერვს. — რამდენი რაღაც წახდა, შეფერხდა, — კარგი, აუცილებელი, საქირო, ზოგი ახლად დაწყებული და ზოგიც დასასრულს მიახლოებული. მაგრამ, რას იზამ, სიცოცხლე საქვეწოთ ვალია და სადაც დასჭირდება, იქ უნდა მიაშველო.

და ხევსურეთშიც მიაშველა. ერთხელ კიდევ გაიხსენა ძველებური: „ვალად ვეძებს დაცვა მამულს, მტერთა ვერაგოა ტყეებოა“, და ქუდზე კაცი შეყარა. საღმრთოც გადაიხადა, სამხეწროც, გულანის ჭვარის ზეგაუს წითლვარსკვლავიანი დროშაც ვეყრდით ამოღუნა და სვილბერტა ვეყრა სამაშულო ომის შორეულ ფროტებზე გაისტურა.

ომი დამთავრდა. წასულები, როგორც წესი, ზოგი დაბრუნდა, ზოგი ბრძოლის ველს შეეწირა და განსვენება სამო საფლავში პოცა. ხევსურეთშიც, სხვათა მსგავსად, შინიოსულებები გამოიტირა, გამოივლიცა და შეწევტილ საქმეს მათბრუნდა, მაგრამ ბოლომდე მიყენა აღარ დასცადდა. როგორც წემოთაც ითქვა, ხალხის უმეტესი ნაწილი ბარად ჩაახსლებს, სახნავ-სათობი ადგილები საზაფხულო საქვრებად დაანაწილეს და დარჩენილ მოსახლეობას ეწოკარმიდაშოს მეტი აღარაფერი დაუტოვეს. მაგრამ არც ეს აკმარებს, და რაც ცხვარძრობის ფარებს გაჯაურჩა, იმას რაიონმა მოუთავა ზელა: მცხოვრებთა რიცხვით განახევრებულ-გამისამედებელი სოფლები სრულ განჯარვულებში სატყეო მეურნეობას ვადაცა. დუშეთის სატყეო მეურნეობის მუშაკებმა მწირი და ხროკი მიწების გამწვანება-განაშენიანების სახელმწიფო ვეგმა ხევსურეთში ვადი-

ტანეს, სოფლები უზუნებად დაუყვეს და მცოკრებთა ეწო-ურეთში ფიქვის წერტილ ვაბარება სცადეს.

სხვათა შორის, რაიონის მამ-ტროსსახეებს ჩვენმა ურნალ-გაზეთებშიც რამდენჯერმე ქება-დიდების წერილები მიუძღვნეს და იგი დიდერკონულ საქმედ აღიარეს. მაგრამ სინამდვილეში აქ საქმე-სადიდებელი არაფერი იყო — ხროკი ადგილები ხროკადღე დაჩჩა, ზოლო ხევსურეთის თეთიყოფადი, მდიდარი ბუნება აქ-იქ, ველოზებში ვაჩოჩხარულმა ფიქვის პატარ-პატარა კოროზებმა, პიროქით, დამახინჯა. თავსაქები და თავმოსაწონარი ის იქნებოდა და შთამომავლობაც დიდად დაუმადლიდა, რომ დუშეთის სატყეო მეურნეობას რაიონის ბრველიე მიმდებარე მოტიტვლებული ადგილებისათვის მიუზბად და თავისი კუთვნილი არავის მარქენა ნაპირის ძეგვიანი-ღორღიანი ფერდობის თუნდაც ერთი მცირე მონაკეთო ვადტყეო-ვატმწვანებისა, ახლა კი ერთ სინახინჯეს შეორცე დაეშატა და სახელმწიფოს ნოტუილებამწეც რომ არაფერი ვთქვათ, ხალხის შრომა და თანხაც ტყუილ-უბრალოდ დიხარჯა.

ყველა ეს ღონისძიება კეთილი სურვილით იყო ნაჯარანხევი, ის მიზანი ბქონდა, რომ რაც შეიძლება, ხალხი ბარად ღროზე ჩაახსლებულიყო, თვითონაც უკეთ ცეცხვრა და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც მეტი მონაწილეობა მიეღო. მაგრამ რამდენად ვამართლდა ეს მართლაც კეთილმეობლური, ხალხისა და სახელმწიფოსათვისაც ყოველმხრივ სასარგებლო განწარხვა, ამის შესახებ ხქონა იხვე ვეიოა ქალაზაურს მოვუსწინოთ.

ვეიას თავისი დიდი ოქახიდან საბოლოოდ ორი მეტარწილოვანი შევიღვილოდა შენობჩა — ჩუნთიო და წიქა. ვეიამ შეიღვილოვანი დაზარდა, დააოქახა, ზოლო როცა შატალელებს ბარად ჩაახსლება ვამოუცხალებს, კახეთში ჩაუვა და შირაქის ველზე დაახინავა. თვითონ უკან, შატალშივე დაბრუნდა, ქალაზურთა საჯვარეფლოს ციხეში დაახსლდა და მიმქრალი კერა ვადვიცა.

იო, უკვე ოც წელზე მეტია, რაც ეს უცნაური ასეტი-ვანდველი, რამდენიმე თავისებოდა მისუცთან ერთად, შატალის დეკარივლებულ ციხე-კოშკებში ბინადრობს. მიზოდის ყრუ კუდლეშორის, ყოველ ქვას, სარქმელს, სათოფურს ხელით ეფერება და გულში სულ ერთისა და აქვებს იმეორებს:

— ქალაზურს მოვდენ... ჩემი წიქა და ჩუნთიო... არ ვასწირავე შატალს.

ამ სურვილს ვეიოა გზის ვაყვანამდე თავის თანატოლ მეზობლებსაც არ უმხედა. ახლა კი, რაკი ოცნება ახდა და შატალშიც ავტომობილმა შეანათა, ყველა მოსულს ხამაძლა ეუნება:



— ჭალაბურს მოვლენ, ჩემი წიქა და ჩუნთია მოვლენ, არ ვასწირავენ შატლეს!

მერე უსათუოდ შინ მიგიწევებს და დედაცოხის წინგარდაზე სამფეხა ტაბლასთან დაგვამს, წინ ხმელ პურს, ცივ ხორცს, ყველბა და ერზოს დავილაგებს, საიდანღაც ქაშანურის პირწატებილი დოქია წინწანაქარ ემიტატურსაც ვაჩენს და თვითონაც გვერდით დაგიჭდება.

შატლში უწევებ ნაკადად მოდიან სხვადასხვა მარკის ავტომობილები, მოდის ხალხი — ტურისტები, ექსკურსანტები თუ ცალად მავალი ცინზისმოყვარენი, მოდიან წელიწადის ყოველ დროს და ყოველ დღე, მაგრამ მათი მოხვლა შატლს არც რამეს მატებს და არც აკლებს. ისინი მოდიან და მიდიან, შატლი კი კვლავ ცარიელი რჩება. ვაფია ამას თავისი წინგარდიდან ხედავს და თავისთვის ბუტბუტებს:

— ჭალაბურსი მოვლენ... ჭალაბურს არ ვასწირავენ შატლს.

ნუ ეტყვი, რომ ბარად ჩასული ხალხი სიკეთეს ეწია, სწავლა-განათლება შეიძინა, ცხოვრება გაიოლა და თანამედროვე კულტურასაც ეუიარა-თქო.

— ჰეი, — გულწრფელად გაიოცებს ჭალაბურსი, — მერე მგას აურა-გადასახლება რად უნდოდა? ცოდნა-განათლებას ვანა აქ ნამყოფი ვერ შეიძინდა, და ვანა ხევსურებს არ სჭირდებოდა ნახვადი ხალხი? კულტურაც ასევე...

არღუწის ჩქრიალი სულ უფრო მდოვრდება, ნიაფი, პირიქით ქროლვას უმატებს და ციხთა სათოფურებში მჭირივით დღათურობს, მთვარეც გასცურავს დრუბლის მარჯნისფერ ტორფლს და ჰიუბის დაბალივლ ფხას ვაგოდება. საცაა უნდა გადაეშვას უსწორმასწორო, მუქი ზოდის იქით, მაგრამ რატომღაც აუფენებს, თითქოს ხალხს ვითელის შორიდან და სუფრაზე დაწვევას გემუდარება.

ვაფიას არც იმის ვაგონება უნდა, რომ ბარად ჩასულებს შორის წინა თობიდან აღარავინ დარჩენილა, ხოლო ბარულ, იოლ ცხოვრებას ნაზარები ახალგაზრდობა აქ დაბრუნებას აღარ ისურვებს და ვერც აქაურ მკაცრ ყოფასა და მძიმე სამეურნეო შრომასაღა შეეგუება, ვერაფერს გაუგებს.

— რა არის აქ ვერ ვასაგები? — ისევ შუბლს შეგვრავს ჭალაბურსი და ფაფარა თავს გაჭვრებით შეარბევს, — გულე, წაბლი იყოს, თორემ ხსოვლის დანაკარგს სისხლი და გილაგი თვითონვე აღადგენს, ხოლო გაუქირვებლად ამქვეყნად ჭერ არცერთი საქმე არ ვაკეთებულა.

ამასობაში მუცოს მთის კლდოვან გრებალს შეწამული ფერი მოეჭალება და ციხ კიდურსაც ზნარი გაუჩნდება. მთვარე მოიწყენს ხერზე ქლომას, წაწყენივით ფერნაცვალა, გორებს იქით უწეადინოდ გადაეცურება და გაფერმკრთალებულ ვარსკვლავებსაც თან გადააყოლებს. ნიაფი ფრთას ღაღად გაშლის და აცეხის კლდოდან

შურთხების საგარეთაყო სტენას ნამოტიანს. ვაფია საკართაო ეანწნ შევივებს, სტუმარს ქაჩუს ციხემდე გაგაცილებს და გამომშვიდობებისას ასტერ ნათქვამს ერთხელს კოდვე წუფლმსურავლედ გაგიმორბებს:

— ჭალაბურს კი ნამდვილად მოვლენ, ჩემი წიქა და ჩუნთია მოვლენ და ჭალაბს ისევ შატლში დაიღებენ.

მერე კლდეზე ვაქროლ, მიხვეულ-მოხვეულ გზას გახედავს და ამით დაიწვეებული უფრო გაბედულად დაუმატებს:

— შატლს ახლა სიშორეს ვეღარაინ და აუფედრის. ამა, აგე, გზა... ქალაქს თითქმის ზედ წაება და ხალხიც ისე მიღის-მოღის.

მართალია ჭალაბურსი შორიად, შატლზე ახლა ამას ვეღარაინ იტყვის. მაგრამ გზამ მართლ შატლი კი არ დაუყავშირა ბარს, თემ-სოფლების შიდა სიშორე და ურთიერთმოწყვეტაც ახლავე საბოლოოდ მოსპო და ხევსურეთი ერთ მთლიან კომპაქტურ ერთეულად შეკრა.

ეს თავისთავად დიდი და განუზომელი სიკეთეა, მაგრამ გზა ხევსურეთს მომავალში უფრო მერ სიკეთეს პირდება.

ამ კუთხის აღროძინების პერსპექტივები ნათლად არის დასახული რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებებში; ამ გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია ხევსურული და ფშავური სოფლების კეთილმოწყობაც, ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაც, ხევსურეთისა და ფშავლების კომპლექტური დასახლებაც, სოფლების ელექტროფიკაციაც, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობაც, მოსახლეობის დასაქმებლობაც ვადიდების მიზნით, ფშავ-ხევსურეთისათვის დამახასიათებელი სუვენირების და სხვა ნაკეთობების სახელოსნოების მოწყობაც და მრავალი სხვ.

გზამ რომ თავისი დანიშნულება მთლიანად გაამართლოს, აურილი და ბარად ჩასახლებული ხალხი, თუ ყველა არა, ნაწილი მაინც კვლავ თავის ნამოსახლარს უნდა დაუბრუნდეს. ეს ერთადერთი და უცვლელი პირობაა ხევსურეთის აღდგენა-შენარჩუნებისათვის და უკან დაბრუნების მსურველთა რიცხვიც საკმაოდ დიდია.

მაგრამ ხევსურეთში, მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო, ახალ მოსახლეობა შეტად ძნელია, და ხალხს ძალიან რომ არ გაუქირდეს და მკვიდრ მეურნეობას დროულად მოეკიდოს, დასახლების მსურველთა ზოგიერთ რამეში რესპუბლიკაც უნდა დაეხმაროს: ყველაზე კარგი და შედეგიანი კი ის იქნება, თუ გრძელვადიან ფულად სესხიდან ერთად სამშენებლო მასალა — ცემენტი, ბეტონი, სახურავი და, აგრეთვე, სატრანსპორტო საშუალებაც განეადებთ ამ შედა-



ვათიან პირობებში გამოეყოფათ. რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებების ეს გარემოებაც გათვალისწინებულია.

ხევსურეთის ეკონომიური წინსვლა-განვითარების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი მიწეწია ადგილობრივი ხენა-თესვა. ხევსური განუწოშლად დიდ დროს, შრომასა და ენერჯიას ამზარს კალისტოლა, ქვა-ღორღიანი ფერდობებს კავით ჩიჩქნას, რომ საარსებო პური — ქერი და ხვილი (ჭვავი) მოიყვანოს, მაგრამ ნაყოფი შრომის შედეგდაც ვერ უნაწადურებს, ხშირად კი ნაადრევი ზამთარი მოუწერებს და ის მცირე მოსავალიც თოვლქვეშ რჩება. აუცილებლად უნდა გაუქმდეს ეს ჩვენი დროისათვის ყოვლად შეუფერებელი, უსარგებლო შრომა და ხენა-თესვაზე დასაბარგი დრო მეცხოველეობას მოხმარდეს. აქაც ისევე რესპუბლიკამ უნდა გამოიღოს ხელი — უნდა შეიზღოს მთელი წლის საყოფი ხორბალი, ფქვილი და მისახლეობას ჩვეულებრივ ფასებში მიეყიდოს.

1928 წლის საკავშირო სტატისტიკური აღწერით, ხევსურეთში, პირაქეთაც და პირიქითაც კიდევ ითვლებოდა 838 მცხოვრები (კომლი), მაგრამ ეს რიცხვი ნაკლებია: აღწერაში უყვლა სოფელი არ არის შეტანილი (აღბაო, ძნელად მისახლელებს გამო), მარტო ბარისხაზოს თემში გამოტყვებულია რვა სოფელი. გარდა ამისა, ეს ის დროა, როცა საპქოთა ხელისუფლების დაპყრობის შედეგად დაწყებული ხალების მასობრივ-სტატიკური აყრა და ბარად თავისუფალ მიწებზე ჩასახლება უკვე დამთავრებულია, და ხევსურეთი მცხოვრებთა რიცხვით თითქმის გამესამედებულია, მასხადამე, უნდა ვთვარაუდოთ, რომ ხევსურეთის მიწაწული ჩვეულებრივ პირობებში, არანალებ 2500 — 2600 კომლს იტევდა, არ უნდა დაგვა-ვიწყდეს ისიც, რომ მცხოვრებთა რიცხვი განსაზღვრული იყო სახნავ-სათესი მიწების რაოდენობის მიხედვით, თორემ მარტო შეცხოველეობა რომ ყოფილიყო, ვაცილებით მეტს დაიტმვდა.

ასევე სახნავ-სათესი მიწების რაოდენობის მიხედვით იყო განსაზღვრული ცხვარ-ძროხის რიცხვიც, როგორც ზემოთ ითქვა, ხევსურის უმეტესი საშურნეო დრო ხენა-თესვას ხმარდებოდა, ეს კი ბუნებრივად ამუხრუქებდა მეცხოველეობის განვითარებას, თანაც საქონლის უკლა-შენახვა საქმიად დიდ სიმძლეობთან იყო დაკავშირებული: უგზოობის გამო ხევსურის მთელი რაიონიანი ზამთრის საშოფი თივა საკუთარი ზურგიით უნდა მოეზიდა, მაგრამ, მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, თვითუფილი ოქანი საშუალოდ ორმოცდაათამდე მსხვილფეხისა და ას სულამდე ცხვრის გამოკვებას მაინც ახერხებდა, ხოლო თვითუფილ შეწველ ფურზე, ძველი ხევსურული განაგარბებით, ხარჯის გარე, წლიურად ოქაბს უნდა მიეღო ერთი ფუ-

თი ერთი და ოთხი ფუთი ყველი, ერთ სულ ცხვარზე კი — ორი კილო მატყალი და საჭი კილო ყველი.

ამჟამად ხევსურეთში ოთხსამდე მეკონომიური ითვლება, ზემოაღნიშნულ ღონისძიებთა გატარების შემთხვევაში ერთი ამდენიც უნდა დე-მატება, ხოლო ბარად დასახლებულ ხევსურებს შორის უკან დაბრუნების მსურველთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ ორ-სამ წელიწადში ხევსურეთის მოსახლეობა ათას კომლამდე გაიზრდება. მცხოვრებთა ეს რიცხვი სრულიად საქმარისა ხევსურეთის არსებობისათვის, აგრეთვე საქმარისა იმისათვისაც, რომ რესპუბლიკამ და-ნახარჯი ათამაგად ამოიკავს და დამატებით შემოსავალიც გაიზინოს.

მეცხოველეობის განვითარება, როგორც ყველა სხვა დარგისა, პირდაპირ დამოკიდებულია საქმის მცოდნე, კვალიფიციური კადრების ყო-ლაზე. ამ მიწით სახურველი და აუცილებელია, რომ საქართველოს სასოფლო და ზოფეტერი-ნალო ინსტიტუტებში ხევსური ანტიპროფიტე-ბისათვის დამატებით გამოიუფს ლიმიტო, კონ-კურსგარეშე ჩასარიცხი ადგილები, რომ ეს სა-სარგებლო და საშური საქმე სპეციალისტების უყოლობამ არ შეაფერბოს.

უკვე ვახიხნა გროზნო-თბილისის ტურისტულ-ში მარშრუტი ხევსურეთის ვავლით, და შატილ-ში საქმიად ტყვადი ტურბანის მშენებლობაც დაწყებულია, ხოლო მომდევნო უახლოეს წლებში განზრახულია მთელი ხევსურეთის, როგორც თავისებური ეგზოტკის მქონე კუთხის, საექს-კურსიო-ტურისტულ ობიექტად გადაქცევა. ეს კარგი და სასარგებლო საქმე არ უნდა დაყოყნ-დეს, იგი თავისებურ ფორმებს შეიტანს ხევსურეთის კულტურულ აღმარინებაში, მარკამ ტუ-რინიშის სარგებლანობა მარტო ამით არ ამო-წურება.

ხევსურეთში დღევანდლამდე შემორჩა მატყ-ლის დამუშავების ტრადიცია და მხატვრულ-დე-კორაციული ქარგვა და ქსოვა. ეს ტრადიცია და ცოდნა კუთხის სასარგებლოდ უნდა იქნას გ-მოყენებული — უნდა შეიქმნას მექანიზებული (ან ნახევრად მექანიზებული მაინც), ქალთა სა-ხელისნობები, სადაც სხვადასხვა სუფენირების გარდა, დამზადდება აქური წინდები, ხელთათ-მანები, კაშნები და ასე შემდეგ, და ეგზოტკის მოყვარულთათვის ნაწარმის გამსაღებელი მა-ღალი-პავილიონებიც იქვე უნდა გაიხსნას.

ხევსურეთში ასევე მაღალ დონეზე იდგა ოქ-რომეველეობა, მეფინეობა და მქედლობა, უხ-ვად მზადდებოდა ოქრო-ვერცხლისა და სხვა ფერადი ლითონების უელსაკიები, შიშები, ბექ-დები, საყურებები, საღატები და ცვარა-ღილები, სპილენძის საოჯახო კურკები — ქვაბები, ტა-ფები, თულუბები და ლამაზი, მცირე მოცუ-ლობის თუნგულები და წინები — (ლამაქმე-ბი); რკინისა და ფოლადისაგან კეთდებოდა მო-

ხევადებული ბაღთები, ავეჩის მხატვრული ლურსმნები, მოხატული სახეღურები, ქარქაშისანი სანადირო დანები — კაღდები, ხანჭლები და პრეტარისანი გიბის ჭაყვადანები. ამ საქმის ოსტატები დღესაც არიან, მაგრამ მომხმარებელი რომ აღარ ჰყავთ, საყუთარი საქირიებისათვის და მუშაობენ. აუცილებელია ამ კარგი ხელობის აღდგენა და შემდგომი გაუმჯობესება. ზევსურულ სუვენიერებზე ამჟამადაც დიდი მოთხოვნითაა, ხოლო ტურისტებსა და მოგზაურებში უფრო დიდი გასავალი ექნება, და კუთხეს და, მაშასადამე, რესპუბლიკასაც ერთგვარი დამატებითი შემოსავალი გაუზრდება.

ზევსურეთი თავისი ბუნებრივი მთებით, ზომიერად დაქანებული ფერდობებითა და ხანგრძლივი თოვლიანი ზამთრით, განსაკუთრებით ხელსაყრელია ალპინიზმისა და სათბილაშროს სპორტის განვითარებისათვის. აგრეთვე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით იგი საკმაოდ პერსპექტიულია საავიარაგო მეურნეობისათვისაც. ზღვის სიშორის გამო ზაფხულში ხევსურეთში ზმირი წვიმები და ამინდის უცვარი ცვალებადობა არ იცის. ნათელი, ზომიერად თბილი მზე, მწვდი, ჭანსადი ჰაერი, ცაღნიდული მთების დეკორატიული ფერდობები, სამკურნალო მინერალური წყლები — ვეძები და მთის აწყარო წყაროები, ჭღურტული ნაკადულები, კლდეზე დაკიდული ჩანჩქერები და ღამაზი, კონტრასტისანი თვალსაწიერი — უვლადფერი ეს განუზომებელ პირობებს ქმნის ფიზიკური და სულიერი დასვენებისათვის.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში სწორედ მაღალმთიანი აგარაკები გვხვდება. ამ მხრივ ზევსურეთს განუსაზღვრელი შესაძლებლობა აქვს და იგი ათვისებული და გამოყენებული უნდა იქნას. საქირთა ტურისტულ

ბაზებთან ერთად აშენდეს სპორტული ბაზები, დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები. საამისოდ უვლად უფრო სპორტულად აღჭურვილია ევროპეული „ველკომილი“ და „ტროშის ზორში“. ველკომილი დათვისჭრის უღელტეხილის დასაწყისთან მდებარეობს, საკმაოდ მოზრდილი ვაკეა და მიედის შიდა ხევსურეთს მაღლიდან ხელისგულავით დააშურებს. ასეთივე მოზრდილი ვაკე-სერია როშის ზორშიც. ვაკეს შუაზე უფოს მუინვარის ნაფური აწყარა, ჩქარი მდენარე როშისწყალი. მდინარის ორივე ნაპირზე მიმოფანტული ვულკანური წარმოშობის ორსართულიანი სახლის ტოლა მოზაიკური ლოდები გრანდიოზულ სანახაობას ქმნიან. თითქმის უვლად ნაბიჭე ამოქუხს მთავე წულები და ციციციე წყაროები, მაღლიდან გვირგვინით აღვას ზევსურეთის მუინვარწყვირი, ჩვენი ალპინისტებისათვის ჭერაც უცნობი „ჩიხორი“, ხოლო ძირს, თვალნაუწყედნ სიღრმეში ზევსურეთის შფოთიანი არაფეი მოქუხს. აქვე დამსვენებელთა განკარგულებასი იქნება ისფერი ზუნებრივი უღრმის ტბა — ლეგენდარული სილამაზის „აბუდელაური“... ერთი სიტყვით, ზევსურეთი ამ მხრივ ბევრ კარგ იმედს იძლევა და თუ უფრადდებასა და შრომას არ დაეწარება, ეს მივიწუებული და დღეისათვის თითქმის უნარგებლო კუთხე ხელ მალე ჩვენი ქალაქებისა და სოფლის მშრომელთა საყვარელ დასასვენებელ და გამოჩანააღებელ მხარედ იქცევა.

ასეთია ამჟამად ზევსურეთის მდგომარეობა. საკითხი, როგორც ვხედავთ, საკმაოდ მტკიცეული და სერიოზულია: ზევსურეთი უფრად-არ-უოლნის მიჭნაზე დგას, და თუ რესპუბლიკა დროულად განახორციელებს საქირთა ღონისძიებებს, იგი რა თქმა უნდა, დადებოდალ გადაწყვეტება — ამ მდებარე ფონოგრაფიულ კუთხესაც შევინარჩუნებთ და ეკონომიურადაც მოვიგებთ.

წიგნი დიდგორის ომზე

„ქლევია საკვირველი“ დღევანდელ ქართულ-ოთ რომ ვთქვათ „საოცარი გამარჯვება“ იქნება. ასე უწოდა ამ რვაწახვევარი საუკუნის წინ თავის თბუღლებაში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა დიდგორთან ქართველთა მიერ მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებას თერქულულეთა კოალიციაზე.

იგივე სიტყვები აქვს სათაურად პროფესორ შ. მესხიას უკანასკნელ წიგნს, რომელშიც მოთხრობილია დიდგორის ბრძოლისა და თბილისის შემოერთებაზე, იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტებს ქართველი ხალხის ისტორიაში.

დიდგორის ბრძოლის მოგონება იმთავითვე ღრმად ჩარჩა ძველი დროის ავტორთა მესხიერებაში, ახალ ხანაშიც რამდენჯერმე შეხებენ მას, მაგრამ საჭირო მასშტაბით ეს საკითხი პირველად მხოლოდ შოთა მესხიამ შეისწავლა.

ამი თუ ბრძოლა თავისთავად ძნელი წარმოსადგენია ამ დროისაგან მოწყვეტით, როცა იგი მოხდა, ამიტომ მკვლევარი, თუ ის ამათუ-ი საბრძოლო ფაქტზე წერს, იძულებულია ეს დროც ყოველმხრივ შეისწავლოს.

ასე იქცევა შოთა მესხიაც, რის გამოც იგი ვრცლად და ამომწურავად ეხება დავით აღმაშენებლის ეპოქას, ცდილობს მასში ამოიკნოს დიდგორის მიზეზები და შედეგები. ამიტომ ამ წიგნის მნიშვნელობა არსებითად სცილდება ერთი სამხედრო ოპერაციის, რაოდენ დიდი მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს მას, ვადმოცემის ცდას და წარმოგვიღებება როგორც დავით აღმაშენებლის დროის საქართველოს ისტორიის აშასხველი დასრულებული მონოგრაფია.

სიხალთ და ორიგინალობით იქცევენ ყურადღებას წიგნის პირველივე პოზიტორი მონაცემთა, რომელშიც დახასიათებულია დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი რეფორმები.

ამ საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში

რამდენჯერმე შეხებიან, მაგრამ ისეთი სისრულით, როგორც იგი შ. მესხიამ შეისწავლა მისთვის ხელი არავის მოუცილია.

ავტორმა, როგორც წესია, ზოგი რამ ამ თემაზე წინამორბედი მკვლევარებისა გაიზიარა. მეგრამ ამასთანავე მათ შეხედულებებს იმდენი საინტერესო და თანაც სრულიად ახალი დეტალი დაემატა, რომ დავითის სახელმწიფოებრივი რეფორმებისადმი მიძღვნილ ნაწევთს სრულიად ორიგინალური გამოკვლევის იერი მისცა.

ასე, მაგალითად, ავტორმა, დახვეწილობით უნდა ითქვას, პირველმა ჰყენს ისტორიოგრაფიაში, სცადა ისტორიულ პერსპექტივაში დაეხასიათებინა მოსაქარგავეობის ინსტიტუტი და მისი შემოღება დავითის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეფორმად მიეჩნია. მართალია, მისი თქმით, ეს ინსტიტუტი ადრეც არსებობდა, მაგრამ დავითის დროს მან დასრულება განიცადა. ამ ინსტიტუტის მეოხებით იყო, რომ დავითი ეფექტურად ცდილობდა საერისთავო სისტემაზე შეტევას, ერისთავებს საშეფო ხელისუფლებაზე დამოკიდებულ მოხელეებად აქცევედა და აძღულებდა მათ საკარგაველ საგამგებო ქვეყნების შემოსავალი კი არ მიეღოთ, არამედ ფულადი სარგო საშეფო ზაზნიდნად.

პირველად წინამდებარე წიგნში გვხვდება კატეგორიული მტკიცება, რომ თამარის დროიდან კარვად ცნობილ მონაპირეთა ინსტიტუტს გამოკვეთილი სახე მაინცდამაინც დავით აღმაშენებლის დროს უნდა მისცემოდა.

აქვეა წარმოდგენილი ახალი შეხედულება ტერმინ ვაზირის გაგებაში, კერძოდ, რომ ვაზირი საშეფო კარზე მხოლოდ ერთ მოხელეს — უკონდიდელ-მწიგნობართუბუცეს ეწოდებოდა. აქამდე გავრცელებული კონცეფციის მიხედვით კი ვაზირი სხვა დიდ მოხელეებასაც ერქვათ.

ახალივეა დებულება, რომ მანდატურათუბუცესობა უკვე დავითის დროს არსებობდა, რომ მაშინდელი პოლიტიკური ტენდენციებიდან გამომდინარე იგი ამირ-სასახლარობაზე წინ იდგა. ორიგინალურია და ახალი დებულება მე-

შოთა მესხია. „ქლევია საკვირველი, დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება“, „მეცნიერება“, 1972.

პერპლექტუბუციონის, როგორც ცალკე სა-
მახელეო უწყებების, დავითის დროს ჩამოყალი-
ბების შესახებაც.

სრულიად ახალი და ორიენტალისტიკის უახ-
ლესი მიღწევებისა თუ ქართული ეპიგრაფიკულ
ძეგლების ახლებური გადათვალისწინების
საფუძველზე შემუშავებული, ინგოთვე, დებულ-
დაა, რომ ამირსპასალარის ისტორიულ სე-
მასიური თვალსაზრისით პირველად დავით
აღმაშენებლის დროს იქნა შემოღებული, თუმ-
ცა ლიტერატურაში გავრცელებული შეხედუ-
ლებების თანახმად ტერმინი ამირ-სპასალარი
ქართულში მხოლოდ მე-12 ს. მეორე ნახევ-
რიდან ვიხრება III-ის (1156-1184) დროიდან
შემოვიდა ხმარებაში. ავტორისავე სამართლია-
ნი მტკიცებით არაბულ-სპარსული სიტყვები-
საგან შედგენილი ტერმინი ამირ-სპასალარი
ქართულში, როგორც ირკვევა, თურქ-სელჯუკ-
თა მეშვეობით, მათი სამოხელეო ტერმინო-
ლოგიიდან შემოვიდა... თუმცა ეს ტერმინოლო-
გიური ნათესაობა, ცხადია, არ გულისხმობდა
თვით ამ ინსტიტუტში, ამ თანამდებობის გად-
მოღებას, მათ უფრო, რომ ქართულ სამოხე-
ლეო ინსტიტუტებს საერთოდ და „ლაშქრის
თავის“ ხელისუფლებას კერძოდ, შეუდარებ-
ლად დიდი ტრადიცია ჰქონდა, ვიდრე სელჯუ-
კთა სამოხელეო წყობასა და მისთვის დამახა-
ლოებულ ამირ-სპასალარის ინსტიტუტს.

მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს ავ-
ტორს ყოვალთა ჩამოსაღებისა და მათი და-
სახლების ადგილზე მსჯელობისას, საფუძვე-
ლიანად და გვეშვიტანლად ასაბუთებს, რომ
ყოვალში, როგორც ამას ზოგერთი ავტორი
ფიქრობს, არ შეიძლება დასახლებული ყოფი-
ლიყვნენ სომხეთის ჩრდილოეთ პროვინციებში.
ავტორი თავის თვალსაზრისს საყვებით სამართ-
ლიანად ასაბუთებს იმ არგუმენტით, რომ ყო-
ვალთა დასახლების ასეთნაირი წარმოდგენა
არსებითად ეწინააღმდეგება მე-12 ს. პირველი
ნახევრის საქართველოს სამეფო ხელისუფლე-
ბის საეკლესიო პოლიტიკის ვაგებას.

მსგავსი დეტალები, რომლებიც ცალკეულ
გამოკვლევებს უფრო ეტოლებიან, შ. მესხიას
წიგნში სხვადასხვა ერთი მოპოვება, რაც, კარ-
გად გვიჩვენებს, თუ რა მასშტაბისა და რა
ოღონობის ახალი დებულებებია ასახული მო-
ნოგრაფიის ამ თავში, როგორ ამდიდრებენ
ისინი ჩვენ ცოდნას დავით აღმაშენებლის
ვანოქშული რეფორმების, შუა სიუყენეთა სა-
ქართველოს ცხოვრებაში მომხდარი ამ მნიშ-
ვნელოვანი ფაქტის შესახებ.

წიგნში ცალკე ადგილი უკავია ისეთ მაგის-
ტრალურ პრობლემასაც, როგორცაა საქართვე-
ლის პოლიტიკური ურთიერთობები მეზობელ
ქვეყნებთან, კერძოდ ბიზანტიასთან, ჩრდილო-
ეთ კავკასიის ხალხებთან, რუსეთსა და დასავ-

ლეთ ევროპასთან. მიმოხილავს რა ამ საკეთს,
ავტორი, მისთვის ჩვეული სიყრმით, ცდი-
ლობს ახალი ფაქტების შემოტანას, ამ მხრივ
განსაკუთრებით ორიენტირებულია ავტორის მო-
სახრებები დავით აღმაშენებლის ქალიშვილის
კატას ქორწინებაზე. ავტორი იზიარებს იმ
თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც კატა
ვათხოვლი იქნა ბიზანტიის იმპერატორის ალექ-
სი კომნენოსის უმცროს ძეგ ისააკზე. შ. მეს-
ხიას შეხედულებებით ეს თითქოს იქიდანაც
მტკიცდება, რომ ისააკი თავისი მშის ითანე
კომნენოსის გახელმწიფების მომხრე იყო. მეორე
მხრივ კი ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ
ბიზანტიაში კატას გაყოფილი ქართული მხლე-
ბლები დიდ სიმპათიებს იჩენდნენ ითანეს მი-
მართ. ცნობილია, რომ მათ პირველებმა მოუ-
ლოცეს ითანეს ტახტზე ასეუა შინაგანის კარიბ-
ქესთან. აქედან გამომდინარე შ. მესხია ნამდვი-
ლად ახერხებს დავიარწმუნოს, რომ როგორც
ჩანს, კატა და ბიზანტიაში მასთან ერთად ჩასუ-
ლი ქართველები არამარტო საქმის სურსში
იუყენ საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეობის
საკითხის გადაწყვეტისას, არამედ აქტიურადაც
მონაწილეობდნენ მასში. ეს იქიდანაც ჩანს,
რომ ისააკისა და კატას ქორწინება მიიხდე-
მანც 1118 წელს, სწორედ ტახტისათვის გა-
დაწყვეტი ბრძოლის წელს დაემთება.

დიდგორთან ქართული ხალხის გამარჯვებას
უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის ისტორია-
ში, ეინაიდან მან უაღრესად კრიტიკულ მო-
მენტში შეუნარჩუნა მას ეროვნული და სახელ-
მწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საშუალება
მისცა უფრო წარმატებით თუ იმედინად გა-
ეყვარებინა საშობლოს თავისუფლების
ძლიერებისა და პროგრესული განვითარებისა-
თვის ბრძოლა. ამიტომ დიდიგორი კაბიბლური
მნიშვნელობის ფაქტი იყო ჩვენს სინამდვილე-
ში, რის გამოც მის გამოშვევე მიხეზებზე იმ-
თავითვე სცადეს თავიანთი თვალსაზრისის
შექმნა თუ გადმოცემა ძველმა ავტორებმა.

შ. მესხიამ შემაქამებლური თვალსაზრისი შექ-
მნა ამ საკითხზე და პირველმა ქართულ ის-
ტორიოგრაფიაში შესწორა ყველა ასექტში
დაესაბუთებინა იგი. მისი შეხედულებით დიდ-
გორის ომის დაწყება განაპირობა, ერთი მხრივ,
სელჯუკური საამიროების სწრაფვამ შეეჩე-
რებინათ დავით აღმაშენებლის საქართველოს
პოლიტიკური აღმავლობა, მეორე მხრივ, კი
ამიერკავკასიის მდიდარი და დამოუკიდებელი
ქალაქების, მათ შორის თბილისის მართველი
ზედაფენის სურვილმა, დაეკეთა თავიანთი და-
მოუკიდებლობა დავითისაგან, რომელიც მე-
თოდურად ხელყოფდა მათ, იმორჩილებდა და
სამეფო ქალაქებად აქცევდა. შ. მესხიამ ეს შე-
ხედულება ჯერ კიდევ ამ ათიოდ წლის წინ
გამოთქვა თავის მონოგრაფიაში „საქალაქო კო-
მუნა შუა საუკუნეების თბილისში“ და ამჟამ-

დაც საეხებით დამაჯერებლად გაიმორა.

მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი დამოძილი აქვს საკუთრივ დიდგორის ეპოქის ვადმოცემას.

ქართული და აღმოსავლური წყაროების შესანიშნავი ცოდნითაა ნაშრომებში წარმოდგენილი ამ ფაქტის რთული და მრავალმნიშვნელოვანი ისტორია. დახასიათებულია არა მარტო ამ ომის დასაწყისი ეტაპი, არამედ მოწინააღმდეგე მხარეთა საბრძოლო ვეგვებში, თვით სამხედრო ოპერაციის დეტალებშიც.

აღრე აღნიშნული საკითხის ფაქტობრივ მხარეზე ერთგვარ აღრეულობასაც კი ჰქონდა ადგილი. ლიტერატურაში არ არსებობდა ერთიანი შეხედულება თვით დიდგორის ბრძოლის თარიღზეც კი, რასაც წყაროების უაღრესად ბუნდოვანი ჩვენებები განაპირობებდა. მართლაც, დავითის ისტორიკოსის თხზულების მე-15 და მე-13 სს. ნუსხათა მიხედვით დიდგორის ბრძოლას ადგილი ჰქონდა 18 აგვისტოს, მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში, რომელიც მე-12 საუკუნეშია შედგენილი, ბრძოლის დღედ 12 აგვისტოა მიჩნეული. შ. მესხია უბრატესობას ამ ჩვენებას ანიჭებს, რადგანაც, ვერ ერთი, აღნიშნული თარიღი უფრო ძველი წყაროდან მომდინარე ჩანს და მეორეც იმიტომ, რომ მას სხვა მონაცემებიც უკერძო მხარს. სომეხი ისტორიკოსის მათე ურპელის შრომიდან, მავალითა, ცნობილია ამ ბრძოლის არამარტო რიცხვი, არამედ დღეც. მათეს ერთობლივ გამოცემის მიხედვით დიდგორის ბრძოლა მოხდა 1121 წლის 15 აგვისტოს „ღვთისმშობლის მარხვის ხეთშაბათ დღეს“, სხვა გამოცემაში კი ასეთად 13 აგვისტოს ხეთშაბათია დასახელებული. შ. მესხია ყოველმხრივ აანალიზებს ამ მონაცემებს, ერთმანეთს უდარებს მათ და აღნიშნავს, რომ ეტყობა მათე ურპელის თხზულებასაც დავითის ისტორიკოსის ნაწარმოების ბედი ვაუზიარებია: ამ ძეგლის შემდგედროინდელ გადამწერებს რიცხვები ათრევათ, რადგან ხეთშაბათი დღე არ ყოფილა 1121 წლის არც 15-სა და არც 13 აგვისტოს; ხეთშაბათი დღე იქ წლის აგვისტოს ზემოდასახელებული რიცხვებიდან (12-დან 13-მდე) მხოლოდ 11-12-სა და 18-19-აგვისტოზე მოდიოდა, მაგრამ 18-სა და 19 აგვისტოს „ღვთისმშობლის მარხვა“ უკვე დამთავრებული იყო, ამიტომ „ღვთისმშობლის მარხვის ხეთშაბათ დღედ“ შეიძლება მხოლოდ 12 აგვისტო მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ ამასვე გვათავაზობს დავითის ისტორიკოსის თხზულების დედანი და მისი უძველესი სომხური თარგმანიც.

მონოგრაფიაში ქართული და უცხოური წყაროების დეტალური განალიზების საფრეველზეა შესწავლილი მოწინააღმდეგის კოალიციუ-

რი ლაშქრის შემადგენლობა, დიდგორის, რომ მის სათავეში იდგნენ მწყნრე უფლებლო აღმოსავლეთისა და კავკასიის მუსულმანური სამხაროების თავაყები: ნეჟმ-ედ-დინ ილ-ღაზი, დუბეის სადაყს ძე, თოღრულ მოხამედის ძე, თქან არსლანი, და სხვები, რომელთა მხედრობის საერთო რაოდენობაც რამდენჯერმე აღემატებოდა ქართულთა ძალეს.

პირველად ამ მონოგრაფიაშია ცდა მაქსიმალურად იქნეს დადგენილი ქართულთა რიცხვი დიდგორის ბრძოლაში. მათე ურპელის ცნობაზე დაყრდნობით 56 ათასია მიჩნეული, შესწავლილია აგრეთვე ამ ლაშქრის ეთნიკური შემადგენლობაც, რის საფრეველზეც გაკეთებულია დასკვნა, რომ დიდგორთან ქართულ ლაშქარში საკუთრივ ძირითად ქართულ ბირთვთან ერთად იმყოფებოდნენ ყუჩაყები, ოსები, სომეხ-მარეველთა და ფრანგები, ანუ ჯვაროსნები, რომელთა მცირე დასის არსებობა საკმაო დამარწმუნებლობით ირევევა.

მონოგრაფიის ავტორს საგანგებოდ აქვს შესწავლილი მოწინააღმდეგის მარშრუტი და არსებულ წყაროებზე დაყრდნობით მოთხრობილი, რომ სულრეთა კოალიცია საქართველოში მანგლის-დიდგორის სანახებობაყენ სამი მხრით: ყარსიდან თრიალეთზე ვაკლით, განძიდან და დვინიდან მოეპარებოდა.

დასასრულ საგანგებოდაა აღწერილი თვითონ ბრძოლა, მისი დასაწყისი, რომელიც თავიდანვე გამოირჩეოდა ბრწყინვალე ჩანაფიქრით, რომლის მეოხებითაც დავითმა იძულებულყო მოწინააღმდეგე იქ ვაშლილყო, სადაც მას ყველაზე ნაყლები პირთები ჰქონდა, გამოყენებნა თავისი რიცხვმრავლობა.

ასეთ პირობებში მოულოდნელად დარტყმამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩაყენა მოწინააღმდეგე და პირი აბრუნებინა. ეს კი გახდა საფრეველი მისი განადგურებისა.

მონოგრაფიის მთელი ეს ნაწილი არსებითად წერილობით წყაროებზეა დამაჯერებელი და ამიტომ, რომ მასში ვერ ვხსნათ ვადარებულე კიბოთებებს, რაც ამ საკითხზე ხშირად ვგვხვდება ზოლზე ლიტერატურაში, ავტორის მოსაზრებები ამ საკითხზე ძალიან მოზოილია და გვათავისუფლებს ეჭვისა თუ კამათისაგან.

საკუთრივ ოპერატიული თვალსაზრისით რომ მიუდგეთ, დიდგორის ოპერაციაში, რა თქმა უნდა, ზოგი რამ არ შეიძლება ვერ კიდებ საბოლოოდ ვადამყუვეტილად მივიჩნიოთ, მავალითა, სეღაკეთა ვეოგრაფიული ვანლაგების, სამხედრო თეატრის ტოპოგრაფიულ-სტრატეგიული შეფასების საკითხი, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც თვით შ. მესხია შენიშნავს, აღნიშნული დეტალები ვერ კიდებ დასამუშავებელია და შემდგომ კვლევაშიებას საკიროებს, მაგრამ, მიუხედავად

ამისა, შევძლებელია იმისი არადინშვნაც, რომ ეს პრობლემა ამერიიდან ნამდვილ მეცნიერულ და კრიტიკულ დონეზე შეიძლება შესწავლილი იქნას მხოლოდ ამ ნაშრომიდან.

მოწოდებაში კრეკლი ადვილი უკავია იმ პოლიტიკური მოვლენების დახასიათებას, რომლებიც მოჰყვა დიდგორის ომში ქართველთა გამარჯვებას.

ერთი წელიც არ იყო გასული და აი 1122 წელს ქართველებმა თბილისიც დაიბრუნეს და კვლავ ერთიანი საქართველოს დედამაქალაქად აქციეს. ავტორი ვრცლად ვაძლიერებს თბილისის ისტორიას მე-11 მე-12 სს. მიწაზე, რომელიც იმითი დამთავრდა, რომ დიდგორის ბრძოლიდან ერთი წლის შემდეგ თბილისი იქცა გავრთიანებული და ზრდადსრულებული ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ცენტრად; ამერიიდან ფეოდალურა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მესაჭის როლი თბილისის დაეკისრა, ამ დროიდან დაიწყო თბილისის, როგორც ერთიანი საქართველოს დედამაქალაქის, ისტორია.

თბილისის შემოერთების შემდეგ საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაში ახალი ეტაპი იწყებოდა.

ავტორი თანმიმდევრულად და სათანადო საბუთების მოშველებით მოგვითხრობს იმ ცვლილებებზე, რომლებიც დიდგორის ბრძოლის შემდეგ საქართველოს პოლიტიკურმა სტატუსმა განიცადა საერთაშორისო ურთიერთობებში.

ამ დროიდან საქართველო გადავიდა მეტევიით პოლიტიკაზე და სელჯუკურ სამხარობთან ბრძოლაში ახალ მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიიღწია, რასაც მოჰყვა მისი ავტორიტეტის შემდგომი ზრდა მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში და მათთან ურთიერთობათა ფორმების შეცვლა.

ავტორი ვრცლად ეკამათება ტენდენციურ და მცდარ მოსაზრებებს ამ საკითხზე და დამაყრებელი არგუმენტებით აბათილებს მათ.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობისაა ეს საკითხები და საქირბორტოც, ამის ილუსტირება ერთი შემდეგი დეტალითაც შეიძლება.

როგორც ცნობილია, მე-12 საუკუნის საქართველოს ახლი პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა მაჰმადიანურ ქვეყნებთან, რისი ერთი გამოხატულებაც იყო ის, რომ დავით აღმაშენებლის და მისი მემკვიდრის, დემეტრეს მიერ მოქრილ მონეტებზე კეთდებოდა არაბული წარწერები ხალიფასა და სულტანს გამოსახულებით. ამ ფაქტმა თავიდანვე დაბნეულობა შეიტანა ზოგიერთ მეკლევარში და არასწორი დასკვნა გამოატანინა; ასე, მაგალითად, ცნობილი ნუმისმატიკის ე. პაპომოვის აზრით, ეს წარწერები თით-

ქოს იმეტომ კეთდებოდა, რომ საქართველოს მეფეები, ვის დროსაც მონეტება მოჭრილი, მუსლიმანი მფლობელების უგმამქვემს ყვეწენ, მაგრამ იე. ქავახიშვილმა, უნდასწავლეს მონეტე-ვარი საუკუნის წინ, შესანიშნავად დაასაბუთა ამ აზრის უსწორობა და უჩვენა, რომ ქართულ მონეტებზე მუსლიმანი მფლობელების მოხსენიება პოლიტიკური დამოკიდებულების შედეგად კი არ იყო, არამედ ამგვარი წარწერებით ქართულ მონეტებს უცხოელთა შორის საქართველოში, უფრო მეტად კი მისი საზღვარების გარეთ, განსაკუთრებით მაჰმადიანურ აღმოსავლურ სამყაროში, თავისუფალი და ფართო მიმოქცევის საშუალებას აძლევდა.

იე. ქავახიშვილის დასაბუთებული შეხედულების მიუხედავად შემდგომი ხანის ავტორები შინეც კვლავ იმეორებდნენ და ახლაც იმეორებენ ე. პაპომოვის დიდი ხნის წინ უკუთვალბულ მოსაზრებას, ცდილობენ ახალი „არგუმენტებითაც“ გააძლიერონ იგი. ამათ შორის განსაკუთრებით შორს წავიდა ი. ვილნელსკი, რომელმაც გამოაქვეყნა გამოკვლევა დემეტრე პირველის მატებრის, შარავნელი პოეტის ფალაკის ოდის ერთი ადვილი, სადაც თურმე დემეტრე გამოცხადებულა, „ხარკის დასაყლეთიდან აღმოსავლეთში მომტანად“, რაც, ავტორის აზრით ნიშნავს, რომ „დემეტრე დავითის ძე, ბავრატოლთა საგვარეულოდან“ სეღუეებს ხარკს უხდიდა.

შ. მესხია შეაცრად აკრიტიკებს ამ მოსაზრებას და საფუძვლიანად შლის მას. პირველ ყოვლისა, შენიშნავს იგი, არაბულწოვანი წარწერები მრავალადა ცნობილი ვერაშის ქვეყნებშიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, არავის მოსე-ლია აზრად, რომ სიცილიის, ნორმანდიის, იტალიისა თუ სხვა შუა საუკუნეების ვერაშული თუ ქართული აღმოსავლეთის სახელმწიფოთა მეფე-მთავრები აღმოსავლეთის მაჰმადიან მფლობელთა ენასადად და მოხარკებად გამოეცხადებინა. ამასთანავე ერთად შ. მესხია ეყრდნობა რა ფალაკის ოდის ტექსტს, ვრცლად ასაბუთებს, რომ ფალაკი ვერ იტყოდა დემეტრე არისო აღმოსავლეთის ენასლი, ვინაიდან მთლიანად მისი ოდა ენაა ვრცელი პანეგირიკი დემეტრეზე, სადაც ეს უკანასკნელი უძლიველ პიროვნებადაა დახასიათებული. აქვე შ. მესხია დამარწმუნებლად გვიჩვენებს, რომ ხარკის ამლებად უნდა მივიჩნიოთ თვითონ დემეტრე და არა აღმოსავლეთის სხვა მფლობელები და რომ ეს აღმოსავლეთი ფალაკის ოდაში ნიშნავს საქართველოს სამეფოს, პოლიტიკური გაგებით, რომელიც, სხვათაშორის, თვით ფალაკის სამშობლო შარვანიც ივლლისმებოდა.

ნაშრომს წითელ ხაზად გასდევს იდეა, რომ დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება ერთგვარად ასრულებენ პანკეავსიოური ძალე-



ლექსმეზობრი

მერმან ლებანიძის ლექსები
ფრანგულ ენაზე

0 3 კ 0 3

მსახიობნიც, რეჟისორნიც, სცენარისტნიც და
კომპოზიტორნიც

ლექსმეზობრის გაზეთმა „დი ვარტემ“ („სა-
თვალთვალთ კოშკი“ — იგი ლიტერატურისა
და ხელოვნების საკითხებს აშუქებს) მიმდინარე
წლის შაბსში გამოაქვეყნა მერმან ლებანიძის
ლექსები (შანამდე აქვე გამოქვეყნებული იყო
ს. ჩიქოვანის, ვრ. აბაშიძისა და ანა კალანდაძის
ლექსების თარგმანები); ლექსმეზობრული მწერ-
ლების — მიომ შორინისა (იგი ლექსმეზობრში
მცხოვრები იტალიელი პოეტია) და როზმარი
კაფერის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ლექ-
სმეზობრული პოეზიის მოყვარულები ქართველი
პოეტების ნაწარმოებებს ვაცნობოდნენ და არა
მარტო ლექსებს; უკანასკნელი წლის მანძილზე
ლექსმეზობრის პერიოდულ პრესაში, როგორც
ფრანგულად ასევე იტალიურად გამოქვეყნდა
ზემოთ დასახელებული მწერლების შემოქმედე-
ბის მოკლე მიმოხილვა, ბიოგრაფიები, შენიშე-
ნები და მათი ფოტოსურათები.

ისე როგორც ს. ჩიქოვანის, ვრ. აბაშიძისა და
ანა კალანდაძის, ასევე მ. ლებანიძის ლექსები
(შენიშვნები და ბიოგრაფიული ცნობები ნ. რუ-
ხაძისა) თარგმან ლექსმეზობრულმა პოეტმა და
კრიტიკოსმა როზმარი კაფერმა (როზმარი კა-
ფერი მიმდინარე წლის სექტემბერში მეორეჯერ
ცწვა ამილისს). ამერად გაზეთში გამოქვეყნე-
ბულია მ. ლებანიძის ოთხი ლექსი, მიმოხილვით,
ბიოგრაფიული ცნობებითა და შენიშვნებით. გა-
ზეთი იუწყება, რომ ცნობილ ქართველ პოეტს
მ. ლებანიძეს გასულ წელს შეუსრულდა 50
წელი და ამასთან დაკავშირებით გამოვიდა მისი
ლექსების კრებული, რომელშიც თავმოყრილია
პოეტის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი
შემოქმედება. მ. ლებანიძის პოეზიაში ვაძმოკე-
მულია ადამიანური ტყივლები და სიხარული;
ბოლო წლებში ბევრი ახალი თვისება შეიძინა
მ. ლებანიძის პოეზიაში, იმპლავრა ფილოსოფი-
ურმა მოტივმა, პოეტს ეხება სიკვდილ-სიცოცხ-
ლის პრობლემას და სხვ.

ალბერტო სორდის სახელი კარგად არის ცნო-
ბილი მთელ მსოფლიოში. იტალიური კინოს ამ
თვალსაჩინო ოსტატმა ამერად კვლავ ორიგინა-
ლურ ექსპერიმენტს მიმართა. იტალიაში იღებენ
ტრაგიკომედიურ ფილმს „ვარსკვლავის მტვე-
რი“, რომელშიც მოთხრობილი იქნება მეორე
მსოფლიო ომის დროს ერთი მოხეტიალე დასის
ბუდი. პროვინციული თეატრის ვარსკვლავის
როლს ასრულებს ცნობილი იტალიელი მსახიო-
ბი მონია ვიტი; მამაკაცის მთავარ როლს კი
ალბერტო სორდი; დამდგმელი რეჟისორიც ალ-
ბერტო სორდი გახლავთ, სცენარის ერთ-ერთი
ავტორიც ალბერტო სორდია, ფილმისათვის მუ-
სიკაც ალბერტო სორდიმ დასწერა.

მ ღ რ

მ. გორკის სახელობის თეატრის რეჟისორი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შე-
ქმნიდან რამდენიმე წლის შემდეგ ბერლინში
ჩამოყალიბდა თეატრალური კოლექტივი, რო-
შელსაც ეწოდა დიდი რუსი მწერლის მასქინ
გორკის სახელი.

მას შემდეგ როგორც იტყვიან ბევრმა წყალ-
მა შაბაძა, მ. გორკის სახელობის ბერლინის თე-
ატრმა მკაფურბელთა სიმართია დამსახურა და
ახლა იგი ერთ-ერთი მოწინავეთაგანია ვერ-შა.
და აი ამ თეატრს მიმდინარე წელს არსებობის
ოცი წელი შეუსრულდა.

თეატრის 99 დადგომიდან 58 თანამედროვეობის
თემას ეხება. თანამედროვეობა აქ მუდამ უურა-
დლებს ცენტრში დგას და მისი სცენაზე წარმო-
დგენისათვის ძალ-ღონეს არ იშურებს თეატრის
კოლექტივი.

ცხადია, თეატრის რეპერტუარის განუყოფელი
თანამგზავრი იყო მ. გორკის პიესები. თეატრი
უოველთვის ცდილობდა და ახლაც ცდილობს
მიხეყვას მ. გორკის ჰუმანიურ, რევოლუციურ
მიმართულებას. თეატრმა სხვადასხვა დროს წარ-
მოადგინა მ. გორკის „ესკერზე“, „ეგორ ბული-
ჩევი“, „ვას ერლენგოვი“ და სხვ.

ბერლინის ვორკის სახელობის თეატრის სცენაზე დაიდგა აგრეთვე სხვა სახეობის დრამატურგების პიესები, მათ შორის ბ. ლაფრენცის „მათთვის ვინც ზღაპარია“ და ა. სალინსკის „მარია“.

ბ შ რ

თომას მანის მიმოწერა

სულ უფრო და უფრო მეტად ყურადღება ეთმობა მე-20 საუკუნის დიდი გერმანელი მწერლის თომას მანის შემოქმედების შესწავლას. ამიტომ, პირველ რიგში, თვით თომას მანის საარქივო მასალების გამოცემაზე შეშინებენ მკვლევარები. ამ რამდენიმე წლის წინ გამოვიდა თომას მანის მიმოწერა სამ ტომად, რომელშიც შეიტანეს მწერლის მიერ 1897 წლიდან 1935 წლამდე დაწერილი წერილები. ამ ტომების გამოცემას ზედმდევანელობდა თ. მანის ქალიშვილი ერცა მანის. შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა მიმოწერის ბიბლიოგრაფია.

ახლახან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცალკე წიგნად გამოვიდა თომას მანის მიმოწერა გამოშვებულთან — ვოლფრად ბერმან ფიშერთან. დიდტანინ წიგნში შესულა 1932-1935 წწ. დაწერილი წერილები, როგორც ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, აღნიშნულ ტომში ქაბობის საქმიანი და ფინანსური მიმოწერა, მაგრამ ამავე წერილებში გვხვდება თომას მანის შეხედულებები თავის თანამედროვეებზე, და რაც მთავარია, ამ წერილებიდან ვიგებთ, თუ რა პირობებში უბედობდა მწერალს ცხოვრება ემიგრაციის დროს.

თომას მანის მიმოწერა უადრესად საინტერესო დაკვლევებში; ამიტომაც წინასიტყვაობაში საგანგებოდაა აღნიშნული: „ავტორის მიმოწერა გამოშვებულთან — ჩვეულებრივ ფართო ინტერესს არ იწვევს, მაგრამ ამ შემთხვევაში მწერლის პიროვნების წყალობით, აგრეთვე იმ დროს შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობით, ამ გამოცემას გარკვეული წვლილი შეაქვს წარსულის ისტორიის შესწავლაში“.

ივანოვი

წიგნი-ბოგანი

ინგლისის გაზეთებში ამასწინათ ვაჩნდა სენსაციური ცნობა — გაფრთხილება, რომ თუ რომელიმე მოკალაქე ფოსტით მიიღებდა წიგნს, რომელიც მიძღვნილი იქნებოდა მსოფლიოში სახელგანთქმული კომპოზიტორებისადმი (ბეთოპოვენი, მაღერი და სხვ.), მას არავითარ შეშინებვაში არ უნდა ვაუხსნა წიგნი, რადგან სინამდვილეში ეს კომპოზიტორებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია კი არა, არამედ ბოში იყო; „წიგნი“ გაშლისას თურმე ფეოქდებოდა. სკოტლანდ

იარდმა დროზე გააფრთხილა მოსახლეობა ამ სერიალული სიფრთხის გამო, საქვეყნოდ ცნობილი კომპოზიტორებისადმი მიძღვნილ თერთულ „წიგნში“ დაახლოებით ოთხი უნცის (25,3 გრამი) ანაფეტქებელი ნივთიერება უყოფილა ჩადებული. ასეთი წიგნი ადამიანს ნაფლეთებად აქცევის, ან არადა ავლერს სხეულის რომელიმე ნაწილს.

ლონდონის დასავლეთ რაიონში პოლიციამ 14 ასეთი წიგნი-ბოში აღმოაჩინა.

წიგნები ეგზავნებოდა კერძო პირებს და ორგანიზაციებსაც. ერთი თვითხილველი ასე აღწერს მიღებულ „მანათის“ ისტორიას: რადგან ჩემი შეფი შევბუღებაში იყო, ვადავწყვიტე თვითონვე გამეხსნა კონვერტი. კონვერტში აღმოჩნდა მონოგრაფია გუსტავ მაღერზე, როცა წიგნის გადაშლას ვამჩრებდი, მონოგრაფია დაშალა და შიგ უჩვეულო რაღაც შავი მოწერობლობა დავინახე, ეს იყო ფირფიტებოთა და მათ თულებით გაწყობილი მექანიზმი, ყველაფერი ეს პოლიციას გადავეცი“.

პოლიციის გაფრთხილება ან ყველას არ მიწვდა, ან არადა სულწაბუღებისათვის, რომლებსაც სურდაო რაც შეიძლება მაღვ გადაეშალათ წიგნი, სახედისწერო გამოდგა.

საშრანგეთი

პოლ ვერლენის პროზა

საფრანგეთის ცნობილი გამოშვებულბამ ვალიმარმა გამოსცა სახელგანთქმული ფრანგი მწერლის პოლ ვერლენის პროზაულ ნაწარმოებთა სრული კრებული მესამე და უკანასკნელი ტომი, ვერლენის პროზაული ნაწარმოებები დასაბეჭდად მოამზადა და კომენტარები დაურთო ეკ ბოტრედმა.

ამ გამოცემაში პირველად მოუყარეს თავი პოლ ვერლენის პროზაულ ნაწარმოებებს. ეკ ბოტრედმა ვერლენის პროზაული ნაწარმოებები დაეყო ოთხ ნაწილად: 1. მხატვრული ნაწარმოებები, სადაც მთავარი ადგილი უჭირავს „ქვრავის მემუარებს“, 2. ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, რომლის ყველაზედ უფრო საინტერესო ნაწილებია „ჩემი საავადმყოფოები“, „ჩემი ციხეები“, და „აღსარებანი, 3. კრიტიკული სტატეები და წინასიტყვაობები, სტატეები „დაწვევლილი პოეტები“ და „დღევანდელი დღის ადამიანები“; 4. პუბლიცისტკა და მოგზაურობის შთაბეჭდილებანი.

„მონღო“ გამოქვეყნებული რეცენზიის მიხედვით თუ ვამსჯებობთ, და რეცენზენტს იუბერ თიუნს დავუჭრებთ, ამ გამოცემის ღირებულ ნაწილია პოლ ვერლენის ლიტერატურულ კრიტიკული ნაწარმოებები.

ვენესუელა

ორი წლის დემილის შემდეგ

ვენესუელის ქალაქ კობორის მუნიციპალიტეტი ამ ორი წლის წინ ბოლივარიის პარკის მახლობლად მიწის საშუალებებს აწარმოებდა. ერთ-ერთმა მუშამ, რომელიც წერაქვით ვაშლებით მუშაობდა, უცებ იარაღი გვერდით მოისროლა და ამოთხრილ მიწას გულმოდგინედ დააკვირდა. შალე იგი თხრილიდან ამოხტა და ზედაშედეგული იხმო.

მეორე დღეს კობორში არქეოლოგები ჩამოვიდნენ. სათქარბელი იყო რომ წინააღმდეგ ქალაქში გავრცელებულ ათასგვარ კორებს ბოლო მოეღებოდა, მაგრამ მოხდა საკვირველება, ჩამოსულმა არქეოლოგებმა მომდევნო ორი წლის მანძილზე თითქოს პირში წყალი დაიკუბესო, არაფერს კონკრეტულს არ ამბობდნენ. მორწმუნე ბორელებს შეტიც არ უნდოდათ, მიიქმამოთქმა ვრძელდებოდა.

ვენესუელელი საზოგადოებისათვის მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის წინ გახდა ცნობილი, რომ კობორში მომუშავე არქეოლოგებმა ხაოცარი აღმოჩენა გააკეთეს, რასაც მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვენესუელელმა ანტროპოლოგმა ადრიან ლუსენ გოიომი, რომელიც გათხრებს ხელმძღვანელობდა ეურნალისტებს განუცხადა, რომ მათ ხელთ აქვთ საბუთები, რითაც მტკიცდება: ვენესუელის ტერიტორიაზე უძველეს დროში პიგმეები ცხოვრობდნენ. მიწის საშუალების დროს მიკვლევულია პიგმეების უძველესი სასაუბლო არქეოლოგები ორი წელი აღმდნენ, აჰ აღმოჩენის თაობაზე არაფერს ლამაზაკობდნენ, რადგან მეცნიერების ავტორიტეტულ გადაწყვეტილება: ელოდებოდნენ.

გათხრების დროს, განაგრძო ანტროპოლოგმა, ჩვენ ათხი ჩონჩხი აღმოვაჩინეთ. ზოგჯერ-თი საუკეთესოდ შენახული. ჩონჩხებთან ერთად იყო ცერამიკული ნაწარმი, ყელსაბამები, შივიები და სხვა პრამიტიული სამკაულები. გამოკვლევებმა ცხადყო, ჩონჩხები 16 საუკუნის წინანდელია.

ამგვარად ამ გათხრებით დამტკიცდა მეცნიერების ვარაუდი, რომ ვენესუელის ტერიტორიაზე დიდი ხნის წინ ცხოვრობდა პიგმეების ტომი, პატარა ტანის ამერიკელი ინდიელები.

ნორვეგია

შექსპირის ახალი თარგმანები

შექსპირის პიესების უკანასკნელი თარგმანები ნორვეგიულ ენაზე შესრულდა ოცინა-ოცდაათიან წლებში, მაგრამ ამის შემდეგ ნორვეგიულში ენამ ძირითადი და არსებითი ცვლილებები განიცადა, იმდენად რომ ნორვეგიულ ენაზე დღეისათვის არსებული შექსპირის პიესები მოპველდა და შექსპირის დრამატურგია მიუწყდომელი გახდა თანამედროვე ნორვეგიული თეატრისათვის.

ნორვეგიის სხვადასხვა თეატრებმა თხოვნით მიმართეს ცნობილ პოეტებსა და მთარგმნელებს. ერთგვანად შექსპირის ნაწარმოებები თანამედროვე სცენაზე დასადგმელად

ნორვეგიის სახელმწიფო ენაზე ახლანდს გამოცემული შექსპირის ნაწარმოებების ექვსტომიულისი შევიდა მწერლის 13 პიესა.

თარგმანები შალეი პროფესიული კულტურით გამოირჩევა. შექსპირის პიესების თარგმანთა თანამედროვე ნორვეგიულ ენაზე და მათი გამოცემა უკანასკნელი წლების ლიტერატურულ და თეატრალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა.

0360 80 333.

0
/



ИНДЕКС
76128

„МНАТОБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ